

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ევროპეისტიკის
დეპარტამენტი

თამთა ფოფხაძე

ანალიტიკური ტერმინების ქმნადობის კრიტიკული ანალიზი
საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების მიხედვით
(მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე)

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი **ჟუჟუნა გუმბარიძე**

ბათუმი

2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თ. ფოფხაძე

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I . თანამედროვე დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების თეორიული და ლექსიკოგრაფიული საფუძვლები.....	14
1.1 ტერმინოლოგია, როგორც ინტერდისციპლინური დარგი.....	14
1.2 ტერმინის რაობა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.....	24
1.3. ტერმინოლოგიური მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები ISO 704:2022 (E) მიხედვით.....	33
1.4 საერთო ევროპული ტერმინოლოგიური ბაზის (IATE) მიზნები და ამოცანები.....	40
1.5 ტერმინოლოგიური ადაპტაციის გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალური მეცნიერების კონტექსტში.....	50
1.6 თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და პერსპექტივები.....	58
თავი II . ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა, როგორც სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის შემუშავების მექანიზმი.....	65
2.1 ტერმინთა პოლისემია, სინონიმია და ომონიმია.....	65
2.2. კონცეპტუალური და დისციპლინური ეკვივალენტობის გამოწვევები ორენოვან სპეციალიზებულ ტერმინოლოგიაში.....	76
2.3 მეტამონაცემების როლი ტერმინთქმნადობის პროცესში.....	86
2.4 ნეოლოგიზმები და ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის გამოწვევები.....	94
2.5 ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა, როგორც ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის შემუშავების მექანიზმი.....	102
2.6 ტერმინის სანდოობის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	109
თავი III . ანალიტიკუმების ქართული შესატყვისების კრიტიკული ანალიზი მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე.....	114
3.1 „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიკრო და მაკროსტრუქტურა.....	114
3.2. ანალიტიკური ტერმინების (ანალიტიკუმების) კონცეპტუალური ერთიანობა და სემანტიკური თავისებურებები.....	120
3.3. ანალიტიკუმების მორფოსინტაქსური მახასიათებლები და სტრუქტურული მოდელები.....	130
3.4. აბრევიატურების შედგენილობა და ფორმაწარმოება.....	144

3.5 ანალიტიკურ ტერმინთა სემანტიკური გამჭვირვალობა და მათი ქართული შესატყვისების კრიტიკული ანალიზი.....	151
3.6. მიგრაციის ტერმინების თარგმნის გავრცელებული მეთოდები.....	163
თავი IV. რეკომენდაციები ტერმინოლოგიური მუშაობის ოპტიმიზაციისთვის	180
დასკვნითი დებულებები	184
დანართები	190
გამოყენებული ლიტერატურა.....	229

შესავალი

გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთაშორისო ინტეგრაციის თანამედროვე ეპოქაში დარგობრივი ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია და ჰარმონიზაცია განსაკუთრებული სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხად იქცა. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესმა და ქვეყნის მიერ საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავებამ წამოჭრა ეროვნული ტერმინოლოგიური სისტემის სტრუქტურული მოდერნიზებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პრობლემა. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციის სფეროს, სადაც ზუსტი, ერთგვაროვანი და კონცეპტუალურად ადეკვატური ტერმინოლოგია წარმოადგენს ეფექტიანი პროფესიული კომუნიკაციისა და სამართლებრივი ნორმების კორექტული ინტერპრეტაციის აუცილებელ წინაპირობას.

თანამედროვე ქართულ სპეციალიზებულ ლექსიკაში დიდი სიხშირით გვხვდება როგორც მონოლექსემური ტერმინები, ისე მრავალკომპონენტური ანალიტიკური კონსტრუქციები (ანალიტიზმები), რომელთა სემანტიკური გამჭვირვალობის ხარისხი და კონცეპტუალური შესაბამისობა უცხოენოვანი ეკვივალენტების მიმართ ხშირად პრობლემურ საკითხად რჩება. მიგრაციის ევროპული ქსელის (European Migration Network - EMN) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროს სპეციალიზებულ ტერმინოლოგიას ოცდახუთზე მეტ ენაზე, წარმოადგენს იმ ემპირიულ მასალას, რომლის საფუძველზეც წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ანალიტიკუმების ლინგვისტური ბუნება, მათი ქართული შესატყვისების სპეციფიკა, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები, წარმოქმნის მოდელები და მათი შესაბამისობის ხარისხი საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებთან.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორებით:

1. საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის მიმდინარე პროცესი მოითხოვს

ტერმინოლოგიური რესურსების ოპტიმიზაციას და საერთაშორისო ნორმატიული ბაზის ადეკვატურ ასახვას ეროვნულ სამართლებრივ დისკურსში;

2. თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მიგრაციული პროცესების ინტენსივობის მუდმივი ზრდა განაპირობებს ამ სფეროში ეფექტიანი, სტანდარტიზებული და კულტურათაშორისი კომუნიკაციის აუცილებლობას;
3. ქართული სამეცნიერო და დარგობრივი ტერმინოლოგიის თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები მოითხოვს კრიტიკულ ანალიზსა და სისტემურ მიდგომას ტერმინქმნადობისა და ტერმინოლოგიური ეკვივალენტურობის საკითხებში;
4. საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების (ISO 704:2022 - Terminology work - Principles and methods) და ევროპული ინსტიტუციური ტერმინოლოგიური პრაქტიკის (IATE - InterActive Terminology for Europe) პრინციპების განხორციელება ქართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონტექსტში წარმოადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის თანამედროვე მეთოდოლოგიის განვითარების საჭიროებას.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის **მთავარ მიზანს** წარმოადგენს მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი ანალიტიკური ტერმინების ქართულენოვანი შესატყვისების კომპლექსური ლინგვისტური ანალიზი და გამოყენებულ ტერმინთა ჰარმონიზაციის მექანიზმების სისტემური დახასიათება თანამედროვე ტერმინოლოგიური თეორიისა და საერთაშორისო სტანდარტების (ISO 704:2022) მეთოდოლოგიურ საფუძველზე. კვლევა მიზნად ისახავს ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის პრინციპების იდენტიფიკაციას, ტერმინოლოგიური ეკვივალენტების სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების გამოვლენას და ამ თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე სამეცნიერო დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას სხვა სპეციალიზებულ სფეროებში.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. თანამედროვე ტერმინოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გააზრება – დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი პრინციპების, ტენდენციებისა და საერთაშორისო სტანდარტების (ISO 704:2022) შესწავლა;
2. ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის პრინციპების იდენტიფიკაცია – მათი ურთიერთმიმართების, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებისა და ჰარმონიზაციის მექანიზმების განსაზღვრა;
3. მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) მიერ შედგენილ “თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონში 9.0” წარმოდგენილი ანალიტიკების კრიტიკული ანალიზი – მათი ქართული შესატყვისების სემანტიკური გამჭვირვალობისა და სტრუქტურული თავისებურებების შეფასება;
4. აბრევიატურების ფორმაწარმოების და ადაპტაციის პრობლემების გამოვლენა – მიგრაციის ტერმინოლოგიაში მათი ფუნქციური როლისა და ქართულ ენაში დამკვიდრების სპეციფიკის შესწავლა;
5. მიგრაციის დარგობრივი ტერმინოლოგიის თარგმნისას გამოყენებული ლინგვისტური სტრატეგიების (კალკირება, პირადპირი სესხება ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიბირება, დესკრიფციული თარგმანი) შეფასება და არსებული პრაქტიკის გაანალიზება;
6. რეკომენდაციების შემუშავება ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისთვის – ISO 704:2022 სტანდარტებისა და IATE-ის პრინციპების საფუძველზე, ქართული ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისა და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის კომპლექსური მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც სინთეზურად აერთიანებს თეორიულ და ემპირიულ საკვლევ მიდგომებს და უზრუნველყოფს კვლევის ობიექტის მრავალასპექტურ ანალიზს:

1. დესკრიფციული (აღწერითი) მეთოდი – ტერმინოლოგიური ერთეულების სისტემური აღწერისა და მათი ლინგვისტური მახასიათებლების ობიექტური შესწავლისათვის;
2. შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი – ტიპოლოგიურად განსხვავებული ენობრივი სისტემების (ინგლისური და ქართული) ტერმინოლოგიური ერთეულების შედარებითი ანალიზისა და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური კორელაციების შეპირისპირებისათვის;
3. მორფოლოგიურ-კომპონენტური ანალიზის მეთოდი – ტერმინოლოგიური ერთეულების სემანტიკური სტრუქტურისა და შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირებისა და ფუნქციური როლის დასადგენად;
4. კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი – ტერმინოლოგიური ერთეულების მიერ გამოხატული კონცეპტების ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურის გამოსაკვლევად და ტერმინ-კონცეპტის თავსებადობის შესაფასებლად;
5. რაოდენობრივი მეთოდი – ანალიტიზების, აბრევიატურებისა და თარგმნის სტრატეგიების სტატისტიკური განაწილების განსაზღვრისათვის;
6. კრიტიკული ანალიზის მეთოდი – არსებული ტერმინოლოგიური გადაწყვეტილებების შეფასებისა და ალტერნატიული ვარიანტების თეორიულად დასაბუთებული შემუშავებისთვის.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** მდგომარეობს შემდეგში:

1. პირველად ხორციელდება მიგრაციის ევროპული ქსელის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონში (EMN Asylum and Migration Glossary) წარმოდგენილი ანალიტიზების ქართული შესატყვისების კომპლექსური ლინგვისტური კვლევა;
2. ახალი მეთოდოლოგიური რაკურსით არის გააზრებული ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის პრობლემატიკა ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში და შემუშავებულია ამ პრინციპის პრაქტიკული გამოყენების მოდელი;

3. სისტემატიზებულია და კრიტიკულად შეფასებულია მიგრაციის ტერმინების თარგმნის სტრატეგიები ქართულში, იდენტიფიცირებულია მათი ფუნქციური პოტენციალი;
4. დამუშავებულია ანალიტიკუმების სემანტიკური გამჭვირვალობის შეფასების კრიტერიუმები ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები ანალიტიკური ტერმინების ქართული ეკვივალენტების ჰარმონიზაციისთვის ISO 704:2022 სტანდარტებისა და IATE პრინციპების საფუძველზე;
6. პირველად არის გაანალიზებული აბრევიატურების ფორმაწარმოების სპეციფიკა მიგრაციის ტერმინოლოგიაში და მათი ქართულ ენაში ადაპტაციის საკითხი;
7. შექმნილია ცოდნის ახალი სეგმენტი ტერმინოლოგიის შესახებ, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ ტერმინოლოგიურ კვლევებსა და პრაქტიკულ მუშაობას სხვადასხვა დარგობრივ სფეროებში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება გამოიხატება პირველ რიგში იმით, რომ ნაშრომი აფართოებს ტერმინოლოგიის თეორიის ცოდნას, განსაკუთრებით ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის, ანალიტიკუმების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებისა და ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის მექანიზმების ფუნდამენტურ საკითხებში. ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი თეორიული ბაზა ტერმინების ეკვივალენტობის პრობლემატიკის, მეტამონაცემების როლისა და ტერმინების ლინგვისტური მახასიათებლების შესახებ. თეორიულ დონეზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომი აერთიანებს ტერმინოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, თარგმანმცოდნეობისა და კონცეპტუალური ანალიზის თეორიული მიდგომებს, ქმნის ინტერდისციპლინარულ ჩარჩოს, რომელიც გამოსადეგია არა მხოლოდ მიგრაციის, არამედ სხვა დარგობრივი ტერმინოლოგიების შესწავლისთვისაც. ნაშრომში წარმოდგენილია ანალიტიკუმების სემანტიკური გამჭვირვალობისა და ტერმინ-კონცეპტის თავსებადობის შეფასების კრიტერიუმები. კვლევა ასევე წვლილს შეიტანს

ქართული ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის, ტენდენციებისა და პერსპექტივების შესწავლის მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** მრავალასპექტურია. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია ტერმინოლოგიური ლექსიკონების, განმარტებითი ლექსიკონებისა და ენობრივი რესურსების შექმნისა და სრულყოფის პროცესში. კვლევის მასალები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული საქართველოს ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას, სამართლებრივი აქტების თარგმნისას, ასევე ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების ქართულად ადაპტაციის პროცესში. კვლევის შედეგები განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულების მატარებელია უმაღლესი განათლების სისტემისთვის: ისინი შეიძლება ინტეგრირდეს ენათმეცნიერების, თარგმანმცოდნეობის, ტერმინოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სასწავლო კურსებში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და დოქტორანტების პროფესიული უნარების განვითარებას. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის მეთოდოლოგია გამოსადეგია ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, რომლებიც მუშაობენ ტერმინოლოგიის სხვადასხვა დარგში და საჭიროებენ თეორიულად დასაბუთებულ, პრაქტიკულად გამოყენებად ინსტრუმენტებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციის პროცესში, რაც წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიულ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის აუცილებელ წინაპირობას.

რაც შეეხება ნაშრომის **სტრუქტურულ აგებულებას**, ის შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნითი ნაწილის, დანართებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. შესავალში განხილულია კვლევის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია მიზანი და ამოცანები, დასაბუთებულია არჩეული მეთოდოლოგია, წარმოდგენილია კვლევის სამეცნიერო სიახლე, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკურად ასახავს კვლევის დინამიკას თეორიული საფუძვლებიდან ემპირიული ანალიზისკენ და შემდგომ – პრაქტიკული რეკომენდაციების

შემუშავებამდე, რაც უზრუნველყოფს კვლევის სისტემურობასა და მეთოდოლოგიურ თანმიმდევრულობას.

პირველი თავი „თანამედროვე დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების თეორიული და ლექსიკოგრაფიული საფუძვლები“ ეთმობა ტერმინოლოგიის თეორიულ საკითხებს. განხილულია ტერმინოლოგია, როგორც ინტერდისციპლინური დარგი, წარმოდგენილია ტერმინის არსი და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები. დეტალურად არის შესწავლილი ტერმინოლოგიური მუშაობის საერთაშორისო სტანდარტები ISO 704:2022 და ევროპული ტერმინოლოგიური ბაზის IATE სისტემის მექანიზმი. აქვე გაანალიზებულია ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის პრინციპები მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში და წარმოდგენილია თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და პერსპექტივები.

მეორე თავი „ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა, როგორც სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის შემუშავების მექანიზმი“ ფოკუსირებულია ტერმინ-კონცეპტის ურთიერთმიმართების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე. განხილულია ტერმინთა პოლისემიის, სინონიმის და ომონიმის პრობლემატიკა, ეკვივალენტობის საკითხები ორენოვან ლექსიკონებში. შესწავლილია მეტამონაცემების როლი ტერმინთქმნადობის პროცესში და ნეოლოგიზმების ლინგვისტური მახასიათებლები. ამ თავის ცენტრალური ნაწილი ეთმობა ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის პრინციპების შემუშავებას, როგორც ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის შექმნის ძირითად მექანიზმს. ასევე, განხილულია ტერმინის სანდოობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

მესამე თავი „ანალიტიკების ქართული შესატყვისების კრიტიკული ანალიზი მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე“ წარმოადგენს ემპირიული კვლევის ძირითად ნაწილს. დეტალურად არის გაანალიზებული „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიკრო და მაკროსტრუქტურა. ყურადღება გამახვილებულია ანალიტიკური ტერმინების/ანალიტიკების სტრუქტურულ-სემანტიკურ

მახასიათებლებზე, აბრევიატურების შედგენილობასა და ფორმაწარმოებაზე, ანალიტიკური ტერმინების წყარო ენიდან (ინგლისური) სამიზნე ენაზე (ქართული) გადმოტანის მეთოდებზე, ენათაშორის სესხებაზე. ცენტრალური ადგილი უკავია ანალიტიკუმების სემანტიკური გამჭვირვალობის პრობლემატიკისა და მათი ქართული შესატყვისების კრიტიკულ ანალიზს. იდენტიფიცირებული და შეფასებულია მიგრაციის ტერმინების თარგმნის გავრცელებული სტრატეგიები: კალკირებული თარგმანი, დესკრიფციული თარგმანი, პირდაპირი სესხება ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიბირების გზით. ამდენად, ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში ქართული ტერმინოლოგიის სიღრმისეულ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც განიხილება ტერმინ-კონცეპტის თავსებადობის პრინციპები, თარგმნითი სტრატეგიები და ქართული ტერმინოლოგიური პრაქტიკის მიმართება საერთაშორისო ტერმინოლოგიურ რესურსებთან (EMN, IATE, ISO 704:2022), ხოლო

მეოთხე თავი „რეკომენდაციები ტერმინოლოგიური მუშაობის ოპტიმიზაციისთვის“ ეფუძნება მიღებულ მიგნებებს და მიზნად ისახავს ქართული ტერმინოლოგიური სისტემის განვითარებისთვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული პრინციპების ფორმულირებას, მათ შორის ტერმინშემოქმედების მეთოდოლოგიის დახვეწას, ნორმირების, ჰარმონიზაციისა და ტერმინთა გამოყენების ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებას.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის მთავარი შედეგები და განსაზღვრულია ძირითადი მიგნებები, ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიურ სივრცეში ინტერდისციპლინური და სტანდარტებზე დაფუძნებული მიდგომა წარმოადგენს ტერმინოლოგიური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ძირითად წინაპირობას. ასევე, დადასტურებულია, რომ მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროს ტერმინოლოგია ქართულ ენაში დამკვიდრდა ძირითადად თარგმანის გზით, ევროკავშირის ინსტიტუციურ სივრცეში ფორმირებული კონცეპტების საფუძველზე, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტერმინ-კონცეპტის თავსებადობის, საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO 704:2022) შესაბამისობისა და ტერმინოლოგიური რესურსების (EMN, IATE) ინტეგრაციის საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს ქართულ და უცხოურენოვან წყაროებს ტერმინოლოგიის თეორიის, ლექსიკოგრაფიის, თარგმანმცოდნეობის, კონცეპტუალური ანალიზის, ასევე მიგრაციის სამართლის სფეროებიდან. ბიბლიოგრაფია შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ნაშრომი შეიცავს ანალიზისთვის გამოყენებული ემპირიული მასალის ნიმუშებს, ანალიტიკუმების კლასიფიკაციის სქემებს, ცხრილებს.

ნაშრომის **ემპირიულ მასალას** წარმოადგენს მიგრაციის ევროპული ქსელის (European Migration Network - EMN) მიერ შემუშავებული „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 9.0 (2023)“, რომელიც მოიცავს 531 ტერმინს თავშესაფრის, მიგრაციის და სამოქალაქო უფლებების სფეროებიდან. **თეორიული ბაზა** მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურას ტერმინოლოგიის თეორიის, ლექსიკოგრაფიის, თარგმანმცოდნეობის და კონცეპტუალური ლინგვისტიკის სფეროებიდან და ეფუძნება კაბრეს, სეიგერის, ფელბერის, ვუსტერის, ტემერმანის, ფეიბერის, ლ'ომის, პაუელსის, ნაიდას, ლაიონსის, ლიპკას, ბიელის და სხვათა შრომებს. მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტები, უპირველეს ყოვლისა ISO 704:2022 (Terminology work — Principles and methods), ასევე ევროპული ტერმინოლოგიური ბაზის IATE (Interactive Terminology for Europe) მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია. ქართული ტერმინოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის შესასწავლად გამოყენებულია ქართველი მეცნიერების ნაშრომები (რ. ღამბაშიძე, თ. მარგალიტაძე, ი. ლობჯანიძე, ლ. ქაროსანიძე, თ. გამყრელიძე, გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, ხ. ბერიძე, ნ. საყვარელიძე, დ. დათეშიძე, თ. ბენიძე და სხვ.), ასევე სხვა თანამედროვე ტერმინოლოგიური კვლევები და ლექსიკოგრაფიული წყაროები.

წარმოდგენილი ნაშრომი ხელს უწყობს ქართული სპეციალიზებული ენის თანამედროვე მდგომარეობის კვლევასა და განვითარებას. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით: ისინი უზრუნველყოფენ ტერმინოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების უკეთ გაგებას და მათი გამოყენების სტანდარტიზაციას სხვადასხვა დარგში.

თავი I . თანამედროვე დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების თეორიული და ლექსიკოგრაფიული საფუძვლები

1.1 ტერმინოლოგია, როგორც ინტერდისციპლინური დარგი

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოითხოვს სპეციალიზებული კომუნიკაციის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ, მკაფიო და სტანდარტიზებულ ლექსიკას. სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს ტერმინოლოგია — ინტერდისციპლინური სამეცნიერო დარგი, რომლის ძირითადი მიზანია დარგობრივი ცნებების სისტემური იდენტიფიცირება, ფორმალიზება და მათი ზუსტი ლექსიკური ერთეულებით წარმოდგენა. ტერმინოლოგიური საქმიანობის არეალი მნიშვნელოვნად სცდება ტრადიციული ლინგვისტური ანალიზის ჩარჩოებს. ეს დისციპლინა მოიცავს: 1) ცნებითი სისტემების ანალიზს და კლასიფიკაციას, 2) დარგობრივი ლექსიკის სიღრმისეულ შესწავლას და ტერმინების ეტიმოლოგიურ კვლევას, 3) სამეცნიერო დეფინიციების ფორმულირებას და კონცეპტუალური აპარატის შექმნას, 4) ტერმინოლოგიური ნორმების შემუშავებას და გამოყენების პრინციპების დადგენას, 5) სტანდარტიზაციის პროცესების ანალიზს და ტერმინთა საერთაშორისო ჰარმონიზაციას, 6) მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ბანკების შექმნას და მათ შორის კავშირის დამყარებას, 7) ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემური რეგულაციების შემუშავებას და 8) ტერმინოლოგიური კომპეტენციის შეფასების მეთოდოლოგიებს. ეს მრავალმხრივი მიდგომა ფუნდამენტურად განასხვავებს მას ზოგადი ენათმეცნიერებისგან.

ტერმინოლოგიის ინტერდისციპლინური არსი გამოიხატება იმაში, რომ იგი მოითხოვს არა მხოლოდ ღრმა ლინგვისტურ კომპეტენციას, არამედ ფუნდამენტურ ცოდნას ლოგიკის, ფილოსოფიის, საინჟინრო, იურიდიული, სამედიცინო, ბიოლოგიური, ეკოლოგიური, ტექნიკური, მუსიკალური, საზღვაო და სხვა სპეციალიზებული დარგების სფეროში. ამიტომაც არის, რომ ტერმინოლოგია ერთგვარი კონცეპტუალური ხიდია ზოგად ენასა და სპეციალიზებულ დარგობრივ

ცოდნას შორის. ამ კონტექსტში ტერმინოლოგიის ანალიზი გულისხმობს კომპლექსურ ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს. ტერმინოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ინტერდისციპლინური ბუნება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ისეთ სისტემებში, როგორცაა საერთაშორისო სტანდარტიზაცია, მრავალენოვანი ტექნიკური თარგმანი, სამეცნიერო დოკუმენტაციის გლობალური უზრუნველყოფა და ტექნიკური რეგლამენტაციისა თუ ნორმატიული დოკუმენტების ჰარმონიზაცია. ტერმინოლოგიური სტაბილურობა და კოჰერენტულობა გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ კონცეპტუალური თვალსაზრისით ზუსტი კომუნიკაციის უზრუნველყოფაში, არამედ სამართლებრივ და სოციალურ კონტექსტში პოტენციური გაუგებრობისა და კონფლიქტების პრევენციაში. აქედან გამომდინარე, ტერმინოლოგიის ინტერდისციპლინური არსის სიღრმისეული კვლევა წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური ინტერესის ობიექტს, არამედ რეალურ, პრაგმატულ საჭიროებაზე დაფუძნებულ კომპლექსურ ფენომენს, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

ტერმინოლოგიის, როგორც დისციპლინის კონცეპტუალიზაცია მნიშვნელოვნად ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებსა და თეორიულ მიდგომებს. ISO 1087:2019(E)¹-ის (Standardization, ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science — Vocabulary, 2019) თანახმად, ტერმინოლოგიური საქმიანობა დაკავშირებულია ცნებების სისტემატიზაციასთან, განსაზღვრებების ფორმულირებასთან და შესაბამისი ტერმინების შერჩევასთან, რაც ემსახურება სპეციალიზებულ კომუნიკაციას სხვადასხვა დარგში. ამ გაგებით, ტერმინოლოგია სცილდება მხოლოდ ლექსიკური ერთეულების შეგროვების ამოცანას და მოიცავს კოგნიტურ, ლოგიკურ და დისციპლინურ ანალიზს, რაც აუცილებელია ტერმინშემოქმედებისა და ენობრივი სტანდარტიზაციისთვის. კლასიკური თეორიული საფუძვლების მიხედვით, ტერმინოლოგიის კონცეფცია არსებითად ეფუძნება ოიგენ ვუსტერის (Wüster, 1979) მიერ ჩამოყალიბებულ ტერმინოლოგიის

¹ ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science — Vocabulary. სტანდარტი ადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითადი ცნებებისა და განმარტებების ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებული კომუნიკაციის სტანდარტიზებასა და საერთაშორისო ჰარმონიზაციას.

ზოგად თეორიას. ვუსტერის მიდგომით, ტერმინოლოგიური საქმიანობა პირდაპირ კავშირშია სპეციალიზებულ დარგებში ცნებათა სისტემატიზაციასთან და ტერმინების სტანდარტიზაციასთან. ვუსტერის კონცეფციაში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ცნებათა შორის სისტემურ ურთიერთკავშირებს, რაც მას განასხვავებს ზოგადი ენათმეცნიერებისგან, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობებზე და მათი ენობრივი გამოყენების თავისებურებებზე (Wüster, 1979) (Felber, 1984).

თანამედროვე ტერმინოლოგიის თეორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა მარია ტერეზა კაბრემ (Cabré, 1999) რომელმაც ტერმინოლოგია წარმოაჩინა როგორც ტრიადა, რომელიც აერთიანებს ენობრივ, დისციპლინურ და კომუნიკაციურ ასპექტებს. კაბრეს მიხედვით, ტერმინოლოგია არა მხოლოდ ცნებების სისტემატიზაციაა, არამედ მათი ინტერპრეტაცია სოციალურ, კულტურულ და დისკურსულ კონტექსტებში. ამ მიდგომით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტერმინების დინამიკურ ბუნებას, რასაც განსაზღვრავს კომუნიკაციური სიტუაციისა და დისკურსის ტიპი (Cabré, 1999) (Cabré & Estopà, 2003) კაბრეს კონცეფციაში ტერმინი წარმოდგენილია, როგორც სამმხრივ კავშირში მყოფი ერთეული, რომელიც მოიცავს კოგნიტურ, ლინგვისტურ და კომუნიკაციურ ასპექტებს. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, როდესაც ტერმინი აღარ წარმოადგენს ფიქსირებულ, სტატიკურ ერთეულს, არამედ იცვლება დისკურსის ტიპისა და გამოყენების კონტექსტის შესაბამისად - როგორც ლექსიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. კაბრესთვის პრიორიტეტულია არა მხოლოდ ცნებების სისტემური ორგანიზება, არამედ ის სოციალური და ფუნქციური კონტექსტი, რომელშიც ტერმინი იძენს აქტუალობას. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ტერმინი „კონსოლიდაცია“, რომელიც სხვადასხვა დარგობრივ სისტემაში - ეკონომიკაში, პოლიტიკაში და მედიცინაში - განსხვავებულ ცნებით შინაარსს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ენობრივი ფორმა უცვლელი რჩება.

იმავე კონცეპტუალურ ხაზს ავითარებს ტემერმანი (Temmerman, 2000), რომლის მიდგომა ხაზს უსვამს ცნებისა და ტერმინის ურთიერთმიმართებას სოციალური პრაქტიკის, კულტურული კონტექსტისა და კოგნიტური პროცესების ფონზე. ამ

კონტექსტში ტერმინოლოგიის ანალიზი მოითხოვს კომპლექსურ ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს. ფეიბერის (Faber, 2012) კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ცოდნის სტრუქტურირებაზე სემანტიკური ჩარჩოების მეშვეობით, რაც ტერმინოლოგიის კვლევას აკავშირებს როგორც კოგნიტურ ენათმეცნიერებასთან, ისე სპეციალიზებული დისკურსის ანალიზთან. ამ საფუძველზე, თანამედროვე ტერმინოლოგია ჩამოყალიბდა როგორც მულტიმოდალური დისციპლინა, რომელიც ეყრდნობა ენათმეცნიერებას, ლოგიკას, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სამართალს, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებს. მისი თეორიული საფუძველი წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, სადაც ცნება, დეფინიცია და ტერმინი განიხილება ურთიერთდაკავშირებულ ერთეულებად, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგობრივი კომუნიკაციის სიზუსტეს, სტანდარტიზებასა და ეფექტურობას.

ტერმინოლოგიის ინტერდისციპლინარული ბუნება მისი თეორიული და ფუნქციური არსის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს. როგორც დარგობრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მექანიზმი, ტერმინოლოგია ორგანულად უკავშირდება არა მხოლოდ ენათმეცნიერებას, არამედ იმ დისციპლინებსაც, რომლებიც ჩართული არიან ცნებების კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციაში (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022)² (Cabré, 1999). ტერმინოლოგიისა და ენათმეცნიერების ურთიერთმიმართება მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივად განვითარებულ და სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ კვლევით მიმართულებად (Felber, 1984). ტერმინოლოგია ინტენსიურად იყენებს ენათმეცნიერების ძირითად დარგებს: სემანტიკას, დერივაციულ მორფოლოგიას (სიტყვათწარმოებასა და სიტყვათქმნადობას), სინტაქსს, ლექსიკოგრაფიას, ლექსიკოლოგიასა და პრაგმატიკას. თუმცა, ამავე დროს იგი განსხვავდება მათგან როგორც მიზნებით, ისე ფუნქციური კონტექსტით. თუ

² International Organization for Standardization. (2022). *ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods*. სტანდარტი განსაზღვრავს ტერმინოლოგიური საქმიანობის ძირითადი პრინციპებსა და მეთოდებს, მათ შორის ცნებების ანალიზს, დეფინიციების ჩამოყალიბებას, ტერმინების სისტემატიზაციასა და ჰარმონიზაციას, რაც უზრუნველყოფს სპეციალიზებული კომუნიკაციის სიზუსტეს და ერთგვაროვნებას.

ენათმეცნიერების მთავარი მიზანია ენობრივი სისტემების აღწერა და ანალიზი, ტერმინოლოგია ფოკუსირებულია დარგობრივი ცნებითი სისტემების ენობრივ გამოხატვასა და მათ სტანდარტიზებული ფორმით გადმოცემაზე. ეს განსხვავება განსაკუთრებით ნათელია დენოტაციურ-სემანტიკური სტრუქტურის ანალიზის პროცესში, სადაც ტერმინი აღიქმება არა მხოლოდ როგორც ენობრივი ფორმა, არამედ როგორც კონკრეტული დარგის სპეციფიკური ცნება, რომელსაც მიკუთვნებული აქვს გარკვეული ფუნქციური დანიშნულება (Wüster, 1979). ლოგიკური თანმიმდევრობისა და ობიექტურობის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის პროცესში, სადაც მკაფიოდ სტრუქტურირებული დეფინიცია უზრუნველყოფს ტერმინის ცალსახა და ერთგვაროვან გამოყენებას როგორც საერთაშორისო, ისე დარგობრივ კომუნიკაციაში (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) (Arntz, Picht, & Mayer, 2014). ტერმინოლოგია ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერებასთან, განსაკუთრებით იმ ასპექტებში, რომლებიც ეხება ცნებების ფორმირებას, დარგობრივ კლასიფიკაციასა და ცოდნის სტრუქტურირებას. თანამედროვე თეორიულ მიდგომებში ტერმინოლოგია ხშირად განიხილება როგორც მეცნიერების „მეტაენა“, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო ცოდნის ფორმალიზებულ გადაცემასა და გავრცელებას (Faber, 2012). ეს ფუნქცია ნათლად აისახება სპეციალიზებული ტექსტების შინაარსობრივ ანალიზში, სადაც ცნებათა სისტემატიზაცია წარმოადგენს ტექსტის სემანტიკურ ღერძს და განაპირობებს მის კონცეპტუალურ ერთიანობას (Temmerman, 2000).

ამგვარად, ტერმინოლოგია ფუნქციონირებს როგორც ერთ-ერთი ძირითადი რგოლი სპეციალიზებული დარგობრივი სისტემების სტრუქტურაში. შედეგად, ტერმინოლოგია აღარ განიხილება მხოლოდ როგორც ლინგვისტური კვლევის პარადიგმა, არამედ როგორც ინტერდისციპლინარული პლატფორმა, რომელიც აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას, ენასა და მეცნიერებას, სიზუსტესა და საკომუნიკაციო მოქნილობას. თანამედროვე ტერმინოლოგია უარყოფს ტრადიციულ, ერთგანზომილებიან მიდგომებს და ეფუძნება მრავალმხრივ თეორიულ მოდელებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ტერმინოლოგიური ერთეულების ბუნების, ფუნქციისა და კონტექსტის კომპლექსურ გააზრებას. ინტერდისციპლინურ პარადიგმებზე

დაფუძნებული მიდგომები სცილდება ლექსიკალურ საზღვრებს და ქმნის მრავალშრიან თეორიულ სივრცეს, სადაც ტერმინი განიხილება როგორც ცნებითი, ენობრივი და კომუნიკაციური ტრიადა.

ტერმინოლოგიის კიდევ უფრო ღრმა ინტერდისციპლინური გააზრება იკვეთება ტემერმანის (Temmerman, 2000) მიერ შემოთავაზებულ სოციოკოგნიტურ მიდგომაში. ტემერმანი ექვევებ აყენებს ტრადიციულ კატეგორიებზე დაფუძნებულ, არსობრივად სტატიკურ ხედვას და გვთავაზობს დინამიკურ, კონტექსტზე ორიენტირებულ მოდელს, რომელიც ეფუძნება კოგნიტურ მეცნიერებებსა და პროტოტიპულ თეორიებს. მისი აზრით, ცნებები არა მკაცრად განსაზღვრული და დისკრეტული სტრუქტურებია, არამედ მუდმივად მოძრავი, კონტექსტის მიხედვით ცვალებადი სტრუქტურები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეცნიერული პროგრესის პირობებში, სადაც ახალი ცნებები ჯერ კიდევ არ არის სტაბილურად ჩამოყალიბებული და ტერმინების შექმნის საფუძველს თავად კონტექსტი განაპირობებს. მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორცაა „გაუზიარებელი მონაცემები“ ან „კლიმატის ნეიტრალობა“, ჯერ კიდევ დისკურსული დინამიკის პროცესშია. ტემერმანის მოდელი უშუალოდ ფოკუსირდება ასეთი ტერმინების დინამიკაზე.

არანაკლებ ღირებული ინტერდისციპლინური მიდგომა არის წარმოდგენილი ფეიბერისა და გრანადას ტერმინოლოგიური სკოლის მიერ, რომელიც ავითარებს „ფრეიმებზე დაფუძნებული ტერმინოლოგიის“ თეორიას (Faber, 2012). აღნიშნული თეორია ეფუძნება კოგნიტური ლინგვისტიკის პრინციპებს და მიზნად ისახავს ტერმინოლოგიური ერთეულების განთავსებას ცნებების კოგნიტურ ფრეიმებში, რაც უზრუნველყოფს მათი მნიშვნელობის გააზრებას არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა სისტემაში. მაგალითად, როდესაც ტერმინი „ბიოგადამუშავება“ განთავსებულია ეკოლოგიური დომენში, იგი ავტომატურად უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა ნარჩენი, მიკროორგანიზმი, ორგანული მასალა და სხვა. ამგვარი ცნებათშორისი კავშირები ქმნის მდიდარ და ზუსტ კონტექსტს, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ტერმინის ინტერპრეტაციის სიზუსტეს და ზრდის მისი გამოყენების ეფექტიანობას მომხმარებლების მიერ. ამდენად,

ტერმინოლოგიას განიხილავენ როგორც დინამიკურ და მრავალგანზომილებიან პრაქტიკას, რომელიც აერთიანებს ლინგვისტურ, კოგნიტურ და სოციალურ კომპონენტებს (Cabré, 1999)(Temmerman, 2000). სხვადასხვა მოდელის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ინტერდისციპლინური მიდგომები ხელს უწყობს ტერმინების გააზრებას არა როგორც სტატიკური, არამედ როგორც ცოცხალი, გამოყენებაზე და კონტექსტზე დამოკიდებული ერთეულებისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები განსხვავდებიან თეორიული საყრდენით — იქნება ეს ლოგიკა, კოგნიტური მეცნიერება თუ სოციოპრაგმატიკა — ყველა მათგანში ტერმინი განიხილება არა მხოლოდ როგორც ლექსიკური ერთეული, არამედ როგორც კონცეპტუალური კვანძი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ცოდნის სტრუქტურას, გამოცდილებასა და დისკურსულ სივრცეს (Faber, 2012) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022).

ტერმინოლოგიის ინტერდისციპლინური ბუნების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც იგი განიხილება კონკრეტული ენის, ჩვენს შემთხვევაში ქართული ენის ტერმინოლოგიურ სივრცეში. ქართულ ტერმინოლოგიას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, თუმცა, მაინც მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ეს გამოწვევები განპირობებულია როგორც ენის სტრუქტურული სპეციფიკით, ისე სოციალური, სამართლებრივი და სამეცნიერო პრაქტიკის განვითარების დონითა და ხარისხით (ცინცაძე, 2012), (კვეკვესკირი, 2008). ამ კონტექსტში აქტუალურია არა მხოლოდ ტერმინების თეორიული გააზრება, არამედ ინტერდისციპლინური სტრატეგიების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართულ ტერმინოლოგიის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან და დარგობრივ მოთხოვნებთან თავსებადობას.

ქართული ენის ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორია მრავალფეროვანია. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო ქართულ ენაში უცხოური ტერმინების ჩანაცვლებისა და სტანდარტიზაციის სისტემური მცდელობა, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორებიცაა ტექნიკა, მედიცინა, ბიოლოგია, სამართალი და ეკონომიკა (ბენიძე, 2015). თუმცა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს საქმიანობა ძირითადად ხორციელდებოდა დარგობრივი სპეციალისტების მიერ, ხშირად

ლინგვისტიკისა და პროფესიონალი ტერმინოლოგიების აქტიური მონაწილეობისა და ერთიანი კოორდინაციის გარეშე. შედეგად, ტერმინების დამკვიდრება მიმდინარეობდა ლინგვისტური რეგულირების ნაკლებ პირობებში, რაც იწვევდა ტერმინის მრავალმნიშვნელობას, სტრუქტურულ დივერსიფიკაციასა და ზოგჯერ დარგთაშორისი კომუნიკაციის შეფერხებას (ქიქავა, 2017).

თანამედროვე ეპოქაში ინტერდისციპლინური მიდგომის აუცილებლობა განსაკუთრებით ჩანს ისეთ დარგებში, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, ეკოლოგია, ფინანსები და ბიოეთიკა — სფეროები, სადაც ახალი ცნებების შესაბამისი ქართული ტერმინები ხშირად ან საერთოდ არ არსებობს, ან მათი გამოყენება არათანმიმდევრული და შეუსაბამოა. მაგალითად, ტერმინები „კლიმატის ნეიტრალიზაცია“, „ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა“ და „გენომური მონიტორინგი“ ქართულ ენაში სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვაგვარად ითარგმნება და გამოიყენება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ერთიან და სტანდარტიზებულ კომუნიკაციას. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ნაკლებად მოგვეპოვება საერთაშორისო სტანდარტებზე, მაგალითად, ISO 704:2022-ის (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) პრინციპების ანალოგზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური ჩარჩო. ამ პირობებში ცნებითი ანალიზი, დეფინიციების სტრუქტურირება და ტერმინების სისტემური ინტეგრაცია დარგობრივ ლექსიკოგრაფიაში შესაძლოა ატარებდეს სპონტანურ, ინსტინქტურ და არათანმიმდევრულ ხასიათს. შედეგად, შესაძლოა ქართულმა სპეციალიზებულმა ენებმა სრულად ვერ დააკმაყოფილოს აკადემიური, სამართლებრივი და ტექნიკური კომუნიკაციის მაღალი სიზუსტის მოთხოვნები. ამ გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია ინტერდისციპლინური, კოორდინირებული გუნდის ჩართვა ტერმინოლოგიური პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ასეთ გუნდში უნდა იყოს წარმოდგენილი დარგის სპეციალისტებით, ლინგვისტებით, ტერმინოლოგებით, ტერმინოგრაფებით, ლექსიკოგრაფებით და ტექნიკური რედაქტორებით. მაგალითად, სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნის პროცესში მხოლოდ ექიმების მონაწილეობა არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ ტერმინმა

გაიაროს ლინგვისტური ექსპერტიზა, შეფასდეს მისი მორფოლოგიური, სემანტიკური და პრაგმატული შესაბამისობა, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი სტანდარტიზაცია და ნორმირება. ამ მიდგომის საჭიროებას ადასტურებს საქართველოს ეროვნული ტერმინოლოგიური კომისიის მიერ პერიოდულად განხორციელებული ძალისხმევა, თუმცა საჭიროა უფრო რეგულარული და სტრატეგიულად მეტად კოორდინირებული მუშაობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერდისციპლინურ სტრუქტურაში ეროვნული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზების ინტეგრაციას. მაგალითად, ევროკავშირის მონაცემთა ბაზასთან - IATE-სთან³ სინქრონული მუშაობა ქმნის შესაძლებლობას, ქართულ ტერმინებს მიენიჭოს არა მხოლოდ ლოკალური, არამედ ტრანსნაციონალური მნიშვნელობა. ამ მხრივ, მართალია ქართულ ლექსიკოგრაფიაში უკვე წარმოდგენილია კომპლექსური ტერმინშემოქმედების შედეგები, თუმცა საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში ქართული ტერმინების ინტეგრაცია, რომელიც დარგობრივ-სისტემურ კავშირებზე უნდა დაფუძნდეს, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მაგალითად, ეკოლოგიის დარგში ცნებების სისტემური სტრუქტურირება ჯერ კიდევ დამუშავების ეტაპზეა, რის გამოც ეკოლოგიური ტერმინებისთვის შესაბამისი სემანტიკური ეკვივალენტების მისადაგება ხშირად არათანმიმდევრულია. მეორეს მხრივ, თანამედროვე ქართულ რეალობაში ინტერდისციპლინური მიდგომის პოტენციალი უკვე იჩენს თავს და ნელნელა მკვიდრდება. ნათელია, რომ ინტერდისციპლინური მიდგომის განვითარება ქართულ ტერმინოლოგიურ სივრცეში არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ მოთხოვნას, არამედ შიდა პოტენციალზე დაფუძნებულ სტრატეგიულ ამოცანად არის დასახული. მისი წარმატება დამოკიდებულია რამდენიმე კრიტიკულ ფაქტორზე: პირველ რიგში, დარგობრივ და ლინგვისტურ კომპეტენციებს შორის თანამშრომლობის ხარისხზე; მეორეც, საერთაშორისო სტანდარტების, IATE

³ Interactive Terminology for Europe (IATE). ევროკავშირის მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებული ტერმინების ჰარმონიზაციას და საერთო გამოყენებას წევრ ქვეყნებს შორის.

მონაცემთა ბაზის (European Union, n.d.), TermNet⁴ (Terminology, n.d.) ტერმინოლოგიური ბაზის ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე ქართულ სისტემაში; და მესამე, ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობაზე — სტაბილური, დამოუკიდებელი და სამეცნიერო კომპეტენციის მქონე ტერმინოლოგიური ორგანოს სახით. ამდენად, ინტერდისციპლინური მიდგომის განვითარება ქართულ ტერმინოლოგიაში არ არის მხოლოდ თეორიული საზრისის მატარებელი; იგი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მეცნიერული კომუნიკაციის გამართულობისთვის, სპეციალიზებული ტექსტების სტანდარტიზაციისა და ენის ცნებითი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესის გააქტიურება ნიშნავს ქვეყნის მეცნიერული და ტექნოლოგიური პოტენციალის ხარისხობრივ ზრდას და მის ინტეგრაციას გლობალური ცოდნის ქსელებთან. ტერმინოლოგიის განხილვა ინტერდისციპლინურ ჭრილში პასუხობს იმ კომპლექსურ მოთხოვნებს, რომლებიც თან ახლავს თანამედროვე მეცნიერებისა და პროფესიული კომუნიკაციის განვითარებას. ამ კონტექსტში ტერმინოლოგია სცილდება მხოლოდ ლინგვისტურ შეფასებას და იქცევა ისეთ დისციპლინად, რომელიც აერთიანებს ცნებათა ლოგიკურ ანალიზს, დარგობრივ ექსპერტიზას, სოციალურ ფუნქციებსა და ენობრივ სტრუქტურირებას.

თეორიული საფუძვლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერმინოლოგიას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მეცნიერული სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება ცნება–ტერმინი–დეფინიციის ტრიადას. მისი მეთოდოლოგია მოიცავს ლოგიკურ კლასიფიკაციას, ცნებათა სისტემატიზაციასა და სტანდარტიზაციის მექანიზმების გააზრებას, რაც შესაძლებელს ხდის დარგობრივ კომუნიკაციაში მიღწეული იყოს ტერმინის სიზუსტე და ჰარმონიულობა. ტერმინოლოგია ეფექტურად თანაარსებობს ენათმეცნიერებასთან, ლოგიკასთან, მეცნიერებათმცოდნეობასთან და სხვადასხვა სპეციალიზებულ დარგებთან და მისი ინტერდისციპლინური ხასიათი არა მხოლოდ ამდიდრებს ზოგად თეორიულ ჩარჩოს, არამედ განსაზღვრავს მის პრაქტიკულ შესაძლებლობებს და გარდაქმნის მას სტრატეგიულ რესურსად თანამედროვე

⁴ TermNet – International Network for Terminology. საერთაშორისო ქსელი, რომელიც ტერმინოლოგიის კვლევასა და ჰარმონიზაციაზე მუშაობს, და აერთიანებს ექსპერტებს, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში.

საზოგადოების ცოდნის მართვის, ენის პოლიტიკისა და სამეცნიერო სტანდარტების ჩამოყალიბების პროცესში.

1.2 ტერმინის რაობა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება

სიტყვასა და ტერმინს შორის განსხვავება წარმოადგენს ლექსიკოლოგიისა და ტერმინოლოგიის დისციპლინების არსებითი კონცეპტუალური გამიჯვნის საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სფერო იკვლევს ენობრივ ერთეულებს, კვლევითი მიდგომები, მიზნები და ანალიტიკური მეთოდოლოგიები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ლექსიკოლოგია კონცენტრირებულია სიტყვაზე, როგორც ზოგადი ლექსიკის ძირითად ერთეულზე, მისი ფორმალური, სემანტიკური და ფუნქციურ-პრაგმატული მახასიათებლების მრავალმხრივი შესწავლის გზით. ტერმინოლოგია კი ემყარება სპეციფიკურ კვლევით პრიზმას და ყურადღებას ამახვილებს ტერმინზე, როგორც დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაციისა და ზუსტი ცნებითი კორელაციის უზრუნველყოფის საშუალებაზე. როგორც კაბრე აღნიშნავს: „ტერმინები და სიტყვები ერთდროულად მსგავსიც არიან და განსხვავებულიც. სიტყვა არის ლინგვისტური ერთეული, რომელსაც აქვს სისტემური მახასიათებლები და რეალობის გარკვეული ელემენტის აღნიშვნის უნარი. ტერმინი კი წარმოადგენს ანალოგიური ლინგვისტური თვისებების მქონე ერთეულს, რომელიც სპეციფიკურ სფეროში გამოიყენება“ (Cabré, 1999, გვ. 35). ეს ფუნქციური და ცნებითი განსხვავება განაპირობებს იმას, რომ ლექსიკოლოგია და ტერმინოლოგია იყენებენ განსხვავებულ თეორიულ ჩარჩოებსა და კვლევით სტრატეგიებს.

ტერმინი წარმოადგენს სპეციალიზებულ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ფუნქციონირებს კონკრეტული საგნობრივი სფეროს პროფესიულ კომუნიკაციაში და ემსახურება ამ დარგისთვის უნიკალური ცნების ზუსტ და ცალსახად განსაზღვრულ აღნიშვნას. მარგალიტაძე (მარგალიტაძე, 2021, გვ. 134) ხაზს უსვამს: „ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც სამეცნიერო ცნებას აღნიშნავს და, ამდენად, უზრუნველყოფს სპეციალისტთა შორის კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში.“ განსხვავებით ზოგადლექსიკური

ერთეულებისგან, რომელთა მნიშვნელობა ხშირად დამოკიდებულია კონტექსტზე და შეიძლება ატარებდეს ემოციურ, მეტაფორულ ან მრავალშრიან დატვირთვას, ტერმინი მოწოდებულია გადმოსცეს ცნება მაქსიმალური მონოსემიურობით - ანუ ერთმნიშვნელობიანობით. ტერმინის არსი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლინგვისტური ნიშნით; იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ცნებით სისტემასთან, რომელშიც ყალიბდება და ეფუძნება ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა სტრუქტურული ერთიანობა, სემანტიკური სიზუსტე და დეფინიციური ადეკვატურობა. გარდა ამისა, ერთი და იგივე ენობრივი ფორმა შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც სიტყვა, ისე ტერმინი, რაც დამოკიდებულია კომუნიკაციურ გარემოსა და იმ ცნებით სისტემაზე, რომელშიც იგი გამოიყენება. სწორედ ამ კონტექსტური და ცნებითი ფაქტორების გათვალისწინება არის გადამწყვეტი ტერმინოლოგიური კვლევის სიზუსტისა და ეფექტიანობისთვის. ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა ყოველთვის ეფუძნება ცნებითი ანალიზის შედეგებს. შესაბამისად, ტერმინოლოგიური ერთეული არ შეიძლება იქნეს გაგებული მხოლოდ როგორც სიტყვა ან ლექსემა; ის წარმოადგენს ცნებისა და ენის ფუნქციურ წერტილს — ერთგვარ საკომუნიკაციო ხიდს ცოდნასა და მის ვერბალიზაციას შორის. ტერმინოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა განასხვავოს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოიყენება ზოგად ენაში, და ტერმინები, რომლებიც ემსახურება სპეციალიზებულ კომუნიკაციას. ამ კონტექსტში, ინგლისური სიტყვა cell წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას, სადაც ვლინდება ლექსიკური პოლისემიაც და მისი ტრანსფორმაციაც ტერმინად სხვადასხვა დარგობრივ კონტექსტში. მეტი სიცხადისათვის, ლექსემა „უჯრედი“ პოლისემანტური ენობრივი ერთეულია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. ლექსიკოგრაფიული მონაცემების მიხედვით, cell შეიძლება აღნიშნავდეს:

1. ფიზიკურ სივრცეს: საპყრობილის საკანი, სენაკი, სამარე, მონასტერი, ფიჭის ფოსო, ფრთის სექცია;
2. ტექნიკურ ობიექტს: ელექტროლიზის აბაზანა, გალვანური ელემენტი, ფოტოელემენტი, გადამწოდი;
3. ორგანიზაციულ ერთეულს: სარეზერვო ქვედანაყოფი;

4. ბიოლოგიურ სტრუქტურას: სისხლის უჯრედი, უჯრედის ბიოლოგია;

5. ინფორმაციულ კომპონენტს: ცხრილის უჯრედი (კომპიუტერში); და სხვ.

ამ მნიშვნელობების საფუძველზე cell წარმოადგენს ტიპურ პოლისემიურ ლექსემას, რომლის სემანტიკური ვარიაციები განპირობებულია კონტექსტით, დარგითა და მეტაფორული დატვირთვით. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, cell მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს ტერმინს, როდესაც იგი გამოიყენება კონკრეტულ დარგობრივ კონტექსტში, მკაფიოდ განსაზღვრული ცნების აღსანიშნავად. მაგალითად: 1. ბიოლოგიაში: cell აღნიშნავს ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურულ და ფუნქციურ ერთეულს — ეს არის მკაფიოდ განსაზღვრული ცნება, რომელსაც გააჩნია სტანდარტული აღწერა, სისტემური კავშირები და დისციპლინური მარკერები (მაგ., blood cell, cell biology). 2. ტექნოლოგიაში: electrolytic cell, storage cell, galvanic cell აღნიშნავენ ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ფუნქცია და სტრუქტურა. 3. კომპიუტერულ მეცნიერებაში: cell როგორც ცხრილის კომპონენტი — წარმოადგენს ინფორმაციულ ერთეულს, რომელიც განსაზღვრულია მონაცემთა სტრუქტურის ფარგლებში. ნათელია, რომ ლექსიკური ერთეული „უჯრედი“ (cell) მხოლოდ მაშინ იძენს ტერმინოლოგიურ სტატუსს, როდესაც იგი გამოიყენება დარგობრივად განსაზღვრული ცნების აღსანიშნავად და ემორჩილება სპეციალიზებული ენის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, იგი წარმოადგენს არა უბრალოდ ლექსემას, არამედ ცნების აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ზუსტ, სტანდარტიზებულ და უშეცდომო გადაცემას პროფესიულ კომუნიკაციაში. ამავე საფუძველზე, ტერმინი განიხილება როგორც დისციპლინურად მარკირებული ერთეული (Temmerman, 2000), რომელიც ხასიათდება კონცეპტუალური სიზუსტით, სისტემურობითა და კონტექსტუალურად განსაზღვრული გამოყენების კონტექსტით.


ტერმინოლოგიური ერთეული წარმოადგენს მორფოლოგიური და სემანტიკური ასპექტების ინტეგრირებულ ერთიანობას. მოცემული კომპონენტების სისტემური ანალიზი აუცილებელი წინაპირობაა ტერმინის სისტემური ხასიათის, ცნებითი სტაბილურობისა და ფუნქციური გამართულობის დასადგენად. მორფოლოგიური სტრუქტურა ასახავს ტერმინის ფორმობრივ აგებულებას, კერძოდ, ტერმინი ფორმის

მიხედვით შესაძლებელია იყოს მარტივი, წარმოებული, რთული და შედგენილი. სემანტიკური ასპექტი კი მოიცავს ტერმინის მიერ დარგობრივ სისტემაში შემუშავებულ მნიშვნელობას - როგორც პირდაპირ, ზუსტად დეფინიცირებულ მნიშვნელობას, ასევე კონცეპტუალურად დიფერენცირებულ სემანტიკურ შინაარსს (L'Homme, 2020). ამდენად, სტრუქტურული აგებულების მიხედვით, ტერმინები დიფერენცირდება ერთსიტყვიან/სინთეზურ და შედგენილ ერთეულებად. ტერმინები მოიცავს მარტივ ფორმებს: კვოტა (quota), ვიზა (visa), სქესი, ნაწარმოებ ფორმებს: აკულტურაცია (acculturaton), მოქალაქეობა (citizenship), გენდერი (gender), გენოციდი (genocide), რეინტეგრაცია (reintergration), რთულ ფორმებს: თავშესაფარი (shelter), თვითმარქვია (impostor), თვითდასაქმებული (self-employee) და სხვ.

ანალიტიკური ტერმინები შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან და ტერმინოლოგიურ სისტემებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ანალიტიკური ტერმინების მაგალითებია: ორმაგი მოქალაქეობა (dual citizenship), გამორიცხვის დებულება (exclusion clause), ომის დანაშაული (war crime), ორგანიზებული დანაშაული (organized crime), ცხელი წერტილის ზონა (hotspot area), გადაუდებელი რეაგირების სისტემა (emergency response system), თითის ანაბეჭდებით იდენტიფიცირების ავტომატიზებული სისტემა (Automated Fingerprint Identification System) და სხვ. შედგენილ ტერმინებზე საუბრისას მარგალიტაძე აღნიშნავს, რომ „შედგენილ ტერმინებს აქვს ერთი მნიშვნელოვანი თვისება – გამჭვირვალობა და მოტივირებულობა, რაც მნიშვნელოვანია ტერმინისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი ტერმინების ნაკლი ის არის, რომ მათ აკლიათ სისხარტე და ლაკონიურობა, რაც ასევე ტერმინის მნიშვნელოვანი მახასიათებელია“. (მარგალიტაძე, 2021, გვ. 136).

ანალიტიკური ტერმინები წარმოადგენენ გარკვეულ სინტაქსურ შესიტყვებებს, სადაც ძირითადად იკვეთება მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაცია, რომელშიც მსაზღვრელები დეტერმინანტებია და აზუსტებენ საზღვრულ ე.წ. სატერმინირებელ ცნებას ამა თუ იმ ნიშნით. მაგალითისათვის ავიღოთ იურიდიული ტერმინი „company“. Company I. კომპანია, საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ფირმა კორპორაციაში. როგორც ანალიტიკური ტერმინი Administrative company ნიშნავს სამხედრო სამეურნეო ასეულს, Associated company - შვილობილ კომპანიას, Bubble

company თაღლითურ კომპანიას, Bogus company - ფიქციურ კომპანიას და ა.შ. ასეთ შემთხვევაში შესიტყვების ცალკეული კომპონენტები დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. მათ თავისუფალ, დენოტაციურ შესიტყვებებს უწოდებენ. ღამბაშიძე (ღამბაშიძე, 1986) ანალიტიკურ ტერმინთა ამ ჯგუფს უპირისპირებს სინთეზურ ანუ იდიომატურ ტერმინოლოგიურ გამოთქმებს. ასეთ ტერმინებში გამოთქმის მნიშვნელობა არ უდრის მისი კომპონენტების ჯამს. ისინი ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმების სახელითაა ცნობილი: არქიმედეს ბორბალი, ბერლინის ლაჟვარდი და სხვ. ღამბაშიძე იქვე აღნიშნავს, რომ „აღწერითი ტერმინები ცნებათა სისტემურობის გამოხატვაში უნივერსიალურ საშუალებადაა მჩნეული. ცნებათა სისტემურობაში ვგულისხმობთ მათ ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც მნიშვნელობათა გვარეობით-სახეობით ურთიერთობაში ვლინდება: მსაზღვრელი სახეობითი ცნების გამომხატველია, საზღვრული კი - გვარეობითისა“ (ღამბაშიძე, 1986, გვ. 219). მას მაგალითისათვის მოჰყავს ტერმინი „ბალანსი“, სადაც მსაზღვრელები: ზედაპირის, ქმედითი, რადიაციული სახეობით ცნებებს აღნიშნავენ, „ბალანსი“ კი გვარეობით ცნებას აღნიშნავს.



სქემა N1

და იქვე აღნიშნავს, რომ „ზედაპირის ბალანსი“ მომდევნო გამოთქმისთვის ჰიპერონიმია, ხოლო „რადიაციული“ ჰიპონიმად მიიჩნევა, რადგან „ქმედითი ზედაპირის ბალანსის“ სახეობითი ნაირგვარობაა. (ღამბაშიძე, 1986, გვ. 220).

ტერმინის ბუნების სრულფასოვანი გააზრებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მისი სემანტიკური მახასიათებლების აღწერაც. ტერმინოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში (Wüster, 1979) (Felber, 1984) ტერმინები, განსაზღვრულია, როგორც

მონოსემიური ლექსიკური ერთეულები, რომელთა მიზანია კონკრეტული ცნების ზუსტი და ცალსახა გამოხატვა, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ კომუნიკაციაში სემანტიკური სტაბილურობისა და ცნებითი გამჭვირვალობის შენარჩუნებას. მას არ უნდა ახასიათებდეს პოლისემიური ბუნება. ის უნდა იყოს ცნებითი შინაარსის ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი გამომხატველი, და უნდა ახასიათებდეს ექსპრესიული და ემოციური ნეიტრალობა, ასევე შემღებობისდაგვარად ლაკონიურობა. მოცემული კრიტერიუმები ასახავს ტერმინის იდეალურ მოდელს, თუმცა პრაქტიკული განხორციელების პროცესში ამ მოთხოვნების სრული რეალიზაცია ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინთა უმრავლესობა მართლაც მონოსემიურია ბუნებით, მრავალი მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეული ტერმინები დროთა განმავლობაში იძენენ პოლისემიურ მნიშვნელობებს. ეს ფენომენი მიაჩნდება ტერმინოლოგიური სისტემების დინამიკურ და ცვალებად ბუნებაზე, რაც განპირობებულია როგორც დისკურსული კონტექსტის ცვლილებით, ისე დარგობრივი ცოდნის ევოლუციით. შესაბამისად, ტერმინოლოგიური კვლევა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ სტაბილურობის პრინციპს, არამედ ცვლილებისა და მრავალმნიშვნელობიანობის პოტენციალს, რაც ტერმინს აქცევს არა სტატიკურ, არამედ ცოცხალ და კონტექსტზე რეაგირებად ლექსიკურ ერთეულად. ასე მაგალითად, იურიდიულ ტერმინს *abuse* ახასიათებს პოლისემანტურობა. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის (წულაია, 2009) მიხედვით⁵ მას აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1. ბოროტმოქმედება, ბოროტად გამოყენება; 2. შეურაცხყოფა, შეურაცხყოფის მიყენება, შარის მოღება; 3. ცუდად მოპყრობა; 4. არასამართლებრივი სქესობრივი კავშირი (არასრულწლოვანთან ან ფსიქიკურად არასრულფასოვან პირთან). შეცდენა (მცირეწლოვანისა); 5. გაუპატიურება. ძალადობა, 6. შეცდომაში შეყვანა. კონტექსტუალურად, სხვადასხვა სინტაგმატურ ერთეულთან კომბინაციაში ის შეიძლება ნიშნავდეს: ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, სამოქალაქო

⁵ სალექსიკონო ჩანაწერი ამოღებულია წყაროდან: წულაია, დავით. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი გამომცემლობა "საქართველოს მაცნე" თბილისი, 2009. ნაშრომი 50.000-მდე ერთეულს მოიცავს და მასში წარმოდგენილია ის სიტყვები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სოგადად ევროპული ქვეყნების თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში.

პროცესის ბოროტად გამოყენებას, სასამართლო პროცედურის გამოყენებას უკანონო მიზნებისთვის, აშკარად დაუსაბუთებელი, არაკეთილსინდისიერი სარჩელის წარდგენას, შარიან პროცესს, ნდობის ბოროტად გამოყენებას, გვამის შებილწვას, კრედიტის არამიზნობრივ გამოყენებას, დისკრეციის უფლების ბოროტად გამოყენებას; თვითნებობას, ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად აღებული ქონების ბოროტად გამოყენებას, გარემოს დაბინძურებას, დროშის ბოროტად გამოყენებას, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დარღვევას, პირობით-ვადამდელი გათავისუფლების პირობების დარღვევას, შეუწყნარებელ უსამართლობას, კანონის ბოროტად გამოყენებას, კანონის დარღვევას, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და სხვ.

ნათელია, რომ ტერმინის სემანტიკური თვისებები უკავშირდება დარგობრივ კონტექსტში ინტერპრეტაციის სიზუსტესა და ფუნქციურ მრავალფეროვნებას. ამიტომაც არის, რომ მეცნიერები ხშირად საუბრობენ ტერმინოლოგიურ პოლისემიაზე, სინონიმიაზე და ომონიმიაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინს ნაკლებად უნდა ახასიათებდეს სინონიმურობა, თუმცა პრაქტიკაში მაინც გვხვდება მრავალი შემთხვევა, როდესაც ტერმინთა სინონიმია რეალურად არსებობს. ყველაზე გავრცელებული ფორმებია ის შემთხვევები, როდესაც ქართულ ტერმინთან ერთად პარალელურად გამოიყენება საერთაშორისო დარგობრივი ტერმინი, ან პირიქით — უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინისათვის იქმნება ქართული შესატყვისი, რომელიც თანდათან იკიდებს ფეხს პროფესიულ კომუნიკაციაში. კერძოდ, ტერმინოლოგიური სინონიმის მაგალითებია: კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა /არალეგალურად ყოფნა (irregular stay), კულტურათა შუამავალი/ კულტურათა მედიატორი (cultural mediator), ადამიანთ ვაჭრობა / ტრეფიკინგი (trafficking), პრიმა ფაციე /ერთი შეხედვით (prima facie), მსხვერპლად ქცევა / ვიქტიმიზაცია (victimization), სპონსორი/მხარდამჭერი პირი (sponsor) და სხვ. ტერმინოლოგიური სინონიმის კიდევ ერთი მაგალითია ტერმინი Green Tax (Union, n.d)(ID 1178933). მისი სინონიმური წყვილებია: Ecotax და Environmental Tax. ტერმინის Green Tax დამკვიდრებული ეკვივალენტი ქართულში არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ქართულ ტექსტებში კონტექსტუალური გამოყენება რამდენიმე განსხვავებულ

ფორმას აჩვენებს, მათ შორის: მწვანე გადასახადები (Green Tax), ეკოლოგიური გადასახადები (Ecological Tax) და გარემოსდაცვითი გადასახადები (Environmental Tax). როგორც ჩანს, Green Tax საერთაშორისო ტერმინოლოგიაში მკაფიოდ განსაზღვრულია როგორც გარემოზე უარყოფითი გავლენის მქონე საქმიანობებზე დაწესებული გადასახადი, თუმცა ქართულ ტერმინოლოგიურ სივრცეში მას არ გააჩნია ერთიანი და სტანდარტიზებული შესაბამისობა. ქართულ კორპუსში ჩანს ამ ტერმინის რამდენიმე სინონიმური ვარიაცია, რომლებიც სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან, თუმცა განსხვავებულ ასპექტებს უსვამენ ხაზს. მაგალითად, „მწვანე გადასახადები“ უშუალოდ ემყარება ინგლისური ტერმინის სიტყვასიტყვით თარგმანს, თუმცა ნაკლებად სპეციფიკურია, მაშინ როცა „ეკოლოგიური გადასახადები“ ყურადღებას ამახვილებს ეკოლოგიურ საკითხებზე, თუმცა შესაძლოა ტერმინის სიზუსტე შეიზღუდოს, რადგან გარემოსდაცვითი გადასახადების ცნება უფრო ფართოა, მაშინ როცა „გარემოსდაცვითი გადასახადები“ ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია, რადგან პირდაპირ მიუთითებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნობრიობაზე, თუმცა ამავე დროს შეიძლება დაკარგოს „მწვანე გადასახადის“ საერთაშორისო კონოტაცია. საქმე იმაშია, რომ Green Tax-ის ქართული ეკვივალენტი ჯერ კიდევ დადგენილი არ არის და მიმდინარეობს მისი კონტექსტუალური ვარიანტებით გამოყენება. პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი გადასახადები“ მიიჩნევა ადეკვატურ შესაბამისობად, თუმცა ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციისთვის საჭიროა ერთიანი გადაწყვეტილების შემუშავება ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის თვალსაზრისითაც.

პოლისემიის ფენომენი განსხვავებულად აღიქმება ლექსიკოგრაფიასა და ტერმინოლოგიაში. კაბრე (Cabré, 1999) ხაზს უსვამს, რომ ორივე დისციპლინა იკვლევს ერთსა და იმავე ფენომენს მაგრამ განსხვავებული მეთოდოლოგიური პრინციპებით, რის შედეგადაც მნიშვნელობის მრავალფეროვნებას სხვადასხვა სტატუსი ენიჭება. ის რაც ლექსიკოგრაფიაში პოლისემიად ითვლება, ტერმინოლოგიაში ომონიმიას წარმოადგენს, ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით, პოლისემია განისაზღვრება როგორც ერთი ლექსიკური ერთეულის მიერ მრავალი მნიშვნელობის გამოხატვის უნარი, რომელიც კონტექსტუალური ცვლილებებით აქტიურდება. მაგალითად,

ინგლისური ენის „key“ აღნიშნავს როგორც ფიზიკურ ობიექტს („საკეტის გასაღები“), ასევე მეტაფორულ მნიშვნელობებს („სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, საკვანძო ადგილი“), აგრეთვე დარგობრივ სემანტიკურ სფეროებს („მუსიკალური ტონალობა“). ამგვარად, პოლისემია ლექსიკოგრაფიაში აღიქმება, როგორც სიტყვის ბუნებრივი სემანტიკური დინამიკა. ტერმინოლოგიაში კი ფუნქციონირებს განსხვავებული პრინციპი — ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთ ცნებას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით სიტუაციებს, როდესაც ერთი და იგივე ლექსიკური ფორმა სხვადასხვა დარგობრივ სისტემებში გამოიყენება, თუმცა განსხვავებული ცნებების ასაღწერად. მაგალითად, ტერმინი „key“ კარტოგრაფიაში აღნიშნავს „ლეგენდას - რუკაზე პირობითი ნიშნების განმარტებით ტექსტს“, ტელეკომუნიკაციაში — „ლილაკს“, ხოლო ტექნოლოგიაში — „ტელეგრაფული მოწყობილობის მექანიზმს“. ასეთ შემთხვევებში ტერმინოლოგიური თეორია ფენომენს პოლისემიის ნაცვლად ომონიმად განმარტავს, რადგან ტერმინი დამოუკიდებელ ცნებით სტრუქტურებს უკავშირდება (Cabré, 1999, გვ. 108). ამრიგად, ლექსიკოგრაფიასა და ტერმინოლოგიას შორის არსებითი განსხვავება გამოიხატება არა მხოლოდ კვლევის ობიექტის, არამედ მისი კონცეპტუალური ინტერპრეტაციის პრიზმაში. თუ ლექსიკოგრაფია ლექსემის პოლისემანტურ თვისებას ბუნებრივ სემანტიკურ პროცესად აღიქვამს, ტერმინოლოგია მას ცნებით სისტემათა შორის მკვეთრ გამიჯვნას ახდენს და შესაბამისად, პოლისემიას ომონიმად მიიჩნევს. ამიტომაც, თანამედროვე ტერმინოლოგია მოითხოვს სემანტიკური კონტროლის მექანიზმებს: რეგულარულ გადახედვას, დარგობრივ სარედაქციო მუშაობას, კორპუსზე დაფუძნებულ ანალიზს და საზოგადოების პროფესიულ ჯგუფებთან კოორდინაციას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ტერმინის დისციპლინური სიზუსტისა და ფუნქციური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება სწრაფად ცვალებად ცოდნის სივრცეში.

ტერმინი, როგორც სპეციალიზებული ლექსიკური ერთეული, თანამედროვე ტერმინოლოგიურ მეცნიერებაში განიხილება არა როგორც მხოლოდ ენობრივი ნიშანი, არამედ როგორც კონცეპტუალური ცნების წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია მკაფიო ფუნქციური, სტრუქტურული და სემანტიკური პარამეტრები.

დისციპლინური კომუნიკაციის ზუსტი და ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სემანტიკური მონოსემიურობის და სტრუქტურული თანმიმდევრულობის მოთხოვნებს. ტერმინების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი აგებულება მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნებითი სისტემების ფორმირებასთან. როგორც მარტივი/სინთეზური, ისე შედგენილი/ანალიტიკური ტერმინები ასახავენ იმ დარგობრივ რეალობას, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ, და ამავდროულად ქმნიან ამ რეალობის მეტამოდელს ენობრივ დონეზე. მათი მარკირებული ბუნება, სინონიმური და ომონიმური სირთულეები ცხადყოფს ტერმინოლოგიური მუშაობის რთულ ხასიათს. შესაბამისად, ტერმინების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიული კვლევის, არამედ პრაქტიკული ლექსიკოგრაფიისთვის აუცილებელ მეთოდოლოგიურ საფუძველს და ქმნის იმ ბირთვს, რომელზეც აგებულია თანამედროვე ტერმინოლოგიური სტანდარტიზაცია.

1.3. ტერმინოლოგიური მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები

ISO 704:2022 (E) მიხედვით

თანამედროვე ცოდნის საზოგადოებაში ტერმინოლოგიური საქმიანობა განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დარგობრივი კომუნიკაციის სიზუსტეს, პროფესიული დისკურსის თანმიმდევრულობას და მეცნიერული ცოდნის სტრუქტურირებულ გავრცელებას. აღნიშნული პროცესის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლის განსაზღვრის მიზნით, საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ISO 704:2022(E) წარმოადგენს ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომელიც ადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის ზოგად პრინციპებს, ტერმინწარმოების წესებსა და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. თავი 4). სტანდარტი დეტალურად განიხილავს ტერმინისა და ცნების ურთიერთმიმართებას, დეფინიციის ფორმულირების კრიტერიუმებს, ცნებათშორისი კავშირების კლასიფიკაციას და ტერმინების შერჩევის

სტრატეგიებს. გლობალიზაციის, ციფრული ტექნოლოგიების და მრავალენოვანი პროფესიული ურთიერთობების კონტექსტში, ISO 704-ის პრინციპები იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ტერმინოლოგიური საქმიანობა, რომელიც ემყარება ცნებაზე ორიენტირებულ მიდგომას, ქმნის სტრუქტურულ საფუძველს როგორც ტერმინოგრაფიული რესურსებისათვის, ისე თარგმანის, ლექსიკოგრაფიისა და სამეცნიერო ტექსტების განვითარებისათვის (Faber, 2012). სტანდარტი აღიარებულია როგორც საერთაშორისო კონსენსუსით მიღებული ჩარჩო, რომელიც ერთიანად განსაზღვრავს ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითად ასპექტებს: კონცეპტს, დეფინიციას, ტერმინის შერჩევას, სემანტიკურ ეკვივალენტობასა და სტრუქტურულ ინტეგრაციას ციფრულ ტერმინბანკებთან. ISO 704:2022-ის ძირითადი კონცეპტუალური საყრდენი არის ცნებაზე დაფუძნებული ტერმინოლოგია, რომელიც განსხვავებით ენობრივი ან თარგმნითი მიდგომისგან, პრიორიტეტს ანიჭებს ობიექტური რეალობის კონცეპტუალურ ანალიზს და მის სისტემატიზაციას ტერმინწარმოების პრინციპების შესაბამისად. სტანდარტის თანახმად, ტერმინოლოგიური მუშაობის საწყისი წერტილი არის არა სიტყვა ან ენობრივი ფორმა, არამედ – ცნება (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. სექცია 5.1). ცნება-კონცეპტი განიმარტება როგორც მენტალური აგენტი, რომელიც წარმოიშობა ადამიანის შემეცნებით პროცესში და ასახავს ობიექტების, მოვლენებისა თუ პროცესების არსებით მახასიათებლებს კონკრეტულ დარგობრივ კონტექსტში.

ტერმინოლოგიის სემიოტიკური პრინციპები, ზოგადად, უნივერსალურ ხასიათს ატარებს და მათი გამოყენება შესაძლებელია ყველა ენის ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში. აღნიშნული პრინციპები ეფუძნება ტერმინოლოგიის სტაბილურ ბუნებას, რომელიც ფორმირდება ცნებითი ქსელებით, შემეცნებითი სტრუქტურებითა და ცოდნის რეპრეზენტაციის მოდელებით. სემიოტიკური ხედვის თანახმად, ტერმინი არ განიხილება მხოლოდ ლინგვისტურ ერთეულად; იგი წარმოდგენილია სემიოტიკური ნიშნის სახით, რომელიც ცოდნის სისტემაში ასრულებს შუამავლის ფუნქციას — აკავშირებს ცნებებსა და ენას. სემიოტიკური მიდგომა ტერმინოლოგიის პროცესში ითვალისწინებს არა მხოლოდ ფორმალურ-მორფოლოგიურ თავისებურებებს, არამედ

იმ კონცეპტუალურ და კოგნიტურ სტრუქტურებსაც, რომლებიც განაპირობებს ტერმინის მოტივირებულობას, გამჭვირვალობასა და ფუნქციურ ადეკვატურობას. ISO 704:2022 -ის თანახმად (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022), ამ პროცესისათვის საყრდენ პრინციპებად მიიჩნევა:

სემიოტიკური მიდგომა ტერმინთწარმოების პროცესში ითვალისწინებს არა მხოლოდ ფორმალურ - მორფოლოგიურ ასპექტებს, არამედ იმ კონცეპტუალურ და კოგნიტურ სტრუქტურებსაც, რომლებიც განსაზღვრავენ ტერმინის მოტივირებულობას, გამჭვირვალობასა და ფუნქციურ ადეკვატურობას. ეს პრინციპებია:

1. გამჭვირვალობა;
2. თანმიმდევრულობა;
3. შესაბამისობა;
4. ენობრივი ეკონომია/სიმოკლე;
5. წარმოება;
6. ენობრივი მართებულობა;
7. უპირატესობის მინიჭება მშობლიური ენისათვის;
8. ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიბირება.

შეუძლებელია თითოეული ტერმინი იქმნებოდეს ყველა ამ პრინციპის დაცვით. თითოეული ამ პრინციპის გამოყენება ტერმინის შექმნის დროს სავალდებულო არც არის, თუმცა, მათი გათვალისწინება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია როგორც ახალი ტერმინების შექმნისას, ასევე არსებული ტერმინოლოგიების სისტემატიზაციის პროცესშიც. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ცნებას რამდენიმე დასახელება გააჩნია, უპირატესობა ენიჭება იმ ვარიანტს, რომელიც ყველაზე მეტ ზემოხსენებულ პრინციპს პასუხობს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. პუნქტი 7.6.2). ტერმინების ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეფინიციას, რომელიც განსაზღვრავს ცნების საზღვრებს სხვა ცნებებთან მიმართებით. ISO 704 მკაცრად გამოყოფს დეფინიციის სამ ძირითად ტიპს — გენერიკულ (generic), პარტიტიულ (partitive) და ასოციაციურ (associative) განმარტებებს/განსაზღვრებებს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work —

Principles and methods, 2022, გვ. სექცია 6.2). აღნიშნული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცნებების იერარქიულ კავშირებს და მათ საფუძველზე ახდენს ტერმინების ზუსტ დიფერენცირებას. სტანდარტი გამოყოფს ცნებათშორისი კავშირების სამ ძირითად ტიპს:

1. გენერიკული კავშირი (generic relation) - როდესაც ერთი ცნება იერარქიულად მოიცავს სხვას (მაგ. ტრანსპორტი და სატვირთო ავტომობილი);

2. პარტიტიული კავშირს (partitive relation) - როდესაც ცნებები ქმნიან მთლიანი ობიექტის შემადგენელ ნაწილებს (მაგ. კომპიუტერი შედგება მონიტორისგან, პროცესორისგან, კლავიატურისგან);

3. ასოციაციური კავშირი (associative relation) - როდესაც ცნებებს შორის არსებულ კავშირს არ აქვს იერარქიული ან სტრუქტურული ბუნება, მაგრამ ისინი ფუნქციურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან (მაგ. ექიმი ↔ პაციენტი; სწავლება ↔ შეფასება) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. Annex B). ცნებათა სისტემების აგება წარმოადგენს ტერმინოლოგიური საქმიანობის იმ საკვანძო კომპონენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია სტრუქტურული თანმიმდევრობა, ტერმინთა კონცეპტუალური განაწილება და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებების სემანტიკური აღწერა. ISO 704:2022-ის თანახმად, ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ცნებათა შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია და ვიზუალიზაცია ისე, რომ ცნება განისაზღვროს არა იზოლირებულად, არამედ სხვასთან მიმართებით, ანუ სისტემური თვალსაზრისით (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. სექცია 5.3).

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელოს⁶ (Infoterm, 2022) მიხედვით, ტერმინთწარმოებისთვის შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- ახალი ფორმების შექმნა
(წარმოქმნა; თხზვა; აბრევიაცია/შემოკლებები);

⁶ წიგნი „ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო (ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა)“ ქართულ ენაზე გამოსაცემად მოამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციამ. ტერმინოლოგიური მეთვალყურეობის საბჭოს (Infoterm) დირექტორი ბატონი ქრისტინა გალინსკი თავად ჩამოვიდა თბილისში 2022 წელს და მთარგნელთან, პროფ. ზაალ კიკვიძესთან, ერთად წიგნის ქართული თარგმანი წარუდგინა ქართველ საზოგადოებას.

- არსებული ფორმების გამოყენება
(კონვერსია (ერთი მეტყველების ნაწილის გადაქცევა მეორე მეტყველების ნაწილად); გატერმინება (ახალი, ხშირად მსგავსი ან მეტაფორული მნიშვნელობების მინიჭება უკვე არსებული ტერმინებისათვის მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ სფეროებში ან საერთო მოხმარების ენის სიტყვებისათვის); სემანტიკური გადასვლა დარგობრივ ენაში; დარგთაშორისი სესხება (მეტაფორები);
- სესხება ენათა შორის
(პირდაპირი სესხება; კალკირება).

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ „ზემოხსენებული მეთოდები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად მიესადაგება ისინი ამა თუ იმ ენას. სემიოტიკური პრინციპები სახელმძღვანელო მითითებების დანიშნულებას ასრულებს ტერმინთწარმოების მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით. ზოგიერთი პრინციპი ურთიერთსაწინააღმდეგოა, რის შედეგადაც დაშვებულია მნიშვნელოვანი დათმობები (მაგალითად, ტერმინთა გამჭვირვალობა სიმოკლის საპირისპიროდ)“ (Infoterm, 2022, გვ. 13). მიუხედავად იმისა, რომ ISO 704:2022 საერთაშორისოდ აღიარებულია როგორც ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითადი საყრდენი სტანდარტი და მისი გამოყენება წარმატებით ხორციელდება მრავალ ავტორიტეტულ ინსტიტუციაში (IATE, EuroTermBank⁷, UNTERM⁸), ქართულ ტერმინოლოგიურ სივრცეში მისი სრული ინტეგრაცია ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში ტერმინოლოგიური საქმიანობა კვლავაც ძირითადად ემყარება ტრადიციულ ლექსიკოგრაფიულ მიდგომებს, სადაც ტერმინის შერჩევა და განმარტება ხშირ შემთხვევაში არ ეფუძნება სისტემურ ცნებათმშენებლობას (ნადარეიშვილი, 2021).

⁷ EuroTermBank. (n.d.). *EuroTermBank terminology database*. Retrieved August 30, 2025, from <https://www.eurotermbank.com>. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ერთობლივი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალენოვანი ტერმინოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობას და ჰარმონიზაციას.

⁸ United Nations. (n.d.). *UNTERM: The United Nations Terminology Database*. Retrieved August 30, 2025, from <https://unterm.un.org>. გაეროს მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინების სტანდარტიზებასა და თარგმნას ექსიცივ ოფიციალურ ენაზე.

ISO 704:2022 წარმოადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის იმ ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს ცნებაზე დაფუძნებული მიდგომის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაგმატულ ასპექტებს. იგი აშკარად გამოყოფს ტერმინოლოგიას როგორც დისციპლინას, რომელიც არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კოგნიტურ და სისტემურ საყრდენებზე დგას. სტანდარტის საფუძველზე ტერმინი განიხილება არა როგორც იზოლირებული ლექსიკური ერთეული, არამედ როგორც განსაზღვრულ ტერმინწარმოებაზე დაფუძნებული სტრუქტურული კომპონენტი, რომელსაც განსაზღვრული ადგილი აქვს დარგობრივ სისტემაში. ცნება, დეფინიცია და ტერმინი — ეს სამი ელემენტი ქმნის ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითად ტრიადას, რომლის ურთიერთმიმართების სწორი გააზრება არის ტერმინოლოგიური სტაბილურობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებელი პირობა. ISO 704:2022 - ის მიერ განსაზღვრული ცნებათშორისი კავშირების ტიპოლოგია, განსაზღვრების ფორმულირების პრინციპები და ტერმინთა შერჩევის კრიტერიუმები ქმნის ერთიან ჩარჩოს, რომელიც თავსებადია როგორც სპეციალურ ლექსიკოგრაფიასთან, ასევე დარგობრივ თარგმანთან, სამართლებრივ დოკუმენტაციასთან და პროფესიულ სტანდარტებთან.

ქართული ტერმინოლოგიური სივრცე ჯერ კიდევ იმყოფება სტანდარტიზაციის იმ ეტაპზე, სადაც ტერმინთა სტრუქტურირება, დეფინიცირება და დისციპლინური ჰარმონიზაცია ხორციელდება ფრაგმენტულად. მოცემულ რეალობაში ISO 704-ის სახელმძღვანელო პრინციპების ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ მეთოდოლოგიურ ამოცანას, არამედ ლინგვისტურ გამოწვევას — რომლის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ძლიერი ცნებითი საფუძვლის, სამართლებრივი მექანიზმებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ერთობლიობით. სწორედ ამ საჭიროებაზე მიუთითებს „საერთაშორისო სტანდარტების ქართულ რეალობაში გადმოტანა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად დახვეწილი პროდუქტი მივიღოთ. როცა თითოეული ნაბიჯი დეტალურადაა გაწერილი, ხარვეზებიც ნაკლებია შესრულებულ სამუშაოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეულ დარგს თავისი ტერმინოლოგია აქვს და

ხშირად ენათმეცნიერების გარეშე გამოსცემენ ამა თუ იმ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს, ან ადგენენ და მხოლოდ შემდეგ მიმართავენ მათ, რის გამოც არაერთი ხარვეზი იჩენს თავს. სტანდარტების საშუალებით კი ნაწილობრივ მაინც მოგვარდება ეს პრობლემა. როდესაც ყველა საფეხური დაწვრილებით არის განსაზღვრული და მათზე დაყრდნობით წარიმართება მუშაობა, შედარებით ნაკლები იქნება უზუსტობა და ნამუშევარიც - ერთგვაროვანი და სისტემური“ (დათეშიძე, ლაფაური, მუზაშვილი, & ოსაძე, 2023, გვ. 88).

ამდენად, თანამედროვე დინამიკურად ცვლად გარემოში, დარგობრივი განვითარების პროცესში ხშირად ჩნდება ახალი სამეცნიერო მიმართულებები, რაც თავის მხრივ განაპირობებს ახალი ცნებების აღნიშვნის აუცილებლობას. ამ ვითარებაში, ერთი მხრივ, საჭიროა ცნების აღწერა, მისი არსებითი მახასიათებლების განსაზღვრა და ადეკვატური განმარტების ფორმირება, ხოლო მეორე მხრივ — აღნიშნული ცნებისთვის შესაბამისი სახელის მინიჭება, ანუ ახალი ტერმინის შექმნა, რომელიც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე კონკრეტული ენის სტრუქტურული თავისებურებებისა და ნორმატიული სისტემის გათვალისწინებით (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). ტერმინოლოგიური მუშაობის გარეშე დარგობრივი მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდება, ვინაიდან ტერმინოლოგია წარმოადგენს სპეციალისტთა შორის კომუნიკაციის არსებით წინაპირობას. სწორედ ამ მიზეზით ექცევა მას განსაკუთრებული ყურადღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ტერმინოლოგია, როგორც ცნება, მოიაზრება კონკრეტული დარგის ტერმინების სისტემურ ერთობლიობად. ამრიგად, ISO 704:2022 არა მხოლოდ წარმოგვიდგენს ტერმინოლოგიის საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზებული მოდელის ტექნიკურ ინსტრუქციას, არამედ გვთავაზობს მეთოდს როგორ უნდა შევქმნათ და დავამკვიდროთ ტერმინები ენაში.

1.4 საერთო ევროპული ტერმინოლოგიური ბაზის (IATE) მიზნები და ამოცანები

თანამედროვე ტერმინოლოგიური პრაქტიკა სულ უფრო მეტად ეფუძნება ცნებებზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც აისახება მრავალენოვანი კომუნიკაციის სტანდარტებში, საერთაშორისო დოკუმენტაციის ერთიანობაში და თარგმნის ხარისხის გაზრდაში. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთო ევროპულ ტერმინოლოგიურ ბაზას - IATE (Interactive Terminology for Europe), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ და ინსტიტუციურ ტერმინოლოგიურ რესურსს. IATE შეიქმნა 2004 წელს, როგორც 1980-იანი წლებიდან დაგროვილი ტერმინოლოგიური მონაცემების გაერთიანების შედეგი, მიზნად ისახავდა ტექნიკური და სამართლებრივი დოკუმენტების მრავალენოვანი ჰარმონიზაციის უზრუნველყოფას და ინსტიტუციური კომუნიკაციის სტანდარტიზაციას ევროკავშირის 24 ოფიციალურ ენაზე (Wright & Budin, 2001) (Commission, 2022)⁹

IATE-ის შექმნის იდეა პირდაპირ უკავშირდება ე.წ. "ევროტერმინოლოგიური სივრცის" ჩამოყალიბებას, სადაც ცოდნის წარმოება, სტანდარტიზაცია და გავრცელება ემყარება ცნებათმცოდნეობით ჩარჩოსა და ენობრივ პარალელიზმს. პლატფორმის მიზანია ტერმინების არა მხოლოდ ლექსიკური შესაბამისობის, არამედ ცნებების ეკვივალენტობის დაფიქსირება, რაც ტერმინოლოგიურ მუშაობას ახალ ხარისხობრივ დონეზე აყვავს. როგორც კაბრე აღნიშნავს, თანამედროვე ტერმინოლოგია აღარ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ენობრივი ფაქტორებით — იგი წარმოადგენს ინტერდისციპლინურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ენათმეცნიერებას, ლოგიკას, დარგობრივ ცოდნასა და ტექნოლოგიურ ბაზებს (Cabré, 1999, გვ. 81-83).

⁹ European Commission. (2022). *IATE – Interactive Terminology for Europe: User Manual*. Brussels: Publications Office of the European Union. <https://iate.europa.eu>. ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც განმარტავს IATE-ს (Interactive Terminology for Europe) სტრუქტურას, გამოყენების წესებსა და ფუნქციურ შესაძლებლობებს, მათ შორის მონაცემთა ძიებას, ფილტრაციასა და ტერმინოლოგიური ჩანაწერების მართვას.

IATE ერთდროულად არის ლინგვისტური, ცნებითი და სტრატეგიული რესურსი, რომლის მიზანი არამხოლოდ საინფორმაციო უზრუნველყოფაა, არამედ ცოდნის მართვა მრავალენოვან სივრცეში. მისი ფუნქციონირება ეფუძნება მტკიცე სტანდარტიზაციის ჩარჩოს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) და კოორდინირებულ თანამშრომლობით ტერმინოლოგიური მუშაობის პრაქტიკას, რაც მას აქცევს პლატფორმად როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამ სტრატეგიული ბუნების გამო IATE სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც ტექნიკური ინსტრუმენტი, არამედ როგორც ტერმინოლოგიური პოლიტიკის მატარებელი პლატფორმა (Temmerman, 2000) (Gouws, Heid, Prinsloo, & Schweickard, 2013). IATE-ის შექმნისა და განვითარების ძირითადი მიზნები მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ლინგვისტურ, ისე ინსტიტუციურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს. უპირველეს ყოვლისა, იგი მიმართულია ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისაკენ ევროკავშირის მრავალენოვან სივრცეში, რაც გულისხმობს ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინების კონცეპტუალური თანხვედრის უზრუნველყოფას. პლატფორმა უზრუნველყოფს სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური ტექსტების შინაარსობრივი და სტილისტური ერთიანობის შენარჩუნებას 24 ენაზე, რაც აუცილებელია ტრანსნაციონალური კომუნიკაციისთვის და გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმაციისთვის (Commission, Multilingualism and terminology in the European Union, 2020).¹⁰

მეორე მნიშვნელოვანი მიზანია მრავალენოვანი პროფესიული კომუნიკაციის სტანდარტიზაცია, რაც უზრუნველყოფს თარჯიმნების, რედაქტორების, იურისტებისა და საჯარო მოხელეების საქმიანობაში გამოყენებული ტერმინების ერთიან ცნებით საფუძველს. ეს ქმნის წინაპირობას თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებისა და ინსტიტუციურ ტექსტებში სამართლებრივი სიზუსტის გარანტირებისთვის. ამდენად, IATE წარმოადგენს არა მხოლოდ ლექსიკონებს შორის მოქნილ ტექნიკურ ხიდს,

¹⁰ European Commission. (2020). *Multilingualism and terminology in the European Union*. Brussels: Directorate-General for Translation. დოკუმენტი ასახავს ევროკავშირის მრავალენოვნების პოლიტიკას, ტერმინოლოგიური რესურსების გამოყენებასა და ინსტიტუციურ კომუნიკაციაში ტერმინოლოგიის როლს.

არამედ ცოდნის გაზიარების ფორმალურ მექანიზმს, რაც შეესაბამება ტერმინოლოგიური მუშაობის თანამედროვე პრინციპებს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). გარდა ამისა, IATE-ს აქვს დისკურსული და კულტურული მიზნებიც. მრავალენოვანი პლატფორმის არსებობა ხელს უწყობს ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას — თითოეული ენისთვის გათვალისწინებულია არა მხოლოდ ლექსიკური შესაბამისი, არამედ სპეციფიკური კონტექსტის დამოწმება, რაც ზრდის ენის სტატუსს, ცნობადობას, აღიარებასა და ავტორიტეტს ევროპულ სივრცეში. ამ მიდგომას მხარს უჭერს ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის კონცეფციაც, რომელიც ენობრივ თანასწორობას განიხილავს როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების ფუნდამენტურ პირობას (Europe, 2007)¹¹. ამრიგად, IATE-ის მიზნები ბევრად სცილდება ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს — იგი გარდაიქმნა ცოდნის მართვის პოლიტიკურ და სოციალურ ინსტრუმენტად, რომელიც ასახავს ევროკავშირის ღირებულებებს: მრავალენოვანობას, ღიაობას, გამჭვირვალობასა და ერთიანობას მრავალფეროვნებაში.

IATE-ის სტრუქტურული მოდელი ეფუძნება ცნებათმცოდნეობრივ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ტერმინი განიხილება არა როგორც მხოლოდ ლექსიკური ერთეული, არამედ როგორც ცოდნის სტრუქტურაში ინტერგირებული ცნებითი ობიექტი. IATE - ს ბაზაში ყოველი ტერმინოლოგიური ჩანაწერი მიესადაგება კონკრეტულ ცნებას, რომელსაც თან ერთვის მეტამონაცემები: დეფინიცია, ენობრივი ეკვივალენტები ყველა ევროკავშირის ენაზე, დოკუმენტური წყაროები, გამოყენების კონტექსტები და სანდოობის ინდიკატორები. ამგვარი შრეობრივი აგებულება შესაბამისობაშია სტანდარტებთან ISO 704:2022 და ISO 10241-1:2011¹², რომლებიც


¹¹ Council of Europe. (2007). *Guide for the development of language education policies in Europe*. Strasbourg: Council of Europe Publishing. დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ევროპული ენების საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმულირებისა და განხორციელებისთვის. იგი მოიცავს რეკომენდაციებს ენობრივი მრავალფეროვნებისა და კულტურათათმორისი კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით.

¹² International Organization for Standardization. (2011). *ISO 10241-1:2011(E): Terminological entries in standards – Part 1: General requirements and examples of presentation*. Geneva: ISO. ეს სტანდარტი განსაზღვრავს ტერმინოლოგიური ჩანაწერების წარმოდგენის ზოგად მოთხოვნებსა და მაგალითებს, რაც უზრუნველყოფს ერთიანობას სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის სტრუქტურასა და აღწერაში.

განსაზღვრავენ ტერმინის აღწერის ლოგიკურ და სისტემურ სტრუქტურას. (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) (Standardization, ISO 10241-1:2011(E): Terminological entries in standards – Part 1: General requirements and examples of presentation, 2011). შესაბამისად, თითოეული ტერმინის იდენტიფიკაცია ხდება დეფინიციისა და დარგობრივი კოდირების გზით, რაც აუმჯობესებს ტერმინთა მოძიებისა და გადამოწმების სიზუსტეს. როგორც ტემერმანი აღნიშნავს, „ცნებაზე დაფუძნებული ტერმინოლოგია უზრუნველყოფს მულტიდისციპლინარულ სივრცეში ტერმინთა ფუნქციური კორელაციის ოპტიმალურ მოდელს“ (Temmerman, 2000, გვ. 48).

IATE-ს ლექსიკოგრაფიული ჩანაწერი, სტანდარტის მიხედვით, მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: 1) ცნების უნიკალურ კოდს; 2) დეფინიციას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი, სამეცნიერო ან ზოგადი ხასიათი; 3) ტერმინთა მრავალენოვან ეკვივალენტებს; 4) წყაროს მითითებას (ინსტიტუციური ან დოკუმენტური); 5) კონტექსტუალური გამოყენების (საილუსტრაციო) მაგალითებს; 6) სანდოობის ნიშნულს (სანდო, დადასტურებული, დროებითი).

გრაფიკული სახით აღნიშნული სტრუქტურის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი სქემით:



ცხადია, რომ IATE-ს ბაზაში ტერმინების სტრუქტურირება გულისხმობს, რომ ტერმინს თან ერთვის მისი დარგობრივი კვალიფიკაცია (დარგი, ქვედარგი), წყარო, სადაც ტერმინი დასტურდება, ტერმინის გამოყენების კონტექსტი, წინადადება ან პარაგრაფი (კონტექსტი უნდა განსხვავდებოდეს განმარტებისგან), განმარტება, განმარტების წყარო, ტერმინის ტიპი, ტერმინის კონტექსტი, კონტექსტის დამოწმების წყარო და სხვ. ამ მახასიათებლების თანწყობით IATE წარმოადგენს არა უბრალოდ ტერმინთა მონაცემთა ბაზას, არამედ ცნებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, სადაც თითოეულ ტერმინს განსაზღვრული აქვს თავისი ადგილი და ფუნქცია ცოდნის სტრუქტურირებაში. ამ მოდელს ემყარება პლატფორმის ღერძული სტრუქტურა, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ენობრივი შესაბამისობის მიღწევას, არამედ იმ ცოდნის კატეგორიების სისტემურ ჩამოყალიბებას, რომლებიც დარგობრივ სფეროებს აკავშირებს ერთმანეთთან. ამგვარი მიდგომა იძლევა ინსტიტუციური თანმიმდევრულობის, სამართლებრივი ერთიანობისა და პროფესიული კომპეტენციის ინტეგრირების საფუძველს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოში. IATE-ს პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევროკავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში, სადაც პლატფორმა უზრუნველყოფს ინსტიტუციური კომუნიკაციის სტაბილურობას და სამართლებრივი დოკუმენტების სინქრონულობას მრავალ ენაზე. ამ კონტექსტში IATE არა მხოლოდ ინფორმაციის წყაროა, არამედ ინსტრუმენტი, რომელიც აკონტროლებს ტერმინოლოგიურ თანმიმდევრობას და პრევენციულად ამცირებს თარგმანის პოტენციურ რისკებს ტერმინების უზუსტობების და არაერთგვაროვნების კუთხით. როგორც ბოუკერი და პირსონი აღნიშნავენ, თანამედროვე ტერმინოლოგიური ბაზები, მათ შორის IATE, ქმნიან ახალ მთარგმნელობით პარადიგმას, სადაც ლექსიკონის ფუნქცია სცილდება მხოლოდ შინაარსობრივ შეთანხმებას და გარდაიქმნება ცოდნის გამავრცელებლად (Bowker & Pearson, 2002, გვ. 49-53).

IATE ასევე ფართოდ გამოიყენება ტერმინოლოგიური კვლევების და აკადემიური სწავლების პროცესში. უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები IATE-ს მიმართავენ

როგორც სანდო რესურსს ცნებათა კლასიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და ტერმინთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზისთვის. კერძოდ, პლატფორმა ხელს უწყობს მრავალენოვანი ტერმინების სტატისტიკურ დამუშავებას, ეტიმოლოგიურ კვლევებსა და დარგობრივ კორპუსებთან შედარებით ანალიზს, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარებს უკეთ განსაზღვრონ ტერმინის მნიშვნელობის ევოლუცია, სტილისტური გამოყენება და დარგობრივი ვარიაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ IATE-ს ფუნქციური შესაძლებლობები მეტწილად საჯაროდ ღიაა და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვისაც. პლატფორმის ვებ-დამოუკიდებელი ინტერფეისი და ღია წვდომა უზრუნველყოფს მის გამოყენებას არა მხოლოდ პროფესიული წრის წარმომადგენლებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის — მათ შორის სტუდენტებისთვის, ლინგვისტებისთვის, სპეციალისტებისთვის და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. ამგვარად, IATE ფუნქციონირებს როგორც ცოდნის დემოკრატიზაციის ხელსაწყო და ციფრული ჰუმანიტარული რესურსი. IATE-ს გავლენა სცილდება ევროკავშირის შიდა სივრცეს და ის შეიძლება დავახასიათოთ როგორც ჰაზი, რომელიც აერთიანებს და აკავშირებს მრავალენოვანულ თუ საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სისტემას. მისი ინტეგრაცია და თანხვედრა სხვა პლატფორმებთან, როგორცაა EuroTermBank¹³ (ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერმინოლოგიური ქსელი) (EuroTermBank, n.d.), UNTERM¹⁴ (გაერთიანებული ერების ტერმინოლოგიური ბაზა) (Nations, n.d.), FAO Term Portal¹⁵ (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის რესურსი) (Nations F. a., n.d.), აყალიბებს გლობალურ ქსელს, სადაც IATE სტანდარტიზებული ცნებების

¹³ EuroTermBank. (n.d.). *EuroTermBank terminology database*. Retrieved August 30, 2025, from <https://www.eurotermbank.com> ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ერთობლივ ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა, რომელიც შექმნილია ტერმინოლოგიური რესურსების ცენტრალიზებული წვდომისა და ჰარმონიზაციისთვის. იგი უზრუნველყოფს მრავალენოვან ტერმინოლოგიურ ჩანაწერებზე სწრაფ და გამჭვირვალე წვდომას.

¹⁴ United Nations. (n.d.). *UNTERM: United Nations Terminology Database*. Retrieved August 30, 2025, from <https://unterm.un.org> გაეროს ოფიციალური მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინების სტანდარტიზებულ თარგმანს ექვსივე ოფიციალურ ენაზე.

¹⁵ Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (n.d.). *FAO Term Portal*. Retrieved August 30, 2025, from <http://www.fao.org/faoterm> სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მრავალენოვან ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებული ტერმინოლოგიის ერთიან გამოყენებას აგრარულ მეცნიერებაში, სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში.

საბაზისო წყაროს წარმოადგენს. ეს დამაკავშირებელი ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის საზღვრებს გარეთ სპეციალისტებისთვის, რომელთაც სჭირდებათ იურიდიულად და კონცეპტუალურად თანმიმდევრული ტერმინოლოგია საერთაშორისო შეთანხმებებისა და ნორმებისა თუ ტერმინოლოგიური რეგულაციების შემუშავებისას (Kageura, 2002).

გარდა ტექნიკური თავსებადობისა, IATE წარმოადგენს ცნებათა თარგმნის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს მულტიტერმინოლოგიურ სივრცეში. მისი ცნებათმცოდნეობრივი აპარატი – მათ შორის ტერმინების დეფინიციური სიმრავლე, სანდოობის მარკერები, დარგობრივი კატეგორიზაცია და მრავალენოვანი კონტექსტები – გამოყენებულია როგორც მოდელი სხვა ტერმინოლოგიური პროექტების განვითარებისთვის. შესაბამისად, IATE-ს სტრატეგიული ფუნქცია თანამედროვე ტერმინოლოგიური საქმიანობის კონტექსტში აღემატება ლექსიკოგრაფიულ ინსტრუმენტს - ის წარმოადგენს პოლიტიკურ, ლინგვისტურ და ტექნოლოგიურ პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ცნებებზე დაფუძნებული ცოდნის სტანდარტიზაციას მრავალენოვან და მრავალკულტურულ სივრცეში. მისი მიზნები - ინსტიტუციური კომუნიკაციის სტაბილურობა, სამართლებრივი ერთიანობა, ენობრივი მრავალფეროვნების მხარდაჭერა და ციფრული ინტეგრაცია — ქმნის ახალ ტიპოლოგიურ სტანდარტს, რომლის საუკეთესო პრაქტიკა და ცოდნა-გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ტერმინოლოგიური განვითარების გზაზე დგანან.

ამდენად, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ეპოქაში, როდესაც დარგობრივი ტერმინოლოგია ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტრუმენტად იქცა თანამედროვე სამეცნიერო კომუნიკაციაში, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დინამიკამ ცალსახად გამოკვეთა სპეციალიზებული ენის როლის ზრდა, რამაც თავის მხრივ წინა პლანზე წამოაყენა ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის საჭიროება. უნივერსალური მეცნიერული დიალოგის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუნდამენტური ტერმინების ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია, რაც შესაძლებელი ხდება სწორედ ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის მეშვეობით. ქართული ტერმინოლოგიური სივრცისთვის IATE-ს

მოდელი შესაძლოა გახდეს გზამკვლევი დარგობრივი ტერმინოლოგიის დიგიტალიზაციისა და სტანდარტიზაციის პროცესში. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს IATE-სთან კოორდინაციას, როგორც მრავალენოვანი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის ცენტრალიზებულ პლატფორმასთან, სადაც ევროპის ინსტიტუტების მიერ დამუშავებული და სტანდარტიზებული ტერმინები არის განთავსებული. IATE-სთან თანამშრომლობა იძლევა რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს:

- სიზუსტისა და ჰომოგენურობის ზრდა – ტერმინების ჰარმონიზაცია გამოირიცხავს სემანტიკურ დისონანსს და ამცირებს ტერმინთა არასწორად ინტერპრეტაციის რისკს;
- თარგმანის ხარისხის გაუმჯობესება – წყარო და სამიზნე ენებში სანდო ეკვივალენტების მიწოდება უზრუნველყოფს ცოდნის ეფექტურ ტრანსფერს მრავალენოვან სამეცნიერო სივრცეში;
- ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერება – ერთიანი რესურსის გამოყენება ამარტივებს თანამშრომლობას, ამცირებს დუბლირებას და აძლიერებს სტანდარტიზაციის პროცესს;
- გლობალური გამოწვევებზე რეაგირება – IATE უზრუნველყოფს ტერმინოლოგიურ თანმიმდევრულობას, რაც ხელს უწყობს დისციპლინათაშორის თანამშრომლობას.

IATE-სთან კოორდინირებული თანამშრომლობა დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ტერმინოლოგიური სივრცისთვის. საქართველოში სამწუხაროდ სახეზეა ტერმინოლოგიური უწყესრიგობა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი ქაოსი, რომელიც გამოწვეულია არასანდო ონლაინ ლექსიკონების გავრცელებით, გაუმართავი ან მექანიკური ტრანსლიტერაციის შედეგად მიღებული ტერმინებით, ასევე უთარგმნელი ან არასწორად თარგმნილი ერთეულებით. ქართველ მეცნიერებს (არაბული, ქაროსანიძე, მარგალიტაძე, დათეშიძე და სხვ.) არაერთხელ გაუსვამთ ხაზი იმ ფაქტობრივი მოცემულობისთვის, რომ არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე საფრთხეს უქმნის სტანდარტიზაციის პროცესს და აფერხებს ქართულ მეცნიერებას დაიცვას თანამედროვე გლობალური ტენდენციების

ტემპი. „საქართველო არასოდეს, არცერთ საუკუნეში ისე არ ჩამორჩენილა განვითარებას, როგორც ციფრულ ეპოქაში. იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო საკუთარი ენის საერთაშორისო ენად ქცევას ცდილობს და ამისათვის გაათმაგებელია ტერმინოლოგიასა და, ზოგადად, ენობრივ საკითხებზე მუშაობა, ქართული ტერმინოლოგიის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რამაც გამოიწვია კიდევ ის, რომ ქართული ინტერნეტსივრცე სავსეა შეცდომებით, გაუმართავი, გაურკვეველი წარმომავლობის ლექსიკონებით, რომლებსაც, სამწუხაროდ, იყენებს ქართველი მომხმარებელი, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ენის განვითარება“ (ქაროსანიძე, 2023, გვ. 407-408)

უკვე შექმნილი არაერთი ფართომასშტაბიანი ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებიდან, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ტერმინოლოგიურ რესურსებს, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ცნობადი ტერმინთსაცავია IATE -ს პლატფორმა (InterActive Terminology for Europe), ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ სტრატეგიულად დაგეგმილი და თანმიმდევრულად განვითარებული ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზა. ევროპის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელია გრძელვადიანი სტრატეგიების, მკაფიო სტანდარტიზაციის პროცედურებისა და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის საფუძველზე.

ქაროსანიძის ნაშრომში „ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში“ მკაფიოდ იკვეთება სტრატეგიული ხედვა, რომელიც ხაზს უსვამს ქართული ენის ინტეგრაციის აუცილებლობას საერთო ევროპულ ტერმინოლოგიურ სივრცეში. ავტორის აზრით, საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში უნდა მოხვდეს მხოლოდ ნორმატიული, შეთანხმებული და მეცნიერულად გამართული ტერმინოლოგია. ამისთვის კი გადამწყვეტია სისტემური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც ქართულ პრაქტიკაში კვლავ აქტუალურია — ტერმინების სიჭრელე, სტანდარტების არქონა, არაკოორდინირებული მუშაობა და შეთანხმების დეფიციტი. ქაროსანიძე მკაფიოდ მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელიც უკავშირდება დაუმუშავებელი და არათანმიმდევრული ქართული ტერმინების საერთაშორისო ბაზებში მოხვედრას. ეს არა მხოლოდ ენის პრესტიჟს აზიანებს, არამედ ზღუდავს მის სრულფასოვან მონაწილეობას ციფრულ ენობრივ სამყაროში, სადაც თითოეულ ენას

თანაბარი წვდომა და ფუნქციური როლი უნდა ჰქონდეს. ავტორის შეფასებით, ევროპამ მიზანს მიაღწია თანმიმდევრული, სტრატეგიული და ეტაპობრივი დონისძიებების განხორციელებით, მაშინ როცა საქართველომ ამ პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამოტოვა. მიუხედავად ამისა, იგი ოპტიმისტურად მიუთითებს იმ უპირატესობაზე, რომ საქართველოს შეუძლია ისარგებლოს უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილებითა და რესურსებით. სწორედ გაკვალული გზა, დახვეწილი პროგრამული უზრუნველყოფა და ღია ციფრული პლატფორმები ქმნის შესაძლებლობას, რომ ქართული ტერმინოლოგია სწრაფად და ეფექტიანად გამოვიდეს არსებული კრიზისიდან. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენის მონაცემების სისტემურ დამუშავებას და მათ კულტურულ-ენობრივი ღირებულების წარმოჩენას გლობალურ დონეზე (ქაროსანიძე, 2023, გვ. 408-409).

სრულად ვიზიარებთ ქართველი მეცნიერების (არაბული, მარგალიტაძე, ქაროსანიძე, სხირტლაძე, დათეშიძე, ჯიბუტი და სხვ.) მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ენის სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობის სისტემური განვითარება. სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში ეს რეალისტური ამოცანაა, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც ტერმინოლოგიის თეორიული და პრაქტიკული კვლევის მნიშვნელოვანი გამოცდილება უკვე არსებობს. კოორდინირებული და სტრატეგიული მუშაობის შედეგად, ქართული ტერმინების ინტეგრაცია ევროპარლამენტის საერთო ტერმინოლოგიურ ბაზაში არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ქართული ენის ჩართულობას ევროპულ ენათა ოჯახში, არამედ გახდება ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ საერთაშორისო დონეზე შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის აღიარება. შედეგად, ეს პროცესი ხელს შეუწყობს როგორც ქართული ენის პოპულარიზაციას, ისე ქვეყნის სამეცნიერო სივრცის სრულფასოვან ინტეგრაციას გლობალურ აკადემიურ კონტექსტში.

1.5 ტერმინოლოგიური ადაპტაციის გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალური მეცნიერების კონტექსტში

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, სადაც ცოდნის სწრაფი მიმოცვლა კომუნიკაციის ძირითად მექანიზმად იქცა, აშკარად გაიზარდა სპეციალიზებული ენის როლი საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობაში, რომელიც სამი ძირითად მიზანს ემსახურება:

1. წყაროსა და სამიზნე ენებს შორის ტერმინოლოგიური ეკვივალენტობის უზრუნველყოფა;
2. პროფესიული კომუნიკაციის გამარტივება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
3. გლობალური გამოწვევების გადაჭრის ინსტრუმენტების შემუშავება საერთაშორისო თანამშრომლობით.

თუმცა, ტერმინოლოგიური განვითარების თანამედროვე დინამიკაში არაერთი სირთულე იჩენს თავს: ორენოვან ლექსიკონებში ტერმინის დეფიციტური წარმოდგენა, თანამედროვე სპეციალიზებული ლექსიკონების სიმცირე, განმარტებების ბუნდოვანება, ეკვივალენტური შესატყვისების სანდოობის პრობლემა, ნეოლოგიზმების სტანდარტიზაციის სიმწელები და მეტამონაცემების არასაკმარისი ოდენობა. შედეგად, ხშირად გვხვდება ტერმინების მცდარი ინტერპრეტაცია და გამოყენება. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ახალი ტერმინების მუდმივი ნაკადი წარმოშვა, რაც ლექსიკონების განახლებასა და დახვეწას საჭიროებს. სწორედ ამ პროცესში აკისრია ლექსიკოგრაფებს უმნიშვნელოვანესი როლი რომელიც ახალი ტერმინების აღრიცხვაში, განმარტებაში, შესატყვისის მოძიებასა და ლექსიკონში ინტეგრაციაში გამოიხატება.

საქართველოს ტერმინოლოგიურ პრაქტიკას ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა ინსტიტუცია, მათ შორის – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი, ვუკოლ ბერიძის

სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრი. მიუხედავად ამისა, ქართულ ტერმინოლოგიაში კვლავ მრავალი საკითხია შესასწავლი. მართალია, ქართულ ლექსიკოგრაფიას მრავალფეროვანი დარგობრივი ლექსიკონების ტრადიცია აქვს (იურიდიული, ბოტანიკური, ტექნიკური, ბიოლოგიური, სამხედრო, სამედიცინო და სხვ.), მაგრამ მათი უმრავლესობა ორენოვანია (რუსულ-ქართული). ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქართული ტერმინოლოგია დიდწილად ჩამოყალიბდა რუსული ენის გავლენით. როგორც მარგალიტაძე აღნიშნავს, „გასული საუკუნის 50-80-იან წლებში ტერმინოლოგიური თარგმნითი ლექსიკონები ძირითადად რუსულ ენასთან მიმართებით იქმნებოდა. ეს იმით იყო შეპირობებული, რომ დარგობრივი ტერმინოლოგია რუსული ენიდან შემოდიოდა ქართულში და ქართული ტერმინოლოგიაც ხშირ შემთხვევაში რუსული ტერმინების ანალოგიით იქმნებოდა“ (მარგალიტაძე, 2021, გვ. 132).

თანამედროვე პირობებში რუსული ენა ქართულ ტერმინოლოგიაში ინგლისურმა ენამ ჩაანაცვლა. თუ გასულ საუკუნეში ტერმინები ქართულში რუსული ენის გავლით შემოდიოდა, დღეს მათი ძირითადი წყარო ინგლისურია. ლ. ქაროსანიძე მიუთითებს, რომ საბჭოთა პერიოდში შექმნილი დარგობრივი ტერმინოლოგია, რომელიც რუსულ-ქართულ ლექსიკონებშია შენარჩუნებული, თანამედროვე საზოგადოებაში ნაკლებად გამოიყენება, რადგან ახალი თაობა რუსულ ენას თითქმის აღარ ფლობს. ამასთანავე, ინგლისურიდან ტერმინების უკონტროლო შემოდინებამ „ტერმინოლოგიური ქაოსი“ წარმოშვა და საფრთხე შეუქმნა ქართული ენის ბუნებრიობას. როგორც ქაროსანიძე აღნიშნავს, „გაჩნდა ახალი, ინგლისურ-ქართული, ტერმინოლოგიური ლექსიკონების საჭიროება, რამაც განაპირობა ტერმინების ინგლისურიდან პირდაპირ, ნაჩქარევად, შეუთანხმებლად გადმოღება. შეიქმნა მრავალი ლექსიკონი, რომელთა სრულად ვერც აღწერას ახერხებს სამეცნიერო წრე და ვერც განხილვას, თუმცა, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ამ სახის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ცნება-ტერმინთა შესაბამისობა სადავოა, ასე მივიღეთ განსხვავებული ტერმინები მეტალურგიაში, სამხედრო საქმეში, კავშირგაბმულობაში და სხვ. სწორედ ამგვარი ლექსიკონების მომრავლებამ საქართველოში გამოიწვია, ერთ მხრივ, უცხო სიტყვათა განუკითხავად შემოჭრა და

ქართული ტერმინების ჩანაცვლება, მეორე მხრივ, ერთი ცნებისთვის ოთხი ან, სულაც, მეტი განსხვავებული ტერმინის არსებობა. ცხადია, ასეთი სიჭრელე საფრთხეს უქმნის ენის მომავალს. ეს ტერმინები უკვე ენაშიც მკვიდრდება, გატერმინდება, რაც ენას ბუნებრიობას უკარგავს და საფრთხეს უქმნის“ (ქაროსანიძე, 2023, გვ. 405).

ტერმინოლოგიური პრობლემატიკის შესახებ საუბრობს ა. ხურცილავა, რომლის შეფასებით „ენაში უცხოენოვანი სიტყვა-ტერმინების ქაოსური სიჭრელე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომუშავე ცალკეული ტერმინოლოგიური ჯგუფები, მიზანმიმართული, ზოგჯერ გაუაზრებელი მცდელობა ტერმინების თვითნებურად დამკვიდრებისა მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც აღმოვჩნდით“ (ხურცილავა, 2018, გვ. 297). ერთ-ერთ გამოწვევად სახელდება ახალი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიმწირე. როგორც ა. მახარაძე მიუთითებს, „არ არსებობს ერთიანი ტერმინოლოგიის შექმნის დაკანონებული სისტემა. თარგმნისას ხშირად ტერმინები სუბიექტური შეხედულებისამებრ გამოიყენება და არ ხდება მათი ტერმინოსისტემაში გადამოწმება“ (მახარაძე, 2022, გვ. 91). ამიტომაც, მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პირობებში ტერმინების ჰარმონიზაცია აუცილებელია, თუმცა ქართულში ინგლისურიდან გადმოტანისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ენის ნორმების დაცვას. ნ. დათეშიძე ხაზს უსვამს, რომ „XX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან სამეცნიერო პროგრესმა პროფესიული ლექსიკონების შექმნა-შემუშავება და ტერმინოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი ქვედარგის, ჩამოყალიბება განაპირობა... ეს მოითხოვდა არამარტო დარგის სპეციალისტების შეთანხმებულ მუშაობას, არამედ ტერმინების შემუშავებასა და დადგენას ენათმეცნიერებთან ერთად, ქართული ენის ნორმების გათვალისწინებას“ (დათეშიძე, ახალი მიმართულებები თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, 2020, გვ. 145).

მიუხედავად ტერმინოლოგიური საქმიანობის პროცესში დაგროვილი გამოცდილებისა, დღემდე გამოწვევად რჩება ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის საკითხი. ტერმინოლოგიური შესატყვისების დადგენა და წყარო-სამიზნე ენებს შორის მათი დამოწმება ხანგრძლივ სამეცნიერო მუშაობას მოითხოვს. დღეს, როდესაც ქართულში იმატა ინგლისური ტერმინების უთარგმნელად, ტრანსლიტერაციის გზით

ან კალკირებული ფორმით გადმოტანამ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობა როგორც ლინგვისტიკის, ისე დარგობრივი სპეციალისტების მონაწილეობით. ამ პროცესის მხარდაჭერა ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან ხელს შეუწყობს მეცნიერების ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს IATE (ევროკავშირის საერთო ტერმინოლოგიური ბაზა)-ში დამკვიდრებული ტერმინებისათვის ნორმატიული ქართული ეკვივალენტების მოძიება და დამკვიდრება. (European Union, n.d.) პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ დღემდე გავრცელებულია არაერთი ნაკლებად სანდო ონლაინ ლექსიკონი, სადაც ტერმინთა შესატყვისები ხშირად ტრანსლიტერაციის გზითაა გადმოტანილი, ზოგჯერ საერთოდ არ ფიქსირდება სალექსიკონო ჩანაწერი, ან წარმოდგენილი ქართული შესატყვისი არ არის ზუსტი. ასეთ ვითარებაში ხშირია შეუსაბამობა ცნებასა და ტერმინს შორის, რაც ზრდის შეუთანხმებელი ტერმინების გავრცელების რისკს და საფრთხეს უქმნის ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის პროცესს. შედეგად, ზიანდება მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებიც, რომლებიც გლობალური ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებთანაა დაკავშირებული.

ტერმინოლოგიურ საკითხებზე საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ISO 704:2022(E) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერმინთა სტანდარტიზაციასა და ჰარმონიზაციას (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). დოკუმენტის თანახმად, ტერმინოლოგიური ჰარმონიზაცია მოიაზრება როგორც: 1) ცნებასა და ტერმინს შორის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ერთი ენის ფარგლებში; 2) ერთსა და იმავე ტერმინის იდენტური ინტერპრეტაცია სხვადასხვა ენებში. შესაბამისად, თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში აუცილებელია მკაფიოდ გვექონდეს წარმოდგენილი ISO 704:2022(E)-ის პრინციპები და IATE-ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რათა ეროვნული ტერმინოლოგია საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში განვითარდეს. ამრიგად, ISO 704:2022(E)-ზე დაყრდნობილი სისტემური მუშაობა

ერთადერთი რეალური გზაა, რომ ქართულმა ტერმინოლოგიამ გაუძლოს თანამედროვე გამოწვევებს და სრულფასოვნად ჩაერთოს მეცნიერების გლობალურ ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

საილუსტარციოდ, განვიხილოთ ტერმინის ჰარმონიზაციის მნიშვნელობა ეკოლოგიის, ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის დარგების რამდენიმე ტერმინის მაგალითზე. ფაქტია, რომ XXI საუკუნის ეკოლოგიური პრობლემები — ტყეების განადგურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, ნიადაგის ეროზია, კლიმატის ცვლილება და ეკოსისტემების მოშლა — მოითხოვს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე კოორდინირებულ და შეთანხმებულ მოქმედებას. ეკოლოგიური ტერმინოლოგია განსაკუთრებით რთული სისტემაა: ის მოიცავს მრავალ დარგს (ბიოლოგია, ქიმია, გარემოსდაცვითი მეცნიერებები, გეოგრაფია) და ქმნის ფართო ტერმინოლოგიურ ქსელს. ტერმინების სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია სანდო დეფინიციებზე, რომლებიც უნდა მოიცავდეს როგორც ლექსიკოგრაფიულ, ისე ონთოლოგიურ და კონცეპტუალურ აღწერებს. ეკოლოგიის სფეროს ტერმინოლოგიის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე რთულდება პოლისემიის, სინონიმისა და ომონიმის გამო. მართალია, მრავალი ტერმინი მონოსემიური ბუნებისაა, თუმცა საკმარისია თუნდაც რამდენიმე პოლისემიური ან სინონიმური ტერმინის არსებობა, რომ ეკვივალენტის შერჩევა სამიზნე ენაში კომპლექსურ ამოცანად და გამოწვევად იქცეს. მაგალითად, ეკოლოგიური ტერმინი *operation waste* ნათლად აჩვენებს ტერმინის პოლისემიურ ბუნებას და იმას, თუ როგორ შეიძლება იცვლებოდეს მნიშვნელობები ინტერპრეტაციული ჩარჩოების მიხედვით. *Operation waste* (IATE ID 1416729) განიმარტება როგორც: „სარწყავ სისტემაში მოხვედრის შემდეგ წყალსაშვებებიდან ან სხვა გზით დაკარგული/ფუჭად დაღვრილი წყალი“ (*the water wasted through spillways or otherwise discarded from an irrigation system after having been diverted into it*). <https://iate.europa.eu/search/result/1740170362870/1>. (Union, IATE – Interactive Terminology for Europe (Entry ID 1416729), 2025) IATE-ს სახელმძღვანელოს თანახმად, დეფინიციას უნდა ჰქონდეს ტერმინის ჩანაცვლების უნარი, იყოს მოკლე (ლაკინური) და ზუსტად ასახავდეს კონცეფციის ძირითად მახასიათებლებს. *Operation waste*-ის შემთხვევაში, მოცემული განმარტება ცხადად აღწერს ცნებას, თუმცა თვით

ტერმინი სემანტიკურად არ არის გამჭვირვალე. მისი უნებლიე ქართული თარგმანი ზუსტი განსაზღვრების ცოდნის გარეშე გამოიწვევს გაუგებრობას. მაგალითად, რომელია ზემოაღნიშნული ტერმინის ქართული ეკვივალენტი შემდეგი ვარიანტებიდან: „საოპერაციო ნარჩენი“, „საექსპლუატაციო ნარჩენი“ თუ „სამრეწველო ნარჩენი“? ტერმინოლოგიური ლექსიკონის მიხედვით *waste*-ის ქართული შესატყვისია „ნარჩენები“: <http://matsnedictionary.gov.ge/> „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-3 მუხლი ტერმინს განმარტავს ასე: „ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=16> (Dictionary, n.d). დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი *waste*-ს რამდენიმე მნიშვნელობას ასახავს: „1) ნარჩენები; ნაგავი (household waste – საყოფაცხოვრებო ნარჩენები; industrial waste – სამრეწველო ნარჩენები; toxic wastes – ტოქსიკური ნარჩენები);

2) გამოუყენებელი დანაკარგები საწარმოო პროცესში და მისთ.“
<https://dictionary.ge/ka/word/waste+I/> (ონლაინ-ლექსიკონი, n.d)

ამიტომ *waste* შეიძლება ნიშნავდეს როგორც ნაგავს, ისე საწარმოო დანაკარგს, რაც *operation waste*-ის ქართულ ენაზე გადმოტანისას ორაზროვნებას იწვევს. პრობლემა იმაშიც მდგომარეობს, რომ IATE ID 1416729 საკმარისად ვერ განასხვავებს *waste*-ის ზოგად და სპეციფიკურ მნიშვნელობებს, რის გამოც საჭირო ხდება ცალკეული ჩანაწერების მოძიება, სადაც ეს ინტერპრეტაციები კონტექსტის მიხედვით იქნება გამიჯნული. ტერმინის პოლისემიურობა ართულებს მის თანმიმდევრულ ინტერპრეტაციას გარემოსდაცვით და სამრეწველო კონტექსტებში. ამიტომ მნიშვნელოვანია განმარტებას თან ახლდეს გარე კონტექსტუალური წყაროები და საილუსტრაცია მაგალითები. მხოლოდ ამგვარი სიზუსტე უზრუნველყოფს ტერმინის ინტეგრაციას ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში.

განვიხილოთ რამდენიმე დარგობრივი ტერმინის Green AI, Green ICT და Green Tax ქართულ ენაში ადაპტაციის მაგალითი. ‘მწვანე ხელოვნური ინტელექტი’ Green AI (European Union, IATE – Interactive Terminology for Europe (Entry ID 3629466), n.d), რომელიც განისაზღვრება როგორც „ენერჯისა და ბუნებრივ რესურსებზე ნაკლებად

დამოკიდებული ხელოვნური ინტელექტი, რომელიც შექმნილია და გამოიყენება მისი გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად და გრძელვადიანი მდგრადობის მაქსიმიზაციის მიზნით,“ წარმოადგენს საინტერესო მაგალითს ქართული ტერმინშემოქმედებისთვის. ქართულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ზუსტი შესატყვისი ჯერეჯერობით არ იძებნება, თუმცა მტკიცებულებები მიუთითებს „მწვანე“-ს თანმიმდევრულ ინტერპრეტაციაზე ტექნოლოგიურ დარგებში. ქართულ აკადემიურ დისკურსში დამკვიდრებულია ტერმინები: მწვანე ეკონომიკა, მწვანე სამუშაო ადგილები, მწვანე შენობები, მწვანე ბიზნესი, რაც ქმნის ანალოგიური გაფართოების სანდო საფუძველს. ლექსიკოგრაფიულად ეს მიდგომა გამყარებულია Green ICT-ის/Green computing დამკვიდრებული ქართულენოვანი ეკვივალენტებით - მწვანე კომპიუტერული ტექნოლოგია და მწვანე საინფორმაციო ტექნოლოგია. „მწვანე კომპიუტერული ტექნოლოგია, მწვანე საინფორმაციო ტექნოლოგია (სწავლება ეკოლოგიურად უვნებელი კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნიკის შექმნისა და გამოყენების შესახებ) <https://techdict.ge/ka/word/green%20computing%7Cen/>. (ლექსიკონი, n.d.). შესაბამისად, რეკომენდებულია ტერმინს Green AI ქართულ ეკვივალენტად მივუსადაგოთ მწვანე ხელოვნური ინტელექტი ან მწვანე AI, რაც უზრუნველყოფს სემანტიკურ გამჭვირვალობასა და ტერმინის ჰარმონიზაციას.

Green Tax (European Union, IATE – Interactive Terminology for Europe (Entry ID 1178933), n.d) ტერმინთან დაკავშირებული სირთულეები უფრო კომპლექსურ დინამიკას ავლენს ქართულ სამრეწველო-ეკონომიკურ დისკურსში. იგი განისაზღვრება როგორც „გადასახადი, რომლის საგადასახადო ბაზისადაც გამოიყენება ფიზიკური ერთეული, რომელსაც დადასტურებულად აქვს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა.“ კონცეფცია მოიცავს ოთხ ქვეკატეგორიას: ენერგეტიკული, სატრანსპორტო, დაბინძურების და რესურსების გადასახადები. ქართული ლექსიკოგრაფიული წყაროები სტანდარტიზებულ ეკვივალენტს არ იძლევა, თუმცა ტექსტებში გვხვდება მრავალფეროვანი გამოყენება: *მწვანე გადასახადები, ეკოლოგიური გადასახადები, გარემოსდაცვითი გადასახადები*, ქვეკატეგორიებით: გადასახადი ენერგიაზე, გადასახადი ტრანსპორტზე, გადასახადი გარემოს დაბინძურებაზე, გადასახადი ბუნებრივ რესურსებზე. ამ ვარიანტებიდან *მწვანე*

გადასახადები გამოირჩევა სემანტიკური გამჭვირვალობით და IATE-ს ტერმინოლოგიასთან სრული თავსებადობით, რაც მის სტანდარტიზაციას ამართლებს, რადგან ტექნოლოგიურ დარგებში „მწვანე“-ს თანმიმდევრული გამოყენება ქმნის ადაპტირებული თარგმანის პრეცედენტს, რომელიც ხელს უწყობს სისტემურ ტერმინოლოგიურ გაფართოებას.

ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისთვის აუცილებელია გარკვეული პრინციპების დაცვა. უპირველესად, ტერმინის განმარტება უნდა ეფუძნებოდეს ჩანაცვლების პრინციპს, ანუ იყოს მოკლე, ცნების არსზე ორიენტირებული და ამარტივებდეს მის გაგებას. კონტექსტის შერჩევისას მნიშვნელოვანია, რომ იგი იძლეოდეს სანდო ინფორმაციას ტერმინის გამოყენების შესახებ, ხოლო დამოწმებისას უპირატესობა მიენიჭოს ოფიციალურ და რეცენზირებულ წყაროებს. ტერმინთან დაკავშირებული მონაცემები უნდა მოიცავდეს: განსაზღვრებასა და მის დამოწმებას, თავად ტერმინსა და მის წყაროს, ტერმინის ტიპს (მაგალითად: ფრაზა, აბრევიატურა, ფორმულა), გამოყენების კონტექსტს, კონტექსტის წყაროსა და განმარტებას. ასეთი სტრუქტურა ტერმინოლოგიური თარგმანის სისტემატიზაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს როგორც დარგობრივი ცნებების ღრმა გააზრებას, ისე მეცნიერების ინტერნაციონალიზაციას. IATE-ს მსგავსი ბაზებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქართული ტერმინები დამოწმდეს სანდო წყაროებითა და სტანდარტიზებული პროტოკოლით. კაბრეს აზრით, ტერმინოლოგიური მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს შეთანხმებულ და სტანდარტიზებულ ნორმებს, ხოლო ჩანაწერს, ტერმინის ეკვივალენტის გარდა, უნდა ერთვოდეს მისი წყარო, ტიპი, საჭიროების შემთხვევაში კომენტარი, გამოყენების კონტექსტი, ბიბლიოგრაფიული მითითებები და დეფინიცია (Cabré, 1999, p. 139)

სისტემური და თანმიმდევრული მუშაობისთვის აუცილებელია ყველა კრიტერიუმის შესრულება. ამასთანავე, ტერმინოლოგიური კვლევა საქართველოში უნდა გაძლიერდეს, გაიზარდოს სანდო დარგობრივი ლექსიკონებისა და მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობა, რათა ქართული ტერმინოლოგია ინტეგრირდეს გლობალურ სივრცეში. საქართველოში ტერმინოლოგიური სურათის შესწავლამ ცხადყო, რომ გლობალიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური კომუნიკაციის სწრაფი

პროგრესის ფონზე, ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის სირთულეების დაძლევა საჭიროებს როგორც საერთო ევროპულ ბაზებთან ინტეგრაციას, ისე ეროვნულ დონეზე მეთოდოლოგიურად ვერიფიცირებული და შეთანხმებული ტერმინოლოგიური კორპუსის ჩამოყალიბებას. ამ კორპუსში თითოეული ლექსიკური ერთეული უნდა იყოს წარმოდგენილი სრული ბიბლიოგრაფიული და კონტექსტუალური მონაცემებით, დარგობრივი კლასიფიკაციითა და ყველა შესაძლო პოლისემიური ვარიაციის ეკვივალენტური შესატყვისით. ასეთი ელექტრონული რესურსი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქართული ტერმინოლოგიის ხარისხს და გახდება ინოვაციური, მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმა. მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელებული კვლევები ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გამარტივებას და თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებს, უნივერსიტეტებს, მთარგმნელობით ცენტრებთან და კერძო სექტორთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გლობალური გამოწვევების თანმიმდევრულ კონცეპტუალიზაციასა და ქვეყნის მდგრად განვითარებას. ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები — მონაცემთა შეგროვებისა და აღწერის ჰარმონიზაცია, საძიებო სისტემების თავსებადობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება და ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომის გაფართოება — მნიშვნელოვანი პროგრესია. თუმცა, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ქმედითი ზომები, რომელთა მიღწევაც მხოლოდ დარგობრივი ცოდნისა და ლინგვისტური კომპეტენციის სინთეზით, ასევე ტერმინოლოგიურ საქმიანობაში ჩართული ყველა აქტორის შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობით იქნება შესაძლებელი.

1.6 თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და პერსპექტივები

გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებულად გამოიკვეთა ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის საჭიროება, რადგან სწორედ ეს პროცესი ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე დარგობრივ

ექსპერტებს შორის კომუნიკაცია იყოს შეუფერხებელი და მიზანმიმართული, თარგმანი იყოს ზუსტი და სანდო, მეცნიერულ ცოდნასა და მიღწევებს მიეცეს გლობალური აღიარება, ერთობლივი კვლევების შედეგები იყოს რელევანტური საერთაშორისო დონეზე, ცოდნა და საუკეთესო პრაქტიკა იყოს გაზიარებული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულმა საჭიროებებმა ტერმინოლოგია არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება ინტენსიურად მომდინარეობს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებიდან. ამ დროს, ენაში მასობრივად, ხშირად უკონტროლოდ შემოდის უცხო ტერმინოლოგია, რაც ქმნის ენობრივი ბალანსის რღვევის საფრთხეს. ამ პროცესის კონტროლისა და მართვისთვის აუცილებელია ტერმინოლოგიური პოლიტიკის გატარება, რომელიც უცხო ტერმინთა უკონტროლო გავრცელების საფრთხის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დღეს ქართულ ენაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში სავარაუდოდ, დარგობრივი ტერმინოლოგია მრავალი სირთულის წინაშე დგას. „თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა იქმნება ახალი დარგები, ამასთან, ითარგმნება ტექნიკური ხასიათის დიდძალი ლიტერატურა, ჩნდება ახალ-ახალი ტერმინები, მათ შორის, კალკირებული ფორმები ან პირდაპირ, უთარგმნელად გადმოტანილი; ხ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალური ლექსიკა ქართულ ენაში კალკირების პროცედურით მკვიდრდება და მაგალითად მოჰყავს mass culture - მასკულტურა, green revolution - მწვანე რევოლუცია, land-based missile - მიწისზედა ბაზირების რაკეტა, Rapid Deployment Force – სწრაფი რეაგირების სამხედრო ძალები და სხვ. იქვე დასძენს, რომ „ხშირად, თარგმნის პროცესში ტრანსკრიპცია და კალკირება ერთდროულად გამოიყენება. transnational – ტრანსნაციონალური; petrodollar – ნავთობდოლარი; miniskirt – მინიქვედაბოლო“ (ბერიძე, 2018, გვ. 91)

ზოგ შემთხვევაში ახალთან ერთად არსებობს ძველი ტერმინიც; ხშირად სტიქიური ხასიათი აქვს ამა თუ იმ დარგის შესაბამის ტერმინთა შესხებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ არ არის სრულად დამუშავებული, ჩამოყალიბებული ტერმინთა შერჩევისა და დამკვიდრების მექანიზმი (სალინაძე, 2022–2023, გვ. 339). ამასთან, მონოლინგუური დარგობრივი ლექსიკონები მწირია, ბილინგვურ ლექსიკონებში სპეციალიზებული ტერმინოლოგიურ ჩანაწერები ნაკლებად

გვხვდება, განმარტებები ზედმეტად ლაკონურია, თარგმანები დაუზუსტებელი და არასანდოა, საილუსტრაციო მასალა ან საერთოდ არ არის ან ნაკლებად არის წარმოდგენილი. ეს გარემოება ხელს უშლის ტერმინების ზუსტ ინტერპრეტაციას და შესაბამისად, მეცნიერული დისკურსის სიზუსტეს. აღნიშნული გამოწვევები განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ქართულ აკადემიურ სივრცეში, სადაც, მიუხედავად ტერმინოლოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილებისა, კვლავ რჩება სისტემური ხარვეზები. ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კვლევები ვერ აღწევს იმ ეფექტიანობას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ევროპული სტანდარტების პირობებში, რის შედეგადაც ტერმინოლოგიური პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება სრულფასოვნად ინტეგრირდეს გლობალურ სამეცნიერო სივრცეში. აქედან გამომდინარე, ტერმინოლოგიის განვითარება საჭიროებს უფრო ინტენსიურ და კოორდინირებულ პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებული იქნება დინამიკურ ლექსიკოგრაფიულ მუშაობაზე, კორპუსულ ანალიზზე, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქართული სამეცნიერო სივრცის სრულფასოვანი მონაწილეობა გლობალურ ინტელექტუალურ პროცესებში.

ტერმინოლოგიის თეორიული კონცეპტუალიზაცია განსაკუთრებით გააქტიურდა მაშინ, როდესაც სამეცნიერო კვლევაში გაჩნდა მეთოდოლოგიური პლურალიზმის მოთხოვნა და ცნებითი სისტემების აღწერის განსხვავებული გზების შეთავაზება. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ორი პარალელური მიდგომის ფორმირება: ერთის მხრივ, ვუსტერისეული პრესკრიპციული მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა სტანდარტიზაციის პრინციპს და მიზნად ისახავდა უნივერსალური ტერმინო-სისტემების შექმნას (Wüster, 1979); და მეორეს მხრივ, დესკრიფციული/აღწერითი, კოგნიტიური და დინამიკური მიმართულებები, რაც ტერმინოლოგიას წარმოაჩენს როგორც ცოცხალ, კონტექსტზე დამოკიდებულ და სოციოკულტურულად მარკირებულ პრაქტიკას (Temmerman, 2000) (L'Homme, 2020). ფეიბერი და როდრიგეზი (Faber & Rodríguez, Specialised knowledge representation in multilingual terminological resources, 2012) ხაზს უსვამენ იმ აუცილებლობას, რომ თანამედროვე ტერმინოლოგია უნდა ემყარებოდეს დარგობრივ კოგნიტურ მოდელებს, რომლებიც

ცნებებს განიხილავენ არა იზოლირებულად, არამედ მათ ფუნქციურ კონტექსტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ისეთი თეორიული მოდელების დანერგვა, რომლებიც ცნებებს განიხილავენ როგორც ცოცხალ, ქსელურ სტრუქტურებში ჩართულ ერთეულებს, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მათი ფუნქციური ურთიერთმიმართების და გამოყენების დინამიკის ანალიზის საფუძველზე (Temmerman, 2000). ამავე დროს, ტერმინი აღარ არის მხოლოდ ერთი ენის შიგნით კონცეპტუალური ერთეულის აღმნიშვნელი; ის უკვე უკავშირდება ტრანსლინგვისტურ და ტრანსკულტურულ ფენომენებს, რაც მას აძლევს მეტაფუნქციურ დატვირთვას - ტერმინი იქცა, მეტაენობრივ ხიდად მულტილინგვურ სამყაროში. ტერმინოლოგიამ შეიძინა მეტასისტემური ფუნქცია. ეს გადაფასება პირველ რიგში გამოწვეულია სამეცნიერო ინფორმაციის ე.წ. "ცოდნის ეკონომიკაში" გადანაცვლებით, სადაც ლექსიკური ერთეულების შერჩევა განსაზღვრავს არა მხოლოდ კომუნიკაციის ეფექტიანობას, არამედ ცოდნის შექმნისა და გავრცელების ალგორითმსაც (Sager, 1990).

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციამ არსებითად შეცვალა ტერმინოლოგიური მუშაობის პარადიგმა - როგორც მონაცემთა დამუშავების, ისე ტერმინთა წარმოშობის, დინამიკისა და გავრცელების დონეზე. ტრადიციული ტერმინოლოგიური საქმიანობა, რომელიც დიდწილად ეყრდნობოდა ექსპერტთა ანალიზს და დოკუმენტურ წყაროებს, თანდათან იძენს კორპუსულ, ალგორითმულ და ავტომატიზებულ ხასიათს. როგორც ლობჟანიძე აღნიშნავს „ბოლო წლების განმავლობაში ნებისმიერი სახის ტერმინოლოგიურ და ტერმინოგრაფიულ მუშაობას თან სდევს ტრადიციული მეთოდოლოგიებისა და მიდგომების გადააზრება და ახალი მიდგომების შემოღება, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ტერმინოლოგიური ბაზების მართვისა და ტერმინოგრაფიული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი დისციპლინების ზეგავლენა, როგორებიცაა კორპუსული და კომპიუტერული ენათმეცნიერება, რომელთა მთავარი პრიორიტეტია თეორიისა და პრაქტიკისადმი ახალი მიდგომების განვითარება“

(ლობჯანიძე, 2018, გვ. 132). თანამედროვე სისტემები, როგორცაა Sketch Engine¹⁶, TermSuite¹⁷, ეყრდნობა ტექსტური კორპუსების ავტომატურ დამუშავებას და ტერმინების ამოცნობას სტატისტიკური და ენათმეცნიერული მეთოდების სინთეზით (Daille, 2012). ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის (AI) საფუძველზე მოქმედი პლატფორმები, მაგალითად Congree¹⁸ ან DeepTerm¹⁹, ცდილობენ, ავტომატურად განასხვავონ ტერმინები საერთო მომხამრების ლექსიკისგან, განსაზღვრონ მათი კონტექსტური მნიშვნელობები და ცნებრივ სტრუქტურაში ჩააშენონ შესაბამის ადგილას (Tran, Martinc, Caporusso, Doucet, & Pollak, 2022).

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. თანამედროვე ტერმინოლოგიური სივრცე სულ უფრო მეტად ექვემდებარება ეთიკური სენსიტიურობის, სოციალური სამართლიანობისა და ინკლუზიური კომუნიკაციის მოთხოვნებს. ტერმინთა არჩევა და მათი სტანდარტიზაცია დღეს აღარ განიხილება მხოლოდ ლინგვისტურ ან ტექნიკურ დავალებად - იგი პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ღირებულებებს, კულტურულ კოდებსა და იდენტობის პოლიტიკას. ეს ტენდენცია განსაკუთრებულად გამოიკვეთა ისეთ სფეროებში, როგორცაა გენდერული ტერმინოლოგია, სამედიცინო კომუნიკაცია, უმცირესობებთან დაკავშირებული ლექსიკა და სოციალური პოლიტიკის ენობრივი გამოხატულება (Pauwels, 2020). ამ დროს ეთიკურად სენსიტიური ტერმინების ინტეგრირება ისე უნდა განხორციელდეს ტერმინოლოგიურ ბაზებში, რომ არ დაირღვეს დარგობრივი სიზუსტე და ცნებითი სიცხადე. ერთდროულად ორი საპირისპირო მიმართულება იკვეთება: ერთის მხრივ – ცოდნის გლობალიზაცია და მეორეს მხრივ, ეროვნული სპეციფიკის შენარჩუნება. ეს მიდგომა

¹⁶ თანამედროვე კორპუსლინგვისტური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალენოვანი კორპუსების საფუძველზე ლექსიკური ერთეულების სიხშირის, კოლოკაციების და თარგმანზე ორიენტირებული მონაცემების სისტემურ ანალიზს; ფართოდ გამოიყენება ლექსიკოგრაფიასა და ტერმინოგრაფიაში

¹⁷ ტერმინოგრაფიული პროგრამული პაკეტი, რომელიც სპეციალიზებული კორპუსებიდან ტერმინების ავტომატურ ამოღებას, ვარიაციების იდენტიფიკაციასა და მრავალენოვან ტერმინოლოგიურ რესურსთა შექმნას უზრუნველყოფს

¹⁸ ენობრივი ხარისხის უზრუნველყოფისა და ტერმინოლოგიის მართვის პლატფორმა, რომელიც ინტეგრირდება ტექსტის დამუშავების გარემოებთან და უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობას, სტილის ერთიანობასა და ტერმინოლოგიური ერთგვაროვნების კონტროლს.

¹⁹ კორპუსზე დაფუძნებული ტერმინოგრაფიული სისტემა, რომელიც ღრმა სწავლებაზე დამყარებული ალგორითმებით უზრუნველყოფს სპეციალიზებული ტერმინების ამოღებას, სემანტიკურ კლასიფიკაციასა და ტერმინოლოგიური რესურსების ავტომატურ გენერაციას.

აყალიბებს ახალ, პლურიცენტრულ ტენდენციებს, სადაც ტერმინოლოგია აღარ არის ერთი ცენტრალური მოდელის ქვეშ მოქცეული სივრცე, არამედ მრავალბირთვიანი ქსელი, რომელიც ქმნის ცოდნის წარმოებისა და გადაცემის ალტერნატიულ გზებს. სწორედ ამ ფონზე აქტიურდება ცოდნის ლინგვისტიკური დივერსიფიკაციის იდეა — ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ტერმინოლოგია არ არის მხოლოდ უნივერსალური სინტაქსის ფორმა, არამედ მრავალენოვანი მექანიზმი, რომელიც ასახავს კონკრეტული საზოგადოების ღირებულებებსა და ცნებით ლანდშაფტს (Depecker, 2005). ნებისმიერ შემთხვევაში, სტანდარტიზაცია წარმოადგენს უნივერსალურ მექანიზმს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ნებისმიერი დარგის განვითარებაში — იქნება ეს ინდუსტრია, განათლება, მედიცინა, ეკონომიკა, ტექნოლოგია თუ სხვა მიმართულება. განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის ინტენსიური პროცესი, დარგობრივი პროგრესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სწორედ ამ ტექნოლოგიების ეფექტიან დანერგვასა და გამოყენებაზე. ამ ვითარებაში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობას წარმოადგენს როგორც უსაფრთხოებისა და სანდოობის, ასევე ცოდნისა და ინოვაციების როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე გაცვლისთვის. სწორედ სტანდარტებზე დაფუძნებული მუშაობა უზრუნველყოფს ხარისხს და ამავდროულად ქმნის საერთო ენას, სხვადასხვა ქვეყნის, დარგისა და ინსტიტუციის წარმომადგენელთა შორის ეფექტიან კომუნიკაციის დასამყარებლად. მსოფლიოს ხალხთა შორის ფუნდამენტური ტერმინების უნივერსალური ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის საფუძველზე, რაც თავის მხრივ განვითარების, ურთიერთგაგებისა და გლობალური თანამშრომლობის ერთ-ერთი გარანტია. საერთაშორისო სტანდარტიზაციის ფონზე ქართულ ტერმინოლოგიურ სტანდარტიზაციაზე ყურადღების გავამახვილებისას ნ.დათეშიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო სტანდარტების ქართულ რეალობაში გადმოტანა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად დახვეწილი პროდუქტი მივიღოთ. როცა თითოეული ნაბიჯი დეტალურადაა გაწერილი, ხარვეზებიც ნაკლებია

შესრულებულ სამუშაოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეულ დარგს თავისი ტერმინოლოგია აქვს და ხშირად ენათმეცნიერების გარეშე გამოსცემენ ამა თუ იმ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს, ან ადგენენ და მხოლოდ შემდეგ მიმართავენ მათ, რის გამოც არაერთი ხარვეზი იჩენს თავს. სტანდარტების საშუალებით კი ნაწილობრივ მაინც მოგვარდება ეს პრობლემა. როდესაც ყველა საფეხური დაწვრილებით არის განსაზღვრული და მათზე დაყრდნობით წარიმართება მუშაობა, შედარებით ნაკლები იქნება უზუსტობა და ნამუშევარიც - ერთგვაროვანი და სისტემური“. (დათეშიძე, ლაფაური, მუხაშვილი, & ოსაძე, 2023, გვ. 88)

ამდენად, ტერმინების სტანდარტიზაცია მრავალმხრივი მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან ის ემსახურება შემდეგ მიზნებს:

1. საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პროფესიონალებს შორის შეუფერხებელი, ზუსტი და მიზანმიმართული კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს ცოდნის სწრაფ და ეფექტიან გაცვლას;

2. საერთაშორისო დარგობრივი თანამშრომლობის პროდუქტების გლობალური მნიშვნელობისა და პრაქტიკული გამოყენებადობის გაძლიერება, რითაც ტერმინოლოგია იქცევა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად საერთაშორისო გამოწვევების გადაჭრის პროცესში;

3. წყარო და სამიზნე ენებს შორის ტერმინების თანმიმდევრული, ზუსტი და სანდო თარგმანის უზრუნველყოფა, რაც თავიდან აგვაცილებს სემანტიკურ ბუნდოვანებას და განსხვავებულ ინტერპრეტაციებს;

4. დოკუმენტაციების სამართლებრივი, სამეცნიერო და ტექნიკური სანდოობა, რაც ტერმინოლოგიის განვითარებას უკავშირებს არა მხოლოდ ენობრივ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგრადობას.

თავი II . ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა, როგორც სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის შემუშავების მექანიზმი

2.1 ტერმინთა პოლისემია, სინონიმია და ომონიმია

ტერმინოლოგიური კვლევის თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ განისაზღვრება სპეციალიზებული ენის სისტემური ბუნება, რომლის სტრუქტურულ ერთეულად ტერმინი არა მხოლოდ ლექსიკური ფორმით, არამედ როგორც ცნებების ორგანიზების, გადაცემისა და სტანდარტიზებული კომუნიკაციის ინსტრუმენტად აღიქმება. ტერმინი მკაცრად მიბმულია განსაზღვრულ ცნებაზე და მისი ძირითადი ფუნქციაა ამ ცნების ზუსტი, ერთმნიშვნელოვანი რეპრეზენტაცია პროფესიულ გარემოში. თუმცა, რეალურ დისკურსში ხშირად იკვეთება ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური მოვლენები, როგორიცაა პოლისემია (მრავალმნიშვნელობიანობა), სინონიმია (სრულად ან ნაწილობრივ თანმხვდომი მნიშვნელობიანობა) და ომონიმია (ორი ან მეტი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის ბგერობრივი იდენტურობა), არღვევს ამ პრინციპს. აღნიშნული ფენომენები არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ დონეზეც მნიშვნელოვანი გამოწვევაა: ისინი ართულებენ როგორც ცოდნის სტრუქტურირებას და ტერმინების სტანდარტიზაციას, ისე ტერმინთა კოდიფიკაციას ლექსიკოგრაფიულ რესურსებსა და ტერმინოლოგიურ ბაზებში (Cabré, 1999) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) (Temmerman, 2000). შესაბამისად, ქვეთავი მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ფენომენების სისტემურ ანალიზს და მათი ზეგავლენის შეფასებას ტერმინოლოგიური სტაბილურობისა და სტანდარტიზაციის ჭრილში.

ლინგვისტურ პარადიგმაში პოლისემია განისაზღვრება როგორც ერთი ლექსიკური ერთეულის უნარი, რომელიც მრავალ ურთიერთდაკავშირულ მნიშვნელობას გამოხატავს (Lyons, 1995). იგი ბუნებრივად წარმოადგენს ენის ევოლუციური განვითარების შედეგს და განიხილება როგორც ლექსიკური დინამიკის ერთ-ერთი ფორმა. თუმცა, ტერმინოლოგიის დარგში პოლისემია განიცდის ფუნქციურ რეპერსპექტივას. აქ იგი აღიქმება არა როგორც ლინგვისტური სიმდიდრე, არამედ

როგორც ერთმნიშვნელობიანობის პრინციპის - მონოსემიურობის დამრღვევი ფაქტორი. ტერმინი, რომელიც დაკავშირებულია ერთზე მეტ სემანტიკურ შრესთან ვეღარ ასახავს ცნებას მხოლოდ ერთი მნიშვნელობის ფარგლებში და აჩენს ჰეტეროგენური ინტერპრეტაციის საფრთხეს. შედეგად, შესაძლოა დაირღვეს სპეციალიზებული კომუნიკაციის მთავარი პრინციპი — ცნების ზუსტი, უნივერსალური და სტანდარტიზებული გადმოცემა (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). საგულისხმოა, რომ პოლისემია განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს იმ დარგებში, სადაც ცნებითი სისტემები რეგულირებადი და დინამიკურია, მაგალითად ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიოეთიკა, სამართალი და სხვ. სადაც ტერმინს დროთა განმავლობაში ემატება დამატებითი ფუნქციური ან მეტაფორული შრეები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ პოლისემიური ტერმინები ტექნიკურ ტექსტებში წარმატებით რეგულირდება კონტექსტის მეშვეობით, სტანდარტიზაციის პროცესში ისინი მაინც საჭიროებენ მკაცრ დიფერენცირებასა და კოდიფიკაციას, რათა არ მოხდეს ცნებათა გადაკვეთა და პროფესიულ გარემოში გაუგებრობის წარმოშობა (Faber & León-Araúz, 2016).

ტერმინოლოგიური პოლისემია ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევად განიხილება სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის განვითარებისთვის. სტანდარტიზაცია ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთ ცნებას, ე.წ. მონოსემიურობის - ერთმნიშვნელობიანი კორელაციის მოთხოვნა (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). პოლისემიური ტერმინის არსებობისას კი ეს კორელაცია ირღვევა, რაც მრავალგვარ კომუნიკაციურ და პრაქტიკულ სირთულეს ქმნის: ართულებს ცნებების კლასიფიკაციას, აფერხებს თარგმნის პროცესში ტერმინთა ეკვივალენტურობის დადგენას, ხელს უშლის ინფორმაციული რესურსების ავტომატიზირებულ დამუშავებას და ხელსაყრელ პირობებს აჩენს ტერმინოლოგიური გაურკვევლობისთვის (Kageura, 2002). მაგალითად, ტერმინი „პლატფორმა“ საინფორმაციო ტექნოლოგიებში შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ოპერაციულ სისტემას, ისე ონლაინ სერვისს (მაგ. სოციალური მედიის პლატფორმა), ინჟინერიაში იგი წარმოადგენს ფიზიკურ კონსტრუქციას, რომელზეც განთავსებულია

დანადგარები, ხოლო პოლიტიკურ მეცნიერებებში შესაძლოა ნიშნავდეს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის სამოქმედო პროგრამას, პოლიტიკური მოთხოვნებს. ასეთი მრავალნიშნა გამოყენება, როდესაც ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა დარგობრივ სისტემაში დამოუკიდებლად ვითარდება, ქმნის პარალელურ სემანტიკურ ველებს. ამიტომ თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პოლისემიური ტერმინების გამოვლენა და მათი მკაცრი დიფერენცირება დეფინიციური, დარგობრივი და მეტამონაცემების საფუძველზე, რათა ცნება პროფესიულ გარემოში ერთმნიშვნელოვნად და თანმიმდევრულად აისახოს. (Fischer, 2010).

გავანალიზოთ ტერმინი „facility“, რომელიც ლექსიკური პოლისემიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. მისი სემანტიკური დიაპაზონი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ფიზიკური სივრცეების (ნაგებობა, ობიექტი, ტერიტორია, სათავსო ოთახი, ადგილი) აღნიშვნას, ისე ფუნქციურ დანიშნულებას, სერვისებს, და მეტაფორულ მნიშვნელობებს. ინსტიტუციურ კონტექსტებში facility ხშირად გულისხმობს სპეციალურად შექმნილ ინფრასტრუქტურას, მაგ.: medical facility (სამედიცინო დაწესებულება), research facility (კვლევითი დაწესებულება), military facility (სამხედრო ობიექტი), parking facility (ავტომანქანის სადგომი), correctional facility (გამასწორებელი დაწესებულება, ციხე). თუმცა, აქ მნიშვნელობა მხოლოდ ინფრასტრუქტურული შენობებით არ შემოიფარგლება. აქ მოიაზრება ის მომსახურება, ოპერაციები და ორგანიზაციული მექანიზმები, რომლებიც კონკრეტულ სივრცეში ხორციელდება. კერძოდ, residential treatment facility-ის ქართული ეკვივალენტია *სარეაბილიტაციო ცენტრი* სადაც ნარკოდამოკიდებულებს და ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს, სულით ავადმყოფებს და ა.შ. უტარდებათ სტაციონალური მკურნალობა. ამგვარად, ტერმინი ერთდროულად აღწერს როგორც მატერიალურ გარემოს, ისე მის ფუნქციურ დანიშნულებას. გარდა ამისა, facility გამოიყენება იმ დამატებითი სერვისებისა და ფუნქციების აღსანიშნავად, რომელთა მატერიალურ სუბსტრატს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაგ.: a bank account with an overdraft facility ნიშნავს საბანკო ანგარიშს, რომელსაც აქვს ოვერდრაფტის (სესხის

ერთ-ერთი სახეობა, რომელიც საფინანსო ინსტიტუტის მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტით განისაზღვრება) ფუნქცია.

ლექსიკოგრაფიული წყაროები ასახავს ამ მრავალმნიშვნელობიანობას. facility გვხვდება როგორც „დაწესებულება“, „შენობა“, „მოწყობილობა“, „შესაძლებლობა“, „სერვისი“ „სიადვილე“ და სხვ. ამგვარი სემანტიკური ქსელი მიუთითებს, რომ ტერმინი ერთდროულად აღწერს როგორც მატერიალურ რეალობას, ისე აბსტრაქტულ შესაძლებლობებს. ეტიმოლოგიურად, სიტყვა მომდინარეობს ლათინური facilitas-იდან („სიმარტივე“, „უნარი“), რაც მის დღევანდელ გამოყენებაში თვალსაჩინოდ აისახება: ისტორიული სემანტიკური ბირთვი („მარტივად შესრულება“) თანდათან გაფართოვდა და გადაიზარდა კონკრეტულ ინფრასტრუქტურასა და ორგანიზაციულ მომსახურებაში. აქედან გამომდინარე, მისი პოლისემიური ბუნება არა მხოლოდ ლექსიკური მრავალმნიშვნელობიანობის, არამედ სემანტიკური განვითარების ისტორიული შედეგაც არის. ამრიგად, facility-ის სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება ერთი ტერმინი სხვადასხვა დარგში ფუნქციური დანიშნულებისა და სემანტიკური აქცენტების შესაბამისად.

ტერმინოლოგიური პოლისემია შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ განსხვავებულ დარგებს შორის, არამედ ერთ კონკრეტულ სფეროშიც. იურიდიული დისკურსი ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა. მაგალითად, ტერმინი expulsion სამართლებრივ კონტექსტში მრავალფეროვან მნიშვნელობებს იძენს: იგი შეიძლება აღნიშნავდეს ორგანიზაციიდან გარიცხვას ან გათავისუფლებას, იძულებით გადასახლებას, დეპორტაციას, ასევე იურიდიული ძალით გამძევებას. მსგავსად, განსაკუთრებულად საინტერესოა ტერმინი bar, რომელიც იურიდიულ დომენში პოლისემიური მნიშვნელობების ფართო სპექტრს იძენს. ის შეიძლება აღნიშნავდეს: (1) ფიზიკურ ბარიერს, რომლის მიღმაც თავსდება სასამართლო ან სასჯელაღსრულებითი სივრცე; (2) პარლამენტის თემთა პალატის ბარიერს, სადაც დაშვებულნი არიან მხოლოდ მოწვეული პირები; (3) ციხის გისოსებს; (4) თავად სასამართლოს როგორც ინსტიტუციურ მთლიანობას; (5) ადვოკატთა კოლეგიას; (6) იმ ფაქტორს, რომელიც წყვეტს ან ანულირებს სამართლებრივ ძალას; (7) სამართლებრივ აკრძალვას; (8) მოპასუხის პროტესტს; და (9) სასამართლო პროცესის შეწყვეტას ან აღკვეთას.

ამგვარად, ერთი და იგივე ტერმინი ერთ სფეროში მრავალმხრივ სემანტიკურ დატვირთვას იძენს, რაც ნათლად ასახავს ტერმინოლოგიური პოლისემიის ფენომენის არსსა და მნიშვნელობას სპეციალიზებული ენის კვლევისათვის.

სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოაჩენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონტექსტუალური ანალიზი და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინება ლექსიკურ-სემანტიკური ეკვივალენტობის განსაზღვრისას. ამიტომაც არის, რომ ტერმინოლოგიური პოლისემიის მართვა მოითხოვს კარგად გააზრებულ სტრატეგიულ მიდგომებს, რომლებიც აერთიანებს როგორც დეფინიციურ სიზუსტეს, ისე კონტექსტზე მორგებულ დიფერენცირების მექანიზმებს. ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ტერმინის კონტექსტუალური დიფერენცირება, რომელიც ითვალისწინებს დარგობრივად სპეციფიკური დეფინიციების მკაფიო ფორმულირებას და იდენტიფიკატორების დამატებას ტერმინებთან, მაგ.: „პლატფორმა (IT)“ და „პლატფორმა (ინჟინერია)“. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში, მაგალითად IATE-ში, სადაც პოლისემიურ ტერმინებს მკაფიოდ აჯგუფებენ დარგების მიხედვით და ცნებების იერარქიული სისტემით ასხვავებენ. (García-Sierra, León-Araúz, & Faber, 2019). მეორე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არის მეტამონაცემებზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური სტრუქტურირება — აღნიშნული პრაქტიკა გულისხმობს თითოეული ტერმინის მახასიათებლების მონიშვნას სპეციალურ ველებში: დარგი, გამოყენების სფერო, იურიდიული სტატუსი, წყაროს ტიპი და ა.შ., რაც საშუალებას იძლევა ტერმინმა ერთმნიშვნელოვნად დაიკავოს ადგილი ცნებათა სისტემაში და აიცილოს პოლისემიურობით გამოწვეული დაბნეულობა (Standardization, ISO 26162-1:2019: Terminology work and terminology management — Part 1: Vocabulary, 2019). გარდა ამისა, პოლისემიის შემცირებას ხელს უწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ძირითადად არჩევს იმ ტერმინის ფორმას, რომელიც ცნებას ყველაზე მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს, ხოლო მნიშვნელობის დანარჩენ ვარიანტებს ან უგულებელყოფს, ან არასასურველად მიიჩნევს. საბოლოო ჯამში, პოლისემიის მართვა თანამედროვე ტერმინოლოგიაში გულისხმობს არა მხოლოდ ლინგვისტურ ინტუიციასა და ექსპერტულ შეფასებას, არამედ

ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აერთიანებენ კორპუსებს, ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებსა და ავტომატიზებულ ანოტაციას.

სინონიმია ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც ლექსიკური ერთეულების ურთიერთობა, როდესაც ორი ან მეტი განსხვავებული ფორმა გამოხატავს ერთი და იმავე ან სემანტიკურად ძალიან დაახლოებულ მნიშვნელობას (Cruse, 1986). ზოგადად, ენაში სინონიმია ფუნქციონირებს როგორც ბუნებრივი სტილისტური რესურსი, რომელიც გამდიდრებას და მეტყველების მოქნილობას უწყობს ხელს. თუმცა სპეციალიზებულ ლექსიკაში სინონიმია პრობლემატურად აღიქმება, რადგან იგი არღვევს ტერმინოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპს — „ერთი ცნება – ერთი ტერმინი“. ტერმინოლოგიური სინონიმია ხელს უშლის ცნებების მკაფიო დიფერენცირებას, ართულებს ცნებათაშორისი ურთიერთობების სისტემატიზაციას და წარმოშობს სირთულეებს როგორც ადამიანურ, ისე მანქანურ კომუნიკაციაში (Sager, 1990) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). განსაკუთრებით მწვავეა სინონიმური ტერმინების პრობლემა დისციპლინათაშორისი მიგრაციისას, როდესაც ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა დარგში განსხვავებული ტერმინით აღინიშნება, ან პირიქით — ერთი ტერმინი სხვადასხვა ცნებას აღნიშნავს. ამგვარი შემთხვევები ზღუდავს ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის შესაძლებლობებს, ზრდის მრავალმნიშვნელობიანობას და შესაძლოა იქცეს ტერმინოლოგიური ქაოსის წყაროდ, თუ არ განხორციელდა მიზნობრივი ნორმირება.

ტერმინოლოგიური სინონიმის წარმოშობა კომპლექსურ და მრავალფაქტორიან პროცესად უნდა განვიხილოთ, რომელიც მოიცავს როგორც ენობრივ, ისე სოციალურ, კულტურულ და პროფესიულ ფაქტორებზე დამოკიდებულ მექანიზმებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წყაროა თარგმანი, როდესაც ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი ტერმინის შესატყვისად სხვადასხვა მთარგმნელი, თარჯიმანი ან ინსტიტუცია ირჩევს განსხვავებულ ლექსიკურ ფორმას. მაგალითად, ტერმინის *recognition rate (in procedures for international protection)* ქართული შესატყვისი გვხვდება ორნაირად, როგორც „აღიარების მაჩვენებელი (საერთაშორისო დაცვის პროცედურებში)“ და „საერთაშორისო დაცვის აღიარების მაჩვენებელი“_ან კიდევ ტერმინი *sustainable development* ქართულად შეიძლება იქნას გადმოცემული

როგორც „მდგრადი განვითარება“, „გრძელვადიანი განვითარება“ ან „განვითარება მდგრადობის პრინციპებზე დაფუძნებით“, რაც ქმნის ლექსიკურ ვარიანტებს, რომლებსაც სემანტიკურად შესაძლოა მცირე განსხვავებები ჰქონდეთ, მაგრამ სტანდარტიზაციის დონეზე ტერმინის ჰომოგენურობას საფრთხეს უქმნის (Picht & Draskau, 1985). მეორე წყაროა რეგიონული და ენობრივი ვარიაცია, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მრავალენოვან დისციპლინებში — მაგალითად, ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში *attorney* და *solicitor*. მესამე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია დარგობრივი ავტონომია, ანუ როდესაც სხვადასხვა პროფესიული ჯგუფი ერთსა და იმავე ცნებას დამოუკიდებლად ან იდენტურ მნიშვნელობათა წრეზე ქმნის ტერმინს — ხშირად განპირობებულია კვლევითი ტრადიციებით, სამეცნიერო სკოლებით, ან ტექნოლოგიური მიდგომების სიმრავლით (Kude & Weiland, 2000). შედეგად იქმნება პარალელური ტერმინები, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეიძლება კონვენციური სახეც მიიღოს, თუმცა სტანდარტიზაციისთვის კვლავაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდეს, თუ არ განხორციელდა პრიორიტეტული ტერმინების მკაფიო არჩევანი და ნორმირება.

ტერმინოლოგიური სინონიმია ორაზროვანი და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც სხვადასხვა სახის ზეგავლენას ახდენს დარგობრივ კომუნიკაციაზე. ერთი მხრივ, იგი შეიძლება ჩაითვალოს ენობრივი მოქნილობის რესურსად, რომელიც ამდიდრებს დარგობრივ დისკურსს და ზრდის მის ადაპტაციურ შესაძლებლობებს განსხვავებული აუდიტორიის მიმართ - განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აქტუალურია სპეციალიზებული ცნებების პოპულარიზაცია ან მათი ინტეგრაცია საგანმანათლებლო სივრცეში (Cabré, 1999). ამ კონტექსტში, სინონიმიური ტერმინების არსებობა შეიძლება შეფასდეს როგორც საკომუნიკაციო მოქნილობის მაჩვენებელი. მაგალითად, ტერმინები „გენდერული თანასწორობა“ და „სქესთა თანასწორობა“ განსხვავებულ მეტაფორულ და ლექსიკურ აქცენტებს უსვამს ხაზს, რაც ავტორს საშუალებას აძლევს, მიმართოს სხვადასხვა აუდიტორიის ჯგუფებს. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ტერმინი *environmental tax*, რომელსაც ორი სინონიმი აქვს: *ecotax* და *green tax*. მათი ქართული ეკვივალენტებია: „გარემოსდაცვითი გადასახადები“ (Environmental Tax); „ეკოლოგიური გადასახადები“ (Ecological Tax) და

„მწვანე გადასახადები“ (Green Tax). IATE-ს ტერმინოლოგიური ჩანაწერის მიხედვით, ამ სამი ვარიანტიდან უპირატესობა ენიჭება ტერმინს *environmental tax*. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და ანალიტიკურ სტატიებში ეს ტერმინი სამივე ფორმის სახით გვხვდება, თუმცა საქართველოს კანონში „გერემოს დაცვის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი, 1996) გამოყენებულია ტერმინი „გადასახადები გარემოს დაცვის სფეროში“, რომელიც ნიშნავს გადასახადს „ფასიანი ბუნებათსარგებლობისა“ და „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოში დადგენილი გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და სხვა გადასახადებს“. ასევე სინონიმურია ტერმინები *reverse engineering* და *back engineering*. თუმცა ამ ტერმინს ქართულში მხოლოდ ერთი შესატყვისი აქვს „რევერსიული ინჟინერია“.

ტერმინის ფორმოზომიერ მრავალსახეობა ქმნის გარკვეულ საფრთხეს სტანდარტიზაციისთვის, რადგან ერთი და იმავე ცნების განსხვავებული ტერმინოლოგიური რეპრეზენტაცია არღვევს ტერმინოლოგიური ერთმნიშვნელობიანობის პრინციპს, ართულებს ლექსიკოგრაფიულ სისტემატიზაციას, ავტომატიზებულ თარგმნას და დოკუმენტაციის უნიფიცირებას. (Wright & Budin, 2001). სინონიმური ტერმინების არარეგულირებული თანაარსებობა ხშირად აღიქმება როგორც პროფესიული დაულაგებლობა ან ინსტიტუციური უთანხმოება, რაც აკნინებს დარგის ავტორიტეტს და საფრთხეს უქმნის პროფესიულ პასუხისმგებლობას. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ტერმინოლოგია სინონიმის განიხილავს როგორც მართვად პრობლემას, რომლის მიზანმიმართული ნორმირება აუცილებელია სისტემური სტაბილურობისა და პროფესიული ეფექტიანობის შესანარჩუნებლად. ტერმინოლოგიური სინონიმის ეფექტიანი მართვა მოითხოვს მრავალდონიან და სისტემურ ჩარჩოს, რომელიც ეყრდნობა როგორც პრინციპულ წესებს, ისე პრაქტიკულ მექანიზმებს. ერთ-ერთ ძირითად მეთოდად ითვლება პრეფერენციული ტერმინების განსაზღვრა (*preferred terms*), რაც მრავლობითი სინონიმური ერთეულიდან ერთი ფორმის სტანდარტულად აღიარებას გულისხმობს და დანარჩენების დაქვემდებარებულ, ნაკლებ რეკომენდირებულ ან არა რეკომენდირებულ ფორმებად განიხილავს (*non-preferred, deprecated terms*) - ეს

მიდგომა ფართოდ არის დანერგილი ისეთ საერთაშორისო ტერმინოლოგიურ რესურსებში, როგორებიცაა IATE, EuroTermBank და UNTERM (L'Homme, 2020). მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა დარგობრივი ტერმინოლოგიური შეთანხმებები, როდესაც სფეროს ექსპერტები შეთანხმდებიან ცნების ოპტიმალურ რეპრეზენტაციაზე და შემუშავდება ერთიანი სარეკომენდაციო ფორმა. ასეთ შეთანხმებებს, როგორც წესი, საფუძვლად უდევს კრიტერიუმები, როგორიცაა ტერმინის სიზუსტე, გამოყენების სიხშირე, ენობრივი გამჭვირვალობა და ტრადიციული დამკვიდრებულობა. მესამე, ინსტიტუციური ინსტრუმენტია ტერმინოლოგიური სტანდარტების ფორმალიზაცია ISO 704 და ISO 10241-ის მსგავსად, სადაც დეტალურადაა გაწერილი ტერმინის შერჩევის პროცედურები და მისი სემანტიკურ-სტრუქტურული მახასიათებლები. მეოთხე, ტექნოლოგიური მეთოდია ტერმინოლოგიურ სისტემებში ველების სტრუქტურირებული ინტეგრაცია (მაგალითად, preferred label, alternative label, hidden label), რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სწრაფად ამოიკნოს რეკომენდებული ფორმა და ამაცდროულად გაითვალისწინოს სინონიმური ვარიანტებიც საჭიროებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ომონიმის ლინგვისტურ ფენომენს, ის განსაკუთრებით გამოწვევას ქმნის ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. თუ ზოგად ენაში ომონიმია შეიძლება იწვევდეს დროებით გაუგებრობას, თუმცა კონტექსტი ჩვეულებრივ სწრაფად აწესრიგებს მნიშვნელობას, ზოგადლექსიკური სისტემისაგან განსხვავებით, სპეციალიზებულ ლექსიკაში ომონიმია აღიქმება როგორც გარკვეული საფრთხე, ვინაიდან იგი არღვევს ტერმინოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპს - ცნებათა მკაფიო დიფერენცირებას. იმ პირობებში, როდესაც ერთი და იგივე ტერმინოლოგიური ფორმა სხვადასხვა დარგში ან დარგის შიგნით სრულიად განსხვავებულ ცნებებს აღნიშნავს, იზრდება ინტერპრეტაციის ცდომილების რისკი, რაც პირდაპირ აისახება პროფესიული კომუნიკაციის სიზუსტეზე, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, სადაც შეცდომის ფასი მაღალია — სამართალი, მედიცინა, საინჟინრო ან სამხედრო საქმე. აღნიშნულ ვითარებაში, კონტექსტიც კი ხშირად ვერ ახერხებს ომონიმური ერთეულების ზუსტ დიფერენცირებას, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. სწორედ ამიტომ, ტერმინოლოგიური ომონიმია საჭიროებს მკაცრ კონტროლსა და

სტანდარტიზაციის პროცესში განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ცნებათა აღრევა და კომუნიკაციური გაუგებრობა (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) (Nuopponen, 2011). ომონიმიური ტერმინების დიფერენცირება ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ და კომპლექსურ ამოცანას წარმოადგენს. პოლისემიისგან განსხვავებით, სადაც ერთსა და იმავე ტერმინს სემანტიკურად დაკავშირებული მნიშვნელობები აქვს, ომონიმიის შემთხვევაში სრული სემანტიკური განშლას მოცემული, რაც ართულებს ინტერპრეტაციას და ამცირებს კონტექსტის მეშვეობით რეგულირების შესაძლებლობას. შესაბამისად, ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიაა დეფინიციის მეშვეობით მკაფიოდ გამოყოფა — ცნებები, რომლებიც ერთი და იმავე ლექსიკურ ფორმას იყენებენ, საჭიროებენ დარგობრივად სპეციფიკურ, მკაცრად დიფერენცირებულ განმარტებებს. მაგალითად, ტერმინოლოგიურ ბაზებში, როგორებიცაა IATE ან UNTERM, მსგავსი ტერმინები ხშირად ფიქსირდება დამოუკიდებელ ჩანაწერებად, რომელთაც თან ერთვის შიდა იდენტიფიკატორები (მაგ., IATE ID), დარგობრივი და სტატუსობრივი ტეგები (García-Sierra, León-Araúz, & Faber, 2019). მეორე მექანიზმია კონტექსტუალური მარკირება, რაც გულისხმობს ომონიმიური ტერმინების შესაბამის დარგობრივ გარემოში გაფორმებას დამატებითი მეტამონაცემებით (მაგ. „charge (physics)“ vs „charge (criminal law)“) ან აკრონიმით/კონცეპტუალური კოდით. მაგალითად, ტერმინი fabrication ნიშნავს ფალსიფიცირებას, გამოგონებას, გაყალბებას იურიდიულ დარგში მაშინ როცა ტექნიკურ სფეროში ის ნიშნავს: 1. წარმოება, დამზადება; metal fabrication ლითონკონსტრუქციების წარმოება; 2. მზა / სტანდარტული ნაწილებისაგან აწყობა. ომონიმიის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია ტერმინი race. ბიოლოგიის ქვედარგ ბოტანიკაში race (არსებითი სახელი/reis/) ნიშნავს გორგლისებრ ფესურას, რიზომს (ჯანჯაფილისა), მაშინ როცა ქვედარგ გენეტიკაში ის ნიშნავს რასას (ოდნავ განსხვავებული გენეტიკური ნიშან-თვისებების მქონე პოპულაცია სახეობის ფარგლებში); ქვესახეობას. ხოლო როგორც ტექნიკური ტერმინი race აღნიშნავს გარსაკრს, რგოლს (საკისრისა), ღარს, არხს, ხოლო სპორტში - რბოლას.

მესამე ეფექტური მიდგომაა სტრუქტურული დიფერენცირება, რომელიც გულისხმობს ტერმინის კომპოზიტურ გარდაქმნას - სიტყვათა თანწყობის, ფუძის შეცვლის ან დამატებითი განმსაზღვრელის მეშვეობით. ამგვარი მოდიფიკაცია, ერთი მხრივ, ამცირებს ფორმულირების სტანდარტულობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ზრდის ცნების ამოცნობის სიზუსტეს. საბოლოოდ, განვითარებული ტერმინოლოგიური პრაქტიკა მიმართავს ალტერნატიული ტერმინების შექმნას, რაც განსაკუთრებით ეფექტურია იმ დარგებში, სადაც ერთი და იმავე ფორმის ომონიმია დიდ გაუგებრობას ქმნის. ასეთ შემთხვევებში ახალი ტერმინის დამკვიდრება ხელს უწყობს ცნებათა მკაფიო გამიჯვნას და სტანდარტიზაციის მიზნების მიღწევას.

ტერმინთა პოლისემია, სინონიმია და ომონიმია წარმოადგენს იმ ლინგვისტურ-სტრუქტურულ სირთულეებს, რომლებიც არსებითად ზღუდავს ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ენაში ეს ფენომენები ხშირად განიხილება როგორც ლექსიკური სიმდიდრის, მეტყველების მოქნილობისა და კულტურული ნიუანსების გამოხატვის საშუალება, სპეციალიზებულ დისკურსში ისინი ფუნქციონირებენ როგორც დეზინტეგრაციული ფაქტორები, რომლებიც არღვევენ ტერმინთა შესაბამისობას ცნებებთან და საფრთხეს უქმნიან პროფესიულ კომუნიკაციას (Temmerman, 2000). პოლისემია ქმნის შიდა სემანტიკურ დაშლას, სინონიმია ზრდის ტერმინთა ვარიანტულობას, ხოლო ომონიმია აჩენს ინტერპრეტაციულ ორაზროვნებას ერთი ფორმის ფონზე განსხვავებული ცნებების გამო. საინტერესოა კაბრეს, მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლექსიკოგრაფიული პოლისემია მიჩნეულია ტერმინოლოგიურ ომონიმიად, როგორც ის აღნიშნავს, ტერმინოლოგიაში პოლისემია სრულიად განსხვავებულად განიხილება, ვიდრე ლექსიკოგრაფიაში. ტერმინოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პრინციპი, რომლის მიხედვითაც თითოეული სახელდება შეესაბამება ერთ კონცეპტს; თუმცა პრაქტიკაში ეს ერთმნიშვნელოვანი კავშირი ყოველთვის არ მყარდება. ტერმინის სემანტიკური მნიშვნელობა განისაზღვრება მხოლოდ მისი კავშირის საფუძველზე კონკრეტულ კონცეპტუალურ სისტემასთან. ტერმინის რომელიმე სპეციალურ დისციპლინასთან კუთვნილების იდენტიფიცირება გულისხმობს მის განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემაში მოთავსებას, რის შედეგადაც ის, რაც ლექსიკოგრაფიაში

პოლისემიად მიიჩნევა, ტერმინოლოგიაში ომონიმად იქცევა (Cabré, 1999, გვ. 108). კაბრე მიიჩნევს, რომ ტერმინოლოგია თითოეულ საგნობრივ კოდს სისტემად აღიქვამს, რომელიც განსხვავებულია სხვა სისტემებისგან და ამასთან ერთად ქმნის გლობალურ ენობრივ სისტემას. შესაბამისად, ნებისმიერი ტერმინი, რომელიც კონკრეტული დისციპლინიდან ანალოგიის საფუძველზე სხვა დისციპლინაში გადადის, ომონიმად მიიჩნევა. შედეგად, ომონიმთა რაოდენობა ზოგად ენაში ნაკლებია, ვიდრე ტერმინოლოგიაში, მაშინ როცა პოლისემია ყოველთვის უფრო მეტად არის გავრცელებული ლექსიკოგრაფიაში, ვიდრე ტერმინოლოგიაში.

ამ ფენომენების რეგულირება შეუძლებელია მხოლოდ ლექსიკალური წესებით; იგი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს, რომელთა ცენტრში დგას დეფინიციური მკაფიოობა, დარგობრივი კონსენსუსი, მეტამონაცემების ინტეგრაცია და ტექნოლოგიური ანოტაცია. სტანდარტიზაციის პროცესისთვის აუცილებელია, თითოეული ტერმინი განიმარტოს არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ კონცეპტუალურად, ფუნქციურად და დისციპლინარულადაც. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შეიქმნას ისეთი ტერმინოლოგიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ერთმნიშვნელოვან, საიმედო და ეფექტიან კომუნიკაციას სპეციალიზებულ, მრავალენოვან და ციფრულ სივრცეებში. სწორედ აქ იკვეთება ტერმინოლოგიური სამუშაოს მეთოდური ღირებულება - ის მოქმედებს არა მხოლოდ როგორც ლექსიკური რეგულატორი, არამედ როგორც კონცეპტუალური ჰარმონიზაციის მექანიზმი ცოდნის სფეროებს შორის.

2.2. კონცეპტუალური და დისციპლინური ეკვივალენტობის გამოწვევები ორენოვან სპეციალიზებულ ტერმინოლოგიაში

ორენოვანი ლექსიკოგრაფია ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური დარგია, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ ლექსიკოლოგიას, არამედ თარგმანის თეორიას, ტერმინოლოგიას, კულტურათმშორის კომუნიკაციასა და კოგნიტურ ლინგვისტიკას. მისი მთავარი მიზანი – ადეკვატური შესაბამისობის უზრუნველყოფა ორ ენასა და კულტურას შორის – ხშირად ხდება ენობრივ-კონცეპტუალურ შეზღუდვებში.

აღნიშნულ სირთულეთა ეპიცენტრში დგას ეკვივალენტობის ფენომენი, რომელიც ორენოვან ლექსიკონებში ვერ განიხილება როგორც მარტივი ფორმალური შესაბამისობა. ის მოითხოვს რთულ და დინამიკურ გადაწყვეტილებებს, რადგან განსხვავებული ენების სიტყვის ფონოლოგიური, სემანტიკური და კონცეპტუალური შრეები იშვიათად ემთხვევა. თანამედროვე თეორიებში ეკვივალენტობის პრობლემა განიხილება როგორც ინტერკულტურული და სოციოლინგვისტური დაბრკოლება, რომელიც გარდაუვლად აისახება ლექსიკოგრაფიულ დისციპლინაზე (Cabr , 1999) (Sager, 1990). ამიტომ, ეკვივალენტობა უნდა აღვიქვათ არა როგორც ლექსიკური ან თარგმნითი ერთეულების ზედაპირულ შესაბამისობა, არამედ როგორც მრავალგანზომილებიანი მექანიზმი, რომელიც მოითხოვს წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ლექსიკური ერთეულის პოტენციური შესატყვისის კომპლექსურ ანალიზს ენობრივი, კონცეპტუალური და დისციპლინური პარამეტრების ჭრილში. ეკვივალენტობის ფენომენის თეორიული საფუძვლები დაკავშირებულია თარგმანის კლასიკურ სკოლებთან, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორენოვანი ლექსიკოგრაფიის განვითარებაში და თარგმანის პროცესის სისტემურ გააზრებაში. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი თეორიული ხედვა ეკუთვნის რომან იაკობსონს, რომელმაც თარგმანის პროცესი დაყო სამ კატეგორიად: ინტრალინგვისტური თარგმანი — როდესაც ტექსტი აიხსნება იმავე ენაზე სხვა სიტყვებით ან სტრუქტურით. ინტერლინგვისტური თარგმანი — როდესაც ლექსიკური ერთეული გადადის ერთი ენიდან მეორეში და ინტერსემიოტიკური თარგმანი — როდესაც სიტყვიერი ტექსტი გადმოიცემა სხვა ნიშნების სისტემით, როგორცაა გამოსახულება, მუსიკა ან ჟესტი. იაკობსონის კლასიფიკაციამ (Jakobson, 1959) საფუძველი დაუდო ეკვივალენტობის როგორც მრავალგანზომილებიანი ცნების გააზრებას, რომელიც სცილდება სიტყვების პირდაპირ შესაბამისობას და მოითხოვს გამომსახველი საშუალებების შერჩევას, რომლებიც აზრსა და მნიშვნელობას უფრო ზუსტად გადმოსცემენ სამიზნე ენაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტრუქტურული და კულტურული ასიმეტრიები ხელს უშლის ფორმალურ შესაბამისობას.

ამ თეორიულ მიმართულებას ავითარებს ეუჟინ ნაიდა, რომელმაც ეკვივალენტობის ორი ძირითადი ტიპი გამოყო: ფორმალური და დინამიკური. მისი

განმარტებით, ფორმალური ეკვივალენტობა გულისხმობს თარგმანის ისეთ სტილს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს წყარო ტერმინის ლექსიკური წყობა, სინტაქსური სტრუქტურა და ტერმინოლოგიური ფორმა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტის სტრუქტურული და სემანტიკური სიმტკიცისთვის. მეორეს მხრივ, დინამიკური ეკვივალენტობა ფოკუსირდება იმაზე, როგორ აღიქმება ტექსტი სამიზნე ენის მომხმარებლის მიერ — აქ პრიორიტეტი ენიჭება შინაარსისა და აზრის ბუნებრივად და ფუნქციურად ადეკვატურ გადმოცემას, ვიდრე სიტყვასიტყვით სიზუსტეს (Nida & Taber, 1969). ეს დიფერენციაცია განსაკუთრებით აქტუალურია ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას, სადაც მუდმივად იჩენს თავს თეორიულ-პრაქტიკული დილემა: შენარჩუნდეს ტერმინის ფორმალური თანხვედრა, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურულ სიმეტრიას, თუ მიენიჭოს უპირატესობა ფუნქციურად ეფექტურ შესატყვისს, რომელიც რეალურად ეფექტიანია კომუნიკაციურ კონტექსტში და ადრესატისთვის ადვილად აღქმადია.

მოგვიანებით, ეკვივალენტობის საკითხი ფუნქციური და პრაგმატული პერსპექტივიდან გააზრებული იქნა ნორდისა და ჰაუსის ნაშრომებში, რომლებმაც თარგმანის პროცესში ყურადღება გაამახვილეს ისეთ გადამწყვეტ ფაქტორებზე, როგორიცაა კონტექსტი, ტექსტის ჟანრი და თარგმანის მიზნობრივი ფუნქცია (Nord, 1997) (House, 2015). მათი მიდგომის მიხედვით, თარგმანი აღარ განიხილება როგორც ორ ენას შორის ლექსიკური შესაბამისობის მექანიკური ტრანსფერი. პირიქით, თანამედროვე თარგმანის თეორია ეკვივალენტობას აღიქვამს როგორც ფუნქციურად მოტივირებულ პროცესს, სადაც შესატყვისის შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაზე, დისციპლინურ სფეროზე და სამიზნე აუდიტორიაზე. ამგვარად, ეკვივალენტობა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ პარალელიზმს, არამედ ფასდება თარგმანის ეფექტურობით, ადეკვატურობით და მიზნობრივი ფუნქციის შესრულების უნარით, რაც თარგმანის პროცესს გარდაქმნის სტრატეგიულ და კონტექსტზე მორგებულ აქტად.

ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე ენობრივ-სემანტიკური ასიმეტრიაა, ანუ შემთხვევები, როცა ერთი ენის ტერმინს მეორე ენაში პირდაპირი შესატყვისი არ აქვს. ეს განსაკუთრებით ვლინდება ისეთ სფეროებში,

როგორცაა სამართალი, ეკოლოგია, განათლება ან კულტურა, სადაც ცნებების გაგება და ინტერპრეტაცია განსხვავებულ კოგნიტურ მოდელებს ეფუძნება. მაგალითად, ინგლისური ტერმინი *privacy* ქართულად სრულფასოვან ეკვივალენტს ვერ პოულობს, რადგან პირადი ცხოვრების გაგება ქართულ სამართლებრივ და კულტურულ კონტექსტში სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული. იურიდიულ სფეროში *privacy* შეიძლება ნიშნავდეს: 1. საიდუმლოს, საიდუმლოებას, კონფიდენციალურობას; 2. კერძო ცხოვრებას, პირადი ცხოვრების ინტიმურობას, ინტიმურ სფეროს; 3. კერძო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. მაგრამ საინტერესოა რას გულისხმობს *პირადი ცხოვრება* სამართლებრივ ენაზე? „*პირადი ცხოვრება* - ევროსასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას, მის ხელშეუხებლობას, პირის უფლებას იცხოვროს ისე, როგორც მას სურს. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე მოიცავს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. თუმცა, სამართლებრივი სტატუსით, ეს არ არის „პირადი ცხოვრების“ ამომწურავი განმარტება, ის მოიცავს საკითხთა გაცილებით ფართო წრეს. უპირველეს ყოვლისა, პირადი ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას.“²⁰ (NPLG, n.d.) (კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2005) ხოლო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - „ადამიანის ერთ ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. პირადი ცხოვრების შემლახავი ზოგი ქმედებები (პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა, კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა, ბინის ან სხვა მფლობელობის

²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები = The European Court of Human Rights and Your Fundamental Rights : [ბროშურა / ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" ; შემდგ.: თამარ გაბისონია, მაკა გიომვილი ეკატერინე დარსანია სხვ. ; რედ.: მანანა კობახიძე, ვლადიმერ მკერვალიშვილი] - თბ., 2005

ხელშეუხებლობის დარღვევა და ა.შ.) დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით“²¹. (United Nations Development Programme, 2004)

ასეთ სიტუაციაში ლექსიკოგრაფს ორი გზა რჩება: 1. გამოიყენოს განმარტებითი თარგმანი (explicitation), როცა ტერმინის შინაარსი გადმოიცემა ინგლისურ დეფინიციასთან მაქსიმალური მიახლოებით. 2. შექმნას ახალი ტერმინი-შესატყვისი, რომელიც თანდათან დამკვიდრდება ტერმინოლოგიურ კორპუსში. ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას პრობლემას ხშირად ქმნის ისეთი ტერმინები, რომელთაც ერთ ენაში ფართო მნიშვნელობათა არეალი აქვთ, ხოლო მეორე ენაში მათი პირდაპირი შესატყვისი ან ძალიან ვიწროა, ან საერთოდ არ მოიძებნება. ზოგადად, რამდენად რეალისტურია ორი ენის ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა სრული ეკვივალენტობა? შეიძლება თუ არა, რომ ინგლისური სიტყვების სემანტიკური მოცულობა სრულად შეესაბამებოდეს მათი ქართული ეკვივალენტების მნიშვნელობას? პასუხი მარტივია - პრაქტიკულად შეუძლებელია სრული ეკვივალენტობის მიღწევა ლექსიკური ერთეულის სრული პოლისემიური სტრუქტურის დონეზე. ერთ ენაში არსებული პოლისემიური სიტყვა სხვა ენაში ვერ ფლობს იმავე რაოდენობისა და იმავე სახის მნიშვნელობებს; მათი სრული სემანტიკური დამთხვევის აღბათობა ძალზე დაბალია, რაც ენობრივი სისტემების განვითარების ზოგად კანონზომიერებას წარმოადგენს. ტერმინოლოგიაში, სადაც მონოსემიურობის პრინციპი მკაცრად დაცული უნდა იყოს, ერთი შეხედვით ეკვივალენტობა ნაკლებ პრობლემას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ასე არ არის.

ასეთ სიტუაციაში ლექსიკოგრაფები ხშირად მიმართავენ ნეიტრალიზაციას ან პერიფრაზირებას — ტერმინის შინაარსის ახსნით გადმოცემას. მართალია, ეს მიდგომა ამცირებს ტერმინის სიზუსტეს, მაგრამ ინარჩუნებს მის ძირითად კონცეპტუალურ შინაარსს. სწორედ ამიტომ, ორენოვანი ლექსიკონის შექმნა მოითხოვს არა მხოლოდ ლინგვისტურ არამედ სოციოკულტურულ ცოდნასაც, რათა პროფესიულ კომუნიკაციაში თავიდან იქნეს აცილებული ტერმინოლოგიური შეუთავსებლობა და გაუგებრობა (Faber & León-Araúz, 2016).

²¹ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-ვა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

სპეციალიზებულ ტერმინოლოგიაში ეკვივალენტობის საკითხი განსაკუთრებით რთულდება, რადგან აქ საუბარია არა მხოლოდ სიტყვების, არამედ მკაცრად განსაზღვრული ცნებების შესაბამისობაზე. ტერმინი, როგორც კონკრეტულ დარგზე მორგებული ლექსიკური ერთეული, ასახავს კონცეპტუალურ სტრუქტურას, რომელიც ამავე დარგის შიგნით იქმნება და ფუნქციონირებს. ამიტომაც შესაძლებელია, რომ ორ ენაში ტერმინები ფორმალურად ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ განსხვავებულ ცნებით სფეროს მიეკუთვნებოდნენ. ასეთ შემთხვევაში გვხვდება ე.წ. ცრუ ეკვივალენტობა (*false equivalence*) — ვითარება, როდესაც ტერმინები ზედაპირულად სემანტიკურად მსგავსად გამოიყურებიან, თუმცა მათი რეალური მნიშვნელობა განსხვავებულია. მაგალითად, ტერმინი *constitution* ქართულად ხშირად ითარგმნება როგორც „კონსტიტუცია“, მაგრამ ეს შესატყვისი სწორია მხოლოდ იურიდიულ კონტექსტში. მედიცინაში იგივე სიტყვა სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს და ადამიანის ფიზიოლოგიურ აგებულებას აღნიშნავს („კონსტიტუციური აგებულება“). ასეთი შემთხვევები ნათლად აჩვენებს, რომ ორენოვან ლექსიკონებში ეკვივალენტობის დამყარება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ სიტყვათა ზედაპირულ მონაცემებს აუცილებელია ტერმინის კონცეპტუალური ანალიზი და დარგობრივი განსხვავებების გათვალისწინება, რათა თავიდან ავიცილოთ მნიშვნელობის დამახინჯება და პროფესიულ კომუნიკაციაში გაუგებრობა.

თანამედროვე ტერმინოლოგიაში მთავარი ყურადღება გადატანილია კონცეპტუალური ეკვივალენტობის პრინციპზე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტერმინების შესაბამისობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სიტყვათა ფორმალური მსგავსებით, არამედ ცნების შინაარსის, განსაზღვრების, კლასიფიკაციისა და ფუნქციური როლის გათვალისწინებით (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). ამიტომ ლექსიკოგრაფს მოეთხოვება, გამოიყენოს სპეციალიზებული წყაროები - ტერმინოლოგიური ბაზები, ექსპერტების მიერ დამკვიდრებული დეფინიციები და საერთაშორისო სტანდარტები, რათა შეარჩიოს ისეთი შესატყვისი, რომელიც ზუსტად პასუხობს პროფესიული კომუნიკაციის საჭიროებებს.

მულტილინგვურ და მრავალპროფილურ გარემოში ეკვივალენტობის მიღწევა ხშირად მოითხოვს სტრატეგიულ მიდგომებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ისეთ პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებში, როგორცაა Terminology without Borders²². სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის ამ ერთიან ელექტრონულ სივრცეში ეკვივალენტობის პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. ყველაზე გავრცელებულია: ექსპლიციტაცია – ტერმინის მნიშვნელობის დამატებითი განმარტებით გადმოცემა; განზოგადება – უფრო ზოგადი ტერმინის შერჩევა; მოდულაცია – ფორმულირების გარდაქმნა ისე, რომ შინაარსი შენარჩუნდეს; პერიფრაზირება – აზრის გადმოცემა სხვა სიტყვებით; და საჭიროების შემთხვევაში – ნეიტრალიზაცია, როცა ტერმინი შერბილებული ან ნაკლებად სპეციფიკური ფორმით ითარგმნება. მაგალითად, ინგლისური ტერმინი *just transition* — რომელიც ევროპის მწვანე პოლიტიკის ფარგლებში აღნიშნავს ეკონომიკური გარდაქმნების პროცესს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვით - ქართულად IATE-ს ბაზაში (IATE ID 3543067) გადმოცემულია როგორც „სამართლიანი გარდამავალი პროცესი“ (European Union, Interactive Terminology for Europe (IATE), n.d.). ეს თარგმანი მოიცავს წყარო ტერმინის ძირითად შინაარსობრივ ელემენტებს, თუმცა მაინც ვერ ასახავს მის სრულ კონცეპტუალურ მოცულობას, რადგან ტერმინი შეიცავს შიდა პოლიტიკის დისკურსის კომპონენტებსაც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენებულია ექსპლიციტაცია - ანუ მნიშვნელობის დამატებითი განმარტებით გადმოცემა, რაც თარგმანს უფრო გამჭვირვალეს ხდის, თუმცა საბოლოო გააზრებისთვის დამატებით კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას მაინც საჭიროებს.

კიდევ ერთი მაგალითია ტერმინი *green deal*, რომელიც ხშირად ითარგმნება როგორც „მწვანე შეთანხმება“ (IATE ID 3553576). (European Union, Interactive Terminology for Europe (IATE), n.d.) ეს თარგმანი ფორმალურად სწორად ჟღერს, თუმცა კონცეპტუალურად ვერ ასახავს ინიციატივის სრულ სიღრმეს, რადგან მასში ეკონომიკური, კლიმატური და სოციალური კომპონენტებიცაა ნაგულისხმები. ასეთ

²² **Terminology without Borders** არის ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს მრავალენოვანი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. პროექტი ეფუძნება IATE-ს მონაცემთა ბაზას და მიზნად ისახავს ტერმინოლოგიის ჰარმონიზებას, თემატური მინი-გლოსარიუმების შექმნასა და ექსპერტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

შემთხვევაში ლექსიკოგრაფიული სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ პერეფრაზირება - ანუ ტერმინის შინაარსის გადმოცემა სხვა სიტყვებით ისე, რომ მისი ძირითადი არსი მკაფიოდ გამოჩნდეს. მაგალითად, უფრო ზუსტი შესატყვისი შეიძლება იყოს „გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ინიციატივა“, რომელიც ტერმინის მნიშვნელობას უფრო ფართო კონტექსტში წარმოაჩენს.

ასევე მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევები, როცა ტერმინი საერთოდ არ არსებობს სამიზნე ენის ლექსიკურ სისტემაში. მაგალითად, ინგლისური ტერმინი *levelling up* (IATE ID 3917272) (European Union, Interactive Terminology for Europe (IATE), n.d.) ბრიტანეთის პოლიტიკურ დისკურსში აღნიშნავს რეგიონებს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების პროცესს. ქართულში ეს ტერმინი IATE-ის მონაცემთა ბაზაში თარგმნილია როგორც „რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების შემცირების პოლიტიკა“ (European Union, Interactive Terminology for Europe (IATE), n.d.) ასეთ ვითარებაში ლექსიკოგრაფი მიმართავს განმარტებით თარგმანს, ანუ ტერმინის შინაარსის ახსნით გადმოცემას. ამ სტრატეგიის გამოყენებით იქმნება ისეთი შესატყვისი, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს ზუსტად გაიგოს ტერმინის არსი მაშინაც კი, როდესაც ზუსტი ლექსიკური ეკვივალენტი არ არსებობს.

ეს მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური ბაზებიც კი ვერ უზრუნველყოფენ უნივერსალურ ეკვივალენტურ სისტემას. ასეთ რესურსებს სჭირდებათ მოქნილი გამოყენება, რათა გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ ენათა სტრუქტურული მრავალფეროვნება, არამედ სხვადასხვა დარგის ცნებითი სისტემების თავისებურებებიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ტერმინოლოგიური შესაბამისობის პრაქტიკული და კონტექსტუალურად მართებული უზრუნველყოფა.

ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე რთული დაბრკოლება კულტურულ მარკირებულობას უკავშირდება. ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება — ის ერთდროულად კულტურის მატარებელიცაა. ცნებების ჩამოყალიბება, ტერმინების მნიშვნელობა და მათი გამოყენების წესები განსაზღვრულია სოციალური რეალობით, ტრადიციებით, ისტორიული

გამოცდილებითა და ღირებულებათა სისტემით. ამიტომაც ზოგი ტერმინი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული ენის კულტურულ ფონთან, რომ მათი ზუსტი ეკვივალენტების პოვნა სხვა ენაში თითქმის შეუძლებელია. სწორედ ასეთ შემთხვევებს ვუწოდებთ უნიკალურ კულტურულ კონცეპტებს. მაგალითად, ტერმინი *ombudsman*, რომელიც სკანდინავიურიდან არის შემოსული და აღნიშნავს მოქალაქეთა უფლებების დამცველს საჯარო სამსახურებში, ქართულად ჩვეულებრივ ითარგმნება ფუნქციური ანალოგის პრინციპით - „სახალხო დამცველი“. თუმცა, მიუხედავად ამ მსგავსებისა, ორ ტერმინს განსხვავებული სამართლებრივი, ინსტიტუციური და კულტურული კონტექსტი აქვს, რის გამოც მათი ეკვივალენტობა მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი შემთხვევები წარმოადგენს ტრანსლინგვალური უთანაბრობის კლასიკურ მაგალითს, როდესაც ცნება მყარად არის ფესვგადგმული იმ სოციალურ სტრუქტურაში, რომელიც სხვა ენის კულტურულ რეალობაში საერთოდ არ არსებობს (Newmark, 1988).

კულტურულად მარკირებული ტერმინების გადმოცემა ორენოვან ლექსიკონებში მხოლოდ სიტყვით გადმოტანით ვერ შემოიფარგლება. ასეთ შემთხვევაში ხშირად საჭიროა დამატებითი ანოტაციები, შინაარსობრივი გაფართოება ან განმარტებითი შენიშვნები, რათა მკითხველმა შეძლოს ტერმინის სრული კულტურულ-ფუნქციური მნიშვნელობის გააზრება. ამგვარად, ეკვივალენტობის პრინციპი აქ აღარ ეყრდნობა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობას, არამედ გადადის კოგნიტურ დონეზე, სადაც გადამწყვეტია არა სიტყვის ზედაპირული შესაბამისობა, არამედ მისი მნიშვნელობის სიღრმისეული გააზრება.

თანამედროვე ორენოვანი ლექსიკოგრაფიის პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ ეკვივალენტობის დადგენა აღარ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ლექსიკური შესაბამისობის ტექნიკურ ამოცანად. ეს უფრო მრავალფაქტორული პროცესია, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს კონტექსტი, დარგობრივი სპეციფიკა და მეტამონაცემებით გამდიდრებული გარემო. მეტამონაცემები, როგორცაა დარგის მითითება, წყაროს ტიპი, დეფინიცია, გამოყენების მაგალითი, იურიდიული სტატუსი ან გეოგრაფიული რეგულაცია - ქმნის ჩარჩოს, რომლის გარეშეც ტერმინის ეკვივალენტობა მხოლოდ ზედაპირულ, ფორმალურ-გრამატიკულ დონეზე რჩება და

კარგავს სიღრმისეულ სიზუსტეს. IATE-ს სტრუქტურა თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ მიდგომის პრაქტიკულ მნიშვნელობას. პლატფორმა თითოეული ტერმინის გვერდით უთითებს არა მხოლოდ მის დეფინიციას, არამედ დამატებით მონაცემებსაც - დარგობრივ კოდს, ტექსტის ტიპს, ენობრივ წყაროს, კონტექსტუალურ/საილუსტრაციო მაგალითებს და ზოგ შემთხვევაში ვიზუალურ განმარტებებსაც. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა, ერთი და იგივე ტერმინის სხვადასხვა დარგობრივი ვარიანტი სწორად განვასხვავოთ და შესაბამის კონტექსტში მოვარგოთ. მაგალითად, ტერმინი *pooling of resources* (IATE ID 2243801) ეკონომიკის, თავდაცვისა და სოციალური პოლიტიკის სფეროებში სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, IATE ქართულად გვთავაზობს რამდენიმე შესატყვისს — „რესურსების გაერთიანება“, „ინტეგრირებული დაფინანსება“ და „თანადაფინანსების მექანიზმი“, რომლებიც დარგობრივი მარკერების მიხედვით არის განსაზღვრული (European Union, Interactive Terminology for Europe (IATE), n.d.).

ტერმინოლოგიური ერთეულის სწორი შესატყვისის შერჩევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის წარმოდგენილია მდიდარი და მრავალმხრივი მეტამონაცემებით. სწორედ ეს მონაცემები აძლევს ლექსიკოგრაფს საშუალებას განსაზღვროს, არის თუ არა შესატყვისი ზუსტი კონკრეტულ დარგში, შეესაბამება თუ არა სამართლებრივ სტანდარტს ან თავსებადია თუ არა ინსტიტუციურ ჩარჩოსთან. ამიტომაც, ლექსიკოგრაფიული ეკვივალენტობის მაღალი ხარისხის მისაღწევად, თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქცა მეტამონაცემების სისტემატური გამოყენება (L'Homme, 2020).

ეკვივალენტობის ფენომენის ანალიზი ორენოვანი ლექსიკოგრაფიის კონტექსტში ნათლად აჩვენებს, რომ ის ბევრად სცილდება სიტყვათა ფორმალურ თანხვედრას და გადადის კონცეპტუალურ, დისციპლინურ და კულტურულ სიბრტყეში. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკვივალენტობის დადგენა ყოველთვის მოითხოვს მიზნობრივი კონტექსტის გათვალისწინებას, დარგობრივ კოდიფიკაციას, მეტამონაცემებზე დაყრდნობას და ფუნქციური შესაბამისობის მისაღწევად სტრატეგიულ მიდგომებს. ამიტომაც, ორენოვანი ლექსიკონების შედგენა, განსაკუთრებით სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის

ფარგლებში, საჭიროებს ინტერდისციპლინურ კომპეტენციას, რომელიც აერთიანებს ლექსიკოგრაფიას, თარგმანის თეორიას, ტერმინოლოგიასა და კულტურათმორის კომუნიკაციას.

მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ბაზების მაგალითი ცხადყოფს, რომ ეკვივალენტობის მიღწევა პრაქტიკაში შესაძლებელია მხოლოდ სემანტიკური სტრატეგიების მოქნილი და ფუნქციურად მორგებული გამოყენებით. შედეგად ყალიბდება არა აბსოლუტური, არამედ კონტექსტუალურად გამართლებული ეკვივალენტობა. ეს მიდგომა უარყოფს პირდაპირი და სწორხაზოვანი ჩანაცვლების პრაქტიკას და პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს ცნებითი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობა ვეღარ ეყრდნობა მხოლოდ ლინგვისტურ პარალელებს; იგი უნდა ეფუძნებოდეს მრავალშრიან კონცეპტუალურ ანალიზს, რაც თანამედროვე სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

2.3 მეტამონაცემების როლი ტერმინთქმნადობის პროცესში

თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება მეტამონაცემები, რომლებიც ტერმინთა შექმნის, დიფერენცირების და სტანდარტიზაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ცნება „მეტამონაცემები“ თავდაპირველად საინფორმაციო მეცნიერებების დისკურსში გაჩნდა და განისაზღვრა როგორც „მონაცემები მონაცემთა შესახებ“ (Day, 2001). თუმცა, ტერმინოლოგიის სფეროში მათი ფუნქციური სპექტრი მნიშვნელოვნად ფართოვდება: მეტამონაცემები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკურ-კლასიფიკაციური დანიშნულებით, არამედ გვევლინება სემანტიკური კონტროლის, კონტექსტუალური ინტერპრეტაციისა და ტექნოლოგიური სტანდარტიზაციის საფუძვლად (Gilliland-Swetland, 2000). მეტამონაცემები ტერმინს ანიჭებს დამატებით ცნებით შრეებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი ზუსტი მნიშვნელობა, წყარო, გამოყენების სფერო და ავტორიზაციის დონე. შედეგად, ტერმინოლოგიური ერთეული არა მხოლოდ შიდა ლოგიკის გამჭვირვალობას იძენს, არამედ სხვადასხვა

დარგობრივ სისტემაში ფუნქციურ თავსებადობასაც. ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაშიც აშკარად ჩანს, რომ სრულყოფილად აღწერილი მეტამონაცემები ტერმინს სანდოობას და დოკუმენტურ ღირებულებას ანიჭებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს პროცესი არასაკმარისად ხორციელდება (ხურცილავა, 2018).

მეტამონაცემები ტერმინის ის მახასიათებელია, რომელიც საშუალებას აძლევს მას სრულფასოვნად არსებობდეს არა მხოლოდ ერთ ენაში, არამედ სხვადასხვა დარგსა და ინსტიტუციურ სისტემაში. თუ ტერმინს ასეთი მონაცემები არ ახლავს, იგი მხოლოდ სიტყვიერ ერთეულად რჩება და ვერ ასახავს მის უკან მდგომ ცნებას. მეტამონაცემების არსებობა კი ტერმინს სიღრმეს მატებს: განსაზღვრავს მის მნიშვნელობას, წყაროს, გამოყენების არეალსა და სტატუსს. სწორედ ამ დამატებითი შრეების წყალობით ხდება შესაძლებელი ტერმინების ერთმანეთთან შედარება, მათი სისტემატიზაცია და სტანდარტიზებული გამოყენება მრავალენოვან გარემოში (Cabré, 1999) (L'Homme, 2020).

მეტამონაცემების მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად ჩანს საერთაშორისო ტერმინოლოგიურ პლატფორმებში, როგორცაა IATE, EuroTermBank, UNTERM და სხვა. ამ ბაზებში ტერმინოლოგიური ერთეულები წარმოდგენილია არა მხოლოდ ლექსიკური პარალელებით, არამედ მრავალშრიანი მეტამონაცემებით, რაც სისტემას საშუალებას აძლევს გაარჩიოს სინონიმური და ომონიმური ვარიანტები, განსაზღვროს დარგობრივი სპეციფიკა, შეაფასოს სანდოობა და დაადგინოს ვარიაციები. სწორედ ამიტომ, ასეთ ბაზებში მეტამონაცემები ტერმინოლოგიური სისტემებისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ ატრიბუტს, არამედ მათ ცნებითი და ფუნქციური დატვირთვაც აქვთ, რაც მათ აქცევს ტერმინქმნადობის პროცესის აუცილებელ სტრუქტურულ ელემენტად (Faber & León-Araúz, 2016). ქართულ პრაქტიკაშიც მრავალი მაგალითი მოწმობს, რომ ტერმინს მეტი სანდოობა და ეფექტიანობა ენიჭება მაშინ, როდესაც ტერმინის აღწერას თან ახლავს წყაროს მითითება, ავტორიზებული სტრუქტურის დასახელება ან სხვა ტიპის დამადასტურებელი მონაცემი, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტერმინების ეფექტიან გამოყენებას, სტანდარტიზაციასა და ინტერპრეტაციას როგორც სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციულ და სამართლებრივ კომუნიკაციაში.

ტერმინოლოგიაში მეტამონაცემები ჩვეულებრივ ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ტექსტუალურ (ან ფორმალურ) და კონტექსტუალურ (ან სემანტიკურ) მეტამონაცემებად (Gilliland-Swetland, 2000). ტექსტუალური მეტამონაცემები მოიცავს იმ მახასიათებლებს, რომლებიც ტერმინის ტექნიკურ იდენტობას განსაზღვრავს — ავტორი, დეფინიციის წყარო, შექმნის თარიღი, ვერსიის ნომერი, ენობრივი კოდი, დარგობრივი კლასიფიკაცია, გეოგრაფიული არეალი და სამართლებრივი სტატუსი. ეს მონაცემები აუცილებელია ტერმინების სტანდარტიზებული დოკუმენტირებისა და ციფრულ სისტემებში მათი მონიტორინგისთვის. კონტექსტუალური მეტამონაცემები კი აღწერს ტერმინის გამოყენების გარემოს: ფუნქციურ მიზანს, ინტერპრეტაციის ფარგლებს, სავარაუდო სამიზნე აუდიტორიას, ჟარგონულ თუ ნეიტრალურ სტატუსს, გამოყენების სიხშირეს და დარგობრივ სპეციფიკას. სწორედ კონტექსტუალური მეტამონაცემებია ის ფაქტორი, რაც ლექსიკური ერთეულს დინამიკურ, ოპტიმიზებულ და კონკრეტული კომუნიკაციური კონტექსტისთვის მორგებულ ცნებად გარდაქმნის (Sager, 1990) (L'Homme, 2020).

საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტები, როგორცაა ISO 16642:2003 (*Terminological Markup Framework – TMF*)²³ და ISO 30042:2019 (*TermBase eXchange – TBX*)²⁴, დეტალურად განსაზღვრავენ იმ მეტამონაცემების კლასიფიკაციას, რომლებიც აუცილებელია ტერმინოლოგიური მონაცემის თანმხლებად მრავალენოვან პლატფორმებში. მაგალითად, TMF სტანდარტის მიხედვით, ტერმინოლოგიური ერთეულის აღწერისას სავალდებულოა შემდეგი ელემენტების დაფიქსირება: კონცეპტუალური იდენტიფიკატორი, ტერმინოლოგიური ვარიაცია, სტატუსი (მაგალითად, preferential, admitted, deprecated), დეფინიცია, წყაროს მითითება და დარგობრივი მარკერები. ამ კომპონენტების არსებობა ქმნის მყარ საფუძველს ტერმინების სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული შესატყვისობისთვის, რაც აუცილებელია ეფექტიანი ტერმინოლოგიური მუშაობის პროცესში (International

²³ ISO 16642:2003 ადგენს “Terminology Markup Framework” (TMF) სტანდარტს, რომელიც ტერმინოლოგიური მონაცემების სტრუქტურირების, აღწერისა და გაცვლის ერთიან მოდელს განსაზღვრავს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მრავალენოვანი ტერმინბაზების ურთიერთთავსებადობა და სტანდარტიზაცია.

²⁴ ISO 30042:2019 ადგენს TermBase eXchange (TBX) სტანდარტს, რომელიც განსაზღვრავს ტერმინოლოგიური მონაცემების გაცვლის ერთიან XML-ფორმატს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერმბაზებს შორის ინფორმაციის ურთიერთთავსებადობა და სტანდარტიზებული მიმოცვლა.

Organization for Standardization, 2003) (Standardization, TermBase eXchange (TBX) standard, 2019). ამგვარად, მეტამონაცემები არ არის უბრალოდ თანმხლები ინფორმაცია ტერმინის შესახებ — ისინი წარმოადგენენ მის არსებით კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს ფორმირებას, ცნებით აღწერას, ინტერპრეტაციას და კონტექსტუალურ გამოყენებას. მეტამონაცემების გარეშე ტერმინოლოგიური ერთეული კარგავს ცნებით სიზუსტესა და სტანდარტიზაციის შესაძლებლობას, რაც პირდაპირ აისახება როგორც ლექსიკოგრაფიულ, ისე თარგმნით პრაქტიკაზე (Depecker, 2002) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). მათი სისტემატური აღწერა ტერმინს ანიჭებს ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიულ კომუნიკაციაში სიზუსტესა და ჰომოგენურობას. კონტექსტუალური მეტამონაცემების ინტეგრაცია არა მხოლოდ ამდიდრებს ტერმინოლოგიურ აღწერას, არამედ ქმნის საფუძველს მისი მიზნობრივი, ზუსტი და მრავალდარგობრივი გამოყენებისთვის. ტერმინქმნადობის პროცესში მეტამონაცემები ასრულებენ ხუთ ძირითად ფუნქციას, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას, სანდოობასა და სტანდარტიზაციის პოტენციალს:

1. დეფინიციური ფუნქცია – განსაზღვრავს ტერმინის ცნებით საზღვრებს როგორც დარგობრივ, ისე კონტექსტუალურ ჭრილში, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელობის სიზუსტეს და ინტერპრეტაციის ერთმნიშვნელობიანობას. (Faber & León-Araúz, 2016).
2. დასაბუთების/დადასტურების ფუნქცია – მიუთითებს ტერმინის სანდოობაზე, წყაროზე, ავტორზე ან ავტორიზებულ სტრუქტურაზე, რაც ზრდის მისი გამოყენების ლეგიტიმურობას.
3. ვალიდაციის ფუნქცია – ადგენს ტერმინის სტატუსს (მაგ., preferred, admitted, deprecated) და ასახავს დამამოწმებელი სუბიექტის (პირის ან ორგანიზაციის) ვინაობასა და დროით მარკერს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის პროცესში.
4. დისტრიბუციული ფუნქცია – აკავშირებს ტერმინს შესაბამის დარგობრივ, ონთოლოგიურ და ინსტიტუციურ სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს მის ფუნქციურ თავსებადობას და ინტერდისციპლინურ გამოყენებას.

5. ვარიანტულობის ფუნქცია – უზრუნველყოფს ტერმინის ცვლილებებისა და ვარიანტების/მრავალსახეობების აღრიცხვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დარგებში, როგორცაა მედიცინა, სამართალი ან ტექნოლოგიები, სადაც ტერმინოლოგიური ერთეულების განახლება მუდმივ და გარდაუვალ პროცესს წარმოადგენს.

მეტამონაცემების ზემოთ აღწერილი ფუნქციები ქმნიან ინტეგრირებულ სემანტიკურ-სტრუქტურულ ქსელს, რომელიც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური ერთეულის ეფექტიანობას მრავალენოვან, მრავალდარგობრივ და ინსტიტუციურ კონტექსტში. ამ მიდგომის ნათელი მაგალითია ევროკავშირის საერთო ტერმინოლოგიური ბაზა - InterActive Terminology for Europe (IATE), სადაც თითოეული ტერმინი წარმოდგენილია დეტალურად სტრუქტურირებული მეტამონაცემებით. მაგალითად, environmental liability (IATE ID 1069455) წარმოდგენილია მრავალ ენაზე (ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, პოლონურად, პორტუგალიურად, იტალიურად, ჩეხურად, ესპანურად და სხვ.), ხოლო თითოეულ ენაზე მას თან ახლავს: დარგობრივი მარკერი (environmental law); შესაბამისი სამართლებრივი აქტი, სტატუსი (preferred, admitted და სხვ.) და დეფინიცია ევროკავშირის სპეციალური სახელმძღვანელოდან. ანალოგიურად, EuroTermBank იყენებს გაფართოებული მეტამონაცემების მოდელს, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სანდოობის დონე - განსაზღვრავს ტერმინის გამოყენების ლეგიტიმურობას; ტერმინოლოგიური წყაროს ტიპი - სტანდარტი, ლექსიკონი, ექსპერტის მიერ დადასტურებული წყარო; დეფინიციის ენა - მიუთითებს, რომელ ენაზეა წარმოდგენილი ცნებითი აღწერა; დროის ნიშნული - ასახავს რეგისტრაციის ან განახლების თარიღს; უნიკალური კოდი - უზრუნველყოფს ტერმინის იდენტიფიკაციას და მონაცემთა ბაზაში მის სწორ ლოკალიზაციას. ამგვარი სტრუქტურა ქმნის მოქნილ და ადვილად გადატანად მონაცემთა ბაზას, რომელიც თავსებადია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან და ხელს უწყობს ტერმინოლოგიური რესურსების ინტეგრაციას მრავალ წყაროსთან (EuroTermBank, n.d.). UNTERM, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალენოვანი ტერმინოლოგიური პლატფორმა, მეტამონაცემების მეშვეობით ზუსტ

განსხვავებას ავლენს ზოგად ტერმინებსა და მათ სპეციალიზებულ კონტექსტში გამოყენებას შორის. სისტემა მკაფიოდ ასახავს: რომელ სექტორში, სააგენტოში ან ინსტიტუციურ სტრუქტურაში გამოიყენება კონკრეტული ტერმინი; რა ტიპის კომუნიკაციისთვის არის განკუთვნილი - საჯარო, ადმინისტრაციული თუ სპეციფიკური; როგორია ტერმინის სტატუსი და გამოყენების მიზნობრივი კონტექსტი. UNTERM-ის მოდელი უზრუნველყოფს ინტერპრეტაციის სიზუსტეს, კონტექსტის გამჭვირვალობას და ტერმინთა მიზნობრივ გამოყენებას სამართლებრივ, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ დისკურსში (United Nations, n.d.). ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაშიც შესაძლებელია მსგავსი მიდგომის სისტემური დანერგვა. განსაკუთრებით ეკოლოგიური და სამართლებრივი ტერმინების შემთხვევაში, მეტამონაცემების დამატება, როგორცაა დამადასტურებელი ორგანოს მითითება, მოქმედი რეგულაციის ნომერი, სტატუსი და გამოყენების კონტექსტი - მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ტერმინთა სანდოობას, სტანდარტიზაციის ხარისხს და პროფესიულ კომუნიკაციაში მათ ფუნქციურ თავსებადობას.

ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების თანამედროვე მართვის სტანდარტები განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მეტამონაცემების როლს ტერმინების სანდოობის, განახლებადობისა და გამოყენების მონიტორინგის პროცესში. სწორად სტრუქტურირებული მეტამონაცემები ტერმინს არა მხოლოდ აღწერს, არამედ განსაზღვრავს მის სტატუსს, ვალიდაციის დონესა და ცვლილებების ქრონოლოგიურ მიმდევრობას, რაც ტერმინს გარდაქმნის სტატიკური ლექსიკური ერთეულიდან დინამიკურ ცნებით კომპონენტად (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022) (International Organization for Standardization, 2019). მონაცემები, რომლებიც ასახავს ტერმინის დამტკიცების თარიღს (ტერმინის ოფიციალური აღიარება), ინსტიტუციურ სანდოობას (დამადასტურებელი ორგანო), მოდიფიკაციის ან განახლების დროს (რაც მიუთითებს ტერმინის ევოლუციაზე) და ვარიანტის/ვერსიის ნომერი (რაც მნიშვნელოვანია ტერმინის ისტორიული კონტექსტის შენარჩუნებისთვის) უზრუნველყოფს ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას. ასეთი მახასიათებლებით აღჭურვილი ტერმინები შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა კონტექსტში შეირჩეს ტერმინის ყველაზე სანდო

და შესაფერისი ფორმულირება. მეტიც, სისტემატურად აღრიცხული მეტამონაცემები მკაფიოდ აჩვენებს, არის თუ არა ტერმინი ჯერ კიდევ მოქმედი, ჩანაცვლებული თუ განხილვის სტადიაში მყოფი. ასე მაგალითად, IATE-ში თითოეული ტერმინი აღჭურვილია ცვლილებების თარიღითა და სტატუსით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს მისი სანდოობა და თანამედროვე მდგომარეობა. მაგალითად, ტერმინი *environmental liability* (IATE ID 1069455) შეიცავს ბოლო განახლების თარიღს – 16 იანვარი, 2024 – და სტატუსს, რომელიც მიუთითებს მის მოქმედობასა და სანდოობაზე. სხვა მაგალითია ჩანაწერი *environmental protection* (IATE ID 3636860), რომელიც ცხადყოფს, რომ ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა იდენტიფიკატორი ჰქონდეს. ასეთი პრაქტიკა უზრუნველყოფს ტერმინების დინამიკურ მართვას, ცვლილებების ისტორიისა და ვერსიების კონტროლს, რაც ამცირებს გაურკვევლობისა და არაერთგვაროვნების რისკს როგორც თარგმნით, ისე სამართლებრივ და სამეცნიერო კომუნიკაციაში.

თუმცა, ხშირია სტანდარტების არასრული ან არაერთგვაროვანი დანერგვა: სხვადასხვა ინსტიტუცია მეტამონაცემებს განსხვავებული ფორმატითა და აღწერის პრინციპებით აწარმოებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათი ინტეგრაციისა და ურთიერთთავსებადობის პროცესს. დამატებით გამოწვევად რჩება ენობრივი და კულტურული სპეციფიკის უგულვებელყოფა. ქართული პრაქტიკის მაგალითზე, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი სამართლის სფეროში, ხშირად გვხვდება ტერმინები, რომლებიც პირდაპირ არის გადმოღებული საერთაშორისო ბაზებიდან, თუმცა შესაბამისი განმარტებითი მეტამონაცემები. მაგალითად, დამადასტურებელი ორგანოს დასახელება, დამტკიცების სტატუსი ან ეროვნული რეგულაციის შესაბამისობის მითითება - ხშირ შემთხვევაში არ იძებნება. ეს გარემოება ზღუდავს ტერმინების ეფექტიან გამოყენებას და ამცირებს მათ სანდოობას როგორც სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციულ კომუნიკაციაში. ტერმინოლოგიური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, განსაკუთრებით მრავალენოვან და მრავალდარგობრივ გარემოში, შეუძლებელია ერთიანი მეტამონაცემული სტრუქტურის გარეშე. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტები ISO 16642 (TMF – Terminological Markup Framework) და ISO 30042 (TBX – TermBase eXchange). ეს სტანდარტები განსაზღვრავენ

იმ მონაცემთა ტიპოლოგიას, რომელიც სავალდებულო კომპონენტად უნდა ახლდეს ტერმინს, რათა მოხდეს მისი სწორად ინტერპრეტაცია, ჰარმონიზაცია, და გადატანა სხვადასხვა სისტემებსა და პროგრამულ გარემოში (International Organization for Standardization, 2003) (International Organization for Standardization, 2019). მათი დანერგვა ქმნის ურთიერთთავსებად გარემოს, რომელიც საშუალებას იძლევა ერთიანი ტერმინოლოგიური სივრცე არსებობდეს მრავალ ენასა და დარგში.

ბოლო წლების კვლევები ადასტურებს, რომ ტერმინოლოგიური მეტამონაცემები მნიშვნელოვნად ზრდის ბუნებრივი ენის დამუშავების სისტემების სიზუსტესა და ეფექტიანობას, განსაკუთრებით კორპუსული ბაზებიდან ტერმინების ამოღებისა და სემანტიკური ინტერპრეტაციის პროცესში (Xu & Jie Chen, 2025). ქართულ კონტექსტში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია, რადგან მეტამონაცემებით გამდიდრებული ტერმინები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეროვნული ლექსიკოგრაფიული რესურსების განვითარებისათვის, ისე მათი ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობის გასაუმჯობესებლად. ამრიგად, მეტამონაცემები ტერმინოლოგიურ საქმიანობაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ დამხმარე ელემენტი - ისინი წარმოადგენენ სისტემის ძირითად არქიტექტურულ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას, სანდოობასა და ინტეგრაციის შესაძლებლობას. მათი სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული აღწერა ქმნის იმ საფუძველს, რომელზეც დგინდება ტერმინოლოგიური ერთეულის სიზუსტე, დინამიკა და პროფესიულ კომუნიკაციაში გამოყენების ეფექტიანობა. საერთაშორისო გამოცდილება (IATE, EuroTermBank, UNTERM) ნათლად აჩვენებს, რომ მეტამონაცემების მრავალშრიანი სტრუქტურა აუცილებელია როგორც ტერმინების შედარებისა და ჰარმონიზაციისთვის, ისე მათ სამართლებრივ და სამეცნიერო სანდოობაზე ზრუნვისთვის. ქართული ტერმინოლოგიური პრაქტიკა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, თუმცა მეტამონაცემების სრულფასოვანი დანერგვა - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით - მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეროვნული რესურსების ხარისხს და მათ თავსებადობას ევროპულ და გლობალურ სივრცეებთან. შედეგად, მეტამონაცემები

იქცევა არა მხოლოდ ტექნიკურ მექანიზმად, არამედ ცოდნის გადაცემისა და სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური კომუნიკაციის მთავარ გარანტად.

2.4. ნეოლოგიზმები და ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის გამოწვევები

ნეოლოგიზმების კვლევა თანამედროვე ტერმინოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და კომპლექსურ მიმართულებას წარმოადგენს, ვინაიდან ისინი ერთდროულად ასახავენ როგორც ენის შიდა დინამიკას, ისე სოციალურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ ცვლილებებს. ახალი ტერმინების წარმოქმნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენობრივი რესურსების განახლების თვალსაზრისით, არამედ იმისთვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახალი ცნებების ზუსტი აღწერა სპეციალიზებულ და ზოგად კომუნიკაციაში. ნეოლოგიზმი თანამედროვე ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც ახალი ლექსიკური ერთეული ან უკვე არსებული სიტყვის/გამოთქმის მნიშვნელობის განახლებული გამოყენება, რომელიც წარმოიქმნება კონკრეტული კომუნიკაციური საჭიროებების საპასუხოდ (Cabré, 1999) (Rey, 1995). მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ისეთი ერთეულები, როგორიცაა „ბლოკჩეინი“ და „ჩათბოტი“, რომლებიც უკვე დამკვიდრებული ტერმინოლოგიური სისტემის ნაწილად იქცნენ (Crystal, 2003). მსგავსი პროცესები ნათლად აჩვენებს, რომ ნეოლოგიზმები ერთდროულად ასახავენ როგორც ენობრივი ინოვაციის შედეგს, ისე საზოგადოებრივ-ტექნოლოგიური პროგრესის სურათს.

ნეოლოგიზმის ცნების შესახებ ერთიანი ხედვა არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი ნეოლოგიზმად მხოლოდ იმ სიტყვას მიიჩნევს, რომელიც სრულიად ახალია მთელ ენობრივ საზოგადოებაში და ჯერ არ დამკვიდრებულა ყოველდღიურ კომუნიკაციაში, მაშინ როცა სხვები ახლად განიხილავენ ისეთ ერთეულსაც, რომელიც შესაძლოა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყოს, მაგრამ გამოიყენება კონკრეტული პროფესიული დისკურსის ფარგლებში (Temmerman, 2000). ასეთი მრავალპერსპექტიული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიურ ნეოლოგიზმებზე საუბრისას: ერთი და იგივე ტერმინი შეიძლება ზოგად ენაში უკვე

დამკვიდრებულად აღიქმებოდეს, მაგრამ სპეციალიზებულ სფეროში კვლავ ინარჩუნებდეს „ახლის“ სტატუსს. მაგალითად, სიტყვა „პლატფორმა“ ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში კარგა ხანია დამკვიდრებულია, როგორც ‘ბაქანი, პლატფორმა’ ან ფიცარნაგი, სცენა, ტრიბუნა (გამომსვლელთათვის და ა.შ.); პოლიტიკურ დისკურსში პლატფორმა წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის შეხედულებებს, პოზიციას, ან სამოქმედო პროგრამას, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში „პლატფორმა“ არის კომპიუტერული სისტემის საბაზო ტექნოლოგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამულ-აპარატული უზრუნველყოფის მუშაობის პრინციპს. მიგრაციის დისკურსში კი გვხვდება ანალიტიკური ტერმინი ‘მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის პლატფორმა’ (Cooperation Platform on Migration and Development), სადაც ‘პლატფორმა’ გამოხატავს „მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის (GAMM) ფარგლებში არსებული ცნებას, რომელიც აერთიანებს მიგრაციის კონკრეტულ მარშრუტებთან კავშირში მყოფ ქვეყნებსა და რეგიონებში არსებულ, მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე აქტორებს“. ამგვარი განსხვავებული ინტერპრეტაციები ნათლად ცხადყოფს, რომ ნეოლოგიზმის განსაზღვრა ყოველთვის დამოკიდებულია არა მხოლოდ ენობრივ ფაქტორებზე, არამედ დისკურსულ და სოციალურ კონტექსტზე.

ნეოლოგიზმების კვლევა თავისთავად ინტერდისციპლინური სფეროა, რომელიც მოითხოვს ლექსიკოლოგიის, სემანტიკის, მორფოლოგიის, პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის ურთიერთშეთავსებულ ანალიზს. მათი წარმოშობა და გავრცელება მხოლოდ შიდა ენობრივი მექანიზმებით არ განისაზღვრება; გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალურ-კულტურული გარემო, ტექნოლოგიური ინოვაციები და გლობალური კომუნიკაციის ტენდენციები (Faber, 2012). ნეოლოგიზმების წარმოშობა განპირობებულია როგორც შიდა ენობრივი, ისე ექსტრალინგვისტიკური ფაქტორებით. შიდა ფაქტორები მოიცავს ენის შინაგან განვითარებასა და სიტყვათწარმოების ტრადიციულ მექანიზმებს, ხოლო გარე ფაქტორები დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, სოციალურ-კულტურულ ტრანსფორმაციებთან და გლობალური კომუნიკაციის ზრდასთან (Crystal, 2003) (Faber, 2012). სწორედ ამ ორი განზომილების

თანხვედრა განაპირობებს ახალი ლექსიკური ერთეულების გაჩენასა და მათ ინტეგრაციას როგორც ზოგად, ისე დარგობრივ დისკურსში. ქართულ ენაში ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო ათწლეულებში, როდესაც ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და ციფრული მედიის გავლენით მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური სესხებისა და კალკების რაოდენობა (გორგილაძე, 2019). შედეგად, ნეოლოგიზმები იქცნენ არა მხოლოდ ენობრივი განახლების მექანიზმად, არამედ იმ სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების სარკედ, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე კომუნიკაციურ გარემოს.

ტერმინოლოგიური სისტემების განვითარების თვალსაზრისით, ნეოლოგიზმები წარმოადგენენ როგორც შესაძლებლობას, ასევე სერიოზულ გამოწვევას. მათი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ისინი ავსებენ ენობრივ რესურსს ახალი ცნებების აღსანიშნი ერთეულებით და უზრუნველყოფენ დარგობრივ კომუნიკაციაში საჭირო სიზუსტესა და მოქნილობას (Rey, 1995). ამასთან, ნეოლოგიზმებს ხშირად აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ისინი ქმნიან ცოდნის ახალი სფეროების ტერმინოლოგიურ საფუძველს, მაგალითად, „კიბერუსაფრთხოება“, „ბიოინჟინერია“ ან „დიგიტალიზაცია“ მხოლოდ ცალკეული სიტყვები კი არა, არამედ ახალი დისციპლინების საკვანძო ცნებებია.

ნეოლოგიზმების კლასიფიკაცია მრავალმხრივი პროცესია, რომელიც ეფუძნება რამდენიმე ძირითად პარამეტრს: სტრუქტურულ-ფორმალურს, სემანტიკურსა და ეტიმოლოგიურს. თითოეული მათგანი განსხვავებულ მექანიზმებს მოიცავს და განსაზღვრავს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოშობისა და ფუნქციონირების სპეციფიკას (Lipka, 2002) (Faber, 2012). სტრუქტურულ-ფორმალური კრიტერიუმი ყურადღებას ამახვილებს სიტყვათწარმოების გზებზე - სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, კომპოზიცია, ბლენდინგი და ა.შ.; სემანტიკური - მნიშვნელობის ტრანსფორმაციაზე, როგორცაა მეტაფორიზაცია ან ტერმინოლოგიზაცია; ხოლო ეტიმოლოგიური - სიტყვების წარმომავლობაზე, იქნება ეს ენაში შიდა გზით შექმნილი ერთეულები თუ უცხოური სესხები. ამგვარი მრავალკრიტერიუმიანი ტიპოლოგია საშუალებას იძლევა, ნეოლოგიზმები არ განვიხილოთ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, არამედ დავინახოთ მათი სემანტიკური და სოციალურ-კულტურული ფუნქციებიც, რაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმების სისტემურ ანალიზში. სტრუქტურულ-ფორმალური თვალსაზრისით, ნეოლოგიზმები იქმნება მორფოლოგიური, სინტაქსური და ზოგჯერ ფონოლოგიური ტრანსფორმაციების შედეგად. მორფოლოგიური საშუალებებიდან განსაკუთრებით პროდუქტიულია სუფიქსაცია, პრეფიქსაცია და კომპოზიცია, რომლებიც ენებში ტრადიციული და აქტიური მექანიზმებია (Lipka, 2002). ქართულში სუფიქსაციის „მომხმარებლობა“ (-ობა), ხოლო პრეფიქსაციისას - „სუპერმარკეტი“ (სუპერ-), „ჰიპერაქტიური“ (ჰიპერ-), „მინიკონცერტი“ (მინი-). კომპოზიციის შედეგად დამკვიდრდა „მზისპანელი“ და „კიბერუსაფრთხოება“. თანამედროვე ენებში გავრცელებულია შერწყმის მექანიზმიც, სადაც ორი სიტყვის ნაწილები ერთიანდება: მაგალითად, „ინფოდემია“ (*information + epidemic*) საერთაშორისო დისკურსში (Crystal, 2003). სინტაქსური გზით ახალი ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, როგორცაა „ციფრული სუვერენიტეტი“ ან „გადახდის ბარათის ეკოსისტემა“, ხშირად ტერმინოლოგიზდება (Faber, 2012). ფონოლოგიური ინოვაციები კი შედარებით იშვიათია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური სიტყვის მცირე ფორმალური ცვლილება საკმარისია მის დასამკვიდრებლად ქართულში — მაგალითად, „სელფი“ (Crystal, 2003). ეს მაგალითები ნათლად ცხადყოფს, რომ მორფოლოგიური და სტრუქტურული ინოვაციები ნეოლოგიზმების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რომელთა შემდგომი სტანდარტიზება აუცილებელია ტერმინოლოგიური სისტემის მდგრადობისთვის (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022).

სემანტიკური ნეოლოგიზმები წარმოიქმნება არსებული ლექსემების შინაარსობრივი ტრანსფორმაციით, რაც თანამედროვე ენათა განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მექანიზმია. მნიშვნელობის გაფართოება იძლევა საშუალებას, რომ სიტყვა მოიცავდეს ახალ სემანტიკურ არეალს: მაგალითად, „პლატფორმა“ ტრადიციულად ფიზიკურ ასასვლელს აღნიშნავდა, ხოლო დღეს საინფორმაციო ტექნოლოგიებში „ონლაინ პლატფორმის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება (Crystal, 2003). საპირისპირო პროცესია მნიშვნელობის შევიწროება, როცა ზოგადი მნიშვნელობა დარგობრივად ვიწროვდება, მაგალითად, „გადამწერი“ თანამედროვე ქართულში ძირითადად ხელნაწერთა სპეციალისტს აღნიშნავს

(გორგილაძე, 2019). მეტაფორიზაცია ნეოლოგიზმების წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გზაა: ტერმინი „ღრუბელი“ საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოიყენება მონაცემთა შენახვის სისტემის აღსანიშნავად („cloud computing“) და სრულიად ახალ ცნებას უკავშირდება (Faber, 2012). მეტონიმიზაცია აჩვენებს, როგორ გადაიტანება ერთი მნიშვნელობა მეორეზე ასოციაციური კავშირის გზით: „თეთრი სახლი“ დღეს არა არქიტექტურულ ნაგებობას, არამედ აშშ-ის ადმინისტრაციას აღნიშნავს. სპეციალიზებულ დისკურსში ხშირია ტერმინოლოგიზაცია, როდესაც ზოგადი სიტყვა იძენს სპეციალიზებულ მნიშვნელობას, მაგალითად „ბლოკი“ ბლოკჩეინ-ტექნოლოგიაში (Rey, 1995), და საპირისპირო ტერმინის განზოგადება, როდესაც დარგობრივი ტერმინი გავრცელდება ყოველდღიურ ენაში, როგორც ეს მოხდა „კარანტინის“ შემთხვევაში (Crystal, 2003). ეს სემანტიკური ტრანსფორმაციები ცხადყოფს, რომ ნეოლოგიზმები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ფორმალური სიახლით; ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას ცნებების ჩამოყალიბებასა და სისტემურ სტანდარტიზაციაზე.

ნეოლოგიზმების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს სხვა ენებიდან სესხებაც. პირდაპირი ნასესხობა ყველაზე თვალსაჩინოდ აისახება თანამედროვე ქართულში, სადაც განსაკუთრებით ინტენსიურია ინგლისურიდან შემოსული სიტყვები: „პოდკასტი“, „ჰემტეგი“ (თუმცა არსებობს „ჰემტეგის“ სინონიმი „თემსაკვეთი“). კალკები წარმოიქმნება მაშინ, როცა უცხოური ტერმინის სტრუქტურა სიტყვასიტყვით გადმოიცემა: მაგალითად „მომხმარებლის ინტერფეისი“ (*user interface*). ჰიბრიდული ნეოლოგიზმები აერთიანებენ ნასესხებას და მშობლიურ ელემენტს ერთდროულად, როგორცაა „კიბერუსაფრთხოება“, სადაც უცხოური კომპონენტი ქართულ სიტყვასთანაა შერწყმული. აღნიშნული პროცესები ცხადყოფს, რომ ნეოლოგიზმების ეტიმოლოგიური ტიპოლოგია მრავალმხრივია და თითოეული კატეგორია განსხვავებულ სტრატეგიას მოითხოვს მათი სტანდარტიზაციისა და ნორმატიული დამკვიდრების თვალსაზრისით (Veisbergs, 2019).

ნეოლოგიზმები მათი ფუნქციური სტატუსით შეიძლება დავეყოს ნორმატიულ და არანორმატიულ კატეგორიებად. ნორმატიული ნეოლოგიზმები იქმნება ენობრივი ნორმების დაცვით და ხშირად აკადემიური თუ ინსტიტუციური ორგანოების

მხარდაჭერას იღებს. ასეთია, მაგალითად, „კიბერუსაფრთხოება“ ან „განახლებადი ენერჯია“, რომლებიც ოფიციალურად დამტკიცდა და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში დაფიქსირდა (ქავთარაძე, 2020). არანორმატიული ნეოლოგიზმები კი სპონტანურად ჩნდება და ხშირად უცხოური ფორმის მორგების გარეშე გამოიყენება, როგორცაა „დაშეარება“. მიუხედავად საწყისი არანორმატიული სტატუსისა, ამგვარი ნეოლოგიზმები ზოგჯერ დროთა განმავლობაში მკვიდრდება და საბოლოოდ ნორმატიულადაც აღიარებას პოულობს (გორგილაძე, 2019). ქართულ კონტექსტში ნეოლოგიზმის ნორმატიული დამკვიდრება მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტის, ტექნიკური ტერმინოლოგიის კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მუშაობას, რომლებიც ტერმინოლოგიურ პროცესებს სისტემურად კოორდინირებენ. ნორმატიული და არანორმატიული ნეოლოგიზმების გამიჯვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური რესურსების სტაბილურობას და თავიდან იცილებს სემანტიკურ ბუნდოვანებასა და სინონიმურ სიჭრელეს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022).

ნეოლოგიზმების ინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის უზრუნველყოფა. როდესაც ტერმინი ზუსტად აღნიშნავს კონკრეტულ ცნებას, იგი ამყარებს ტერმინოლოგიური სისტემის ლოგიკურ სტრუქტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება სემანტიკური გადაფარვა და დუბლირება, რაც სისტემის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. მაგალითად, ბიოინჟინერიაში, CRISPR ტექნოლოგიის შემოსვლის შემდეგ დამკვიდრდა ტერმინები „გენომის რედაქტირება“ (*genome editing*) და „გენური თერაპია“, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთის სინონიმებადაც გამოიყენება, თუმცა რეალურად განსხვავებულ ცნებებს მოიცავენ (Faber, 2012).

ქართულ პრაქტიკაშიც ხშირია ტერმინისა და ცნების შეუსაბამობა, რაც გამოწვეულია უცხოური სესხების მრავალვარიანტიანი ადაპტაციით. მაგალითად, „მონიტორინგი“ და „ზედამხედველობა“ ხშირად გამოიყენება როგორც ერთმანეთის ანალოგები, მაშინ როცა სპეციალიზებულ დისკურსში „ბიომონიტორინგი“ და „ბიოზედამხედველობა“ განსხვავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოებს ასახავს

(გორგილაძე, 2019). მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ნეოლოგიზმების დამკვიდრებისას აუცილებელია კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე გაკეთებული მკაფიო დიფერენცირება, რათა ტერმინოლოგიური სისტემა თანმიმდევრული და გამჭვირვალე დარჩეს. სწორედ ამიტომ ISO 704:2022 მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ტერმინი უნდა იყოს მონოსემური, სისტემასთან თანმიმდევრული და ინტერპრეტაციისადმი მინიმალურად მგრძობიარე.

ნეოლოგიზმების გავრცელება ყოველთვის თანაბრად პოზიტიური პროცესი არ არის და ხშირად სერიოზულ სირთულეებსაც წარმოშობს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ტერმინოლოგიური დუბლირება, როდესაც ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ფორმით მოიხსენიება. მაგალითად, ქართულში პარალელურად გამოიყენებოდა „პოლიტიკური ისტებლიშმენტი“ და „პოლიტიკური გავლენიანი/მმართველი წრეები“, რამაც პროფესიულ კომუნიკაციაში გაურკვევლობა წარმოშვა და საბოლოოდ ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება გახადა აუცილებელი. კიდევ ერთი სირთულეა სემანტიკური ბუნდოვანება, როცა ტერმინი საკმარისად მკაფიოდ არ განსაზღვრავს შესაბამის ცნებას. ამის მაგალითია „გრინვოშინგი“, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ ეკოლოგიურ ტერმინად აღიქმება, მაგრამ რეალურად კომუნიკაციურ მანიპულაციას აღნიშნავს და მის საზღვრებს ხშირად ბუნდოვნად აღიქვამენ (Veisbergs, 2019). თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში ტერმინი **გრინვოშინგი** მრავალშრიანი ტერმინოლოგიური ერთეულის სახით ფუნქციონირებს და მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია დარგობრივ კონტექსტზე. პირველ რიგში, გარემოსდაცვითი კვლევებისა და მარკეტინგის სფეროში გრინვოშინგი აღნიშნავს კომუნიკაციურ სტრატეგიას, რომლის მიზანია ოგანიზაციის ან პროდუქტის ეკოლოგიურად პასუხისმგებელი იმიჯის შექმნა რეალური გარემოსდაცვითი ქმედებების გარეშე. დისკურსული და სემიოტიკური ანალიზის ჩარჩოში კი იგი განიხილება როგორც ნიშნებითა და ნარატივებით მანიპულაციის პრაქტიკა, რომლის საშუალებითაც ეკოლოგიური რიტორიკა გამოიყენება სოციალური კრიტიკის განეიტრალებისა და ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის. პოლიტიკურ-რეგულაციურ კონტექსტში გრინვოშინგი ფუნქციონირებს როგორც ნორმატიული კატეგორია, რომელიც მოიცავს მომხმარებლის შეცდომაში შემყვან ეკოლოგიურ მტკიცებებს და

ექვემდებარება სამართლებრივ კონტროლსა და სანქცირებას. აღნიშნული ძირითადი მნიშვნელობების პარალელურად, ტერმინი ზოგჯერ მეტაფორულად ვრცელდება სხვა ეთიკურ თუ სოციალური პასუხისმგებლობის დისკურსებზე, თუმცა ასეთი გამოყენება არ წარმოადგენს მის სტაბილურ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას და საჭიროებს მკაფიო დარგობრივ მონიშვნას. მესამე გამოწვევა უკავშირდება ტერმინთა ცვალებადობასა და სწრაფ მოძველებას: მაგალითად, 1990-იან წლებში აქტიურად გამოიყენებოდა „ინტერნეტ-დაფა“ (*bulletin board system*), თუმცა დღეს იგი პრაქტიკულად აღარ გვხვდება (Crystal, 2003). ეს შემთხვევები ცხადყოფს, რომ ნეოლოგიზმების სტაბილური ინტეგრაციისთვის აუცილებელია მკაფიო კრიტერიუმების დაცვა — ფორმის გამჭვირვალობა, სემანტიკური სიზუსტე და სისტემური თანმიმდევრულობა (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022).

თანამედროვე საზოგადოებრივ დისკურსში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ფეიქნიუსი“ (ცრუ ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად ვრცელდება), „ბიტკოინი“ (ციფრული კრიპტოვალუტა) და „ინფოდემია“ (ინფორმაციის ჭარბი ნაკადი, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში დეზინფორმაციის გავრცელებას იწვევს) (Crystal, 2003) (TermCoord, 2020). საინტერესოა, რომ ამ ტერმინების ნაწილი პირდაპირი სესხებით დამკვიდრდა („ბიტკოინი“, „ფეიქნიუსი“), ნაწილი კი თარგმანის გზით ქართულად მოერგო („ინფოდემია“). აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ ქართული ტერმინოლოგიური სივრცე აქტიურად რეაგირებს გლობალურ სიახლეებზე და ცდილობს მათთან თანხვედრაში საკუთარი ნორმატიული სტანდარტების შექმნას, რაც ერთდროულად წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ისე განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას (ქავთარაძე, 2020).

ამრიგად, ნეოლოგიზმები წარმოადგენენ ორმხრივ ფენომენს: ერთი მხრივ ისინი აუცილებელი საშუალებაა ენის განახლებისა და თანამედროვე რეალობის ასახვისათვის, ხოლო მეორე მხრივ მოითხოვენ მკაცრ მეთოდოლოგიურ კონტროლს, რათა არ დააზიანონ ტერმინოლოგიური სისტემის სტრუქტურული მთლიანობა. მათი შესწავლა და ნორმატიული მართვა ტერმინოლოგიის განვითარების თანამედროვე სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება.

2.5 ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა, როგორც ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის შემუშავების მექანიზმი

თანამედროვე ტერმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ტერმინისა და მის საფუძველში არსებული კონცეპტის სრულფასოვანი თავსებადობის უზრუნველყოფა, რაც ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ფუნდამენტურ წინაპირობად გვევლინება. ასეთი თავსებადობა გულისხმობს არა მხოლოდ ლექსიკური ფორმისა და ცნებითი შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობას, არამედ მათ შორის არსებული ლოგიკური, სემანტიკური და დისკურსული თანხვედრის მაღალ ხარისხს. როგორც ვუსტერი ხაზგასმით აღნიშნავდა, თითოეულ ცნებას უნდა შეესაბამებოდეს ერთი სტანდარტიზებული ტერმინი, ხოლო თითოეული ტერმინი უნდა ასახავდეს მხოლოდ ერთ ცნებას (Wüster, 1979). ამ მოდელის მიხედვით, ტერმინი განისაზღვრება როგორც ცნებითი სტრუქტურის ელემენტი, რომლის შინაარსი არ არის დამოკიდებული გამოყენების დისკურსზე ან სოციალურ კონტექსტზე. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფდა ტერმინოლოგიური ერთეულის ერთმნიშვნელოვნებას, პოლისემიის თავიდან აცილებას და ცნებათა იერარქიის გამჭვირვალობას. ფელბერის მიერ შემუშავებული „ტერმინოლოგიის სახელმძღვანელო“-ც (Felber, 1984) სწორედ ამ ხაზს აგრძელებს და ხაზს უსვამს სტრუქტურულ-სემანტიკური მკაფიოობის აუცილებლობას, როგორც ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის საფუძველს. სწორედ ეს პრინციპი - „ერთი ცნება, ერთი ტერმინი“ - დგას თანამედროვე სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის საფუძველში და ამცირებს პოლისემიისა და სინონიმისგან წარმოშობილი გაურკვევლობის რისკს. თუმცა, თანამედროვე ტერმინოლოგიური კვლევები ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობას უფრო დინამიკური და კონტექსტზე დამოკიდებული თვალსაზრისით განმარტავენ. მარია ტერეზა კაბრეს მოდელი (Cabré, 1999) ამტკიცებს, რომ ტერმინოლოგია მხოლოდ ცნებათა სისტემატიზაციას არ გულისხმობს — ის უნდა მოიცავდეს სოციალურ-კულტურულ და დისკურსულ ფაქტორებსაც. ამ კონცეფციის მიხედვით, ტერმინსა და კონცეპტს შორის შესაბამისობა შეიძლება იცვლებოდეს სოციალური პრაქტიკისა და

კომუნიკაციური საჭიროებების მიხედვით. მსგავს პოზიციას იზიარებს რიტა ტემერმანის სოციოკოგნიტური მიდგომა (Temmerman, 2000), რომლის მიხედვითაც ტერმინოლოგიური ერთეულები არა მხოლოდ სტატიკური კატეგორიებია, არამედ ცოცხალი კონსტრუქციები, რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ცოდნის განვითარების შესაბამისად. ამგვარი ხედვა ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობას მხოლოდ ფორმალურ პრობლემად კი არა, არამედ დინამიკურ, კულტურულად მართული პროცესად განიხილავს.

ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის განსაზღვრა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობას არ ეფუძნება; იგი მოითხოვს კომპლექსურ ანალიზს, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კრიტერიუმს აერთიანებს. პირველ რიგში, საჭიროა ლინგვისტური თავსებადობა, რაც გულისხმობს ტერმინის მორფოლოგიური, ფონეტიკური და სინტაქსური ფორმის ორგანულ ჩართვას ეროვნული ენის სისტემაში. ISO 704:2022-ის მითითებით (სექცია 7.1), ტერმინის ფორმა უნდა იყოს ადაპტირებული იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული უცხოენოვანი სტრუქტურების მექანიკური გადმოტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერმინი ვერ შეიძენს კომუნიკაციურ სანდოობას და გამოიწვევს ნორმატიული წინააღმდეგობებს (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. 7.1).

მეორე კრიტერიუმი არის სემანტიკური თავსებადობა, რომელიც გულისხმობს ტერმინისა და მის საფუძველში არსებული კონცეპტის შინაარსობრივ თანხვედრას ან, მინიმუმ, მაქსიმალურ მიახლოებას. სემანტიკური თავსებადობა მოითხოვს არა მხოლოდ დეფინიციის სიზუსტეს, არამედ ტერმინის მნიშვნელობის საზღვრების მკაფიოდ განსაზღვრას, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლისემიისა და სემანტიკური გადაფარვის საფრთხე. მაგალითად, ქართულ პრაქტიკაში ტერმინი „კლიმატის ნეიტრალობა“ ენერგეტიკულ დისკურსში ხშირად მხოლოდ CO₂-ის ბალანსს გულისხმობს, მაშინ როცა ეკოლოგიურ დოკუმენტებში მასში ბიომრავალფეროვნების კომპენსაციაც მოიაზრება, რაც სემანტიკური აცდენის ტიპური შემთხვევაა. სწორედ ამიტომ ლ'ომი (L'Homme, 2020) ხაზს უსვამს ტერმინის

სემანტიკური არეალის მკაფიოდ გაშლის მნიშვნელობას, როგორც ტერმინოლოგიური სიზუსტისა და ერთმნიშვნელოვნების გარანტს.

მესამე კრიტერიუმი არის ლოგიკურ-კატეგორიული თავსებადობა, რომელიც მოითხოვს ტერმინის სწორად ჩასმას ცნებათმცოდნეობრივ იერარქიაში. ეს ნიშნავს როგორც სუპერორდინატულ (ზოგადი ცნება), ისე სუბორდინატულ (კონკრეტული ცნება) ურთიერთკავშირების გათვალისწინებას. ასეთი სისტემური დალაგება უზრუნველყოფს ცნებათა შორის თანმიმდევრულობას და თავიდან იცილებს კატეგორიულ გაურკვევლობას. მაგალითად, ქართულ სამედიცინო დისკურსში ტერმინ „ინფექციური დაავადება“ ზოგჯერ იყენებენ როგორც ზედა დონის ცნებას (სხვადასხვა ვირუსული, ბაქტერიული და პარაზიტული დაავადებების ერთობლიობა), ზოგჯერ კი კონკრეტული ქვე-კატეგორიის აღსანიშნავად, რაც ქმნის ინტერპრეტაციის სირთულეს. ფეიბერი (Faber, 2012) ამ მხრივ აღნიშნავს, რომ ტერმინოლოგიური ერთეულების იერარქიული ჩარჩო აუცილებელია არა მხოლოდ სამეცნიერო სისტემატიზაციისთვის, არამედ პროფესიული პრაქტიკის სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

მეოთხე კრიტერიუმი არის კულტურულ-კონტექსტუალური თავსებადობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალენოვან და მრავალკულტურულ გარემოში. ტერმინი უნდა იყოს არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, არამედ ადაპტირებული კონკრეტული ენისა და კულტურის რეალიებთანაც. მაგალითად, ტერმინი „residence permit“ ქართულ კონტექსტში ითარგმნება როგორც „ბინადრობის ნებართვა“, თუმცა საზოგადოებრივ დისკურსში ხშირად ჩნდება არაზუსტი ვარიანტები („საცხოვრებელი ნებართვა“), რაც სოციოკულტურულ ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემაზე მიუთითებს. კაბრე (Cabré, 1999) და ტემერმანი (Temmerman, 2000) ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა ვერ იქნება ეფექტიანი, თუ იგი არ ასახავს იმ კულტურულ რეალობას, რომელშიც გამოიყენება. შესაბამისად, კულტურულ-კონტექსტუალური კრიტერიუმი წარმოადგენს ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის აუცილებელ კომპონენტს, რომელიც ერთდროულად იცავს ეროვნულ იდენტობასა და უზრუნველყოფს საერთაშორისო თავსებადობას.

ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობის დარღვევა პირდაპირ ზემოქმედებს ტერმინოლოგიური სისტემის სტაბილურობაზე და კომუნიკაციის სიზუსტეზე. როდესაც ტერმინი არ ასახავს ცნებას მკაფიოდ, ჩნდება სემანტიკური გაურკვეველობა, რაც პროფესიული საქმიანობის შეფერხებას და სტანდარტიზაციის პროცესის დესტაბილიზაციას იწვევს. განსაკუთრებით კრიტიკულია ეს ტექნიკურ, სამართლებრივ და სამედიცინო დარგებში, სადაც ტერმინოლოგიური უზუსტობა შესაძლოა გახდეს სერიოზული პრაქტიკული პრობლემების წყარო. სწორედ ამიტომ ISO 704:2022 (სექცია 8.3) ხაზგასმით მიუთითებს, რომ ტერმინოლოგიური მუშაობის მთავარი მიზანი არის ცნებებისა და ტერმინების თანმიმდევრული, ერთმნიშვნელოვანი გამოყენება (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. 8.3).

თავსებადობის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა პოლისემია, როდესაც ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა დარგში ან კონტექსტში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დისკურსული ანალიზის გამოყენება, რათა მოხდეს მნიშვნელობათა ზუსტი დიფერენცირება და თავიდან იქნეს აცილებული კომუნიკაციური გაურკვეველობა. მრავალენოვან გარემოში თავსებადობის დარღვევის ერთ-ერთი ხშირი ფორმაა ტერმინოლოგიური აცდენა, როდესაც ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენაში განსხვავებულად აღიბეჭდება. ამის მაგალითია ტერმინი *asylum seeker*, რომელიც ინგლისურენოვან დისკურსში მკაფიოდ აჩვენებს პირის სტატუსს, ხოლო ზოგიერთი ენის თარგმანში იგი უბრალოდ „მიგრანტის“ სინონიმად გამოიყენება. შედეგად, ქრება სამართლებრივი კონოტაცია და იქმნება ინტერპრეტაციის სირთულე. მსგავსი აცდენები განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც საქმე საერთაშორისო შეთანხმებებს ეხება, სადაც თითოეული ტერმინის შინაარსობრივი ერთიანობა აუცილებელია. ლ'ომი (L'Homme, 2020) აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია დეფინიციების მკაფიო შედარება და ცნებითი საზღვრების ერთიანი განსაზღვრა, რათა თავიდან ავიცილოთ თარგმნის სიზუსტისა და სამართლებრივი ეფექტიანობის დაკარგვა.

თავსებადობის დარღვევის კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი არის სტანდარტიზაციის ნაკლებობა, როდესაც ეროვნული და საერთაშორისო ტერმინოლოგიური ბაზები სინქრონიზებული არ არის. მაგალითად, ტექნოლოგიურ დისკურსში ქართულად ერთდროულად გამოიყენება როგორც „ციფრული ხელმოწერა“, ასევე „ელექტრონული ხელმოწერა“, თუმცა ISO და ევროკავშირის სტანდარტებში მკაფიოდ ფიქსირდება მხოლოდ *digital signature*. მსგავსი პრობლემა საგანმანათლებლო სფეროში, სადაც „დისტანციური სწავლება“ და „ონლაინ სწავლება“ ხშირად ერთმანეთის მაგივრად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურად განსხვავებულ რეალიებს ასახავს. ISO 704:2022 (სექცია 9.2) ხაზს უსვამს, რომ ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგები ერთიანი ფორმით უნდა აისახოს ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული დუბლირება და სემანტიკური დისბალანსი (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. 9.2).

ჰარმონიზებული ტერმინოლოგია განიხილება როგორც სტრატეგიული მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მრავალენოვან და მრავალდარგობრივ კომუნიკაციაში ცნებებისა და ტერმინების მაქსიმალურად ერთმნიშვნელოვანი და თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთსა და იმავე კონცეპტს სხვადასხვა ენაში უნდა შეესაბამებოდეს შინაარსობრივად იდენტური ან ფუნქციურად მაქსიმალურად მიახლოებული ტერმინი. ISO 704:2022 (სექცია 4.3) მკაფიოდ მიუთითებს, რომ ჰარმონიზაცია მხოლოდ ფორმალური ადაპტაცია არ არის; იგი მოითხოვს სიღრმისეულ ცნებით ანალიზს, რათა თითოეული ტერმინი ინტეგრირდეს საერთო სტანდარტიზებულ სისტემაში (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. 4.3). ამგვარი მიდგომა ქმნის საფუძველს საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიულ სივრცეებში სანდოობისა და ურთიერთგაგებისათვის. საერთაშორისო პრაქტიკაში ჰარმონიზაციის ძირითადი მიზნებია ტერმინოლოგიური ერთიანობის მიღწევა, სემანტიკური წინააღმდეგობების აღმოფხვრა და პროფესიული კომუნიკაციის ოპტიმიზაცია. ამის მაგალითია სამედიცინო სფერო, სადაც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის

(ICD)²⁵ (World Health Organization, 2019) გამოყენება უზრუნველყოფს დიაგნოსტიკურ და სამკურნალო პროცესებში ერთიან გაგებას. ტექნიკურ დარგში მსგავსი როლი აქვს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ ლექსიკონს (IEV)²⁶ (International Electrotechnical Commission, n.d.), რომელიც აერთიანებს ელექტროინჟინერიის ტერმინოლოგიას. სამართალში ჰარმონიზაციის კრიტიკული მნიშვნელობა იკვეთება ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნისას: განსხვავებული ტერმინოლოგიური ფორმულირების შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის პრობლემები. ქართულ პრაქტიკაში კი ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების თარგმნისას, სადაც აუცილებელია ეროვნული ტერმინოლოგიური ტრადიციის შერწყმა საერთაშორისო სტანდარტებთან. სწორედ ამგვარი ბალანსი განაპირობებს ჰარმონიზაციის როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ მნიშვნელობას.

ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის წარმატებული განხორციელება მოითხოვს მკაფიოდ განსაზღვრულ ეტაპობრივ მიდგომას. პირველ რიგში, აუცილებელია ცნებების იდენტიფიკაცია და მათი ძირითადი ატრიბუტების განსაზღვრა, რაც დეფინიციური ანალიზის, ცნებათა რუკებისა და კატეგორიული კლასიფიკაციის გზით მიიღწევა. მეორე ეტაპია ეროვნული და საერთაშორისო წყაროების შედარება, რათა გამოიკვეთოს სემანტიკური აცდენები და დუბლირების რისკები. მესამე საფეხურს წარმოადგენს რეკომენდებული ტერმინის შერჩევა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს როგორც სიზუსტეს, ისე პრაქტიკულ გამოყენებადობას. საბოლოო ეტაპია ტერმინების ოფიციალური დაფიქსირება სტანდარტიზებულ დოკუმენტებში და მათი ინტეგრაცია ეროვნულ და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში. ISO 704:2022 (სექცია 10.2) ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს პროცესები უნდა განხორციელდეს

²⁵ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ შემუშავებული სტანდარტიზებული სისტემაა, რომელიც გამოიყენება დაავადებებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობების კლასიფიკაციისა და კოდირებისათვის. იგი უზრუნველყოფს სამედიცინო მონაცემების საერთაშორისო შედარებადობას, დიაგნოსტიკური კრიტერიუმების ერთიანობას და სტატისტიკური აღრიცხვის სიზუსტეს.

²⁶ საერთაშორისო ელექტროტექნიკის კომისიის (IEC) მიერ შემუშავებული მრავალენოვანი ტერმინოლოგიური რესურსია, რომელიც მოიცავს ელექტროინჟინერიის, ელექტრონიკისა და დაკავშირებული ტექნიკური დარგების სტანდარტიზებულ ტერმინებსა და დეფინიციებს. IEV უზრუნველყოფს ერთიან ტერმინოლოგიურ ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს გლობალურ ტექნიკურ კომუნიკაციასა და სტანდარტიზაციის პროცესს.

ერთიანი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად, რათა ჰარმონიზაცია იყოს მდგრადი და ეფექტიანი (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, გვ. 10.2).

ჰარმონიზაციის პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გამოყენებულ ინსტრუმენტებსა და მექანიზმებზე. ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ბაზების სინქრონიზაცია, მაგალითად IATE და EuroTermBank, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა გაცვლასა და სემანტიკური თანხვედრის კონტროლს. ამასთან, მნიშვნელოვანია ექსპერტთა კოლაბორაცია, სადაც ენათმეცნიერები და დარგობრივი სპეციალისტები ერთობლივად აფასებენ ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობას. თანამედროვე პრაქტიკა ასევე მოითხოვს ტერმინოლოგიური მენეჯმენტის სისტემების (TMS)²⁷ ინტეგრაციას, რომლებიც აერთიანებენ კორპუსულ ანალიზს, გამოყენების სიხშირის სტატისტიკას და ავტომატურ ვალიდაციას (Wright & Budin, 2001). ქართულ კონტექსტში პერსპექტიული მექანიზმებია სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან არსებული ტერმინოლოგიური კომისიის აქტიური მუშაობა და უნივერსიტეტების ტერმინოლოგიური ლაბორატორიების ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული რესურსების თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან.

ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენად რჩება, რადგან სწორედ ეს პრინციპი უზრუნველყოფს პროფესიული კომუნიკაციის სიზუსტეს, სტანდარტიზაციის მდგრადობას და საერთაშორისო ინტეგრაციის ეფექტიანობას. მაგალითისათვის, მიგრაციის სფერო მკაფიოდ აჩვენებს ტერმინოლოგიური თავსებადობის კრიტიკულ მნიშვნელობას. „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონში“ დადგენილი ცნებები („თავშესაფრის მაძიებელი“, „დროებითი დაცვა“, „ბინადრობის ნებართვა“) აუცილებელია ზუსტად და თანმიმდევრულად გამოიყენებოდეს სამართლებრივ

²⁷ სპეციალიზებული პროგრამული პლატფორმებია, რომლებიც გამოიყენება ტერმინოლოგიური მონაცემების შესაგროვებლად, დასამუშავებლად და გასაზიარებლად. ისინი აერთიანებენ კორპუსულ ანალიზს, ტერმინის გამოყენების სიხშირის სტატისტიკას, სემანტიკური ველის მოდელირებას და ავტომატურ ვალიდაციას. თანამედროვე TMS ხელს უწყობს მრავალენოვან გარემოში ტერმინების თანმიმდევრული გამოყენებისა და სტანდარტიზაციის უზრუნველყოფას.

დოკუმენტებში (საქართველოს პარლამენტი, 2016). მათი მრავალვარიანტული თარგმანი („ბინადრობის ნებართვა“/„საცხოვრებელი ნებართვა“) პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს ქმნის. გამოსავალს წარმოადგენს ერთიანი ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და GEOSTM-ის კოორდინაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან სინქრონიზაციას. (GEOSTM, 2019)

ამრიგად, ტერმინისა და კონცეპტის თავსებადობა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც თეორიული მოთხოვნა, არამედ როგორც სტრატეგიული მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიულ სივრცეში. ეროვნული ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია, საერთაშორისო სტანდარტებთან სინქრონიზაციის პარალელურად, უზრუნველყოფს ქართულ ენობრივ იდენტობასთან თანხვედრილ, მაგრამ გლობალურად ინტეგრირებულ ტერმინოლოგიურ სისტემას.

2.6 ტერმინის სანდოობის განმსაზღვრელი ფაქტორები

ტერმინის სანდოობა თანამედროვე ტერმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. იგი განაპირობებს იმას, რომ ტერმინი სხვადასხვა დარგობრივ თუ მრავალენოვან გარემოშიც ინარჩუნებდეს ერთსა და იმავე ცნებით შინაარსსა და ფუნქციურ დატვირთვას. სანდოობა ახლოს დგას სიზუსტის (accuracy) ცნებასთან, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: სიზუსტე ასახავს ტერმინისა და მის საფუძველში არსებული კონცეპტის შინაარსობრივ შესაბამისობას, ხოლო სანდოობა მიუთითებს ამ შესაბამისობის განმეორებადობასა და მდგრადობას პროფესიულ კომუნიკაციაში. როგორც ტერმინოლოგიის კლასიკოსები (Wüster, 1979) (Felber, 1984) აღნიშნავდნენ და თანამედროვე მკვლევრებიც ადასტურებენ (Cabré, 1999) (Temmerman, 2000) (L'Homme, 2020), რომ ტერმინის სანდოობა არ შეიძლება მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე დაფუძნდეს — იგი ერთდროულად ეყრდნობა ლინგვისტურ, სემანტიკურ, ლოგიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს (Standardization, ISO 704:2022 —

Terminology work — Principles and methods, 2022) (Standardization, ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science — Vocabulary, 2019).

ტერმინის სანდოობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის მისი ლინგვისტურ-სტრუქტურული სახე. ტერმინი უნდა გამოირჩეოდეს მორფოლოგიური სტაბილურობით, გამართული სინტაქსური ფორმით და ქართული ენის ნორმებთან შესაბამისობით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022), უცხოენოვანი ფორმების უშუალო გადმოტანა ხშირად ამცირებს ტერმინის ფუნქციურ სიზუსტეს და არღვევს ენობრივ ერთიანობას. ამის ნათელი მაგალითია კომპიუტერული დისკურსი, სადაც დამკვიდრდა ტერმინი „საოფისე პროგრამა“, რომელიც ენის ნორმებს შეესაბამება და მკაფიო მნიშვნელობას ატარებს, მაშინ როცა გავრცელებული იყო არაზუსტი ფორმა „ოფის-სოფტი“, რომელიც ბუნებრივად ვერ მოერგო ქართულ ენას და სპეციალისტურ გამოყენებაში არ დამკვიდრდა. სწორედ ასეთი ადაპტაცია განამტკიცებს ტერმინის სანდოობას და ამაღლებს მის გამოყენებით სანდოობას პროფესიულ კომუნიკაციაში. ან კიდევ, თავშესაფრისა და მიგრაციისა ტერმინი “reflection period“ ქართულ ენაზე გადმოვიდა, როგორც „მოსაფიქრებელი ვადა“ და არა „რეფლექსიის პერიოდი“, რომელიც ბევრ კითხვას გააჩენდა ტერმინის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ „რეფლექსია“ თუნდაც ერთი დარგის ქვედარგებში განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს. ის პოლისემანტურია, და ნიშნავს: გამოსახულებას, კრიტიკას, აზრს, ინდიკატორს, შედეგს, საყვედურს, საპასუხო მოქმედებას და სხვ. გარდა იმისა, რომ ტერმინი ქართულად მორფო-სინტაქსურ დონეზე გამართულია, ასევე ტერმინ-ცნებითი თავსებადობა ლინგვისტურადაც ზუსტად არის გაცული. მაშინ, როცა ესპანურ ენაზე ტერმინის შესატყვისია período de reflexión ან კიდევ პორტუგალიურ ენაზე período de reflexão, ხოლო ბულგარულ ენაზე период за размисъл და ა.შ. ქართულ ენაში „მოსაფიქრებელი ვადა“ ზუსტად პასუხობს ტერმინოლოგიურ სტანდარტებს როგორც ტერმინისა და ცნებითი თავსებადობის დაცვის პრინციპით, ისე ეროვნული ენაზე შემუშავებული შესატყვისის მოძიებით.

ტერმინის სანდოობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი სემანტიკურ-ცნებითი ერთმნიშვნელობიანობა. ტერმინი უნდა ასახავდეს იმ ცნებას, რომელსაც იგი აღნიშნავს, მკაფიოდ და ზუსტად, რათა თავიდან იქნას აცილებული მრავალმნიშვნელობა და სემანტიკური გადაფარვა. ეს მოითხოვს დეფინიციის სიზუსტესა და ცნებათა საზღვრების მკაფიო დადგენას (Standardization, ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science — Vocabulary, 2019) (L’Homme, 2020). ამის ნათელი მაგალითია ტერმინი „მოსაფიქრებელი ვადა“ (reflection period) მიგრაციის სფეროდან. თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განამარტებითი ლექსიკონის თანახმად, reflection period (A period of time determined according to national law granted to third-country nationals officially identified as victims of trafficking in human beings allowing the victim to recover and escape the influence of the perpetrators of the offences so that they can take an informed decision as to whether (or not) to cooperate with the competent authorities) https://home-affairs.ec.europa.eu/networks/european-migration-network-emn/emn-asylum-and-migration-glossary_en ქართულად გადმოტანილია როგორც „მოსაფიქრებელი ვადა“ და ნიშნავს „დროის პერიოდს, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეძლევა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ოფიციალურად იდენტიფიცირებულ მესამე ქვეყნის მოქალაქე მსხვერპლს და საშუალებას აძლევს მას, დაუბრუნდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომამდე მდგომარეობას და თავი დააღწიოს დამნაშავის გავლენას, რათა მიიღოს გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება, ითანამშრომლოს თუ არა კომპეტენტურ ორგანოებთან“. (European Migration Network, 2023) ტერმინი შემუშავდა EMN-ის მიერ (ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/81/EC (დირექტივა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ) მე-6(1) მუხლი)“. იქვე გაკეთებულია შენიშვნა, რომ ტერმინი უშუალოდ უკავშირდება ადამიანით ვაჭრობის კონტექსტს, თუმცა ‘მოსაფიქრებელი ვადა’ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ფართო კონტექსტში და სხვადასხვა სახის დისკურსში (European Migration Network, 2023).

ტერმინის სანდოობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მისი ლოგიკურ-კატეგორიული თავსებადობა, ანუ ცნებათა სისტემაში სწორად ჩასმა. ტერმინს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი როგორც უფრო ზოგად, ისე უფრო კონკრეტულ ცნებებთან მიმართებით. ასეთი იერარქიული კავშირების გარეშე

იზრდება გაურკვევლობის საფრთხე და ირღვევა ცნებათა შორის ლოგიკური თანმიმდევრობა. მაგალითად, ქართულ სამართლებრივ დისკურსში ტერმინი „ადმინისტრაციული აქტი“ ზოგჯერ განიმარტება როგორც ფართო ცნება, რომელიც მოიცავს ყველა სახის სამართლებრივ დოკუმენტს, თუმცა სინამდვილეში იგი მხოლოდ კონკრეტულ კატეგორიას აღნიშნავს. მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ლოგიკურ-კატეგორიული ჩარჩოს დაცვა აუცილებელია ტერმინის სანდოობისთვის, რადგან ის იცავს ცნებებს ერთმანეთში აღრევისგან (Faber, 2012).

ტერმინის სანდოობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი დისკურსულ-პრაგმატული გამოყენება. სანდო ტერმინი უნდა იყოს თანმიმდევრულად დამკვიდრებული პროფესიულ საზოგადოებაში და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს მოიცავს ტერმინის სიხშირეს დარგობრივ ლიტერატურაში, გამოყენების ერთგვაროვნებას ოფიციალურ დოკუმენტებში და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას (Cabré, 1999) (Temmerman, 2000). ამის ნათელი მაგალითია ქართულ სამართლებრივ-ტექნიკურ დისკურსში ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერა“. იგი ოფიციალურ რეგულაციებსა და სტანდარტიზაციის დოკუმენტებში დამკვიდრებულია, მაშინ როცა პარალელურად ხშირად გამოიყენება „ციფრული ხელმოწერა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები ხშირად სინონიმებად აღიქმება, მათი ერთმანეთის ნაცვლად გამოყენება გარკვეულ სირთულეს ქმნის, რადგან საერთაშორისო სტანდარტებში მკაფიოდ არის გაყოფილი „ელექტრონული“ და „ციფრული“ ხელმოწერის ცნებები. შესაბამისად, სანდოობის კრიტერიუმში მოითხოვს იმ ტერმინის გამოყენებას, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებსა და პროფესიულ პრაქტიკაში დამკვიდრებულია და ზუსტად შეესაბამება შესაბამის კონცეპტს.

ტერმინის სანდოობას განაპირობებს ასევე მისი ინსტიტუციური ლეგიტიმაცია. როდესაც ტერმინი ოფიციალურადაა დამკვიდრებული ეროვნული თუ საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ, იგი იღებს სანდოობის უფრო მაღალ სტატუსს. მაგალითად, ISO 704:2022 და ISO 1087:2019 ტერმინოლოგიური მუშაობის საფუძვლად მიიჩნევა და მათზე დაყრდნობით ხდება დეფინიციების, სემანტიკური არეალისა და სტრუქტურული პრინციპების ერთიანი ფორმალიზება (Standardization, ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science —

Vocabulary, 2019) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). ანალოგიურად, ევროკავშირის ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზა IATE ქმნის სტანდარტულ რესურსს, სადაც თითოეული ტერმინი არა მხოლოდ დეფინიციით, არამედ შესაბამისი წყაროს მითითებითაც არის გამყარებული. ასეთ ინსტიტუციურ მექანიზმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ამცირებენ მრავალვარიანტულობას და ტერმინს უფრო სტაბილურ და სანდო ერთეულად აქცევენ.

ქართულ კონტექსტში ტერმინის სანდოობის განსაზღვრაში დიდი როლი აკისრია საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს (GEOSTM) და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს. GEOSTM, როგორც ISO-ს ეროვნული წევრი, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციას და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებას, სადაც ტერმინოლოგიური ერთეულები ერთიანდება (GEOSTM, 2019). სახელმწიფო ენის დეპარტამენტი²⁸ კი აკონტროლებს, რომ ტერმინები ენობრივად იყოს გამართული და ეროვნული ნორმების შესაბამისად დამკვიდრებული (State Language Department of Georgia, n.d.). ამის მაგალითია გარემოს დაცვის სფერო: ოფიციალურ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონმდებლობაში დამკვიდრებულია ტერმინი „გარემოსდაცვითი მდგრადობა“, რომელიც ზუსტად ასახავს შესაბამის კონცეპტს, მაშინ როცა მედიასა და ყოველდღიურ დისკურსში ხშირად გვხვდება ალტერნატიული ფორმა „ეკოლოგიური მდგრადობა“. განსხვავებული ფორმების პარალელური არსებობა სემანტიკურ გაურკვევლობას ქმნის, რის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ სანდოობის პრინციპის დაცვა.

ტერმინის სანდოობა განაპირობებს ტერმინოლოგიური ერთეულების სტაბილურობას, მრავალფეროვან დისკურსებში მათი შინაარსობრივი ერთიანობის შენარჩუნებასა და პროფესიული კომუნიკაციის სიზუსტეს. ლინგვისტურ-სტრუქტურული, სემანტიკურ-ცნებითი, ლოგიკურ-კატეგორიული და დისკურსულ-

²⁸ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის საფუძველზე (2015). მისი მიზანია სახელმწიფო ენის ნორმების დაცვა, ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინაცია და სპეციალისტთა კომისიებთან თანამშრომლობა.

პრაგმატული - ერთობლიობა ქმნის სანდოობის კომპლექსურ კრიტერიუმს. თუმცა, ამასთან ერთად, ინსტიტუციური და სტანდარტიზაციის მექანიზმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო დონეზე ISO და IATE ქმნიან ერთიან ჩარჩოს, ხოლო ქართულ კონტექსტში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უზრუნველყოფენ ტერმინოლოგიური ერთეულების სანდოობას ეროვნული ნორმებისა და საერთაშორისო სტანდარტების თანხვედრაში. (GEOSTM, 2019) (State Language Department of Georgia, n.d.)

ამრიგად, ტერმინის სანდოობა უნდა აღიქმებოდეს არა როგორც მხოლოდ თეორიული მოთხოვნა, არამედ როგორც პრაქტიკული აუცილებლობა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს პროფესიული კომუნიკაციის ეფექტიანობას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ქართული ტერმინოლოგიის ღირსეულ ინტეგრაციას. სანდოობის დაცვა ერთდროულად წარმოადგენს როგორც გლობალური ჰარმონიზაციის, ისე ეროვნული ენობრივი იდენტობის დაცვის აუცილებელ პირობას.

თავი III . ანალიტიზმების ქართული შესატყვისების კრიტიკული ანალიზი მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მასალაზე

3.1 „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიკრო და მაკროსტრუქტურა

„თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ წარმოადგენს მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN)²⁹ ერთ-ერთ სისტემურ ინსტრუმენტს, რომელიც ორიენტირებულია ჰარმონიზებული ტერმინოლოგიის

²⁹ ევროკავშირის მიერ 2008 წელს ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი, რომლის მანდატს წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და დამკვირვებელი ქვეყნებისათვის თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროში დასაბუთებული, ობიექტური და შედარებითი ინფორმაციის სისტემატური უზრუნველყოფა. ქსელის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ევროპული კომისია (DG HOME), ხოლო პრაქტიკულად მას ემსახურება ეროვნული საკონტაქტო პირთა ქსელი. საქართველოს კონტექსტში, ეს ფუნქცია ეკისრება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციონალური ჩარჩოს ფარგლებში.

დამკვიდრებაზე ევროკავშირის მასშტაბით და წარმოადგენს მიგრაციის ევროპული ქსელის მიერ შედგენილი თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის ქართულ თარგმანს. როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაში არის აღნიშნული, ის „შემუშავდა EMN-ის საქართველოს ეროვნული საკონტაქტო პირის - მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) კოორდინაციით პროექტების - „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“ და „განვითარებაზე მიგრაციის გავლენის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში“ (European Migration Network, 2023). საქართველოში პროექტებს ახორციელებს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)³⁰ ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით. ლექსიკონში შესული ტერმინები განიხილა და დაამტკიცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ.

ლექსიკონის სტრუქტურის ანალიზი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან მისი მაკრო და მიკროსტრუქტურული არქიტექტურა უშუალოდ განსაზღვრავს როგორც ტერმინთა დეფინიციების სემანტიკურ სიზუსტეს, ისე ტერმინთა მრავალენოვან თავსებადობას. ლექსიკოგრაფიული სტრუქტურის განხილვისას განასხვავებენ ორ ძირითად დონეს: მაკროსტრუქტურას და მიკროსტრუქტურას. მაკროსტრუქტურა გულისხმობს ლექსიკონის მთლიან არქიტექტურას — ტერმინთა შერჩევისა და განლაგების პრინციპებს, ანბანურ და თემატურ ორგანიზაციას, ინდექსაციის სიტემას და საძიებელ აპარატს, რაც განსაზღვრავს მომხმარებლის შესაძლებლობას, სწრაფად და ეფექტიანად მოიძიოს ინფორმაცია ლექსიკონში. მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) მიერ

³⁰ (ICMPD) — 1993 წელს შექმნილი რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც მხარდაჭერას უწევს სახელმწიფოებს მიგრაციის მართვის სისტემების გაძლიერებაში. მისი საქმიანობა მოიცავს პოლიტიკის ფორმირებას, კვლევებს, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ კონსულტირებას და საერთაშორისო პროექტების მართვას ევროპის, მეზობელი რეგიონებისა და პარტნიორი ქვეყნების მასშტაბით.

შემუშავებული „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მაკროსტრუქტურა ეფუძნება ინგლისური ანბანის მიხედვით ორგანიზებულ ტერმინოლოგიურ კორპუსს, რომელიც მოიცავს 531 ლექსიკურ ერთეულს. აღნიშნული მაკროსტრუქტურა ხასიათდება მრავალენოვანი კომპონენტით. კერძოდ, ლექსიკონის 2023 წლის ბეჭდურ ვერსიაში (9.0) ტერმინები წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ენებზე (24 ენაზე) და აგრეთვე, ნორვეგიულ და უკრაინულ ენებზე.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)		ა
BG	трафик на хора	ბ
CS	obchodování s lidmi	გ
DE	Menschenhandel	დ
EL	εμπορία ανθρώπων	ე
EN	trafficking in human beings	ვ
ES	trata de seres humanos	ზ
ET	inimkaubandus	თ
FI	ihmiskauppa	ი
FR	traite des êtres humains	კ
GA	gáinneáil i ndaoine	ლ
HU	emberkereskedelem	მ
IT	tratta di esseri umani	ნ
LT	prekyba žmonėmis	ო
LV	cilvēku tirdzniecība	პ
MT	Traffikar ta' Persuni	ჟ
NL	mensenhandel	რ
PL	handel ludźmi	
PT	tráfico de seres humanos	
RO	trafic de ființe umane	
SK	obchodovanie s ľuďmi	
SL	trgovina z ljudmi	
SV	människohandel	
NO	menneskehandel	
UK	торгівля людьми	

ნყარო
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/36/EU (დირექტივა ტრეფიკინგის შესახებ) მე-2 მუხლი

სინონიმი
* ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

უფრო ვინრო მნიშვნელობით ტერმინები
* ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის გამოვლენა
* ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება

დაკავშირებული ტერმინები
* ექსპლუატაცია
* რეფერირების ეროვნული მექანიზმი
* პალერმოს ოქმი

შენიშვნები
1. „მონყვლადი მდგომარეობა“ ნიშნავს სიტუაციას, რომელშიც შესაბამის პირს არ გააჩნია რეალური ან მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ დაექიმობაზროს ბონოლოკო დამოკინიბას

მრავალენოვანი კომპონენტის არსებობა ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში განაპირობებს მის ფუნქციურ მრავალმხრივობას: იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციული რესურსის როლით, არამედ ასრულებს ინსტიტუციონალიზაციის ფუნქციასაც. კერძოდ, ლექსიკონი ქმნის ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის ნორმატიულ საფუძველს ევროკავშირის წევრ და ასოცირებულ ქვეყნებს შორის, რაც ხელს უწყობს მიგრაციის პოლიტიკის ერთიან და თანმიმდევრულ ინტერპრეტაციას.

ლექსიკონის მაკროსტრუქტურა შედგება რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან, რომელთაგან თითოეული უზრუნველყოფს დოკუმენტის სისტემურობასა და მარტივ ხელმისაწვდომობას. პირველ რიგში, წინასიტყვაობა და შესავალი განსაზღვრავს დოკუმენტის პოლიტიკურ-სამართლებრივ ჩარჩოს და ასახავს ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს. შემდგომი

ინტერპრეტაციული თანხედრის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემოკლებათა სიას, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ტერმინთა დეკოდირების რეფერენციული მექანიზმი. ლექსიკონის ძირითადი სეგმენტი მოიცავს ტერმინოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც სტრუქტურირებულია ინგლისური ანბანის მიხედვით. ამასთან, ლექსიკონის ბეჭდური ვერსიის (9.0) დასასრულს ინტეგრირებულია საძიებო აპარატი — „ქართული ტერმინები“ და „ინგლისური ტერმინები“, აგრეთვე გამოყენებული წყაროების ბიბლიოგრაფიული ინდექსი. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფს როგორც ენათაშორის, ისე თემატურ ნავიგაციას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ლექსიკონის გამოყენებადობას როგორც აკადემიური კვლევისთვის, ისე პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტებისთვის. ამრიგად, EMN-ის განმარტებითი ლექსიკონის მაკროსტრუქტურა წარმოადგენს კომპლექსურ და სტრატეგიულად გააზრებულ ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს ლინგვისტურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მიზნებს. იგი ხელს უწყობს მიგრაციის სფეროში ტერმინოლოგიური ერთიანობის მიღწევას და ამავედროულად ასახავს ევროკავშირის მრავალენოვანი და მრავალკულტურული სივრცის სპეციფიკას. კერძოდ, ტერმინების მრავალენოვანი წარმოდგენა ხელს უწყობს არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კულტურულ და სამართლებრივ თავსებადობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიგრაციის სფეროში საერთო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებისთვის. ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისების ინტეგრაცია განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან იგი ასახავს ევროკავშირის ტერმინოლოგიის ეტაპობრივ ინტეგრაციას ქართულ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დისკურსში.

ლექსიკონის მიკროსტრუქტურა აგებულია სტანდარტიზებული სქემით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ტერმინოლოგიური ერთეულის კომპლექსურ აღწერას და მის კავშირს სხვა ტერმინებთან. თითოეული სიტყვა-სტატია მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ძირითადი ტერმინი, განმარტება, წყაროები, სინონიმები, უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინები, უფრო ვიწრო მნიშვნელობის ტერმინები და შენიშვნები. განმარტებები ფორმულირებულია ჩანაცვლებადობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ დეფინიცია უნდა იყოს ზუსტი და

კონტექსტუალურად ადეკვატური, რათა შესაძლებელი გახდეს ტერმინის უშუალო ჩანაცვლება განმარტებით შინაარსის დაკარგვის გარეშე (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022). მაგალითისთვის, ანალიტიკაში ‘separated child’ განმარტებულია, როგორც არასრულწლოვანი, რომელიც ქვეყანაში შესვლის ან ყოფნის დროს დაშორებულია ორივე მშობელს ან სამართლებრივ მზრუნველს, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ სრულიად მარტო იყოს. ამ ტერმინის ქართული შესატყვისია ‘განცალკევებული ბავშვი’.

განცალკევებული ბავშვი

BG	no translation
CS	odloučené dítě
DE	alleinstehendes Kind
EL	μικρό χωρισμένο από την οικογένειά του
EN	separated child
ES	menor separado
ET	vanematest eraldatud laps
FI	huoltajasta erilleen joutunut lapsi
FR	enfant séparé
GA	páiste dealaithe
HU	kisérjétől elválasztott gyermek
IT	minore separato
LT	atskirtas nuo tėvų vaikas
LV	bez vecāku vai aizbildņu gādības palicis bērns
MT	Tifel /Tifla mifrud(a) / separat(a)
NL	alleenstaand kind
PL	matoletni bez opieki
PT	criança separada
RO	minor neînsoțit / separat
SK	odlučené dieťa
SL	otrok brez spremstva
SV	separerat barn
NO	enslig barn (b); einsleg barn (n)
UK	розлучена

ის დაშორებულია განმარტებით ლექსიკონს

განმარტება

18 წლამდე ასაკის ბავშვი, რომელიც იმყოფება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის გარეთ და განცალკევებულია ორივე მშობლისგან ან მასზე კანონმდებლობით ან ჩვეულებით პასუხისმგებელი პირისგან/მეურვისგან.

წყაროები

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. N6 ზოგადი კომენტარი. 2005 წ., მე-8 მუხლი
 ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): განცალკევებულ, თავმესაფრის მძიმებელ ბავშვთა კვლევა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2010 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ბავშვი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი

შენიშვნა

ბავშვი შეიძლება იყოს სრულიად მარტო ან ცხოვრობდეს ნათესავებთან ერთად. ყველა ასეთი ბავშვი არის ოჯახს დაშორებული ბავშვი და ექვემდებარება საერთაშორისო დაცვას რიგი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების შესაბამისად.

სურათი N2

EMN-ის განმარტებითი ლექსიკონის მიკროსტრუქტურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინთშორისი კავშირების სისტემატიზაციას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ანალიტიკების ზუსტი ინტერპრეტაციისთვის. ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულებების ტიპოლოგია მოიცავს სინონიმურ, კვაზისინონიმურ, იერარქიულ და ასოციაციურ კავშირებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის კონცეპტუალურად მდიდარ და ფუნქციურად მოქნილ ლექსიკოგრაფიულ ქსელს. სინონიმური კავშირები აერთიანებს ტერმინებს, რომლებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე კონცეპტს და სრულად ურთიერთმემცვლეელია. იმ შემთხვევაში თუ ერთი კონცეპტის აღსანიშნად რამდენიმე სინონიმური ტერმინი არსებობს, მათგან მხოლოდ ერთს ენიჭება „ძირითადი ტერმინის“ სტატუსი, ხოლო დანარჩენი შესაძლო ვარიანტები, მათ შორის კვაზისინონიმები, აკრონიმები და შემოკლებები

განთავსებულია სინონიმების სვეტში. მაგალითად, ანალიტიკური ტერმინის 'Joint Valletta Action Plan' ქართული შესატყვისია 'ვალეტის ერთობლივი სამოქმედო გეგმა', (ძირითადი ტერმინი), ხოლო მისი სინონიმებია 'JVAP' და 'ვალეტის სამიტის სამოქმედო გეგმა', ხოლო დაკავშირებული ტერმინებია: 'რაბატის პროცესი', 'ხარტუმის პროცესი' და 'ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის)'.

კვაზისინონიმები (მნიშვნელობით ახლო, მაგრამ არა იდენტური ტერმინები) ასახავს კონცეპტუალურ ნიუანსებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი ტერმინოლოგიის კონტექსტში. მაგალითად, asylum seeker და applicant for international protection განსხვავდებიან აქცენტით: პირველი მიგვითითებს სუბიექტის სტატუსზე, ხოლო მეორე — სამართლებრივი პროცესის ეტაპზე. ქართულ ენაში დამკვიდრებულია შესატყვისები 'თავშესაფრის მაძიებელი' და 'საერთაშორისო დაცვის მაძიებელი', რაც ასახავს ამ კონცეპტების შინაარსობრივ დიფერენციაციას. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიურ პრინციპებთან (Kevlishvili, 2012). აკრონიმებისა და შემოკლებების ინტეგრაცია მიკროსტრუქტურაში ემსახურება პრაქტიკული დისკურსის საჭიროებებს. მაგალითად, ECJ (European Court of Justice) და ECHR (European Court of Human Rights) წარმოდგენილია როგორც სტანდარტული შემოკლებები, რაც აუმჯობესებს ლექსიკონის გამოყენებადობას პროფესიული კომუნიკაციის კონტექსტში. იერარქიული კავშირები ასახავს ზოგადი და კონკრეტული კონცეპტების ურთიერთმიმართებას. ზოგადად, ასოციაციური კავშირების სისტემატიზაცია ქმნის ღია კვანძოვან ქსელს, რომელიც ამარტივებს დისკურსულ გარემოს, სადაც ტერმინები ფუნქციონირებენ. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება თანამედროვე ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის პრინციპებს (International Organization for Standardization, 2011) (Bergenholtz & Tarp, 1995).

მიკროსტრუქტურაში ასევე დაცულია რიცხვითი ნორმის ერთგვაროვნება: ტერმინები, როგორც წესი, მოცემულია მხოლოდ ერთ რიცხვში, რაც შეესაბამება ტერმინოლოგიური სტანდარტების მოთხოვნებს. გამონაკლისს წარმოადგენენ ისეთი კონცეპტები, რომლებიც ბუნებრივად გამოიყენება მხოლოდ მრავლობითში,

მაგალითად 'fundamental rights' (ძირითადი უფლებები) და 'durable solutions' (გრძელვადიანი გადაწყვეტილებები). ამგვარი სტრუქტურული თანმიმდევრულობა ხაზს უსვამს ლექსიკონის სიზუსტეს, სტანდარტიზაციას და მის ფუნქციურობას როგორც სამართლებრივი, ისე აკადემიური წყაროს სტატუსით (European Migration Network, 2023) (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022).

მაკრო და მიკრო სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ EMN-ის განმარტებითი ლექსიკონი მრავალენოვანი და ინტეგრირებული სისტემაა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს სამართლებრივ სიზუსტეს, ადმინისტრაციული პრაქტიკის მხარდაჭერას და აკადემიური კვლევის ხელშეწყობას. მაკროსტრუქტურა აყალიბებს ტერმინთა კორპუსის ერთიან ორგანიზებას, უზრუნველყოფს ინდექსებითა და თარგმანებით გამდიდრებულ ნავიგაციას, ხოლო მიკროსტრუქტურა უზრუნველყოფს დეფინიციების სიზუსტეს, ტერმინთშორისი კავშირების წარმოჩენას და დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ტერმინთან დაკავშირებით. შედეგად, ლექსიკონი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის პროცესში.

მიგრაციის ევროპული ქსელის (European Migration Network, 2023) მიერ 2023 წელს შემუშავებული „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ წარმოადგენს სანდო რესურსს ანალიტიკური ტერმინების ლინგვისტური და კონცეპტუალური ბუნების სისტემური კვლევისთვის. აღნიშნული ლექსიკონი ხასიათდება მაღალი აკადემიური სტანდარტით, ტერმინოლოგიური სიზუსტით და ცნებითად დეტალიზებული, მკაფიოდ ფორმულირებული დეფინიციებით, რაც ქმნის მეთოდოლოგიურად საფუძვლიან ემპირიულ ბაზას ტერმინოლოგიური ერთეულების მრავალასპექტური ანალიზისათვის.

3.2. ანალიტიკური ტერმინების (ანალიტიზმების) კონცეპტუალური ერთიანობა და სემანტიკური თავისებურებები


ანალიტიკური ტერმინები, ანუ ანალიტიზმები, თანამედროვე ტერმინოლოგიური კვლევების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და კომპლექსურ ობიექტს წარმოადგენს.

მათი კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ისინი აერთიანებენ როგორც სტრუქტურულ, ისე სემანტიკურ სირთულეებს და ამავდროულად ასახავენ სპეციალიზებული ცოდნის განვითარების დინამიკას. განსხვავებით ერთსიტყვიანი ტერმინებისგან, რომლებიც ერთი ლექსიკური ერთეულისგან შედგება და, როგორც წესი, მონოსემურ მნიშვნელობას ატარებს, ანალიტიზმები მრავალკომპონენტური სტრუქტურებია, რომელთა სემანტიკური ღირებულება ყალიბდება არა ცალკეული კომპონენტების, არამედ მათი ურთიერთქმედების საფუძველზე. ამგვარი ურთიერთქმედება ქმნის ცნებით მთლიანობას, რომელიც აღემატება კომპონენტების უბრალო ჯამს და იძენს ახალ თვისობრივ მნიშვნელობას. ტერმინოლოგიურ მეცნიერებაში აღნიშნული თავისებურება დაკავშირებულია „კონცეპტუალური სინთეზის“ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც ანალიტიზმში ბირთვი/მეთაური სიტყვა (head) და მისი მსაზღვრელები/მოდIFIკატორები (modifiers) ურთიერთშეწყობით ქმნიან იმ სემანტიკურ სტრუქტურას, რომელიც აუცილებელია დარგობრივი კომუნიკაციისთვის. ამგვარი კონცეპტუალური სინთეზი ნათლად იკვეთება მაგალითად ბინარულ ანალიტიკურ ტერმინში ‘arranged marriage’ (გარიგებით ქორწინება), სადაც ბირთვს (head) წარმოადგენს ‘marriage/ქორწინება’, ხოლო მსაზღვრელი კომპონენტი ‘arranged/გარიგებით’ განსაზღვრავს ქორწინების სპეციფიკურ სოციალურ მოდელს. ეს არის ქორწინება, რომლის დროსაც წყვილი შეირჩევა არა თავად მექორწინეთა, არამედ სხვა პირთა მიერ. ეს არის შეთანხმებითა და წინასწარი შეთანხმების გზით ჩამოყალიბებული ურთიერთობა, რაც ქორწინებას განსაკუთრებულ სამართლებრივ-სოციალურ კონტექსტში აქცევს. შედარებითი ლექსიკონური ანალიზი აჩვენებს, რომ ევროპულ ენებში აღნიშნული ტერმინის გადმოცემა უმეტესად ეფუძნება შეთანხმების/მორიგების სემანტიკურ ბირთვს. სლავურ ენებში დომინირებს შეთანხმებაზე ორიენტირებული მოდელი (მაგ., სლოვაკურ ენაზე dohodnuté manželstvo, ჩეხურ ენაზე dohodnutý sňatek, უკრაინულ ენაზე шлюб за домовленістю), რაც ხაზს უსვამს ქორწინების შეთანხმებით ხასიათს. ანალოგიური სემანტიკური აქცენტი შეინიშნება სხვა ენებშიც, მაგალითად, ფრანგულად FR mariage arrangé, იტალიურად matrimonio combinato, ესპანურად matrimonio arreglado / concertado, პორტუგალიურად casamento arranjado), რაც

კონცეპტუალურად კვლავ შეთანხმებით ფორმირებულ ქორწინებაზე მიანიშნებს და არ ატარებს იძულებითი ქმედების კონოტაციას. აღნიშნული ენათაშორისი სურათი ცხადყოფს, რომ 'arranged marriage' საერთაშორისო ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში კონცეპტუალურად განსხვავდება 'იძულებითი ქორწინებისგან' (forced marriage), და მისთვის დამახასიათებელი ანალიტიკური სტრუქტურა ემსახურება სწორედ ამ სემანტიკური განსხვავების შენარჩუნებას. თუმცა, იმის მტკიცებაც შუუძლებელია, რომ გარიგებით ქორწინების დროს წყვილი არ იყო რიამე ზეწოლის ქვეშ, რის გამოც რომელიმე მათგანი შესაძლოა იძულებით დათანხმებულიყო ქორწინებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ განსხვავებით სხავ ენებისაგან, ქართულში ამ ტერმინის გადმოცემისას სწორად არის შერჩეული მსაზღვრელ სიტყვად 'გარიგება' და არა 'შეთანხმება'. სრულად გამართლებულია ისეთი სტრუქტურის შერჩევა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ამ თვალსაზრისით, რადგან ეს ფორმა 'გარიგებით ქორწინება' უფრო მკაფიოდ ასახავს ტერმინის კონცეპტუალურ შინაარსს - მექორწინე შეიძლება დაეთანხმოს ან პირიქით, უარყოს შეთავაზებული გარიგება, მაშინ როცა ალტერნატიული ვარიანტი 'შეთანხმებით ქორწინება' გამოხატავს ორი მხარის ნებათა თანხვედრას, ანუ ურთიერთშეთანხმებას ქორწინების შექმნაზე. ამდენად, 'გარიგებით ქორწინება' სემანტიკურად ნეიტრალური მოდელია, და უკეთ ერგება სპეციალიზებულ სამართლებრივ და სოციოლოგიურ დისკურსს.


ანალიტიკების ფუნქციური მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ დარგებში, სადაც ცნებითი სირთულე მაღალია და სპეციალიზებული პროცესების აღწერისთვის ერთსიტყვიანი ფორმები საკმარისი აღარ არის. მიგრაციის დისკურსში მრავალკომპონენტიანი ტერმინები უნივერსალური ინსტრუმენტია, ვინაიდან ისინი ზუსტად ასახავენ სოციალურ და ადმინისტრაციულ რეალობას. მიგრაციისა და თავშესაფრის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი მოიცავს 531 ტერმინს, რომელთაგან 464 ანალიტიკური ტიპისაა. ეს მონაცემი ცხადყოფს, რომ მიგრაციის სფეროში დამკვიდრებულ ტერმინთა უმრავლესობა სწორედ ანალიტიკური სტრუქტურის ერთეულებს წარმოადგენს. აღნიშნული ტერმინების დიდი ნაწილი გამოხატავს გვარეობით-სახეობით ურთიერთობას და ერთმანეთთან ჰიპონიმურ და ჰიპერონიმურ კავშირშია. მაგალითად, EMN Glossary-ში წარმოდგენილი ტერმინი

‘labour migration policy’ (შრომითი მიგრაციის პოლიტიკა) ნათლად აჩვენებს, რომ საბოლოო მნიშვნელობა წარმოიქმნება მხოლოდ კომპონენტთა ერთობლივი ინტერპრეტაციის შედეგად: ‘policy’ წარმოადგენს მეთაურ სიტყვას/ბირთვს, ხოლო ‘labour migration’ — მსაზღვრელ კომპონენტს პოლიტიკის ობიექტურ სფეროსთან მიმართებაში. ქართულ ენაში მსგავსი სტრუქტურები, როგორც წესი, მეტწილად კუთვნილება-დანიშნულების გამომხატველი ბრუნვით-ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება, რომელსაც ინდოევროპულ ენათა გენიტივი შეეფარდება. კუთვნილებითი ბრუნვის ფორმით ითარგმნება (მაგ., ‘მიგრაციის პოლიტიკა’, ‘შრომითი მიგრაციის პოლიტიკა’), რაც საშუალებას იძლევა მკაფიოდ გამოიკვეთოს დომინანტი კომპონენტი (‘პოლიტიკა’) და შენარჩუნდეს ცნებითი იერარქია.



სქემა N3

‘მიგრაციის პოლიტიკა’ მომდევნო გამოთქმისთვის ჰიპერონიმია, ხოლო ‘შრომითი’ ჰიპონიმად მიიჩნევა, რადგან „შრომითი მიგრაციის პოლიტიკა“ სახეობითი ნაირგვარობაა. სწორედ ამიტომ, ანალიტიკუმების კვლევა ქართულ ტერმინოლოგიაშიც მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან მათი სიზუსტე არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ატარებს: ისინი განსაზღვრავენ სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციის ხარისხს, ადმინისტრაციული დოკუმენტაციის ერთიანობას და პროფესიული კომუნიკაციის ეფექტიანობას. გვარეობით-სახეობითი ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითია ტერმინი ‘განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი’.



სქემა N4

‘განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი’ მომდევნო გამოთქმისთვის ჰიპერონიმია, ხოლო სიტყვა ‘მიღების’ ჰიპონიმად მიიჩნევა, რადგან ‘მიღების განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი’ სახეობითი ნაირგვარობას წარმოადგენს.

სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დისკურსში ანალიტიკური სტრუქტურის ფუნქციური მნიშვნელობა ნათლად ვლინდება ტერმინში ‘return decision’ (გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ). აღნიშნული ერთეული წარმოადგენს სახელადი ტიპის ანალიტიკოსს, სადაც ბირთვს ქმნის კომპონენტი decision/გადაწყვეტილება, ხოლო return/დაბრუნება უზრუნველყოფს მის შინაარსობრივ-საგნობრივ დიფერენციაციას. ამგვარ კონსტრუქციაში ‘დაბრუნება’ არ იკითხება როგორც დამოუკიდებელი ქმედება, არამედ განისაზღვრება სამართლებრივი აქტის - გადაწყვეტილების ობიექტად, რაც ტერმინის სემანტიკურ მთლიანობას განაპირობებს. EMN ლექსიკონის თანახმად, ტერმინის განმარტება ასეთია: „ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება ან აქტი, რომელიც ადგენს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არალეგალურად იმყოფება ევროკავშირის წევრ ქვეყანაში და ავალებს ან მიუთითებს მას დაბრუნების ვალდებულებაზე“. შედარებითი ლექსიკონური მასალა ცხადყოფს, რომ ევროპულ ენებში გავრცელებულია სწორედ ბირთვზე - ‘გადაწყვეტილებაზე’ ანუ სამართლებრივ აქტზე - ორიენტირებული მოდელი. მრავალ ენაში ტერმინი ფორმირდება გენტივური ან პრეპოზიციური კონსტრუქციით, სადაც ‘გადაწყვეტილება’ მკაფიოდ ინარჩუნებს

დომინანტ პოზიციას (მაგ.: ფრნაგულად *décision de retour*, პოლონურად *decyzja o powrocie*, შვედურად *beslut om återvändande*, სლოვაკურად *rozhodnutie o návrate*). ამასთან, ცალკეულ ენებში ფიქსირდება განსხვავებული, უფრო შედეგზე ორიენტირებული ფორმებიც, სადაც აქცენტი გადატანილია არა გადაწყვეტილებაზე, არამედ იძულებით გამგზავრებაზე ან გაძევებაზე (ესპანურად *resolución de expulsión*, უნგრულად *országelhagyásra kötelező határozat*, ლატვიურად *izbraukšanas rīkojums*). აღნიშნული სხვაობა მიუთითებს, რომ ტერმინის სტრუქტურული ორგანიზება უშუალოდ აისახება სამართლებრივი აქტის აღქმაზე: გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული მოდელი ნეიტრალურ-პროცედურულ ხასიათს უსვამს ხაზს, მაშინ როდესაც გაძევებაზე ორიენტირებული ფორმები უფრო სანქციურ კონოტაციას იძენს. ქართული შესატყვისი ‘გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ’ უზრუნველყოფს სემანტიკურ სიზუსტესა და სამართლებრივ გამჭვირვალობას, ამავდროულად იგი არ ატარებს უარყოფით დატვირთვას. თუმცა, ენობრივი ეკონომიის თვალსაზრისით შესაძლებელია მისი სტრუქტურული ოპტიმიზაცია გენიტივური კონსტრუქციის გამოყენებით. ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს „დაბრუნების გადაწყვეტილება“, სადაც ბირთვის დომინანტობა კვლავ შენარჩუნებულია, ტერმინქმნადობაში დამკვიდრებულ პროდუქტიულ მოდელებთან თავსებადია და ფორმალური სიგრძე შემცირებულია შინაარსის დაზიანების გარეშე, ენობრივი ეკონომიის პრინციპის გათვალისწინებით.

სამართლებრივ გადაწყვეტილებებთან ერთად, მიგრაციისა და დაბრუნების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროცედურულ და მხარდამჭერ მექანიზმებს, რაც ნათლად აისახება, მაგალითად, ტერმინში ‘return counselling’. აღნიშნული ერთეული წარმოადგენს სახელადი ტიპის ანალიტიზმს, რომლის ბირთვი არის ‘counselling/კონსულტაცია’, ხოლო ‘return/დაბრუნება’ განსაზღვრავს კონსულტაციის შინაარსობრივ-საგნობრივ სფეროს. ამგვარ სტრუქტურაში კონსულტაცია იკითხება არა როგორც აბსტრაქტული კომუნიკაციური აქტი, არამედ როგორც მიზნობრივი, პროცედურულად განსაზღვრული მხარდაჭერა დაბრუნების პროცესთან მიმართებით.

დაბრუნების პროცესის ინსტიტუციურ და საერთაშორისო-სამართლებრივ განზომილებას ნათლად წარმოაჩენს ანალიტიკური ტერმინი 'readmission agreement' (რეადმისიის შესახებ შეთანხმება), სადაც ბირთვი არის 'agreement/შეთანხმება', ხოლო 'readmission/რეადმისია' განსაზღვრავს შეთანხმების საგანს და ფუნქციურ სფეროს. ამგვარ სტრუქტურაში რეადმისია არ იკითხება როგორც დამოუკიდებელი ქმედება, არამედ განისაზღვრება სამართლებრივად ფორმალიზებული შეთანხმების ობიექტად, რაც ტერმინის კონცეპტუალურ მთლიანობას უზრუნველყოფს. შედარებითი ლექსიკონური მასალა ცხადყოფს, რომ ევროპულ ენებში დომინირებს შეთანხმებაზე ორიენტირებული მოდელი, სადაც ბირთვი მკაფიოდ ინარჩუნებს დომინანტ პოზიციას (ფრანგულად accord de réadmission, იტალიურად accordo di riammissione, პორტუგალიურად acordo de readmissão, პოლონურად umowa readmisyjna). ამასთან, რიგ ენებში ფიქსირდება უფრო აღწერითი ან შედეგზე ორიენტირებული კონსტრუქციებიც, რომლებიც აქცენტს აკეთებენ პირის „უკან მიღებაზე“ ან „ხელახალ მიღებაზე“ (ლატვიურად atpakaļuzņemšanas nolīgums, ესტონურად tagasivõtuleping, სლოვენურად sporazum o vračanju oseb). აღნიშნული ვარიანტები მიუთითებს, რომ ტერმინის სტრუქტურული ორგანიზება შეიძლება განსხვავებულად ასახავდეს რეადმისიის პროცესის კონცეპტუალიზაციას, თუმცა ყველა შემთხვევაში ინარჩუნებს შეთანხმების ინსტრუმენტულ ხასიათს. ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ფორმა „რეადმისიის შესახებ შეთანხმება“ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტიზაციასთან თავსებადობას და ტერმინის იდენტიფიკაციის სიმარტივეს. თუმცა, როგორც წინა შემთხვევაში, ენობრივი ეკონომიის თვალსაზრისით შესაძლებელია მისი სტრუქტურული ოპტიმიზაციაც 'რეადმისიის შეთანხმება' სახით.

დაბრუნებისა და თავშესაფრის სამართლებრივ დისკურსში ანალიტიკური სტრუქტურის განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვა იკვეთება ტერმინში manifestly unfounded application for international protection. აღნიშნული მრავალკომპონენტური ანალიტიკური წარმოადგენს იურიდიული კვალიფიკაციის ფორმულირებას, რომლის ბირთვს 'application/განცხადება' ქმნის, ხოლო მასზე დართული კომპონენტები ეტაპობრივად ახდენენ ცნების დიფერენციაციას: 'for international protection' განსაზღვრავს განცხადების საგნობრივ სფეროს, ხოლო

‘manifestly unfounded’ — მის სამართლებრივ შეფასებას. ტერმინის სემანტიკური მთლიანობა ყალიბდება სწორედ ამ იერარქიული სტრუქტურის შედეგად, სადაც შეფასებითი კომპონენტი ‘manifestly unfounded’ არ ატარებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას, არამედ მოქმედებს როგორც განცხადების იურიდიული სტატუსის მაკვალიფიცირებელი ელემენტი. ამგვარი კონსტრუქცია უზრუნველყოფს სამართლებრივი ტექსტის ფუნქციურ სიზუსტეს, რადგან მკაფიოდ გამიჯნავს განცხადების შინაარსს და მის სამართლებრივ შეფასებას.

ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ფორმა ‘აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ’ სრულად ასახავს წყარო ტერმინის სემანტიკურ იერარქიას და უზრუნველყოფს სამართლებრივ გამჭვირვალობას. ამასთან, ენობრივი ეკონომიის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია მისი სტრუქტურული ოპტიმიზაცია კომპონენტთა გადაჯგუფებით — „საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება“, რაც არ ცვლის ტერმინის იურიდიულ შინაარსს, თუმცა მცირედით ამცირებს ფორმალურ სიგრძეს და უკეთ ერგება ქართულში პროდუქტიულ გენიტივურ მოდელებს. ზემოაღნიშნული მაგალითები ამავე დროს წარმოაჩენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან სემიოტიკურ განზომილებას — ენობრივი ეკონომიის, ანუ სიმოკლის პრინციპის მოქმედებას თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური თეორია სიმოკლეს ერთ-ერთ ფუნდამენტურ კრიტერიუმად მიიჩნევს, მიგრაციისა და თავშესაფრის დისკურსში იგი ხშირად კომპრომისულად მოქმედებს სემანტიკური სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებთან მიმართებით.

როგორც განხილული ანალიტიზმები ცხადყოფს (წყარო ენაზე შედარებით ლაკონური ტერმინები ქართულში ხშირ შემთხვევაში გადმოიცემა გაფართოებული ან აღწერითი კონსტრუქციებით. აღნიშნული ტენდენცია შემთხვევითი არ არის და არ უნდა შეფასდეს ტერმინქმნადობის ხარვეზად. პირიქით, ტერმინის ფორმალური სიგრძის ზრდა ხშირად წარმოადგენს გააზრებულ სტრატეგიულ არჩევანს, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი კვალიფიკაციის მკაფიოდ გადმოცემას და სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნების თავიდან აცილებას. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ

ენობრივი ეკონომიის პრინციპი მიგრაციულ ტერმინოლოგიაში მოქმედებს იერარქიულად და თავსებადობაში მოდის სხვა სემიოტიკურ პრინციპებთან. ის მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ტერმინის სიმოკლე საფრთხეს უქმნის სემანტიკურ სიზუსტესა და ინტერპრეტაციულ ერთმნიშვნელობიანობას.

ამდენად, ანალიტიკუმების სემანტიკური თავისებურება ის არის, რომ მათი მნიშვნელობა ვერ აიხსნება მხოლოდ კომპონენტების პირდაპირი მნიშვნელობების ჯამით. ტერმინოლოგიური კვლევები ხაზს უსვამს „კონცეპტუალურ ერთიანობას“, სადაც ბირთვი და მოდიფიკატორები ანუ საზღვრული და მსაზღვრელი ერთობლივად ქმნიან ახალ ცნებით მთლიანობას. ამასთან, ქართულ ენაში ხშირად ჩნდება პრობლემა, როცა უცხოური ანალიტიკუმის პირდაპირი თარგმნა ვერ ასახავს მის სრულ სემანტიკურ მოცულობას. მაგალითად: integration policy ზოგჯერ ქართულად გვხვდება როგორც „ინტეგრაციული პოლიტიკა“ თუმცა მართბეულია გამოვიყენოთ „ინტეგრაციის პოლიტიკა“, ვინაიდან იგი ბირთვის („პოლიტიკა“) მნიშვნელობას მკაფიოდ გამოყოფს და თავიდან აცილებს ზედმეტ სემანტიკურ დატვირთვას. იმდენად რამდენადაც მიგრაციის პოლიტიკა მიგრაციის დარგში წარმოადგენს სახელმწიფოსა და საჯარო უწყებების მიერ კოორდინირებულ ზომების, სტრატეგიებისა და მექანიზმების ერთობლიობას, რომლებიც მიზნად ისახავენ **მიგრანტთა** სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ხოლო აღნიშნული პროცესი აღიქმება როგორც დინამიური, ორმხრივი პროცესი, სადაც მიგრანტებიც და მიმღები ქვეყნის საზოგადოება ერთობლივად ადაპტირდებიან და შესაბამისად ექვემდებარებიან გარკვეულ განაწესთა ნუსხას პროცესის სრულფასოვანი განხორციელებისთვის, არნისნული ალატიკუმის ბირთვია პოლიტიკა-გასატარებელ აქტივობათა ნუსხა ხოლო მსაზღვრელი მიგრაციის. voluntary return ქართულად ფიქსირდება როგორც „ნებაყოფლობითი დაბრუნება“ (სალექსიკონო განმარტება - „წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში ხელშეწყობით განხორციელებული ან დამოუკიდებელი დაბრუნება, პირის თავისუფალი ნებით“) და როგორც „ნებაყოფლობითი რეპატრიაცია“. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ფორმა ზოგ

შემთხვევაში გამოყენებაშია, სტანდარტიზებული გამოყენება უპირატესობას ანიჭებს „ნებაყოფლობით დაბრუნებას“, რადგან „რეპატრიაცია“ ცნებით ველს ავიწროებს და მას მხოლოდ ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე სამშობლოში დაბრუნების შემთხვევებზე ამახვილებს ყურადღებას. მიგრაციის ტერმინოლოგიურ სისტემაში „დაბრუნება“ (return) წარმოადგენს ზოგად, ზედა კატეგორიის ცნებას, რომელიც მოიცავს იმ ყველა პროცესს, რომლის ფარგლებშიც პირი ტოვებს მასპინძელ სახელმწიფოს და ბრუნდება წარმოშობის, წინა ბინადრობის ან მესამე ქვეყანაში, ნებაყოფლობით ან იძულებითი წესით. ამ ფართო კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში „რეპატრიაცია“ (repatriation) განიხილება როგორც მისი ჰიპონიმი, რადგან აღნიშნავს დაბრუნების სპეციფიკურ ფორმას, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეობასთან, ეროვნულ ან ისტორიულ სამშობლოსთან და, როგორც წესი, ხორციელდება განსაკუთრებული სამართლებრივი, პოლიტიკური ან ჰუმანიტარული მექანიზმების ფარგლებში. შესაბამისად, რეპატრიაცია არ ფარავს დაბრუნების ყველა შესაძლო შემთხვევას, მაშინ როცა „დაბრუნება“ ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური და ნეიტრალური ტერმინი მიგრაციის სამართლისა და პოლიტიკის დისკურსში.

ინგლისურ ენაში ანალიტიკუმების ფორმირება მკაცრ სინტაგმურ წესებს ემორჩილება, სადაც კომპონენტთა რიგითობა უშუალოდ განსაზღვრავს ტერმინის ინტერპრეტაციას. მაგალითად: family reunification procedure (ოჯახების გაერთიანების პროცედურა) და procedure for family reunification (პროცედურა ოჯახების გაერთიანებისთვის). ორივე ფორმა სამართლებრივ დისკურსში გამოიყენება, თუმცა სამართლებრივ კონტექსტი განსხვავებულია: პირველი ვარიანტი ხაზს უსვამს ოჯახის გაერთიანებას, როგორც პროცედურის მთავარ ობიექტს, ხოლო მეორე თავად პროცედურას აყენებს პრიორიტეტად. ქართულში ეს განსხვავება ნაკლებად მკაფიოა, რადგან ორივე გადმოიცემა გენტივით „ოჯახების გაერთიანების პროცედურა“.

ანალიტიკუმების სემანტიკური ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ მათი ინტერპრეტაცია კომპონენტთა ურთიერთქმედებაზეა დაფუძნებული და მათი მნიშვნელობა მხოლოდ მთლიანობაში იკითხება. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივ დოკუმენტებში, სადაც თითოეული ტერმინის


სიზუსტე გავლენას ახდენს არა მხოლოდ თეორიულ აღწერაზე, არამედ კონკრეტულ სოციალურ თუ ადმინისტრაციულ შედეგებზე. ტერმინების თარგმნისა და სტანდარტიზაციის პროცესში აუცილებელია კომპონენტთა მნიშვნელობის მაქსიმალურად ზუსტი გადმოცემა და მათი ფორმის ქართულ სტრუქტურულ ნორმებთან შეჯერება, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინოლოგიური აღრევა და უზრუნველვყოთ სამართლებრივი და აკადემიური დისკურსის ერთგვაროვნება.

3.3. ანალიტიკების მორფოსინტაქსური მახასიათებლები და სტრუქტურული მოდელები

ტერმინოლოგიური სისტემების კვლევა ცხადყოფს, რომ ანალიტიკები მხოლოდ ფორმალური ერთეულები არ არის. მათი სინტაქსური წყობა ქმნის სემანტიკურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს ტერმინის ინტერპრეტაციას და აკავშირებს მას დარგობრივ კონტექსტთან. ნორმირების პროცესში კომპონენტთა თანმიმდევრობა პირდაპირ აისახება პროფესიული კომუნიკაციის სიზუსტეზე და სამართლებრივი ტექსტების ერთგვაროვნებაზე.

EMN ლექსიკონში მოცემულ ტერმინთა მორფოსინტაქსური სტრუქტურას შესაძლებელია გრაფიკულად შემდეგი ცხრილის სახით წარმოჩნდეს:

სურათი 1



სქემა N5

მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროს ტერმინოლოგიური ლექსიკონის ჩვენ მიერ განხორციელებული სტრუქტურული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ ტერმინთა უმრავლესობა ორი კომპონენტისგან შედგება (217 ერთეული). ეს ტენდენცია ადასტურებს, რომ მიგრაციული დისკურსის ტერმინები ძირითადად ორი სიტყვით ფორმირდება, რაც უზრუნველყოფს ცნების ზუსტ, ფუნქციურად მოქნილ და ადეკვატურ აღწერას. ბინარული სტრუქტურა, როგორც ტერმინოლოგიური ერთეულის ოპტიმალური ფორმა, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების (ISO 704:2022; ISO 1087:2019) მოთხოვნებს ტერმინის სიმოკლისა და სტრუქტურული ეკონომიის შესახებ.

სამკომპონენტიანი ტერმინები (107 ერთეული) ასევე მნიშვნელოვან წილს შეადგენენ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ რთული ცნებები ხშირად საჭიროებენ დამატებით განმარტებით ელემენტს, რათა მათი სემანტიკური დატვირთვა მკაფიოდ გამოიხატოს. ერთკომპონენტიანი ტერმინების რაოდენობა შედარებით მცირეა (67 ერთეული), რაც მიუთუთებს იმ გარემოებაზე, რომ მიგრაციულ სფეროში ცნებები იშვიათად გამოიხატება მარტივი, ერთსიტყვიანი ფორმით - ეს ფაქტი მეტყველებს დისკურსის სპეციფიკურ კომპლექსურობაზე და ტერმინოლოგიური ერთეულების ანალიტიკურ ბუნებაზე.

მრავალკომპონენტური სტრუქტურები (ოთხკომპონენტური – 65, ხუთკომპონენტური – 26, ექვსკომპონენტური – 23 ტერმინი) შედარებით ნაკლებად გავრცელებულია, ხოლო შვიდიდან ათშემადგენლიანი ტერმინები (7 შემადგენლიანი 15 ტერმინი, 8 შემადგენლიანი 7 ტერმინი და ცხრა და ათშემადგენლიანი 1 - 1 ერთეული) იშვიათობას წარმოადგენს. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს თერთმეტ-კომპონენტური ანალიტიკური ტერმინები, რომელთა რაოდენობა მხოლოდ ორია: „აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი“ (Africa Caribbean Pacific Observatory on Migration) და „ევროკავშირ-ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების (EU-LAC) სტრუქტურირებული დიალოგი მიგრაციის თაობაზე“ (EU-LAC Structured Dialogue on Migration). აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ ტერმინოლოგიური სისტემა მიზანმიმართულად ცდილობს სტრუქტურული ეკონომიის დაცვას, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტად გრძელი და კომპლექსური ერთეულები, რომლებიც არღვევენ სტანდარტიზაციის პრინციპებს და ართულებენ პროფესიულ კომუნიკაციას. ტერმინთა განაწილება მკაფიო ტენდენციას აჩვენებს:

- დომინირებს ბინარული და სამკომპონენტური სტრუქტურა;
- ერთკომპონენტური ტერმინები შედარებით მცირეა;
- მრავალკომპონენტური (6–11) სტრუქტურები იშვიათად გვხვდება.

აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ მიგრაციისა და თავშესაფრის დისკურსში ტერმინოლოგიური ერთეულების დიდი უმრავლესობა ანალიტიკური ტიპისაა, თუმცა მათი სტრუქტურული სიგრძე მკაცრად რეგულირდება. ეს რეგულაცია სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების პრინციპებთან, რაც უზრუნველყოფს ტერმინების გამოყენებას, სტაბილურობას და ინტერპრეტაციის სიზუსტეს. თუმცა, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც წყარო ენაზე ტერმინი მოკლეა, მაგრამ მისი ქართულ ენაზე გადმოტანისას მნიშვნელოვნად იზრდება ტერმინის სიგრძე. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ტერმინოლოგიის თანამედროვე თეორია ემყარება რამდენიმე ფუნდამენტურ სემიოტიკურ პრინციპს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტერმინთა სისტემის ეფექტურობას, სიცხადესა და ფუნქციურობას. ერთ-ერთი ასეთი პრინციპია

ტერმინის სიმოკლე, რომელიც ასევე ცნობილია ენობრივი ეკონომიის პრინციპის სახელით. თუმცა, ტერმინოლოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა პრინციპები ხშირად ერთმანეთთან ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობაში მოდიან, და ტერმინოლოგმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელ პრინციპს მიანიჭოს უპირატესობა კონკრეტულ კონტექსტში.

წინამდებარე კვლევამ, რომელიც მოიცავს მიგრაციისა და თავშესაფრის ლექსიკონში არსებული 531 ტერმინის სემიოტიკურ ანალიზს, ცხადყო, რომ წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადმოტანილი მხოლოდ 71 ტერმინი (13.56%) არღვევს ენობრივი ეკონომიის/სიმოკლის პრინციპს (დანართი 12), თუმცა სრულ თანხვედრაშია სხვა ფუნდამენტურ სემიოტიკურ პრინციპებთან, კერძოდ, გამჭვირვალობის, ენობრივი მართებულობის და ტერმინის სამიზნე ენაზე გადმოტანისას მშობლიური ენისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპებთან.

ენობრივი ეკონომიის/სიმოკლის პრინციპი ეფუძნება ენობრივი ეკონომიის ზოგად კონცეფციას, რომლის მიზანია მინიმალური ფორმალური საშუალებებით მაქსიმალური ინფორმაციის გადმოცემა. იგი უზრუნველყოფს ტერმინის სწრაფ აღქმასა და დამახსოვრებას, ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ დისკურსში და ტექსტის კომპაქტურობას როგორც დოკუმენტაციაში, ისე ზეპირ კომუნიკაციაში. თუმცა, სემიოტიკური სისტემის სხვა პრინციპები ხშირად უფრო მაღალი პრიორიტეტით მოქმედებენ. გამჭვირვალობა მოითხოვს, რომ ტერმინის ფორმა იყოს თვითახსნადი და თავიდან აიცილოს დამატებითი განმარტების საჭიროება; ენობრივი მართებულობა კი უზრუნველყოფს ტერმინის შესაბამისობას სამიზნე ენის გრამატიკულ ნორმებთან, სიტყვაწარმოების მოდელებთან და სტილისტიკურ მოთხოვნებთან. ამასთან, ტერმინწარმოების პროცესში მშობლიური ენის უპირატესობა წარმოადგენს სემიოტიკურ-კულტურულ ღირებულებას. 531 ტერმინიდან მხოლოდ 71-ის შემთხვევაში სიმოკლის პრინციპი დარღვეულია, რაც მიუთითებს, რომ ლექსიკონის შემქმნელებმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართეს ენობრივი ეკონომიის მიღწევასკენ. ამავე დროს, დარღვევები შემთხვევითი არ არის: ისინი შეგნებულად ემყარება სხვა პრინციპების პრიორიტეტულობას.

მაგალითად:

‘actor of protection → დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი’

‘Dublin transfer → გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად’

‘posted worker → ევროკავშირის ფარგლებში დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქე’

‘stranded migrant → ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტი’

‘EU Talent Pool → სწავლისა და დასაქმებისთვის კვალიფიციურ მიგრანტთა ევროკავშირის პლატფორმა’

ეს თარგმანები არღვევენ სიმოკლის პრინციპს, მაგრამ უზრუნველყოფენ სემანტიკურ სიცხადეს და თავიდან იცილებენ არასწორი ინტერპრეტაციის რისკს.

საერთაშორისო შედარებითი პერსპექტივის კრილში, შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვა ენებში ხშირად შენარჩუნებულია მოკლე ფორმები. მაგალითად: stranded migrant იტალიურად - migrante bloccato, პორტუგალიურად - migrante retido, სლოვენურად - ujet migrant.

Dublin transfer ფრანგულად - transfert Dublin, უნგრულად - dublini transzfer, - ბულგარულად - Трансфер по Дъблин, - სლოვაკურად - dublinský transfer, - სლოვენურად - Dublinski transfer / Dublinski prenos.

EU Talent Pool ესპანურად - reserva de talentos de la UE, პოლონურად - Europejska Pula Talentów, ჩეხურად - EU Talent Pool / rezervoár talentů EU, ფრანგულად - réservoir européen de talents.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში სიმოკლე პრიორიტეტულია, ხოლო სემანტიკური გამჭვირვალობა ხშირად კონტექსტითა და სტანდარტიზებული გამოყენებით მიიღწევა. მაგრამ ქართულში სიმოკლის პრინციპის დარღვევა ხშირად განპირობებულია ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებებით და ამიტომაც, ხშირად აღწერითი/დესკრიფციული თარგმანია გამოყენებული. მაგალითად:

‘dependant → (ოჯახის წევრზე) დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი’

‘talent partnership → პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის’

‘admissibility interview → გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობის თაობაზე’

‘examination of an application for international protection → საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა’

‘rejected applicant for international protection → განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე’

‘take back request → თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე’

‘take charge request → თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე’ და სხვ.

აღწერითი თარგმანი ფუნქციურად გამართლებულია, რადგან უზრუნველყოფილია ინტერპრეტაციის სიცხადე და ამავდროულად, ტერმინი მარტივად აღქმადია არა მხოლოდ დარგის სპეციალისტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც (მიგრანტები, იურისტები, ჟურნალისტები და სხვ).

კვლევამ ცხადყო, რომ მიგრაციისა და თავშესაფრის ტერმინოლოგიაში სემიოტიკური პრინციპები იერარქიულად მოქმედებენ: გამჭვირვალობა, შესაბამისობა და ენობრივი მართებულობა მიიჩნევა ყველაზე პრიორიტეტულ პრინციპებად, ხოლო ენობრივი ეკონომია/სიმოკლე - სასურველი და გასათვალისწინებელი პრინციპია, მაგრამ ამავდროულად კომპრომისული, როდესაც საფრთხე ექმნება ტერმინის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ადეკვატურ აღქმას.

სწორედ ამ კომპრომისის გამო, საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როდესაც ქართულ თარგმანში გამოყენებულია ტერმინის აღწერითი სტრატეგია. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, შესაძლებელია ალტერნატიული, შედარებით მოკლე ფორმების დამკვიდრებაც. ასე მაგალითად: ‘დაცვის აქტორი’, ‘დუბლინის ტრანსფერი’, ‘მივლენილი თანამშრომელი’ ან ‘ჩარჩენილი მიგრანტი’ ნაცვლად ‘დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი’, ‘გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად’, ‘ევროკავშირის ფარგლებში დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქე’ და ‘ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტი’. ჩვენ მიერ შემოთავაზებული თითოეული ალტერნატიული ვარიანტი სრულ თანხვედრაშია ენობრივი ეკონომიის/სიმოკლის პრინციპთან, ამავდროულად ინარჩუნებს სემანტიკურ სიზუსტეს და არ აფერხებს მნიშვნელობის ადეკვატურ ინტერპრეტაციას. საერთაშორისო პრაქტიკის პარალელებიც ცხადყოფს, რომ მსგავსი მიდგომა

დამკვიდრებულია სხვა ენებშიც. მაგალითისთვის განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ტერმინი 'stranded migrant', რომლის შესატყვისიც იტალიურად არის migrante bloccato, პორტუგალიურად - migrante retido, სლოვაკურად - strandsatt migrant, სლოვენურად - ujet migrant და უკრაინულად - застрялий мігрант. აღსანიშნავია, რომ არცერთ შემთხვევაში არ ხდება დამატებითი განმარტება 'ქვეყანაში იძულებით' დარჩენის შესახებ. ეს მიუთითებს, რომ სიტყვა 'ჩარჩენა' თვითონვე ატარებს იძულებითი გარემოებების კონოტაციას, რის გამოც დამატებითი განმარტება აღარ არის საჭირო.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს მსგავს შემთხვევებს, როდესაც მიგვაჩნია, რომ ანალიტიკური ტერმინებისთვის შესაძლებელია შედარებით კომპაქტური სტრუქტურის ალტერნატიული ქართული ვარიანტების განხილვა.

ტერმინი წყარო ენაზე	ტერმინი ქართულ ენაზე	ალტერნატიული ტერმინი
female genital mutilation	ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება	ქალის გენიტალიების დასახიჩრება
case worker in procedures for international protection	საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განმხილველი პირი	საქმის განმხილველი საერთაშორისო დაცვის პროცედურებში
contract migrant worker	ხელშეკრულებით დასაქმებული შრომითი მიგრანტი	კონტრაქტორი შრომითი მიგრანტი
refugee in orbit	სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი	ორბიტის ლტოლვილი
smuggling of migrants	(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა	მიგრანტთა კონტრაბანდა/უკანონოდ გადაყვანა

Smuggler	(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი	კონტრაბანდისტი
Facilitator	ხელშემწყობი პირი	ფასილიტატორი
awareness raising campaign on the risk of irregular migration	საინფორმაციო კამპანია კანონიერი საფუძვლის გარეშე (არალეგალური) მიგრაციის რისკებთან დაკავშირებით	არალეგალური მიგრაციის რისკებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია

ცხრილი NI

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიგრაციისა და თავშესაფრის ტერმინოლოგიაში გამჭვირვალობის პრიორიტეტულობა ენობრივი ეკონომიის მიმართ წარმოადგენს გამართლებულ არჩევანს. თუმცა იმ შემთხვევებში, სადაც ენობრივი ეკონომიის პრინციპის დარღვევა აშკარაა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ალტერნატიული სტრატეგიები: პარალელური ვარიანტები (ალტერნატიული ვარიანტები), ან შემუშავდეს შემოკლებები და აკრონიმები, კერძოდ, ხშირად გამოყენებადი გრძელი ტერმინებისთვის შეიძლება შემუშავდეს სტანდარტიზებული შემოკლებები, რომლებიც თანდათან დამკვიდრდება პროფესიულ გამოყენებაში.

ამდენად, ენობრივი ეკონომიის/სიმოკლის პრინციპის დარღვევა (13.56%) არ წარმოადგენს ტერმინოლოგიურ ხარვეზს, არამედ შეგნებულ სტრატეგიას, რომელიც ემსახურება უფრო მნიშვნელოვან მიზნებს: სემანტიკურ სიცხადეს, ენობრივ მართებულობას და მშობლიური ენის პრიორიტეტულობას. ეს არჩევანი განსაკუთრებით გამართლებულია მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში, სადაც ტერმინოლოგიური სიცხადე პირდაპირ უკავშირდება ადამიანთა უფლებების დაცვასა და ეფექტურ კომუნიკაციას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ, შესაძლებელია ალტერნატიული სტრატეგიების დანერგვა: 1. პარალელური ვარიანტების შემოღება, 2. სტანდარტიზებული შემოკლებებისა და აკრონიმების დამკვიდრება.

ტერმინწარმოების სემიოტიკური პრინციპები, შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს არა როგორც მკაცრი წესები, არამედ როგორც პრინციპები, რომელთა შორის ბალანსის დამყარება წარმოადგენს ტერმინოლოგის პროფესიული კომპეტენციის არსს. ანალიტიზმების სრული სია წარმოდგენილია დანართებში (N1–N11), რაც უზრუნველყოფს კვლევის მონაცემთა სისტემურობასა და დისერტაციის არგუმენტაციის სიღრმეს.

ანალიტიზმების მორფოსინტაქსური ანალიზი ცხადყოფს, რომ მრავალსიტყვიანი ტერმინების ფორმა და შინაარსი მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, ხოლო კომპონენტთა სინტაქსური განლაგება პირდაპირ განსაზღვრავს მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაციის ხარისხს. შესწავლილი საკვლევი მასალის საფუძველზე, შეგვიძლია ქართულ ენაში ანალიტიზმების ყველაზე გავრცელებულ სტრუქტურულ მოდელებად მივიჩნიოთ შემდეგი ტიპები:

1. **განსაზღვრებითი (ატრიბუტული) ფორმა.** ამ მოდელში ერთ-ერთი კომპონენტი განსაზღვრავს ბირთვს და მასთან ატრიბუტულ მიმართებაშია. აღნიშნულ ტიპს მიეკუთვნება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: *ხელახალი შესვლა, შრომითი მიგრანტი, ხელშემწყობი პირი, ჯაჭვური მიგრაცია, ჰუმანიტარული დაცვა, ფიქციური პარტნიორობა, სამოქალაქო პარტნიორობა, ფიქციური ქორწინება, ფულადი გზავნილი, ტრანზიტული ლტოლვილი, ტრანსსასაზღვრო მუშაკი, სასაზღვრო კონტროლი, სატრანზიტო ქვეყანა და სხვ.*
2. **ნათესაობითი ბრუნვით გამოხატული (გენტივური) ფორმა** ამ ტიპის ანალიტიზმებში წამყვან როლს ასრულებს ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც ინდოევროპულ ენათა გენტივის ფუნქციურ ანალოგად გვევლინება. აღნიშნული ფორმა შეიძლება გამოხატავდეს კუთვნილებას, ფუნქციას, დანიშნულებას, მასალას, სამოქმედო ობიექტს და სხვა სემანტიკურ ურთიერთობებს. მაგალითად: *ადამიანის უფლებები, ჯგუფის დევნა, ცხელი წერტილის ზონა, სტოკჰოლმის პროგრამა, შენგენის შეთანხმება, ხარტუმის პროცესი, სკოლის მოსწავლე, მიგრაციის პროფილი, მიგრაციის სალდო, მიმალვის რისკი, მოსახლეობის ჯგუფი, მტკიცების სტანდარტი,*

ბინადრობის დოკუმენტი, ბინადრობის ნებართვა, აღსრულების ღონისძიება, აღიარების მაჩვენებელი, ბინადრობის უფლება და სხვ.

3. **სახელადი (ნომინალური) პოსტპოზიციური ფორმა.** ეს არის შედარებით გრძელი, ჰიბრიდული სტრუქტურული მოდელი, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს არსებითი სახელები, სახელზმნები, რიცხვითი სახელები, ზმნიზედები, ზედსართავები, თანდებულები და კავშირები. აღნიშნული ტიპის ანალიტიზმები ხასიათდება შინაარსობრივი სიზუსტითა და ოფიციალურ-იურიდიული სტილით. მაგალითად: *ბრძანება გადაყვანის შესახებ, ბრძანება გაძევების შესახებ, განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის თაობაზე, დიალოგი 5+5 მიგრაციის საკითხებზე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე, ინტეგრაცია შრომის ბაზარზე, შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, შეტყობინება გადაყვანის შესახებ, ინფორმაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ (COI) და სხვ.*

ატრიბუტული ანალიტიზმი წარმოადგენს სისტემურ ნიმუშს, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოიყენება მიგრაციისა და სამართლებრივი რეგულაციების სფეროში. ტერმინები, როგორცაა social cohesion, social dumping, spontaneous migration, circular migration, dual citizenship, ethnic cleansing, ethnic nationality, direct discrimination, displaced person, fundamental rights, external EU border, humanitarian protection, illegal employment, indirect discrimination, indiscriminate violence, informal economy და სხვა, სწორედ ამ სტრუქტურულ მოდელს წარმოადგენენ. ატრიბუტული ანალიტიზმის სტრუქტურა ეფუძნება საზღვრული (head) და მსაზღვრელი (modifier) კომპონენტების ურთიერთკავშირს. საზღვრული კომპონენტი (migration, citizenship, violence, rights) ქმნის ცნებით ღერძს, რომელიც განსაზღვრავს ტერმინის ძირითად მნიშვნელობას, ხოლო მსაზღვრელი (spontaneous, dual, ethnic, indirect, informal) ასრულებს დარგობრივი სპეციფიკაციის ფუნქციას და ამცირებს ცნებითი ბუნდოვანების რისკს. მიგრაციის დისკურსში ტერმინები, როგორცაა circular migration და displaced person

ასახვენ მიგრაციული პროცესების ტიპოლოგიას და სამართლებრივ სტატუსებს, იურისპრუდენციაში კი ტერმინები direct discrimination, inadmissibility decision, fundamental rights და humanitarian protection წარმოადგენენ სამართლებრივი ცნებების ზუსტ ფორმულირებას, რომელიც აუცილებელია მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისთვის, ხოლო ტერმინები social dumping, informal economy და social cohesion ასახვენ სოციალურ ფენომენს, რომლის ანალიზი მოითხოვს პოლიტიკურ ინტერვენციასა და სტრუქტურულ კვლევას. ქართულ ენაში აღნიშნული ტერმინები, როგორც წესი, გადმოიცემა ზედსართავისა და არსებითი სახელის კომბინაციით, ანუ მსაზღვრელ-საზღვრული კონფიგურაციის სახით. მაგალითად: სოციალური შეკავშირებულობა (social cohesion), სოციალური დემპინგი (social dumping), სპონტანური მიგრაცია (spontaneous migration), ცირკულარული მიგრაცია (circular migration), ორმაგი მოქალაქეობა (dual citizenship), ეთნიკური წმენდა (ethnic cleansing), პირდაპირი დისკრიმინაცია (direct discrimination), გადაადგილებული პირი (displaced person), ფუნდამენტური უფლებები (fundamental rights), ჰუმანიტარული დაცვა (humanitarian protection), უკანონო დასაქმება (illegal employment), არაპირდაპირი დისკრიმინაცია (indirect discrimination), განურჩეველი ძალადობა (indiscriminate violence), არაფორმალური ეკონომიკა (informal economy) და სხვ. ატრიბუტული ანალიტიზმები ქმნიან კონცეპტუალურ სინთეზს, სადაც კომპონენტთა თანმიმდევრობა არა მხოლოდ სტრუქტურულ, არამედ სემანტიკურ ფუნქციასაც ასრულებს. მათი გამოყენება არ არის მხოლოდ ლინგვისტური არჩევანი — ეს არის ცნებითი სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს დარგობრივ კომუნიკაციას, თარგმნის სიზუსტეს და სამართლებრივი ინტერპრეტაციის ხარისხს.

ტერმინქმნადობის ერთ-ერთი პროდუქტიული ხერხი ქართულ ენაში არის ანალიტიკური ტერმინის ნათესაობითი ბრუნვით/გენტივის ფორმით გამოხატვა. მსგავსად ატრიბუტული ფორმისა, გენტივური კონსტრუქცია ეფუძნება ბირთვისა (head) და განმარტებითი/მსაზღვრელი კომპონენტის (modifier) ურთიერთკავშირს. ბირთვი განსაზღვრავს ტერმინის ძირითად მნიშვნელობას, ხოლო განმარტებითი კომპონენტი ამცირებს სემანტიკური ბუნდოვანების რისკს და უზრუნველყოფს დარგობრივ სპეციფიკაციას. ინგლისურ ენაში ეს კონსტრუქცია ხშირად ორი არსებითი

სახელის კომბინაციით გამოიხატება (residence permit, child labour, etc). ქართულ ენაში კი ეს ტერმინები მორფოლოგიურად გენტივური ბრუნვით (კუთვნილება-დანიშნულების გამომხატველი ბრუნვა) ფორმირდება: ბინადრობის ნებართვა, ბავშვის შრომა, მიგრაციის პოლიტიკა და სხვ. გენტივით ტერმინების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხია, რადგან იგი მკაფიოდ გამოყოფს ბირთვსა და განმარტებით კომპონენტს და ამცირებს სემანტიკური ბუნდოვანების რისკს. ეს კონსტრუქციები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დისკურსში. მაგალითად, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დისკურსში ფართოდ გვხვდება ტერმინები, როგორცაა: *ბინადრობის ნებართვა, ბინადრობის დოკუმენტი, ბინადრობის უფლება, აღსრულების ღონისძიება, აღიარების მაჩვენებელი, სოციალური და ბავშვთა უფლებების დისკურსში: ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC), ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID), ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება (BIA), ბავშვის შრომა;* საერთაშორისო პროცესებისა და პოლიტიკის დისკურსში: *ბაღის პროცესი, ბუდაპეშტის პროცესი, დაბრუნების ოპერაცია, დაბრუნების ქვეყანა, გაძევების გადავადება;* სოციო-ეკონომიკურ სფეროში: *განათლების ხელმისაწვდომობა, განაწილების კოეფიციენტი, აეროპორტის სატრანზიტო ვიზა* და სხვ. გენტივური კონსტრუქციები ინგლისურ ენაშიც გვხვდება, მაგალითად: *country of birth, country of destination, detection of a victim of trafficking in human beings, Court of justice of EU, crude rate of net migration,* და სხვ. მაგრამ ქართულ ტერმინოლოგიაში ისინი უფრო ფართოდ გამოიყენება და წარმოადგენს არა მხოლოდ ლინგვისტურ არჩევანს, არამედ ცნებით სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს დარგობრივ კომუნიკაციას, თარგმნის სიზუსტეს და სამართლებრივი ინტერპრეტაციის ხარისხს. მისი პროდუქტიულობა განაპირობებს ტერმინოლოგიური სისტემის სტრუქტურულ ერთიანობას და უზრუნველყოფს ცნებითი სინთეზის მკაფიოდ ჩამოყალიბებას.

ტერმინოლოგიური სისტემების სტრუქტურული მრავალფეროვნება მოიცავს არა მხოლოდ ატრიბუტულ ანალიტიზმსა და გენტივურ კონსტრუქციებს, არამედ შედარებით ნაკლებად გავრცელებულ სახელად (ნომინალურ) პოსტპოზიციურ ანალიტიკურ ფორმასაც. აღნიშნული მოდელი ქართულ ენაში რაოდენობრივად ნაკლებადაა წარმოდგენილი, თუმცა იგი მნიშვნელოვან ფუნქციურ როლს ასრულებს

სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ დისკურსში. სახელადი (ნომინალური) პოსტპოზიციური კონსტრუქცია ეფუძნება არსებითი სახელისა და პოსტპოზიციურად გაფორმებული სახელადი ერთეულის, ან არსებითი სახელისა და ზმნიზედური კომპონენტის კომბინაციას. ამგვარი სტრუქტურა ქმნის კომპოზიტურ ტერმინოლოგიურ ერთეულს, რომლის სემანტიკა ფორმირდება შემადგენელი კომპონენტების ურთიერთქმედებით და არა რომელიმე ერთეულის უპირატესობით. ქართულ ტერმინოლოგიაში სახელადი/ნომინალური პოსტპოზიციური ფორმის მაგალითებია: თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე (take back request), შეტყობინება გადაყვანის შესახებ (transfer notification), ტერიტორიაზე დაშვება (admission onto the territory), ცრუ განცხადება მშობლობის შესახებ (false declaration of parenthood), შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ (visa facilitation agreement), უარი შესვლაზე (refusal of entry), კონსულტაცია დაბრუნებასთან დაკავშირებით (return counselling), ინტეგრაცია შრომის ბაზარზე (labour market integration) და სხვ. სახელადი კონსტრუქცია ქმნის მრავალშრიან სემანტიკურ სტრუქტურას, სადაც ტერმინის შინაარსი განისაზღვრება შეამდგენელი კომპონენტის თანაარსებობით. ამრიგად, სახელადი (ნომინალური) პოსტპოზიციური ფორმა ქართულ ტერმინოლოგიაში რაოდენობრივად ნაკლებად გავრცელებული, თუმცა ფუნქციურად მნიშვნელოვანი სტრუქტურული კონფიგურაციაა, რომლის გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დისკურსში.

ანალიტიკების კვლევა ცხადყოფს, რომ ტერმინოლოგიური ერთეულების სტრუქტურა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ინტერდისციპლინური მნიშვნელობის მატარებელია. მათი სინტაქსური მოწყობა ქმნის სემანტიკურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს ტერმინის ინტერპრეტაციას, აკავშირებს მას დარგობრივ კონტექსტთან და პირდაპირ აისახება სამართლებრივი ტექსტების ერთგვაროვნებაზე. აღნიშნული პროცესები ხაზს უსვამს იმას, რომ ტერმინოლოგიური ერთეულების ფორმალური ორგანიზება წარმოადგენს არა მხოლოდ ენათმეცნიერების, არამედ სამართლისა და სოციოლინგვისტიკისთვისაც არსებით საკითხს, რადგან იგი განსაზღვრავს დისკურსის სტანდარტიზაციას და სამართლებრივი პრაქტიკის თანმიმდევრულობას.

ზემოთ განხილული თეორიული და პრაქტიკული ასპექტებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გამოკვეთა ხელს შეუწყობს ტერმინოლოგიის განვითარებას ქართულ პრაქტიკაში:

1. ატრიბუტული და გენტივური კონსტრუქციების პრიორიტეტული გამოყენება. სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ტერმინებში მიზანშეწონილია გენტივური კონსტრუქციის უპირატესად გამოყენება, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ტერმინის ბირთვის დომინანტის მკაფიო გამოვლენას და ამცირებს სემანტიკური ბუნდოვანების რისკს.

2. EMN ლექსიკონში მოცემული ქართული შესატყვისების უპირობო გამოყენება. საერთაშორისო პრაქტიკასთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია EMN Glossary-ის მიერ დამკვიდრებული ქართული ტერმინების გამოყენება როგორც პირველადი ვარიანტისა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის პროცესს და ამცირებს ტერმინთა ვარიაციულობას.

3. კონკურენტული ფორმების თავიდან აცილება. მიზანშეწონილია კონკურენტული ტერმინოლოგიური ფორმების გამორიცხვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი ვარიანტი უკვე დამკვიდრებულია პროფესიულ დისკურსში. მაგალითად: „ინტეგრაციის პოლიტიკა“ და არა „ინტეგრაციული პოლიტიკა“.

4. ლექსიკონების სისტემატური განახლება. აუცილებელია ლექსიკონებისა და ნორმატიული დოკუმენტების რეგულარული განახლება, რათა ახალი ანალიტიზმები დროულად დამკვიდრდეს და თავიდან იქნას აცილებული სინონიმური დიფუზია, რაც ტერმინოლოგიური სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

აღნიშნული რეკომენდაციები სრულ თანხვედრაშია ISO 704:2022-ის პრინციპებთან, რომლებიც ხაზს უსვამს ტერმინოლოგიური მუშაობის პროცესში სიზუსტის, ერთგვაროვნებისა და სტანდარტიზებული მიდგომის აუცილებლობას. შესაბამისად, ანალიტიზმების კვლევა მხოლოდ ლინგვისტურ გამოწვევას არ წარმოადგენს; იგი მოიცავს ინტერდისციპლინურ განზომილებასაც, სადაც ენათმეცნიერება, სამართალი და სოციოლინგვისტიკა ურთიერთდამოკიდებულ სისტემად ერთიანდება. სწორედ ასეთი ინტეგრირებული მიდგომა ქმნის

ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრული თავსებადობის საფუძველს, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სამართლებრივი და აკადემიური დისკურსის სიზუსტესა და ეფექტიანობას.

3.4. აბრევიატურების შედგენილობა და ფორმაწარმოება

თანამედროვე ტერმინოლოგიურ სისტემებში ტერმინოლოგიური აბრევიაცია ფორმათქმნადობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად განიხილება. იგი ეფუძნება ენობრივი ეკონომიის პრინციპს, რომლის არსიც ფორმისა და შინაარსის ოპტიმალურ თანხვედრაში მდგომარეობს. ამ კონტექსტში, აბრევიაცია არ უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ გრაფიკულ ან ორთოგრაფიულ პროცედურად; იგი წარმოადგენს ლექსიკურ-სტრუქტურულ გარდაქმნას, რომლის მიზანია კომპლექსური ტერმინის შეკვეცა ისე, რომ არ დაირღვეს მისი კონცეპტუალური ერთიანობა და სემანტიკური მთლიანობა. ISO 704:2022 სტანდარტის თანახმად, აბრევიატურა განისაზღვრება როგორც „ტერმინოლოგიური ერთეულის შემოკლებული ფორმა, რომელიც ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც მისი სრულად გაშლილი ფორმა“ (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, p. 56.3.2). აღნიშნული დეფინიცია ხაზს უსვამს იმას, რომ აბრევიაცია არ არის მხოლოდ ტექნიკური შემოკლება, არამედ ფუნქციურად ეკვივალენტური ფორმა, რომელიც ინარჩუნებს ტერმინოლოგიური ერთეულის კონცეპტუალურ იდენტობას.

ტერმინოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელი ევგენი ვუსტერი (Wüster, 1979) აღნიშნავს, რომ აბრევიაცია წარმოიშვა არა როგორც მექანიკური მოკლე ფორმა, არამედ როგორც ერთგვარი ტერმინოლოგიური აბსტრაქცია, რომელიც ასახავს ცნების არსებით ელემენტებს. მისი ხედვით, აბრევიაცია ტერმინოლოგიური სისტემის ორგანულ ნაწილად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას თან ახლავს მკაფიო დეფინიცია და სემანტიკური შესაბამისობა. ამ თვალსაზრისით, აბრევიაცია არა მხოლოდ სრულად ინარჩუნებს ტერმინის მნიშვნელობას, არამედ ამკაცრებს მის სტრუქტურას და უზრუნველყოფს ცნების მკაფიოდ განსაზღვრულობას. აღნიშნულ

კონცეფციას აგრძელებს კაბრე (Cabré, 1999), რომლის მიხედვითაც, ტერმინოლოგიური აბრევიაცია წარმოადგენს ინფორმაციის ეკონომიის ფორმას, რომელიც აერთიანებს სამ აუცილებელ თვისებას: კონცეპტუალურ იდენტურობას, ლექსიკურ თვითმყოფადობას და გამოყენებით სიზუსტეს. ამ თვისებათა ერთიანობა აძლევს აბრევიატურას ტერმინოლოგიური ერთეულის სტატუსს და განასხვავებს მას ჩვეულებრივი ენობრივი შემოკლებისგან.

სწორედ ამ სამმაგი ფუნქციის გამო, ტერმინოლოგიური აბრევიაცია განსაკუთრებულად გავრცელებულია ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ დისკურსში. მაგალითად, Migration European Network-ის (European Migration Network, 2023) ლექსიკონში წარმოდგენილია ათეულობით აბრევიატურა, რომლებიც გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ტერმინოლოგიური ერთეულები: EUAA (*European Union Agency for Asylum - ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო*), DG Home (*Directorate-General for Home Affairs — შინაგან საქმეთა გენერალური დირექტორატი*), FRA (*European Union Agency for Fundamental Rights - ევროკავშირის ძირითადი უფლებების სააგენტო*), IOM (*International Organization for Migration - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*), UNHCR (*United Nations High Commissioner for Refugees - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი*). აღნიშნული აბრევიატურები სტრუქტურულად განსხვავებულნი არიან, მაგრამ ფუნქციურად ასრულებენ ერთსა და იმავე როლს - უზრუნველყოფენ ცნების სწრაფ ამოცნობას, ტექსტის ინფორმაციულ სიმჭიდროვესა და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობას. როგორც ტემერმანი (Temmerman, 2000) აღნიშნავს, ტერმინოლოგიური აბრევიაცია არის *კოგნიტიური კომპრომისი ფორმასა და შინაარსს შორის* — იგი ამარტივებს ფორმას, მაგრამ არ აკნინებს მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ ISO 1087:2019 ხაზგასმით მიუთითებს, რომ აბრევიაცია უნდა განიხილებოდეს ტერმინთწარმომქმნელ საშუალებად, რომლის თითოეული ფორმა უნდა იყოს დაკავშირებული მის შესაბამის სრულ ტერმინთან ერთიანი ჩანაწერით (Standardization, ISO 1087:2019(E), Terminology work and terminology science — Vocabulary, 2019, p. §3.2.4)

ქართული ტერმინოლოგიური პრაქტიკის მაგალითებიც ამტკიცებს, რომ აბრევიაცია თანდათან იძენს სისტემურ ფუნქციას. ტერმინები, როგორცაა EMN (*მიგრაციის ევროპული ქსელი*), EUAA (*ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო*) და IOM (*მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*) ნათლად აჩვენებს, რომ აბრევიატურები ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში უკვე ფუნქციონირებენ როგორც სტანდარტიზებული ტერმინოლოგიური ერთეულები, რომლებიც გადიან ფორმისა და შინაარსის შეთანხმების პროცესს. ეს ადასტურებს, რომ აბრევიაცია არა მხოლოდ საერთაშორისო ტენდენციაა, არამედ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიური კულტურის ორგანული ნაწილი.

ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული ემპირიული მასალის საფუძველზე, ტერმინოლოგიური აბრევიაციები ტიპოლოგიურად შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ძირითად ფორმად: **აკრონიმებად, მარცვლოვან აბრევიატურებად, სეგმენტურ აბრევიატურებად/ჰიბრიდულ მოდელებად.**

ამ ტიპებს შორის განსხვავება განისაზღვრება არა მხოლოდ გრაფიკული აგებულებით, არამედ ფუნქციური დატვირთვითაც თუ რამდენად ინარჩუნებს შემოკლებული ფორმა კონცეპტუალურ იდენტობას.

1. აკრონიმები

აკრონიმი წარმოადგენს აბრევიაციის ისეთ ტიპს, რომელიც წარმოიქმნება ანალიტიკური ტერმინის თითოეული კომპონენტის საწყისი ასოებისგან. ამ შემთხვევაში რამდენიმე კომპონენტიანი სახელწოდება მოკლდება შემადგენელ ერთეულთა პირველი ასო-ბგერების შეერთებით. *ISO 704:2022*-ის თანახმად, აკრონიმი განისაზღვრება როგორც „მორფოლოგიურად შეკუმშული ტერმინი, რომელიც ქმნის ახალ ფონეტიკურ ერთეულს, თუმცა ინარჩუნებს ცნებით კავშირს მის პირვანდელ ფორმასთან“ (Standardization, ISO 704:2022 — Terminology work — Principles and methods, 2022, p. §6.3.3). ევროკავშირის ტერმინოლოგიურ სივრცეში აკრონიმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტერმინოლოგიური ეკონომიისა და ინფორმაციული სტრუქტურის სტანდარტიზაციაში. *EMN Glossary (2023)* (European Migration Network, 2023) მოიცავს მრავალრიცხოვან მაგალითებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ აკრონიმების ფუნქციურ სიზუსტესა და ფორმალურ ერთგვაროვნებას. მაგალითად,

AMIF (*Asylum, Migration and Integration Fund* - ლტოლვილთა, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდი), CEAS (*Common European Asylum System* - საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემა), ETIAS (*European Travel Information and Authorisation System* - მოგზაურობის ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემა), EES (*Entry/Exit System* - შესვლის/გასვლის სისტემა), წარმოადგენენ სტრუქტურულად გამართულ მოდელებს, სადაც აბრევიაციის მეშვეობით მიღწეულია ტერმინოლოგიური სიზუსტე. აკრონიმების მაგალითებია: European Migration Forum (EMF), European migration liaison officer (EMLO), European Migration Network (EMN), European Neighbourhood Policy (ENP), European return liaison officer (EUR-LO), False and Authentic Documents Online (FADO), Global Approach to Migration and Mobility (GAMM), Global Forum on Migration and Development (GFMD) და სხვ. როგორც ტემერმანი (Temmerman, 2000) აღნიშნავს, აკრონიმების მთავარი ღირებულება ენობრივი ეკონომიის მიღმა მდგომარეობს კომუნიკაციური ოპტიმიზაციის შესაძლებლობაში: ისინი ამცირებენ ტექსტის სიგრძეს ისე, რომ არ ზიანდება ცნობის აღქმის სიზუსტე. ქართულ ენაში უცხოური აბრევიატურები შეიძლება გადმოიცეს როგორც ლათინური სახელწოდებების ქართული გახმოვანებით, მაგალითად „იუნესკო“ - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია), ისე ლათინური ასო-ბგერებით (UNESCO – United Nations Educational, Scientific and Cultural Organization). თუმცა მიგრაციის დისკურსში ტერმინის წყარო ენიდან ქართულ ენაზე გადმოტანისას გადმოდის როგორც ტერმინის სრული დასახელების ქართული შესატყვისი ისე ტერმინის ინგლისურენოვანი აკრონიმი ლათინური ასო-ბგერებით. მაგალითად, *უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკა (CSDP), შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS), შესვლა-გასვლის სისტემა (EES), საიმიგრაციო სამსახურების გენერალურ დირექტორთა კონფერენცია (GDISC), საზღვრის კვეთისა და იმიგრაციის საკითხებზე ინფორმაციის მიმოცვლისა და ანალიზის ცენტრი (CIREFI), საზღვარზე ჩარევის ოპერაციული ჯგუფი (RABIT), მეურვეთა ევროპული ქსელი (EGN)* და სხვ.

2. მარცვლოვანი აბრევიაციები

მარცვლოვანი (syllabic) აბრევიაციები იქმნება სიტყვის ან ფრაზის პირველი მარცვლების (ბგერათკომპლექსი) შეერთებით და წარმოადგენენ ტერმინთქმნადობის

ერთ-ერთ ფუნქციურ ფორმას, რომელიც აერთიანებს ენობრივ ეკონომიასა და კომუნიკაციურ ოპტიმიზაციას. მარცვლოვანი შეკვეცა განსაკუთრებით ეფექტურია იმ დარგებში, სადაც ტერმინების სიმცირე და გამოთქმის სიზუსტე აუცილებელია ტექსტის აღქმისა და გადაცემის სისწრაფისთვის — მაგალითად, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დისკურსში. ასეთი ტიპის აბრევიაციები მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებენ ტერმინოლოგიური ერთეულების სტატუსით, როდესაც ინარჩუნებენ ცნების იდენტურობას და ტერმინოლოგიური სისტემის შიდა თანმიმდევრობას. საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთ მოდელებად გვხვდება, მაგალითად, Europol (*European Police Office — ევროპული პოლიციის სამსახური*), Euratom (*European Atomic Energy Community — ევროპული ატომური ენერჯის თანამეგობრობა*), EUROMED (*Euro-Mediterranean Partnership - ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა*), EUROSUR (*European Border Surveillance System - ევროპის სასაზღვრო მეთვალყურეობის სისტემა*), MIPEX (*Migrant Integration Policy Index - მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი*) და სხვ. რომლებიც ფორმის გამარტივების მიუხედავად ინარჩუნებენ ცნებითი ერთიანობის მაღალ დონეს.

3. სემანტიკური და ჰიბრიდული აბრევიაციები

სემანტიკური აბრევიაციები ყალიბდება ტერმინის კომპონენტთა შერწყმის შედეგად, კერძოდ მაშინ, როდესაც პირველი კომპონენტის საწყისი ნაწილი და მომდევნო კომპონენტის ძირითადი მარცვალი ერთიანდება ერთ ლექსიკურ ერთეულში, ან როდესაც აკრონიმი ინტეგრირებულია სრულ ტერმინში. აღნიშნული მოდელები ერთდროულად უზრუნველყოფს როგორც სახელდების ფორმის შეკვეცას, ისე სემანტიკური შინაარსის მაქსიმალურ შენარჩუნებას. ევროკავშირის ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში სემანტიკური აბრევიაციების ფართოდ გავრცელებულ მაგალითებს წარმოადგენს: DG HOME (Directorate-General for Home Affairs - შინაგან საქმეთა გენერალური დირექტორატი), DG MOVE (Directorate-General for Mobility and Transport - მობილობისა და ტრანსპორტის გენერალური დირექტორატი), DG NEAR (Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations - მეზობლობისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატი), EUTF for Africa

(European Union Emergency Trust Fund for Africa - ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის; EUTF აფრიკისთვის), EU-LAC Structured Dialogue on Migration (ევროკავშირ-ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების [EU-LAC] სტრუქტურირებული დიალოგი მიგრაციის საკითხებზე), ICONet (Information and Coordination Network for Member States' Migration Management Services (ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიგრაციის სამსახურთა საინფორმაციო და საკოორდინაციო ქსელი (ICONet), International Civil Aviation Organisation (ICAO) format (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ფორმატი) და სხვ. ამ ტერმინებში კომპონენტთა შერწყმა არ არღვევს ცნების ერთიანობას, არამედ ქმნის სტრუქტურულად მკაფიო ფორმას, რაც აძლიერებს ტექსტის ინფორმაციულ სიმჭიდროვეს და ტერმინოლოგიური ჰომოგენურობის ხასიათს (European Migration Network, 2023). ყველა ეს ფორმა აჩვენებს, რომ სეგმენტური ან ჰიბრიდული აბრევიაცია სტრუქტურული სიმარტივის მიღწევის პარალელურად უზრუნველყოფს ცნებითი ერთიანობის შენარჩუნებას. შერეული ტიპის აბრევიაციები იქმნება მაშინ, როცა ტერმინი აერთიანებს როგორც სეგმენტურ, ისე აკრონიმულ ელემენტებს. ასეთ შემთხვევებში ერთი კომპონენტი ინარჩუნებს სრულ ან შემოკლებულ მარცვლოვან სტრუქტურას, ხოლო მეორე - ინიციალური ტიპის აბრევიაციას. შედეგად მიიღება ენობრივად კომპაქტური, მაგრამ შინაარსობრივად გამჭვირვალე ფორმა. ასეთი ჰიბრიდული მოდელები თანდათან ინერგება ქართულ ტერმინოლოგიაშიც.

თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში აბრევიაციის გრაფიკული ფორმა მკაცრად რეგულირდება სტანდარტებით, განსაკუთრებით ISO 704:2022-ისა და ISO 1087:2019-ის დებულებებით, სადაც განსაზღვრულია აბრევიაციის ვიზუალური სტაბილურობა და ფორმის ერთგვაროვნება. საერთაშორისო და ევროპულ დოკუმენტებში დამკვიდრებულია წერის ერთიანი მოდელი - აბრევიაციები იწერება მხოლოდ დიდი ასოებით და პუნქტუაციის გარეშე, რაც უზრუნველყოფს მკაფიოობასა და სტანდარტიზებულ იდენტიფიკაციას. EMN Glossary (2023) და IATE ტერმინოლოგიური ბაზა იყენებს ამ პრინციპს. აბრევიაციები, განსაკუთრებით აკრონიმების შემთხვევაში წარმოდგენილია დიდი ასოებით. მაგალითად: FADO,SIS,

EMN, ETIAS, AMIF, EASO, FRA და ა.შ. ამავე დროს, ტექსტში აბრევიაცია არ საჭიროებს დამატებით სასვენი ნიშნების, მაგალითად მძიმის, წერტილის, ან დეფისის გამოყენებას, რაც ამცირებს ვიზუალურ გადატვირთვას და ქმნის ტექნიკურ სისადავეს. აბრევიატურების სრული სია მოცემულია დანართის სახით ნაშრომის დასასრულს.

სინტაქსურ დონეზე აბრევიატურული ერთეულები სრულფასოვნად ინტეგრირებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში: ფორმალური სტრუქტურა რჩება უცვლელი, თუმცა ბრუნვითი აფიქსები და წინდებულიანი კონსტრუქციები ზუსტად შეესაბამება მორფოლოგიურ წესებს. მაგ.: *DG Home-ის ვებგვერდზე, EES-ში მენახული ინფორმაცია, EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოში* და სხვ. აბრევიატურული ერთეული ინარჩუნებს ფორმალურ იდენტობას და ამავედროულად სინტაქსურად მოქნილად ადაპტირდება გრამატიკულ კონტექსტთან, რაც ასახავს სტანდარტიზაციის ფუნდამენტურ პრინციპს: ფორმალური სტაბილურობა და ფუნქციური მოქნილობა ერთიან სისტემაში. ორივე ენობრივი სისტემა, ქართული და ინგლისური, აბრევიაციას იყენებს ტექსტის სიზუსტისა და ფორმალური კოჰერენტულობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს ფუნქცია განსხვავებულად რეალიზდება მათი გრამატიკული ტიპოლოგიის შესაბამისად. ქართულში აბრევიაციები ინარჩუნებენ ფორმალურ სტრუქტურას, მაგრამ ადაპტირდებიან ენის აგლუტინაციურ ბრუნვით სისტემასთან — ანუ იღებენ ბრუნვის სუფიქსებსა და პოსტპოზიციურ მარკერებს თანახმად ენის მორფოსინტაქსური წესებისა. როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაშიც აბრევიაცია არსებითად ასრულებს ტერმინის ფუნქციურად ეკვივალენტურ როლს: ორივე შემთხვევაში იგი ემსახურება ტექსტის სტრუქტურულ ეკონომიასა და მკითხველისთვის ინფორმაციის კოგნიტიურად ოპტიმალურ აღქმას. განსხვავება ვლინდება მხოლოდ ფორმის მორფოლოგიურ მოქნილობაში - ინგლისურში იგი სტაბილურია და ინარჩუნებს გლობალურ იდენტობას, ხოლო ქართულში - მოქნილია და ამ გზით ინარჩუნებს ენობრივ ბუნებრიობას და სისტემურ კოჰერენტულობას.

ამდენად, ტერმინოლოგიური აბრევიაცია წარმოადგენს თანამედროვე ტერმინოლოგიური სისტემების ერთ-ერთ ცენტრალურ მექანიზმს, რომელიც აერთიანებს ენობრივი ეკონომიის პრინციპსა და კონცეპტუალურ იდენტობას. სტანდარტიზებული აბრევიატურული ერთეულები უზრუნველყოფენ

საერთაშორისო კომუნიკაციის ეფექტიანობასა და ტერმინოლოგიურ ჰომოგენურობას. ქართული ტერმინოლოგიური პრაქტიკა, აბრევიაციების მორფოსინტაქსური ინტეგრაციის თვალსაზრისით, წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებულ, მაგრამ ერთდროულად ენის შინაგანი სტრუქტურული წესრიგის პრინციპებს შენარჩუნებულ მოდელს, რაც ასახავს გლობალიზებული ტერმინოლოგიური სივრცის და ეროვნული ენობრივი იდენტობის პროდუქტულ სინთეზს.

3.5 ანალიტიკურ ტერმინთა სემანტიკური გამჭვირვალობა და მათი ქართული შესატყვისების კრიტიკული ანალიზი

ანალიტიკური ტერმინების სემანტიკური გამჭვირვალობის შეფასების მიზანია ტერმინის ფორმალურ-სტრუქტურულ კომპონენტებსა და მის კონცეპტუალურ შინაარსს შორის არსებული კორელაციის ხარისხის ობიექტური დადგენა. შესაბამისად, სემანტიკური გამჭვირვალობის სისტემური კვლევა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რამდენად ადეკვატურად ასახავს ქართული ტერმინოლოგიური წარმონაქმნი საწყისი ცნების შინაარსს და რამდენად უზრუნველყოფილია ტერმინ-კონცეპტის თავსებადობა, და ასევე, შევაფასოთ რამდენად არის ეროვნული მიგრაციის ტერმინოლოგია საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში. სემანტიკური გამჭვირვალობის კვლევის ფუნდამენტური კრიტერიუმი გულისხმობს ტერმინის მორფოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე ტერმინის სემანტიკურ პროგნოზირებადობას. აღნიშნული კრიტერიუმი ეფუძნება კომპოზიციურობის პრინციპს და მოითხოვს, რომ ტერმინის მთლიანი მნიშვნელობის არსებითი, ცენტრალური კომპონენტები უნდა იყოს დეკოდირებადი და წინასწარ აღქმადი მისი შემადგენელი ელემენტების სემანტიკური ღირებულებებიდან გამომდინარე. კრიტიკული პარამეტრია ის, რამდენად შეუძლია რეციპიენტს - ტერმინის სტრუქტურაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად ინდუცირება და მისი კონცეპტუალური შინაარსის გააზრება. თუ ტერმინის სემანტიკური ინტერპრეტაცია კრიტიკულად დამოკიდებულია დეფინიციაზე და არა კომპონენტთა შიდა ლოგიკურ

ურთიერთდამოკიდებულებაზე, სემანტიკური გამჭვირვალობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება. ასეთ შემთხვევებში ტერმინი ფაქტობრივად ფუნქციონირებს როგორც არაგამჭვირვალე სემანტიკური ერთეული, რომლის დეკოდირება შეუძლებელია მისი ფორმალური სტრუქტურის შინაგანი რესურსების მობილიზაციით.

ანალიტიკური ტერმინების სემანტიკური გამჭვირვალობის საკითხი მიგრაციის სფეროს ტერმინოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. სწორედ ამ ტიპის ტერმინებში იკვეთება საერთაშორისო სამართლებრივი ტექსტების, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დოქტრინებისა და სოციალური რეალობის ურთიერთქმედების შედეგი. მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ მოიცავს მრავალკომპონენტურ, სტრუქტურულად რთულ და კონცეპტუალურად დატვირთულ ანალიტიკუმებს, რომელთა მნიშვნელობა ყოველთვის როდი განისაზღვრება კომპონენტთა პირდაპირი დერივაციის საფუძველზე. შესაბამისად, მათი კვლევა მოითხოვს ისეთი პარამეტრების გათვალისწინებას, როგორცაა ცნებითი ბირთვის იდენტიფიცირება, კომპონენტთა ურთიერთმიმართების განსაზღვრა, დეფინიციური მოცულობის შეფასება და ფუნქციური როლის გაანალიზება დარგობრივ დისკურსში.


სემანტიკური გამჭვირვალობის საკითხი განსაკუთრებულად აქტუალური ხდება ქართულ თარგმანურ პრაქტიკაში. ანალიტიკუმების ქართული შესატყვისები ხშირად იქმნება ორ, სამ ან მეტ კომპონენტზე დაყრდნობით, თუმცა მათი ურთიერთმიმართება ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს ინგლისური ტერმინის კონცეპტუალურ ფორმას. ერთი მხრივ, ქართული ენის აგლუტინაციური რესურსები ქმნის შესაძლებლობას გამჭვირვალე და ლოგიკურად მოტივირებული ტერმინების შესაქმნელად; მეორე მხრივ კი, ზედმეტად რთული მორფოსინტაქსური კონსტრუქციები ზოგჯერ აქრობს ან ცვლის ტერმინის ბირთვულ მნიშვნელობას. ამდენად, სემანტიკური გამჭვირვალობა მხოლოდ ენობრივი საკითხი აღარ არის - იგი უშუალოდ უკავშირდება ტერმინის ცნებითი სარწმუნოებისა და დეფინიციური შესაბამისობის შეფასებას.

აქამდეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სემანტიკური გამჭვირვალობა ტერმინოლოგიური თეორიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრინციპად განიხილება. ის

განსაზღვრავს ტერმინის შინაარსობრივ თვითაღწერადობასა და მორფოლოგიური სტრუქტურის მეშვეობით მნიშვნელობის გადმოცემის ხარისხს. აღნიშნული კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალიზებული დისკურსის სფეროებში, სადაც ტერმინოლოგიური ერთეულების სიზუსტე და სტრუქტურული თანმიმდევრულობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი, ადმინისტრაციული და აკადემიური კომუნიკაციის ეფექტიანობასთან. მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში EMN ლექსიკონში შესული ტერმინების ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მაღალი სემანტიკური გამჭვირვალობის მაჩვენებელი (75%) მიუთითებს ქართული ტერმინოლოგიური სისტემის ფუნქციურ ეფექტურობაზე და მის სრულ შესაბამისობაზე საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO 704:2022; ISO 1087:2019). აღნიშნული შედეგი ხაზს უსვამს იმას, რომ ტერმინების უმრავლესობა (349 ერთეული) მორფოლოგიურად და სემანტიკურად ადეკვატურად ასახავს მათ შინაარსობრივ დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური სისტემის შიდა სტრუქტურულ თანმიმდევრულობასა და საერთაშორისო ტერმინოლოგიურ პრინციპებთან ჰარმონიზაციას.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სემანტიკური გამჭვირვალობის დონეების განაწილებას ქართულ ტერმინოლოგიაში. დიაგრამის მიხედვით, მაღალი გამჭვირვალობის მქონე ტერმინების დომინაცია მიუთითებს სისტემურ სტაბილურობასა და სტანდარტიზაციის პროცესის წარმატებაზე. ამასთან, შედარებით დაბალი სემანტიკური გამჭვირვალობის მქონე ტერმინები (115 ერთეული, 25%) ავლენენ კომპოზიციურ ბუნდოვანებას, რაც სემანტიკურ პოლისემიის ან/და ომონიმის გამო ქმნის დამატებითი განმარტებებისა და დეფინიციების საჭიროებას.

სქემა N6



გამჭვირვალობის დონე	ერთეულების რაოდენობა	პროცენტული წილი
მაღალი გამჭვირვალობა	350	75%
დაბალი გამჭვირვალობა	114	25%
ჯამი	464	100%

ტერმინოლოგიური ერთეულების სემანტიკური გამჭვირვალობის ემპირიული შეფასების მიზნით განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. კვლევის რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა საკვლევ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის მქონე ინფორმანტთა ჩართულობას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60 რესპონდენტმა რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს. რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა B2 და C1 დონის

ინგლისურენოვანი კომპეტენცია საკვლევი ტერმინოლოგიური მასალის ადეკვატური შეფასებისა და რესპონდენტთა შიდა ლინგვისტური ინტუიციის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით. წინამდებარე კვლევის პირველად მიზანს წარმოადგენდა ევროპული მიგრაციული ტერმინოლოგიის სემანტიკური გამჭვირვალობის შეფასება, რომლის თეორიული საფუძველი ეყრდნობოდა ტერმინის მორფოსინტაქსურ სტრუქტურასა და სემანტიკურ რეფერენტს შორის ურთიერთმიმართების კომპოზიციური ანალიზის პრინციპებს.

პირველი ეტაპზე რესპონდენტებს მიეწოდათ 464 ტერმინოლოგიური ერთეულისგან შემდგარი სია, რომელიც წარმოადგენდა საკვლევი დომენის სამიზნე ტერმინებს და დაევალებათ თითოეული ტერმინოლოგიური ერთეულის სემანტიკური გამჭვირვალობის დონის განსაზღვრა მისი ლექსიკურ-სემანტიკური შემადგენლების დეკომპოზიციური ანალიზის საფუძველზე. ხოლო, სემანტიკური გამჭვირვალობის შეფასება განხორციელდა შემდეგი ტრიადული ტაქსონომიური სისტემის მიხედვით:

1. გამჭვირვალე ტერმინები (Transparent — T): ტერმინოლოგიური ერთეულები, რომელთა სემანტიკური შინაარსი სრულად გამომდინარეობს მათი შემადგენელი მორფემული და ლექსიკური კომპონენტებისგან. ამ კატეგორიას განეკუთვნება ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის იდენტიფიცირება შესაძლებელია კომპოზიციური სემანტიკის მექანიზმების აქტივაციის გზით (მაგ.: human rights, residence permit);
2. ნახევრად გამჭვირვალე ტერმინები (Semi-Transparent — ST): ტერმინოლოგიური ერთეულები, რომელთა სემანტიკური შინაარსი ნაწილობრივ გასაგებია შემადგენელი კომპონენტების ანალიზის საფუძველზე, თუმცა მათი ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა საჭიროებს კონტექსტუალიზაციას ან სპეციალიზებულ დომენურ ცოდნას (მაგ.: Dublin transfer, posted worker);
3. გაუმჭვირვალე ტერმინები (Opaque — O): ტერმინოლოგიური ერთეულები, რომელთა სემანტიკური შინაარსი არ იდენტიფიცირდება მათი ლექსიკურ-მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზის საშუალებით. ამ კატეგორიას ეკუთვნის ძირითადად აკრონიმები, და სხვა პირობითი სემანტიკური ნიშნის მქონე ტერმინები (მაგ.: PRADO, Eurodac).

კვლევის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა მოპოვებული ემპირიული მონაცემების დესკრიფციული სტატისტიკური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა თითოეულ კატეგორიაში კლასიფიცირებული ტერმინოლოგიური ერთეულების აბსოლუტური სიხშირე და პროცენტული განაწილება.

ცხადია, მიგრაციის სფეროს ტერმინოლოგია თავისი ბუნებით ინტერდისციპლინურია: იგი აერთიანებს სამართლებრივ, სოციალურ და ადმინისტრაციულ კომპონენტებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ანალიტიკური ტერმინების სემანტიკური ინტერპრეტაციის სირთულესა და მრავალშრიანობას. სწორედ ამ ინტერდისციპლინური ხასიათის გამო, ტერმინები ხშირად ვერ განისაზღვრება მხოლოდ მათი შემადგენელი ნაწილების სემანტიკური მნიშვნელობების დაჯამებით.

მაგალითები: *single permit, durable solutions, employer sanction, positive discrimination, reception centre, work permit, international protection applicant, identified victim of trafficking in human beings, voluntary return, suspensive effect, stranded migrant, separated child, talent partnership, brain waste, posted worker, temporary protection, family reunification under international protection* და სხვა - ყველა ეს ტერმინი წარმოადგენს ისეთ სტრუქტურას, სადაც კომპონენტური ელემენტების ურთიერთქმედება ქმნის ახალ, რთულ და სპეციალიზებულ ცნებით ერთეულს. მათი სრული გაგება დამოკიდებულია არა მხოლოდ ბირთვული კომპონენტის (საზღვრულის) მნიშვნელობაზე, არამედ განმარტებითი კომპონენტების (მსაზღვრელების) ფუნქციურ და დეფინიციურ როლზე.

საანალიზოდ ავიღოთ რამდენიმე ტერმინი EMN ლექსიკონიდან:

(1) 'talent partnership' (პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის). ეს ტერმინი ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩო და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ევროკავშირში შრომის ბაზრის საჭიროებებისა და კვალიფიკაციების შესაბამისობას და გამოიხსნის საკვანძო პარტნიორ ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციისა და მობილობის ზრდისთვის“. კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერმინის სემანტიკური შინაარსი ვერ განისაზღვრება ლექსემების talent და partnership იზოლირებული, კონტექსტგარეშე მნიშვნელობებით. პირიქით,

მათი სინთეზი და ურთიერთქმედება იურიდიულ-პოლიტიკურ დისკურსში წარმოქმნის ფუნდამენტურად ახალ პოლიტიკურ-სტრატეგიულ კონცეპტს, რომლის დეკოდირება შესაძლებელია მხოლოდ ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის ფართო კონტექსტუალური ჩარჩოს გათვალისწინებით.

(2) 'გადაადგილებული პირი' (displaced person) მოიცავს კომპლექსურ სამართლებრივ და ჰუმანიტარულ კონტექსტს: „ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა ან რეგიონი, ან რომლის ევაკუაციაც განხორციელდა (განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართვის საპასუხოდ) და რომელსაც არ შეუძლია დაბრუნება უსაფრთხო პირობებში და ხანგრძლივი პერიოდით ამ ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, და რომელზეც, ასევე, შესაძლოა ვრცელდებოდეს ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი(A) მუხლი ან საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფი სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტრუმენტი. კერძოდ, აღნიშნული შეეხება პირს, რომელიც: ა) გაერიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ენდემური ძალადობის ადგილს; ბ) არის ადამიანის უფლებების სისტემატური ან მასობრივი დარღვევების რისკის ქვეშ ან წარმოადგენს ამგვარ ქმედებათა მსხვერპლს“. აშკარაა, რომ ამ ტერმინის სემანტიკური ინტერპრეტაცია არ არის შესაძლებელი მხოლოდ კომპონენტების displaced და person ლექსიკურ მნიშვნელობებზე დაყრდნობით. აღნიშნული დეფინიცია ცხადყოფს ტერმინის მრავალშრიან, სამართლებრივად დეტალიზებულ ბუნებას, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ლტოლვილთა სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის კონტექსტის დრმა ცოდნას.

(3) ტერმინის 'posted worker' ქართული შესატყვისია 'ევროკავშირის ფარგლებში დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქე'. ლექსიკონი გვთავაზობს განმარტებას - „მუშაკი, რომელიც განსაზღვრული ვადით საქმდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც არ არის ევროკავშირის ის სახელმწიფო, სადაც ეს პირი, ჩვეულებრივ, მუშაობს“. აღნიშნული ტერმინი წარმოადგენს სემანტიკური გამჭვირვალობის კრიტიკულად დაბალი ხარისხის ილუსტრაციას.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერმინის ადეკვატური ინტერპრეტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია მისი შემადგენელი კომპონენტების (posted + worker) სემანტიკური ანალიზის საფუძველზე. ინგლისურენოვან ტერმინში worker (საზღვრული) - მიუთითებს ზოგად კატეგორიაზე „დასაქმებული პირი“, ხოლო posted (მსაზღვრელი) გამომდინარე ზმნიდან to post, შესაძლებელია აღნიშნავდეს 'გამოაცხადებას', 'დანიშვნას', 'გაგზავნას', 'მივლინებას' და სხვ. თუმცა, კომპონენტების ეს მნიშვნელობები არ იძლევიან ტერმინის სპეციფიკური სამართლებრივი შინაარსის გააზრების საშუალებას. დეფინიციიდან გამომდინარე, კონცეპტის ცენტრალური ელემენტებია: დროებითი ხასიათი - „განსაზღვრული ვადით“; გეოგრაფიული მობილობა - სამუშაო ქვეყანა - ჩვეულებრივი დასაქმების ქვეყანა; ევროკავშირის შიდა კონტექსტი - მოძრაობა ევროკავშირის სივრცეში და დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული გადაადგილება - არა დამოუკიდებელი მიგრაცია. არცერთი ეს კომპლექსური სამართლებრივი ნიუანსი არ ისახება ტერმინის ზედაპირულ სტრუქტურაში.

(4) ტერმინის 'Spontaneous Migration' ქართული შესატყვისია სპონტანური მიგრაცია. EMN-ის ლექსიკონში მოცემული დეფინიცია: „იმ პირის ან პირთა ჯგუფის გადაადგილება, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ გეგმებს დამოუკიდებლად, გარე დახმარების გარეშე შეიმუშავებს და ახორციელებს“. ფაქტობრივად, განმარტების დეტალური შესწავლის გარეშეც ტერმინის შინაარსობრივი არსი მკაფიოდ და ადეკვატურად იკითხება მისი კომპონენტების სემანტიკური ანალიზით. მსაზღვრელი „სპონტანური“ ცხადყოფს, რომ მიგრაცია არ არის წინასწარ დაგეგმილი, ინსტიტუციურად ორგანიზებული ან გარე ფაქტორით მართული თუ კოორდინირებული. სტრუქტურული სიმარტივე ამ შემთხვევაში სრულად შეესაბამება შინაარსობრივ სიმარტივეს. არც ინგლისური და არც ქართული ვერსია არ შეიცავს მნიშვნელობის იმპლიციტურ შრეებს. ტერმინის ინტერპრეტაცია ხდება პირდაპირი და უშუალო გზით.

მსგავსი სემანტიკური და კომპოზიციური გამჭვირვალობით გამოირჩევა შემდეგი ტერმინები: dual citizenship 'ორმაგი მოქალაქეობა', illegal employment 'არალეგალური დასაქმება', ethnic cleansing 'ეთნიკური წმენდა', ethnic nationality 'ეთნიკური ეროვნება',

fundamental rights ‘ფუნდამენტური უფლებები’, preparatory class ‘მოსამზადებელი კურსი’, travel document ‘სამგზავრო დოკუმენტი’, vulnerable person ‘მოწყვლადი პირი’ და სხვ. თითოეული ამ ტერმინისთვის დამახასიათებელია მკაფიო მსაზღვრელ-საზღვრულის იერარქია და პირდაპირი სემანტიკური კომპოზიციურობა. შესაბამისად, აღნიშნულ გარემოებას აქვს პირდაპირი გავლენა ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისების სიზუსტეზე. კერძოდ, კომპონენტების სემანტიკური შინაარსი ბუნებრივად და ინტუიციურად იკითხება, რის საფუძველზეც წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ტერმინის თარგმნის სანდოობა მაღალია, სემანტიკური ინტერპრეტაციის შეცდომის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი და ტერმინი ადვილად აღქმადია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო აუდიტორიის მიერ. ეს მახასიათებლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრაციის სფეროში, სადაც ტერმინოლოგიური სიზუსტე უშუალო კავშირშია სამართლებრივი ნორმების კორექტულ გამოყენებასთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურობასთან.

საინტერესო მაგალითია ტერმინი (5) ‘presumed victim’ (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლი), სადაც მსაზღვრელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად საზღვრული კომპონენტი. აქ ბირთვს წარმოადგენს victim/მსხვერპლი, თუმცა მსაზღვრელი ‘presumed/სავარაუდო’ მიუთითებს არა ოფიციალურად დადასტურებულ სამართლებრივ სტატუსზე, არამედ მხოლოდ სავარაუდო პერსონალურ მდგომარეობაზე. აქ არ არის დადასტურებული პირის, როგორც მსხვერპლის სტატუსი. შესაბამისად, ტერმინის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მსაზღვრელის მნიშვნელობაზე და არა ბირთვზე, რომელიც კონცეპტუალურად არასაკმარისია. მოცემული ანალიზი არღვევს ტრადიციულ გაგებას, რომლის მიხედვითაც კომპოზიციურ სტრუქტურაში ბირთვი წარმოადგენს სემანტიკურ დომინანტს. ტერმინის presumed victim შემთხვევაში აღინიშნება უკუპროცესი, სადაც მსაზღვრელი კონცეპტუალურად მთავრი მნიშვნელობის მატარებელი ხდება, რადგან სწორედ იგი განსაზღვრავს პირის სამართლებრივ სტატუსს, არა კონსტიტუციურს, არამედ პირობითს, პროცედურულად არადადასტურებულს. პრაგმალინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინი presumed victim წარმოადგენს შემთხვევას, სადაც presumed არის საპროცედურო-იურიდიული

სტატუსის მარკერი, რომელიც აღნიშნავს ინსტიტუციონალური გადაწყვეტილების არარსებობას სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით. ტერმინოლოგიურ-ტრანსლათოლოგიური პერსპექტივიდან, ქართული შესატყვისის 'სავარაუდო მსხვერპლი' არჩევანი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს. პირველ რიგში, აუცილებელია სემანტიკური ეკვივალენტობა - ტერმინმა უნდა ასახოს სამართლებრივი სტატუსის არასტაბილურობა და ალბათობა; მეორე, პრაგმატული ფუნქციის შენარჩუნება - ქართულმა ფორმამ უნდა აღნიშნოს, რომ სტატუსი ჯერ არ არის იურიდიულად კონსტიტუირებული, არამედ ინტერპრეტაციულ ფაზაშია. მესამე, ტერმინოლოგიური სისტემურობა - ტერმინი უნდა ჩაეწეროს მიგრაციული სამართლის ფართო ტერმინოლოგიურ სისტემაში, სადაც სტატუსების იერარქია და დინამიზმი აუცილებელი ელემენტია. სწორედ ამ განსხვავების საფუძველზე არის მნიშვნელოვანი, რომ ქართულ შესატყვისში "სავარაუდო მსხვერპლი" სრულად ასახავს სამართლებრივი სტატუსის დაუზუსტებლობას. ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ტერმინოლოგიურ კვლევაში სემანტიკური გამჭვირვალობის პრობლემა არ არის მხოლოდ ლინგვისტური საკითხი, არამედ აისახება იურიდიული ცნებების ონტოლოგიაზე, როდესაც ენობრივი ფორმა უშუალოდ მონაწილეობს სამართლებრივი რეალობის შექმნის პროცესში.

ტრეფიკინგისა და მიგრაციის პოლიტიკის დისკურსში (6) assisted voluntary return 'ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა' ისეთი ტერმინია, რომლის შინაარსს მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურა ვერ ახსნის. აქ მნიშვნელობა განაწილებულია არა მხოლოდ სიტყვებს შორის, არამედ იმ კონცეპტუალურ რუკაზე, რომელშიც დაბრუნების იდეა დაკავშირებულია სააგენტოთა დახმარებასთან, არჩევანის თავისუფლებასთან და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ პროგრამებთან. აქ საზღვრული სიტყვა არის 'დაბრუნება/return'. ბუნებრივ ენაში "დაბრუნება" პროტოტიპულად აღნიშნავს გადაადგილებას საწყისი წერტილისკენ. მაგრამ მიგრაციის დისკურსში ეს მნიშვნელობა უკვე პროცესს კი არ აღწერს, არამედ პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოების ერთობლიობას მოიცავს - ინდივიდის ფიზიკური გადაადგილება დაკავშირებულია იურიდიულ სტატუსთან, ნებართვებთან, ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებსა და უსაფრთხოების საკითხებთან.

შედეგად, საზღვრული სიტყვა გაფართოებულ კონცეპტად იქცევა, რომელიც მოითხოვს დამატებით განმარტებას. ამ დამატებით განმარტებას სრულიად სხვადასხვა მიმართულებით წარმართავს ტერმინის ორი მსაზღვრელი სიტყვა: პირველი - 'ნებაყოფლობითი' (*voluntary*) დგას 'იძულებითი დაბრუნების' პირდაპირ საწინააღმდეგო პოზიციაში, ამით ქმნის თავისუფლების სპექტრს, მაგრამ ტერმინი 'ნებაყოფლობითი' აქ მხოლოდ ფსიქოლოგიურ მზაობას არ ნიშნავს; იგი გულისხმობს არჩევანის არსებობას იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ალტერნატივები რეალურად მისაწვდომია. ამიტომ 'ნებაყოფლობითი დაბრუნება' ბევრად უფრო კომპლექსური კონცეპტია, ვიდრე ბუნებრივი ენით წარმოსადგენი 'საკუთარი სურვილით, ნებით/თავისით დაბრუნება'. მეორე მსაზღვრელი - 'ხელშეწყობა' (*assisted*) - კონცეპტუალური რუკის სხვა შრესთანაა დაკავშირებული: ინსტიტუციურ ჩარევასთან, რესურსებზე წვდომასა და ზრუნვის მოდელთან. ლექსიკონის მიხედვით, ტერმინის განმარტება ასეთია: „ლოჯისტიკური, ფინანსური და/ან სხვა სახის მატერიალური დახმარების გაწევით განხორციელებული ნებაყოფლობითი დაბრუნება ან ნებაყოფლობითი გამგზავრება“. ასე იქმნება მეორე მნიშვნელობრივი სპექტრი: ხელშეწყობილი/მხარდაჭერილი (*assisted*) და ხელშეწყობის /დახმარების/მხარდაჭერის გარეშე (*unassisted*). ორი სპექტრის კომბინაცია - *voluntary* და *assisted* - ქმნის ტერმინის რეალურ კოგნიტიურ პროფილს: მიგრაციის დისკურსში 'დაბრუნება' არ განიხილება როგორც პირადი გადაწყვეტილება და არც როგორც მხოლოდ ადმინისტრაციული პროცედურა; ეს არის კოორდინირებული, მხარდაჭერილი, მაგრამ მაინც არჩევანზე დაფუძნებული პროცესი. ორივე მსაზღვრელი ერთდროულად მოქმედებს საზღვრულზე და თუ ერთ-ერთი ამოაკლდება, საზღვრული 'დაბრუნება' დაკარგავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტი ანიჭებს მას. მაგალითად, 'voluntary return' შეიძლება არსებობდეს მხარდაჭერის გარეშე, მაგრამ ეს აღარ იქნება იგივე კონცეპტის გამომხატველი, ხოლო 'assisted return' კი შეიძლება მიუთითებდეს დახმარებაზე, მაგრამ არ გულისხმობდეს ნებაყოფლობით არჩევანს. მხოლოდ მათი ერთობლიობა ქმნის იმ ჰიბრიდულ, კომპლექსურ სემანტიკურ მთლიანობას, რომელსაც ევროკავშირის და გაეროს დოკუმენტები იყენებენ. ქართული შესატყვისი

‘ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა’ ამ კონცეპტუალურ სტრუქტურას სრულად შეესაბამება. საზღვრულის პროცესუალური ბუნება შენარჩუნებულია, ისევე როგორც მსაზღვრელების შესაბამისი კოგნიტიური ფუნქციები: არჩევანის თავისუფლება (ნებაყოფლობითი) და ინსტიტუციური მხარდაჭერა (ხელშეწყობა). ქართულ ენაში არც ერთი სხვა კომბინაცია (‘დაბრუნების დახმარება’, ‘დაბრუნების პროგრამა’) არ ასახავს ამ ორმაგ კონცეპტუალურ კოორდინაციას. ამდენად, ლექსიკონში მოცემული ქართული შესატყვისი სემანტიკურად და კოგნიტიურად ყველაზე მდგრადია.

ზოგადად, განსაზღვრებითი (ატრიბუტული) ტიპის ანალიტიკური ტერმინები წარმოადგენენ მიგრაციული ტერმინოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე სტრუქტურულად სტაბილურ და სემანტიკურად პროგნოზირებად სინტაგმურ მოდელს. აღნიშნული ტიპის ტერმინები ხასიათდებიან მკაფიო მორფოსინტაქსური აგებულებით, სადაც საზღვრული წარმოადგენს ცენტრალურ ცნებით კატეგორიას და განსაზღვრავს მთლიანი ტერმინის ონტოლოგიურ მიკუთვნებას, ხოლო მსაზღვრელი ასრულებს სემანტიკურად სპეციფიკაციურ ფუნქციას და განსაზღვრავს საზღვრულის მოქმედების სფეროს, დომენს, სტატუსს, ფუნქციას და მახასიათებელს. ეს სტრუქტურული მოდელი, როგორც წესი, ხასიათდება მაღალი სემანტიკური გამჭვირვალობით, რომლის დროსაც ტერმინის ძირითადი, ცენტრალური მნიშვნელობა დეკოდირებადია უშუალოდ მისი კომპონენტებისგან, დამატებითი ვრცელი დეფინიციების გარეშე ან მხოლოდ მინიმალური განმარტებითი დაზუსტების საფუძველზე. თუმცა, EMN ლექსიკონის ინგლისურენოვანი ტერმინების ქართული შესატყვისების ანალიზმა ცხადყო, რომ ტერმინოლოგიური ადეკვატურობა მხოლოდ ლექსიკურ თანხვედრას არ გულისხმობს. აუცილებელია კონცეპტუალური და სამართლებრივი თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა, ვინაიდან მრავალი ტერმინი ატარებს პროცედურულ მნიშვნელობებს, რომლებიც ზედაპირული ფორმის დონეზე პირდაპირ არ იკითხება. ანალიტიკური ტერმინების სტრუქტურული და სემანტიკური კომპლექსურობა ადასტურებს, რომ მიგრაციული დისკურსის ტერმინოლოგია არ შემოიფარგლება მხოლოდ ზედაპირული კომუნიკაციური ფუნქციით. აღნიშნული ტერმინები წარმოადგენენ სამართლებრივი, ინსტიტუციური და ეთიკური ჩარჩოების

მატარებლებს, რომელთა სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია მხოლოდ ფორმალური სტრუქტურის ან ბუნებრივი ენის ინტუიციური ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამდენად, ქართულ ენაზე ტერმინოლოგიური ეკვივალენტების შემუშავების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ქმნის თუ არა ქართული შესატყვისი ისეთ მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურას, რომელიც:

- ✓ უზრუნველყოფს საწყისი ტერმინის კონცეპტუალური შინაარსის მაქსიმალურად ზუსტ და ერთმნიშვნელოვან გადმოცემას;
- ✓ ინარჩუნებს ტერმინის იერარქიულ სტრუქტურას და მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთკავშირს;
- ✓ შესაბამისობაშია ქართული ენის ტერმინოლოგიური სისტემის არსებულ ნიმუშებთან და ნომინაციურ ტენდენციებთან;
- ✓ უზრუნველყოფს ფუნქციურ ეკვივალენტობას სპეციალიზებულ დისკურსში გამოყენების დროს.

ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ისეთი ინტერდისციპლინური და სწრაფად განვითარებადი დარგის კონტექსტში, როგორცაა მიგრაციის სფერო, სადაც ტერმინოლოგიური სიზუსტე უშუალოდ განაპირობებს სამართლებრივი ნორმების, პოლიტიკური გადაწყვეტილებების და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ეფექტურობას. შესაბამისად, ანალიტიკური ტერმინების კვლევა უნდა ეფუძნებოდეს სტრუქტურული ტიპების, სემანტიკური შრეებისა და კონცეპტუალური მოდელების ინტეგრირებულ ანალიზს. მხოლოდ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ქართულ ტერმინოლოგიურ შესაბამისობას არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კონცეპტუალურ და სამართლებრივ დონეზე.

3.6. მიგრაციის ტერმინების თარგმნის გავრცელებული მეთოდები

მიგრაციის სფეროს ტერმინოლოგია წარმოადგენს კომპლექსურ მულტიდისციპლინურ ენობრივ სისტემას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ,

სოციოლოგიურ, ადმინისტრაციულ და ჰუმანიტარულ დარგებში ჩამოყალიბებულ მრავალფეროვან კონცეპტუალურ ცნებებს. აღნიშნულ სფეროში ტერმინების ზუსტი და შეთანხმებული თარგმნა წარმოადგენს კრიტიკულ მნიშვნელობის საკითხს, რადგან თითოეული ტერმინოლოგიური ერთეული ასახავს არა მხოლოდ აბსტრაქტულ ცნებას, არამედ განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსს, ინსტიტუციურ პროცედურას და პოლიტიკურ კონტექსტს.

EMN-ის „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ ქართულმა ადაპტაციამ სისტემატურად ჩამოაყალიბა სტრატეგიების ის კორპუსი, რომელიც ორიენტირებულია დარგობრივი კომუნიკაციის უნიფიკაციაზე, ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის გამყარებაზე და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ენობრივი მიდგომის ინსტიტუციონალიზაციაზე. ლექსიკონის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ თარგმანის პროცესი დაეფუძნა მრავალენოვანი ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, ხოლო ეროვნული ენებზე თარგმნილი ტერმინები შესაბამისი ქვეყნის ნორმატიული ტერმინოლოგიურ პრინციპებს. ამდენად, წინამდებარე ქვეთავის მეთოდოლოგიური მიზანია ლექსიკონის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით იდენტიფიცირდეს და ჩამოყალიბდეს თარგმანის ის ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც განსაზღვრავენ ქართულ დარგობრივ ტერმინოსისტემაში ტერმინწარმოქმნის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს (European Migration Network, 2023).

კვლევის შედეგად გამოვლინდა მიგრაციის სფეროს ტერმინების ქმნადობის შემდეგი ძირითადი სტრატეგიები:

(ა) კალკირება – წყარო ენიდან ტერმინის მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის გადმოტანა სამიზნე ენაში;

(ბ) აღწერითი/დესკრიფციული თარგმანი – ცნებითი შინაარსის ექსპლიციტური გადმოცემა;

(გ) პირდაპირი სესხება ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიბირების გზით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალცალკე.

(ა)კალკირება.

ლექსიკონის ქართულ ვარიანტში ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლენილ სტრატეგიას წარმოადგენს პირდაპირი კალკირება ანუ ტერმინის სიტყვასიტყვითი თარგმანი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს წყარო ენის (ინგლისურის) ტერმინის სინტაქსური არქიტექტურის მაქსიმალურად იზომორფულ რეპროდუცირებას მიზნობრივ ენაზე (ქართული). ეს თარგმნითი სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევებში, როდესაც ტერმინის მორფოსინტაქსური ლოგიკა განსაზღვრულია მოდელით 'მოდულიზატორი/მსაზღვრელი + ბირთვული კომპონენტი', რაც სრულად შეესაბამება ქართული ენის 'მსაზღვრელი + საზღვრული' კონსტრუქციას. შედეგად, კალკირებული ტერმინები ინარჩუნებენ წყარო ენის სტრუქტურულ ლოგიკას, მაგრამ ამავე დროს ორგანულად ინტეგრირდებიან ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. მაგალითად, ეკვივალენტურად და სემანტიკურად სრულად გამჭვირვალე ტერმინებია:

- (1) economic migration 'ეკონომიკური მიგრაცია';
- (2) forced migration 'ძულებითი მიგრაცია';
- (3) seasonal worker 'სეზონური მუშაკი';
- (4) serious harm 'სერიოზული ზიანი';
- (5) sexual orientation 'სექსუალური ორიენტაცია';
- (6) social inclusion 'სოციალური ჩართულობა';
- (7) suspensive effect 'შემაკავებელი ეფექტი';
- (8) family migration 'ოჯახის მიგრაცია'

კალკირების მეთოდით მიღებული ტერმინებია ასევე:

- (9) standard operating procedures applicable in hotspots 'ცხელ წერტილებში გამოყენებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები';
- (10) detention standards and conditions 'დაკავების სტანდარტები და პირობები';
- (11) EU Blue Card holder 'ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი'
- (12) chain migration 'ჯაჭვური მიგრაცია' და სხვ.

ეს ტერმინი EU Blue Card holder 'ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი' ნეოლოგიზმდაც მიიჩნევა, რადგან იგი შედარებით ახალი სამართლებრივი და პოლიტიკურ-ტერმინოლოგიური კონსტრუქციაა, რომელიც ევროკავშირის მიერ

შეიქმნა მესამე ქვეყნის კვალიფიციური მოქალაქეებისთვის სამუშაო და საცხოვრებელი უფლების განსაზღვრის მიზნით. ტერმინი 'ევროკავშირის ლურჯი ბარათი' (EU Blue Card) პირველად შემოიღეს 2009 წელს, როგორც ევროკავშირის მასშტაბით ერთიანი სამუშაო ნებართვის ინსტრუმენტი. იგი განსაზღვრულია ევროკავშირის დირექტივით. ტერმინი 'ლურჯი ბარათი' არ არსებობდა სამართლებრივ-ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში მანამდე. იგი ევროკავშირის მიერ შეგნებულად შეიქმნა, როგორც ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტის სახელწოდება. მისი მეტაფორული ელემენტი ('ლურჯი') უკავშირდება ევროკავშირის სიმბოლიკას (ლურჯი დროშა, ვარსკვლავები) და ამით ქმნის იდენტურობას. „ბარათი“ კი ფუნქციურად აღწერს დოკუმენტს, რომელიც იძლევა სამუშაოსა და საცხოვრებლის უფლებას. როგორც ნეოლოგიზმი, იგი უკვე დამკვიდრებულია საერთაშორისო სამართლებრივ და მიგრაციულ დისკურსში. ქართულ ტერმინოლოგიაში მისი დამკვიდრება ხდება პირდაპირი კალკით („ლურჯი ბარათი“), რაც ინარჩუნებს სიმბოლურ და სამართლებრივ შინაარსს. მისი ნეოლოგიური ბუნება ხაზს უსვამს, რომ ეს არის ახალი სამართლებრივი კატეგორია, რომელიც არ არსებობდა კლასიკურ მიგრაციულ სამართალში.

ასევე, ტერმინი 'seasonal worker/სეზონური მუშაკი' შეიძლება ჩაითვალოს ნეოლოგიზმად ევროკავშირის სამართლებრივ-ტერმინოლოგიურ კონტექსტში, თუმცა მისი ნეოლოგიური ბუნება შედარებით სპეციფიკურია. ტერმინის განმარტება ასეთია: „მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ინარჩუნებს თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილს მესამე ქვეყანაში და ლეგალურად დროებით იმყოფება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სეზონური საქმიანობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით, ერთი ან მეტი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც გაფორმებულია უშუალოდ მესამე ქვეყნის მოქალაქესა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებულ დამსაქმებელს შორის“. 'Seasonal worker' როგორც სამართლებრივი კატეგორია პირველად მკაფიოდ განსაზღვრა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივამ 2014/36/EU. მანამდე „სეზონური სამუშაო“ ან „სეზონური დასაქმება“ გამოიყენებოდა ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ დისკურსში, მაგრამ არა როგორც მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი.

ნეოლოგიზმი არის ახალი ტერმინი ან არსებული ტერმინის ახალი, სამართლებრივად/ტექნიკურად განსაზღვრული მნიშვნელობა. 'სეზონური მუშაკი' აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს, რადგან იგი განსაზღვრულია სამართლებრივ დოკუმენტში და წარმოადგენს ახალ სამართლებრივ კატეგორიას მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის. რაც შეეხება ტერმინის ფუნქციური მნიშვნელობას, ტერმინი აღწერს კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსს: მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დროებით იმყოფება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში სეზონური საქმიანობის შესასრულებლად. იგი ქმნის მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც განსხვავდება ზოგადი „დასაქმებული“ ან „მუშაკის“ ცნებისგან. ქართულში „სეზონური მუშაკი“ პირდაპირი კალკია, რომელიც ადვილად გასაგებია, მაგრამ მისი სამართლებრივი დატვირთვა ნეოლოგიურია, რადგან იგი ევროკავშირის სამართლებრივ დისკურსში დამკვიდრებული ახალი კატეგორიის გადმოცემას ემსახურება. ამდენად, „სეზონური მუშაკი“ ნეოლოგიზმია სამართლებრივ-ტერმინოლოგიურ კონტექსტში, რადგან იგი ევროკავშირის მიერ შემოღებული ახალი სამართლებრივი სტატუსის სახელწოდებაა, რომელიც განსხვავდება ტერმინის ყოველდღიური, ზოგადი გამოყენებისგან. მისი ნეოლოგიური ბუნება მდგომარეობს ახალ სამართლებრივ-კონცეპტუალურ შინაარსში, რომელიც 2014/36/EU დირექტივით არის განსაზღვრული.

ამ მხრივ, საინტერესოა ტერმინი 'chain migration/ჯაჭვური მიგრაცია' (განმარტება - „პრაქტიკა, როდესაც ოჯახის გაერთიანების პრინციპის საფუძველზე უცხო ქვეყანაში დამკვიდრებული პირები ეხმარებიან (სპონსორობას უწევენ) ოჯახის სხვა წევრებს მიგრაციაში, რაც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან“. ქართულში 'ჯაჭვური მიგრაცია' წარმოადგენს პირდაპირ კალკს, რომელიც შედარებით ახალია აკადემიურ და სამართლებრივ ტერმინოლოგიაში. ტერმინი აღწერს კონკრეტულ პრაქტიკას: ოჯახის გაერთიანების პრინციპზე დაფუძნებულ მიგრაციას, სადაც უკვე დამკვიდრებული პირები ხელს უწყობენ ოჯახის სხვა წევრების მიგრაციას. იგი სამართლებრივად დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ვალდებულებებთან, რაც მის ნეოლოგიურ ბუნებას კიდევ უფრო ამყარებს. ქართულში 'ჯაჭვური' მეტაფორულად გადმოსცემს პროცესის ბუნებას – ერთი მიგრაციული

ნაბიჯი იწვევს შემდეგს, თითქოს ჯაჭვის რგოლები ერთმანეთს უკავშირდებიან. ეს მეტაფორა ქართულ ტერმინოლოგიაში ახალია და სწორედ ამიტომ მას ნეოლოგიზმის სტატუსი ენიჭება.

ზემოთ მოცემულ მაგალითებში ქართული თარგმანის სტრუქტურა სრულად იზომორფულია ინგლისური ტერმინის სტრუქტურისა, რის შედეგადაც შენარჩუნებულია როგორც კონცეპტუალური დიფერენციაცია, ისე ტერმინოლოგიური ქსელის შიგნით არსებული სემანტიკური და ლოგიკური კავშირები. აღნიშნული სტრატეგია კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრაციული მართვის დისკურსში, სადაც ტერმინოლოგიური აღქმის სიზუსტე პირდაპირპროპორციულად კორელირებს საპოლიტიკო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობასთან და მის განხორციელების ეფექტურობასთან. კალკირებული ტერმინები ქმნიან სისტემურ კოჰერენტულობას ტერმინოლოგიურ კლასტერებში, როგორცაა: „ეკონომიკური მიგრაცია“, „გრძელვადიანი მიგრაცია“, „იძულებითი მიგრაცია“, „შერეული მიგრაცია“, „შიდა გადაადგილება“ და სხვა. სწორედ ამ მექანიზმის საშუალებით უზრუნველყოფილია ტერმინოლოგიური პარალელიზმი, რომელიც რეციპიენტს ანიჭებს უნარს, განახორციელოს ინფორმაციის დეკოდირება ბუნებრივად, დამატებითი ინტერპრეტაციული რესურსების აქტივაციის გარეშე. ეს კი თავის მხრივ ადასტურებს, რომ პირდაპირი კალკირება, როგორც თარგმნითი სტრატეგია, უზრუნველყოფს ტერმინოლოგიურ სტანდარტიზაციას, სემანტიკურ სიცხადეს და დარგობრივ კოჰერენტულობას. კერძოდ, 1. ტერმინი ინარჩუნებს სინტაქსურ და სემანტიკურ ლოგიკას და სტრუქტურულად იზომორფულია (ინგლისური ტერმინების modifier + head მოდელი პირდაპირ ემთხვევა ქართულ „მსაზღვრელი + საზღვრული“ კომბინაციას. მაგალითად: economic migration → ‘ეკონომიკური მიგრაცია’, სინტაქსური არქიტექტურა უცვლელად გადმოდის, რაც უზრუნველყოფს ტერმინის ფორმალურ და სემანტიკურ ერთიანობას); 2. ტერმინი კონცეპტუალურად გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელია (კალკირებული თარგმანი ინარჩუნებს ტერმინის შიდა ლოგიკას: მსაზღვრელი განსაზღვრავს საზღვრულს ისე, რომ მნიშვნელობა მკაფიოდ იკითხება. „იძულებითი მიგრაცია“ მკაფიოდ გამოხატავს მოქმედების ბუნებას, როგორც forced migration-ის პირდაპირი შესატყვისი; 3. ტერმინი

უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური ქსელის სისტემურობას (როდესაც ტერმინები ერთგვაროვანი სტრუქტურით გადმოიცემა, ისინი ქმნიან სისტემურ ქსელს, სადაც თითოეული ტერმინი ადვილად ინტეგრირდება. მაგალითად: 'ეკონომიკური მიგრაცია', 'სოციალური ჩართულობა', 'სექსუალური ორიენტაცია' - ყველა ერთსა და იმავე მოდელს მიჰყვება, რაც ხელს უწყობს ტერმინის ჰარმონიზაციას მრავალ ენაში. სწორედ ამიტომ, პირდაპირი სტრუქტურული კალკირება ქართულ ტერმინოლოგიაში არა მხოლოდ ფართოდ გამოყენებული, არამედ სტრატეგიულად გამართლებული მეთოდია.

(ბ) აღწერითი/დესკრიფციული თარგმანი.

აღწერითი თარგმანი წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ სტრატეგიას თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში. მისი გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც წყარო-ენის ტერმინი ლაკონურია, ხოლო სამიზნე ენაში მისი ზუსტი აღქმა მოითხოვს მნიშვნელობის გაშლას და კონცეპტუალური შინაარსის დეტალიზაციას. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ტერმინის სემანტიკური სიზუსტის შენარჩუნებას, არამედ ხელს უწყობს სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცესების ადეკვატურ გადმოცემას მრავალენოვან კონტექსტში. EMN Glossary-ის პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, რომ აღწერითი თარგმანი ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც პირდაპირი ეკვივალენტი არ არსებობს, ან როდესაც აუცილებელია სამართლებრივი პროცესების ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი კომუნიკაცია.

განვიხილოთ რამდენიმე ტერმინი:

- (13) irregular migration „კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია“. ტერმინის განმარტება ასეთია: „პირთა გადაადგილება ბინადრობის ან ტრანზიტის ახალ ადგილზე გამგზავნი, სატრანზიტო და მიმღები ქვეყნების რეგულაციების დარღვევით“. აქ აღწერითი თარგმანი არ შემოიფარგლება მხოლოდ მიგრაციის ფაქტის აღნიშვნით; იგი ხაზს უსვამს სამართლებრივ სტატუსს, რაც უზრუნველყოფს დარგობრივ სიზუსტეს და თავიდან იცილებს ბუნდოვანებას.

- (14) **admissibility interview** „გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობის თაობაზე“. ტერმინის განმარტება საკმაოდ ვრცელია: „საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დაუშვებლობის საკითხზე წარმოებული პროცედურის ფარგლებში ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU (თავმესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 33-ე მუხლით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში დაწესებული ინდივიდუალური გასაუბრება, რომელიც საშუალებას აძლევს განმცხადებლებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების ირგვლივ არსებული კონკრეტული გარემოებების შესახებ, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ აღნიშნული განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე“. მოცემული აღწერითი თარგმანი მკაფიოდ გადმოსცემს პროცედურის შინაარსს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლებრივი პროცესების სწორად გაგებისა და განმცხადებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.
- (15) **return intervention** „დაბრუნების პროცესში ოპერაციული ჩარევა“. ტერმინის განმარტება ასეთია: „ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გაძლიერებულ ტექნიკურ და ოპერაციულ მხარდაჭერას, დაბრუნების პროცესში ჩარევის განმახორციელებელი ჯგუფების განთავსებისა და დაბრუნების ოპერაციების ორგანიზების გზით“. აქ აღწერითი თარგმანი ასახავს არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ მის კონტექსტს – „დაბრუნების პროცესი“. ამგვარად, თარგმანი ქმნის სრულ სურათს, რომელიც აერთიანებს როგორც ოპერაციულ, ასევე ინსტიტუციურ განზომილებებს.
- (16) **talent partnership** „პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის“. თარგმანი კონცეპტს ხდის უფრო გასაგებს ქართულ აუდიტორიისთვის. განმარტება – „მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩო და ფინანსური მხარდაჭერის

მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ევროკავშირში შრომის ბაზრის საჭიროებებისა და კვალიფიკაციების შესაბამისობას და გამიზნულია საკვანძო პარტნიორ ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციისა და მობილობის ზრდისთვის“. ტერმინის პირდაპირი გადმოცემა („ტალანტის პარტნიორობა“) შესაძლოა ბუნდოვანი და ნაკლებად ინფორმაციული ყოფილიყო, მაშინ როდესაც აღწერითი თარგმანი მკაფიოდ წარმოაჩენს მისი არსის ორ ძირითად კომპონენტს – სწავლასა და დასაქმებას. ამ შემთხვევაში აღწერითი თარგმანი მკაფიოდ გამოყოფს პოლიტიკის ორიენტაციას სწავლასა და დასაქმებაზე. ეს ორი კომპონენტი წარმოადგენს ევროკავშირის თანამშრომლობის ჩარჩოს ძირითად მიზნებს, რაც ქართულ აუდიტორიას საშუალებას აძლევს ადვილად გაიაზროს ტერმინის შინაარსი. სამართლებრივი და პოლიტიკურ-სტრატეგიული კონტექსტში კი განმარტება ხაზს უსვამს, რომ „talent partnership“ არ არის მხოლოდ პროგრამული ინიციატივა, არამედ ევროკავშირის სტრატეგიული პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც მოიცავს ფინანსურ მხარდაჭერას და ინსტიტუციურ მექანიზმებს. ამდენად, „Talent partnership“-ის აღწერითი თარგმანი წარმოადგენს სტრატეგიულად გამართლებულ გადაწყვეტილებას, რადგან იგი ქართულ ენაში ტერმინის სემანტიკურ და ფუნქციურ შინაარსს მკაფიოდ გადმოსცემს. თარგმანი ხაზს უსვამს ევროკავშირის პოლიტიკის ძირითად მიზნებს – სწავლასა და დასაქმებას – და ამავდროულად ასახავს მიგრაციული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკურ კონტექსტს. შედეგად, იგი უზრუნველყოფს როგორც დარგობრივ სიზუსტეს, ასევე კომუნიკაციურ ეფექტიანობას მრავალენოვან გარემოში.

- (17) smuggler „(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი“. აღწერითი ფორმა აქცენტს აკეთებს მოქმედების სამართლებრივ ბუნებაზე, რაც იურიდიული ტექსტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ლექსემა smuggler ინგლისურ ენაში ზოგადად აღნიშნავს კონტრაბანდისტს. ქართულში აღწერითი ფორმა „მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი“ კონკრეტულად მიგრანტთა გადაადგილებასთან არსი დაკავშირებული.

მკაფიოდ განსაზღვრულია მოქმედების ობიექტი (მიგრანტები) და გარემო (სახელმწიფო საზღვარი). ეს უზრუნველყოფს ტერმინის ადეკვატურობას სამართლებრივ დოკუმენტებში, სადაც ბუნდოვანი ან ზოგადი ფორმულირება შესაძლოა ინტერპრეტაციის პრობლემებს წარმოშობდეს. აღწერითი თარგმანი კი თავიდანვე ქმნის სამართლებრივად დატვირთულ სურათს, რაც აუდიტორიას საშუალებას აძლევს სწორად გაიაზროს ტერმინის შინაარსი.

(18) refugee in orbit „სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი“. თარგმანი ახდენს მეტაფორული ინგლისური ფორმის გაშლას და მკაფიოდ აღწერს ფენომენს. ინგლისურ ენაში „refugee in orbit“ მეტაფორულად ასახავს ლტოლვილთა მდგომარეობას, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილდებიან თავშესაფრის ძიების პროცესში, მაგრამ ვერ პოულობენ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას. ქართულ თარგმანში ეს მეტაფორა გაშლილია და კონკრეტული ფენომენის აღწერით ფორმას იღებს. კონცეპტუალურად, „სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი“ მკაფიოდ გამოყოფს პროცესს – მუდმივი გადაადგილება და თავშესაფრის ძიება – რაც აუდიტორიას საშუალებას აძლევს სწორად გაიაზროს ფენომენის არსი. სამართლებრივი და სოციალური კონტექსტში აღნიშნული ტერმინი ასახავს საერთაშორისო დაცვის სისტემის გამოწვევებს, კერძოდ, იმ შემთხვევებს, როდესაც ლტოლვილები სხვადასხვა ქვეყანაში მიმართავენ შესაბამის უწყებებს თავშესაფრის მოთხოვნით, მაგრამ მათი სტატუსი საბოლოოდ მაინც გადაუწყვეტელია. რაც შეეხება ტერმინის თარგმანის ფუნქციური ღირებულებას, აღწერითი ფორმა თავიდან გვაცხადებს ბუნდოვანებას, რომელიც მეტაფორული „orbit“-ის პირდაპირ გადმოცემას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. იგი მკაფიოდ აღწერს ფენომენს და ამით უზრუნველყოფს სამართლებრივი და აკადემიური დისკურსის სიზუსტეს.

მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღწერითი/კონცეპტუალური თარგმანი წარმოადგენს სტრატეგიულად გამართლებულ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს

კონცეპტუალური გამჭვირვალობას, ინარჩუნებს იურიდიულ სიზუსტეს, ქმნის სემანტიკურად ამომწურავ ფორმულირებებს და ჰარმონიზებულია საერთაშორისო სტანდარტებთან. აღწერითი თარგმანი არის ერთგვარი სემანტიკური და კონცეპტუალური ხიდი წყარო და სამიზნე ენებს შორის. მისი გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დისკურსში, სადაც ტერმინის ზუსტი გაგება კრიტიკულად განსაზღვრავს პროცესების ლეგიტიმაციასა და ეფექტურობას.

(გ) პირდაპირი სესხება ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიბირების გზით.

ტერმინოლოგიური ერთეულების სესხება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ისინი საერთაშორისო გამოყენებაში დამკვიდრებულია და მათი პირდაპირი თარგმანი ვერ უზრუნველყოფს კონცეპტუალური სიზუსტის შენარჩუნებას. ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ სესხებას, განსაკუთრებით სამართლებრივ და ეკონომიკურ კონტექსტებში, სადაც ნასესხები ტერმინი ძირითადად ტრანსლიტერაციის გზით გადმოდის სამიზნე ენაში. თუმცა, ამ დროს, ნასესხები ტერმინის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ადაპტაცია გულისხმობს არა მხოლოდ უცხო სიტყვის გადმოტანას, არამედ მის გარდაქმნას ქართული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად, რათა ტერმინი ბუნებრივად ინტეგრირდეს ქართულში. საყვარელიძე ტრანსლიტერაციას მიიჩნევს სამეცნიერო და დარგობრივ ტექსტებში ყველაზე გავრცელებულ ტერმინშემოტანის საშუალებად და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით გახშირდა იმ ცნებათა ტრანსლიტერაციული გადმოღება, რომლებიც ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უკავშირდება (მაგ., სპონსორი, დივიდენდი, ბიზნესი, მარკეტინგი, ვაუჩერი, სუპერმარკეტი, ბროკერი, მენეჯერი, აგრეთვე პრეზენტაცია, ნომინაცია, დაიჯესტი). ავტორის შეფასებით, ტრანსლიტერაცია გამართლებულია გეოგრაფიული სახელებისა და პერიოდული გამოცემების სათაურების გადმოტანისას, თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ახალი ცნებების გადმოცემა ქართული ენის ფონდში არსებული ლექსიკური ერთეულების მეშვეობით; მაგალითად, ტერმინი „შეიარაღების ესკალაცია“ შეიძლება სრულფასოვნად შეიცვალოს შესიტყვებით „შეიარაღების დაჩქარება“. საყვარელიძე ასევე მიუთითებს ტრანსლიტერაციის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ნაკლზე - ენაში ახლადშემოსული ერთეულის საწყის ეტაპზე სემანტიკურ გაუმჭვირვალობაზე, რაც განმარტების აუცილებლობას აჩენს. მოცემულ მოსაზრებას სრულად ვიზიარებთ და ვთვლით, რომ ქართულ სამეცნიერო დისკურსში მიზანშეწონილია სემანტიკურად გამჭვირვალე და ენობრივად მოტივირებული ერთეულების, მათ შორის „შეიარაღების დაჩქარება“-ს, პრიორიტეტული გამოყენება „შეიარაღების ესკალაცია“-ს ნაცვლად (საყვარელიძე, 2001, გვ. 250).

განვიხილოთ შემდეგი ტერმინები:

(19) Social dumping „სოციალური დემპინგი“ (განმარტება - „პრაქტიკა, როდესაც დასაქმებულებს ეძლევათ ანაზღაურება და/ან ექმნებათ შრომის ან ცხოვრების პირობები, რომლებიც შესაბამისი შრომის ბაზრისთვის კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებზე ან მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვა სტანდარტებზე დაბალია“). აქ ტერმინი პირდაპირ არის ნასესხები, მაგრამ ადაპტირებულია ქართულ ფონეტიკურ სისტემასთან („dumping“ → „დემპინგი“). მორფოლოგიურად იგი იღებს ქართულ ბრუნვებს („დემპინგი“, „დემპინგის“, და ა.შ), რაც მას სრულფასოვან ქართულ სიტყვად აქცევს. კონცეპტუალური სიზუსტე შენარჩუნებულია, რადგან ტერმინი საერთაშორისო ეკონომიკურ დისკურსში დამკვიდრებულია. ანალოგიური ბუნებისაა ტერმინი:

(20) Readmission agreement „რეადმისიის შესახებ შეთანხმება“ (განმარტება - „ევროკავშირს და/ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და მესამე ქვეყანას შორის ორმხრივობის საფუძველზე დადებული შეთანხმება, რომელიც ადგენს სწრაფ და ეფექტურ პროცედურებს იმ პირთა იდენტიფიცირებისთვის და უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნებისთვის, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ მესამე ქვეყნის ან ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ბინადრობის პირობებს, აგრეთვე ასეთი პირების ტრანზიტის ხელშეწყობისთვის თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე“). ორივე შემთხვევაში, ნასესხები ტერმინი ინტეგრირებულია ქართულ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმებთან. სამართლებრივ კონტექსტში ასეთი სტრატეგია უზრუნველყოფს

საერთაშორისო ტერმინის შენარჩუნებას და ადგილობრივ სამართლებრივ ტექსტებში მის ადვილად გამოყენებას. ამავდროულად, ტერმინი კონცეპტუალურად გამჭვირვალეა, რადჰან სესხება თავიდან იცილებს სემანტიკურ გადახრას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას აღწერითი თარგმნისას. ამასთანავე, ასეთ ტერმინს ახასიათებს პრაქტიკული ეფექტიანობაც, რადგან ნასესხები ტერმინები ხშირად უფრო მოკლე და ლაკონურია, ვიდრე მათი აღწერითი ალტერნატივები, რაც ტექსტს უფრო ფუნქციურს ხდის. შესაბამისად, ნასესხები ტერმინის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ადაპტაცია ქართულ ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში წარმოადგენს სტრატეგიულად გამართლებულ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰარმონიზაციას, უნარჩუნებს ტერმინს კონცეპტუალურ სიზუსტეს, ბუნებრივად აინტეგრირება მას ქართულ მორფოლოგიურ სისტემაში და ამცირებს სემანტიკური ბუნდოვანების რისკს.

- (21) refugee sur place სურ პლას (sur place/„ადგილზე“) ლტოლვილი (განმარტება “გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც არ იყო ლტოლვილი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის დატოვებისას, მაგრამ ხდება ლტოლვილი, ვინაიდან წარმოეშობა დევნის საფუძვლიანი შიში ქვეყნის დატოვების მომდევნო ეტაპზე განვითარებული მოვლენების გამო“). ქართულ ენაში ტერმინის შესაბამისი ეკვივალენტი „ადგილზე“ იქნა შერჩეული, თუმცა პარალელურად შენარჩუნებულია უცხოენოვანი ფორმაც - sur place, როგორც ლათინური, ისე ქართული ასოებით. ეს ორმაგი ფორმა წარმოადგენს დუბლირებულ სტრატეგიას, რომელიც რამდენიმე მიზეზს ეფუძნება: 1. საერთაშორისო სამართლებრივი შესაბამისობის აუცილებლობას. მიგრაციისა და იძულებითი გადაადგილების სფეროში მრავალი ტერმინი პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებსა და ინსტიტუციებს. მათი სახელები ფიქსირებული ფორმითაა მოცემული, რის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ინტერპრეტაციის პრობლემები. ამიტომ უცხო ტერმინის სრული გადათარგმნა ყოველთვის ოპტიმალური არაა, როდესაც იგი წარმოადგენს


სამართლებრივი ინსტრუმენტის ნომინალურ ნაწილს; 2. ტერმინის სიზუსტისა და ერთმნიშვნელოვნების დაცვას. Sur place საერთაშორისო პრაქტიკაში სპეციალიზებული სამართლებრივი კატეგორიაა და ქართულში მისი ორმაგი ფორმით გამოყენება („სურ პლას“ + „ადგილზე“) უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივად გასაგებ თარგმანს, ისე გლობალურ დონეზე ამოცნობადობას. „Refugee sur place“-ის ქართული შესატყვისების: „სურ პლას ლტოლვილი“ და „ადგილზე ლტოლვილი“ ერთდროული არსებობა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტთან თავსებადობის, დეფინიციური სიზუსტის და ლინგვისტური სტანდარტიზაციის დაცვის საუკეთესო პრაქტიკას.

- (22) ანალოგიური ტერმინია prima facie refugee „პრიმა ფაციე (prima facie/“ერთი შეხედვით“) ლტოლვილი“. (განმარტება - „განმარტება პირი, რომელიც აღიარებულია ლტოლვილად სახელმწიფოს ან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) მიერ მისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არსებულ გარემოებებთან დაკავშირებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ასაბუთებს ვარაუდს, რომ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ლტოლვილად აღიარების კრიტერიუმებს“. „პრიმა ფაციე“ პირდაპირი ლათინური ფორმაა, რომელიც სამართლებრივ დისკურსში ხშირად უცვლელად გამოიყენება სხავდასხვა ენაზე. თუმცა, მისი პარალელური თარგმანი „ერთი შეხედვით“ კონცეპტს უფრო გასაგებს ხდის ქართულ ენაში.

EMN Glossary-ის ერთ-ერთი ცენტრალური მიდგომა არის უარყოფითი კონოტაციისა და სტიგმატიზაციის თავიდან აცილება. საერთაშორისო დისკურსშიც დამკვიდრებულია ტენდენცია, რომ ტერმინოლოგია არ უნდა ახდენდეს ადამიანის უარყოფით კონტექსტში შეფასებას. სწორედ ამიტომ, მაგალითად: ‘illegal migration’ Glossary-ში თარგმნილია არა როგორც ‘არაკანონიერი მიგრაცია’, არამედ როგორც ‘კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია’. ეს ფორმულირება აღწერს სიტუაციას, მაგრამ არა პიროვნებას, რითაც თავიდან იცილებს ინდივიდის სტიგმატიზაციას ან კრიმინალიზაციას. ‘asylum seeker’ გადმოცემულია როგორც ‘თავშესაფრის

მომთხოვნი', რაც ასახავს სამართლებრივ აქტს ('მოთხოვნის' წარმოდგენას) და არა მხოლოდ 'ძიების' პროცესს. ამგვარი ნეიტრალური სტრატეგია ხაზს უსვამს ადამიანის ღირსებისა და უფლებრივი სტატუსის პრიორიტეტს, რაც თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ და აკადემიურ დისკურსში ერთ-ერთ მთავარ პრინციპად იქცა.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროს ტერმინთა ქართულ ენაზე გადმოტანისას გამოყენებული თარგმნის სტრატეგიების რაოდენობრივ განაწილებას. ანალიზი ეფუძნება EMN-ის განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებული ტერმინოლოგიური ერთეულების სისტემურ დამუშავებას და მიზნად ისახავს თარგმნითი მიდგომების პრიორიტეტების, მათი სიხშირისა და ფუნქციური როლის წარმოჩენას ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის კონტექსტში.



სქემა N7

მონაცემების მიხედვით, მკაფიოდ დომინირებს კალკირების სტრატეგია, რომელიც მოიცავს 459 ტერმინს (86%). აღნიშნული შედეგი ცხადყოფს, რომ კვლევაში გაანალიზებული ტერმინების უმრავლესობა გადმოცემულია წყარო ენის სტრუქტურისა და სემანტიკური მოდელის მაქსიმალური შენარჩუნების გზით.

კალკირების ასეთი მაღალი წილი მიუთითებს, რომ მიგრაციის დარგის ანალიტიკური ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი სტრუქტურულად თავსებადია ქართული ენის მორფოსინტაქსურ სისტემასთან და არ საჭიროებს არსებით ტრანსფორმაციას, რაც ხელს უწყობს ტერმინოლოგიური ერთგვაროვნებისა და სტანდარტიზაციის უზრუნველყოფას.

შედარებით მცირე წილი უკავია ტრანსლიტერაციას — 39 ერთეული (7%), რაც ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო ინსტიტუციური სახელწოდებებისა და კონცეპტების გადმოტანასთან, სადაც წყარო ფორმის შენარჩუნება აუცილებელია საერთაშორისო იდენტიფიკაციისა და გამოყენებადობის თვალსაზრისით. დესკრიფციული (აღწერითი) თარგმანის გამოყენება დაფიქსირებულია 30 შემთხვევაში (6%) და უკავშირდება იმ ტერმინებს, რომელთა კონცეპტუალური შინაარსი ვერ გადმოიცემა მხოლოდ სტრუქტურული კალკირებით და საჭიროებს შინაარსობრივი განმარტების ექსპლიციტურად გამოხატვას. ხოლო კალკირებისა და ტრანსლიტერაციის კომბინირებული სტრატეგია ყველაზე იშვიათად გამოიყენება - 3 ტერმინი (1%), რაც მიუთითებს, რომ შერეული მიდგომა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არის მიზანშეწონილი.

ამრიგად, სქემის მონაცემები ადასტურებს, რომ მიგრაციის ტერმინოლოგიის ქართულად გადმოტანის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება სემანტიკურ სიზუსტესა და სტრუქტურულ გამჭვირვალობას, ხოლო თარგმნის სტრატეგიების შერჩევა განპირობებულია ტერმინის კონცეპტუალური სირთულით და დარგობრივი გამოყენების სპეციფიკით. კალკირების დომინაცია ნათლად ებმის დისერტაციაში განხილულ ტერმინ-კონცეპტის თავსებადობისა და სემანტიკური გამჭვირვალობის პრინციპებს და ადასტურებს, რომ თანამედროვე ქართულ მიგრაციულ ტერმინოლოგიაში სტანდარტიზებული და ფორმალურად მოტივირებული თარგმანი წამყვან სტრატეგიას წარმოადგენს.

EMN Glossary-ის ქართულ ვერსიაში გამოყენებული თარგმანის სტრატეგიები ქმნის ერთიან, გამართულ და საერთაშორისოდ ჰარმონიზებულ ტერმინოლოგიურ სისტემას, რომელიც ემსახურება: 1. სიზუსტეს – ტერმინების სამართლებრივ და დეფინიციურ სიზუსტეს; 2. ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომას – ნეიტრალური

ფორმულირებით ღირსებისა და სტატუსის დაცვას; 3. პრაქტიკულ გამოყენებადობას – ტერმინების ადეკვატურად გამოყენებას პროფესიულ კომუნიკაციაში. კალკირებული ტარგმანი, აღწერითი/დესკრიფციული თარგმანი და პირდაპირი სესხება ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიბირების გზით ქმნის თანამედროვე ქართული მიგრაციული ტერმინოლოგიის საფუძველს. ამ სტრატეგიებზე დაფუძნებული მუშაობა უზრუნველყოფს, რომ ქართული დარგობრივი ტექსტები შეესაბამებოდეს როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე ეროვნული ენობრივი პოლიტიკის მიზნებს. თუმცადა, ტერმინწარმოების თეორიაში გამოყოფილი მეთოდები მოიცავს როგორც ახალი ლექსიკური ფორმების შექმნას (წარმოქმნა, თხზვა, შემოკლებები), ისე არსებული ენობრივი რესურსების გამოყენებას (კონვერსია, გატერმინება, სემანტიკური გადასვლა დარგობრივ ენაში, დარგთაშორისი სესხება), აგრეთვე ენათშორის სესხებას პირდაპირი სესხებისა და კალკირების გზით. EMN ლექსიკონის ქართული ვარიანტის ფარგლებში გაანალიზებული 531 ტერმინის შესწავლამ აჩვენა, რომ ტერმინწარმოების პრაქტიკა ფაქტობრივად შემოიფარგლება მხოლოდ ენათშორისი სესხების ორი მეთოდით - კალკირებითა და პირდაპირი სესხებით, რომელთაგან აშკარად დომინანტურ პოზიციას კალკირება ანუ სუტყვასიტყვითი თარგმანი იკავებს. აღნიშნული მიდგომა, მიუხედავად მისი სიზუსტისა და საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სისტემებთან შესაბამისობისა, გარკვეულწილად ზღუდავს ქართული ენის შიდა ტერმინწარმოების პოტენციალის გამოყენებას.

კერძოდ, კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირდა ახალი ლექსიკური ფორმების თხზვის და გატერმინების შემთხვევები, დაფიქსირდა მეტაფორიზაციის რამდენიმე ერთეული შემთხვევა (მაგალითად, ინტელექტის გადინება/brain drain, ინტელექტის ცირკულაცია/brain circulation, და სხვ.) მაშინ როდესაც აღნიშნული მეთოდები ფართოდ არის წარმოდგენილი სხვა ენების ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში და ეფექტიანად გამოიყენება რთული ცნებების კონცეპტუალიზაციისთვის. მაგალითად, ტერმინი 'a refugee in orbit/სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი' ქართულად შეიძლება გადმოცემულიყო მეტაფორული გზით, როგორცაა „ორბიტის ლტოლვილი ან ორბიტული ლტოლვილი“, რაც შეესაბამება როგორც წყარო ენის კონცეპტუალურ მეტაფორას, ისე ქართული ენის ექსპრესიულ და

დერივაციულ შესაძლებლობებს. ამგვარი გადაწყვეტილებების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ EMN ლექსიკონის ქართული ვერსია უპირატესად ნორმატიულ ფუნქციაზეა ორიენტირებული და ნაკლებად იყენებს ენის შიდა შემოქმედებით რესურსებს.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ EMN ლექსიკონის ქართული ვერსია მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს ტერმინთა სემანტიკურ ეკვივალენტურობასა და საერთაშორისო ჰარმონიზაციას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინოლოგიური მუშაობის შემდგომ ეტაპებზე ტერმინწარმოების მეთოდოლოგიის გაფართოება, რაც გააძლიერებს ქართული ტერმინოლოგიის სისტემურობას, მოქნილობასა და დარგობრივ ადაპტირებადობას.

თავი IV. რეკომენდაციები ტერმინოლოგიური მუშაობის ოპტიმიზაციისთვის

ტერმინებზე მუშაობა წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ პროცესს, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ ლინგვისტურ სიზუსტეს, არამედ კონცეპტუალურ სიცხადეს, მეთოდოლოგიურ თანმიმდევრულობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხილულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ასპექტებმა ცხადყო, რომ ტერმინოლოგიური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია როგორც ცნებითი აპარატის სწორ კონსტრუქციაზე, ისე მისი ნორმირების, ჰარმონიზაციისა და გამოყენების ერთიან პრინციპებზე. ჩატარებული ანალიზისა და მიღებული მიგნებების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ძირითადი რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავს ტერმინოლოგიური საქმიანობის ოპტიმიზაციას ქართულ პრაქტიკაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით კონტექსტში.

1. პირველ რიგში, ტერმინი უნდა განიხილებოდეს როგორც ლინგვისტური ნიშანი, რომელიც გამოხატავს სპეციალიზებული ცნების შინაარსს მაქსიმალური სემანტიკური სიზუსტით. ტერმინოლოგიური ერთეული ვალდებულია ასახავდეს ცნების არსებით მახასიათებლებსა და დიფერენციალურ ნიშნებს. ამასთანავე, ტერმინის სრულფასოვანი აღქმისა და სწორი გამოყენებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტამონაცემთა ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს ტერმინის დოკუმენტირებას, კონტექსტუალიზაციასა და ფუნქციონალურ გამართულობას.
2. ტერმინოლოგიური სისტემის ფორმირებისას დაცული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის პრინციპები, ერთიანი სტრუქტურული მოდელი და კონცეპტუალური თანმიმდევრულობა, რაც სისტემის შიდა ლოგიკურობასა და მდგრადობას განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, ქართული ტერმინოლოგიური ერთეულები ჰარმონიზებული უნდა იყოს საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სისტემებთან და უზრუნველყოფდეს კონცეპტუალურ ეკვივალენტურობას სხვა ენების შესაბამის ტერმინოლოგიურ ბაზებთან.
3. ტერმინშემოქმედების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ქართულენოვანი საზოგადოების ენობრივი ინტუიცია და კოგნიტური მოლოდინები. მიზანშეწონილია თავიდან იქნეს აცილებული მექანიკური კალკირება, რომელიც ეწინააღმდეგება ქართული ენის შინაარსობრივ სტრუქტურას, დერივაციულ პოტენციალსა და ტიპოლოგიურ თავისებურებებს. ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმები უნდა შეესაბამებოდეს ქართული ენის მორფოლოგიურ აგებულებასა და სინტაქსურ ნორმებს.
4. საერთაშორისო ტერმინოლოგიური რესურსებიდან ტერმინების ქართულ ენაზე გადმოტანის პროცესში მიზანშეწონილია ენათშორისი სესხების (კალკირება და პირდაპირი სესხება) პარალელურად სისტემურად იქნეს გამოყენებული ქართული ენის შიდა ტერმინწარმოების მეთოდები, კერძოდ თხზვა, გატერმინება და დარგთაშორისი მეტაფორიზაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც წყარო ენის ტერმინი ეფუძნება კონცეპტუალურ

მეტაფორას ან მხატვრულ-სტილისტურ მოდელს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ქართული ენის დერივაციული და სემანტიკური პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას, ტერმინოლოგიური სისტემის შიდა მდგრადობის გაძლიერებას და დარგობრივი ტერმინოლოგიის უფრო ორგანულ ინტეგრაციას ქართულ ენობრივ სივრცეში, საერთაშორისო კონცეპტუალური ეკვივალენტურობის დარღვევის გარეშე.

5. ტერმინოლოგიური სისტემა უნდა ხასიათდებოდეს დიაქრონიული მდგრადობითა და სინქრონიული ჰომოგენურობით, რაც მოითხოვს ტერმინოლოგიური ერთეულების ფორმატირების, სტილისტიკისა და სტრუქტურირების ერთიანი მეთოდოლოგიის დაცვას მთელი ტერმინოლოგიური კორპუსის ფარგლებში. თითოეული ახალი ტერმინი უნდა უზრუნველყოფდეს მკაფიო და არაორაზროვან დელიმიტაციას სემანტიკურად მონათესავე ან ტაქსონომიურად დაკავშირებული ცნებებისგან, ხოლო ტერმინოლოგიური განსაზღვრებები უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტული და თავისუფალი ბუნდოვანი ფორმულირებებისგან. ამასთანავე, ტერმინოლოგიური ნორმირების პროცესში აუცილებელია პოლისემიის მინიმიზაცია და ომონიმიური კონფლიქტების თავიდან აცილება.
6. ზემოთ განხილული თეორიული და პრაქტიკული ასპექტებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კონკრეტული პრინციპების გამოყოფა, რომელთა დაცვა ხელს შეუწყობს ტერმინოლოგიის განვითარებას ქართულ პრაქტიკაში. კერძოდ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ტერმინებში მიზანშეწონილია ატრიბუტული და განსაკუთრებით გენტივური კონსტრუქციების პრიორიტეტული გამოყენება, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფს ტერმინის ბირთვის დომინანტის მკაფიო გამოვლენას და ამცირებს სემანტიკური ბუნდოვანების რისკს.
7. საერთაშორისო პრაქტიკასთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია EMN Glossary-ში დამკვიდრებული ქართული ტერმინების გამოყენება როგორც პირველადი და სარეკომენდაციო ვარიანტისა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციის პროცესს და

მნიშვნელოვნად ამცირებს ტერმინთა ვარიაციულობას. ამავე კონტექსტში მიზანშეწონილია კონკურენტული ტერმინოლოგიური ფორმების თავიდან აცილება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი ვარიანტი უკვე დამკვიდრებულია პროფესიულ დისკურსში (მაგალითად, „ინტეგრაციის პოლიტიკა“ და არა „ინტეგრაციული პოლიტიკა“).

8. ტერმინოლოგიური მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს სისტემატურ და მრავალსაფეხურიან მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს კორპუსულ ანალიზს, შესაბამის დარგებში ექსპერტულ კონსულტაციას, ტერმინოლოგიურ ვერიფიკაციასა და ემპირიულ ვალიდაციას. თითოეული ტერმინოლოგიური გადაწყვეტილება საჭიროებს სათანადო დოკუმენტირებას, მათ შორის ბიბლიოგრაფიული წყაროების, ექსპერტული შეფასებებისა და მეთოდოლოგიური არგუმენტაციის დაფიქსირებას. ამასთანავე, აუცილებელია ლექსიკონებისა და ნორმატიული დოკუმენტების რეგულარული განახლება, რათა ახალი ტერმინები დროულად დამკვიდრდეს და თავიდან იქნას აცილებული სინონიმური დიფუზია, რაც ტერმინოლოგიური სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს.
9. საბოლოოდ, ტერმინოლოგიური სისტემა უნდა განიხილებოდეს როგორც დინამიკური და ინტერაქტიული სტრუქტურა, რომელიც მოითხოვს რეგულარულ რევიზიას, კრიტიკულ შეფასებასა და ფართო პროფესიულ და საზოგადოებრივ ჩართულობას. ტერმინოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ენათმეცნიერთა, დარგობრივი ექსპერტებისა და მომხმარებლების თანამშრომლობაზე, რაც ქმნის საფუძველს ქართული ტერმინოლოგიის მდგრადი განვითარებისათვის.

დასკვნითი დებულებები

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიურ სივრცეში ინტერდისციპლინური მიდგომა არა მხოლოდ თეორიული მოთხოვნა, არამედ სტრატეგიული აუცილებლობაცაა. იგი ქმნის საფუძველს მეცნიერული კომუნიკაციის გამართულობისთვის, სპეციალიზებული ტექსტების სტანდარტიზაციისთვის და ენის ცნებითი გამჭვირვალობისთვის. ამ პროცესის გააქტიურება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ ცოდნის ქსელებში და მისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდას. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შესაძლებელია განზოგადდეს შემდეგი თეზისების სახით:

1. ტერმინი, როგორც სპეციალიზებული ლექსიკური ერთეული, თანამედროვე ტერმინოლოგიურ მეცნიერებაში განიხილება არა როგორც მხოლოდ ენობრივი ნიშანი, არამედ როგორც კონცეპტუალური ცნების წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია მკაფიო ფუნქციური, სტრუქტურული და სემანტიკური პარამეტრები. დისციპლინური კომუნიკაციის ზუსტი და ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის, იგი მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს სემანტიკური მონოსემურობის პრიციპს.
2. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტერმინოლოგიის კვლევას მრავალწლიანი ტრადიცია აქვს, მიგრაციის სამართლის კონტექსტში ანალიტიზების ქართული შესატყვისების სისტემური ანალიზი წარმოადგენს შედარებით ახალ მიმართულებას, რაც განპირობებულია იმით, რომ მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროს ძირითადი ტერმინ-კონცეპტები ჩამოყალიბდა ევროკავშირის ინსტიტუციურ სივრცეში და ქართულ ენაში დამკვიდრდა თარგმანის გზით, მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) მიერ შემუშავებული განმარტებითი ლექსიკონის მეშვეობით; ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტერმინ-კონცეპტის თავსებადობის პრინციპის პრაქტიკული დანერგვა, ISO 704:2022 სტანდარტების ადაპტირება და IATE-ის მეთოდოლოგიის გამოყენება ქართული ენის სტრუქტურული და დერივაციული სპეციფიკის

- გათვალისწინებით, რაც ქმნის ახალ ცოდნას და არსებითად აფართოებს ქართული ტერმინოლოგიის კვლევის სამეცნიერო დისკურსს.
3. ტერმინოლოგიის მეცნიერული სტრუქტურა ეფუძნება ცნება-ტერმინი-დეფინიციის **ტრილოგიას**, რაც უზრუნველყოფს ტერმინის სიზუსტეს, ლოგიკურ კლასიფიკაციასა და დარგობრივ კომუნიკაციაში ჰარმონიულობას. ინტერდისციპლინური მიდგომა და მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია (IATE, TermNet და სხვ.) წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას: იგი ქართულ ტერმინებს ანიჭებს ტრანსნაციონალურ მნიშვნელობას და აძლიერებს დარგობრივ-ლინგვისტურ თანამშრომლობას.
 4. EMN (მიგრაციის ევროპული ქსელის) ლექსიკონის ქართული ვერსია ნაკლებად იყენებს ახალი ლექსიკური ერთეულების თხზვის, გატერმინებისა და მეტაფორიზაციის მექანიზმებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგიები სხვა ენების ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ეფექტიანად გამოიყენება რთული ცნებების კონცეპტუალიზაციისათვის და თანხვედრაშია ქართული ენის დერივაციულ და ექსპრესიულ პოტენციალთან; ეს გარემოება მიუთითებს, რომ ლექსიკონი ძირითადად ნორმატიულ ფუნქციაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ეყრდნობა ენის შიდა შემოქმედებით რესურსებს, რის ფონზეც, მიუხედავად სემანტიკური ეკვივალენტურობისა და საერთაშორისო ჰარმონიზაციის მაღალი ხარისხისა, მიზანშეწონილია სამომავლო ტერმინოლოგიურ მუშაობაში ტერმინწარმოების მეთოდოლოგიის გაფართოება ქართული ტერმინოლოგიის სისტემურობის, მოქნილობისა და დარგობრივი ადაპტირებადობის გასაძლიერებლად.
 5. ტერმინთწარმოების პროცესში სემიოტიკური მიდგომა სცილდება მორფოლოგიურ-სინტაქსურ ასპექტებს და მოიცავს კონცეპტუალურ-კოგნიტურ სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტერმინის მოტივირებულობას, გამჭვირვალობასა და ფუნქციურ ადეკვატურობას. ტერმინთწარმოების ისეთი პრინციპების ერთობლივი გათვალისწინება როგორცაა: გამჭვირვალობა, თანმიმდევრულობა, ენობრივი ეკონომია, ენობრივი შესაბამისობა/მართებულობა, მშობლიური ენისთვის უპირატესობის

მინიჭება და ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიბირება, სავალდებულო არ არის თითოეული ტერმინის შექმნისას, თუმცა მათი ინტეგრაცია არსებითად განსაზღვრავს როგორც ახალი ტერმინების მოტივირებულობას, ისე არსებული ტერმინოლოგიების სისტემატიზაციის ხარისხს. ტერმინოლოგიური არჩევანისას, როდესაც ერთ ცნებას რამდენიმე დასახელება გააჩნია, უპირატესობა ენიჭება იმ ვარიანტს, რომელიც პასუხობს ყველაზე მეტ პრინციპს, რითაც უზრუნველყოფილია ტერმინის ფუნქციური ადეკვატურობა და მეცნიერული კომუნიკაციის გამართულობა.

6. ტერმინთა პოლისემია, სინონიმია და ომონიმია წარმოადგენენ ლინგვისტურ-სტრუქტურულ სირთულეებს, რომლებიც არსებითად ზღუდავენ ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის განხორციელებას. პოლისემია ტერმინოლოგიაში ქმნის შიდა სემანტიკურ დაშლას, რაც ართულებს ცნებების ერთმნიშვნელოვან იდენტიფიკაციას და ზღუდავს სტანდარტიზაციის პროცესს, მაშინ როცა სინონიმია ზრდის ტერმინთა ვარიაციულობას, რის შედეგადაც პროფესიული კომუნიკაცია ხშირად ხდება არათანმიმდევრული, ხოლო ომონიმია აჩენს ინტერპრეტაციულ ორაზროვნებას: ერთი ფორმა სხვადასხვა კონცეპტს უკავშირდება, რამაც პროფესიულ დისკურსში შესაძლოა ქმნის გაურკვევლობის ფაქტორი.
7. ტერმინოლოგიური ერთეულის სწორი ეკვივალენტის შერჩევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოდგენილია მდიდარი და მრავალმხრივი მეტამონაცემებით, რომლებიც განსაზღვრავენ მის სიზუსტეს კონკრეტულ დარგში, სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობასა და ინსტიტუციურ ჩარჩოსთან თავსებადობას. ამიტომაც ეკვივალენტობის მაღალი ხარისხის მისაღწევად მეტამონაცემების სისტემატური გამოყენება იქცა ფუნდამენტურ მოთხოვნად უნდა ჩაითვალოს. ეკვივალენტობის დადგენა საჭიროებს მიზნობრივი კონტექსტის გათვალისწინებას, დარგობრივ კოდიფიკაციასა და ფუნქციური შესაბამისობის მისაღწევად სტრატეგიულ მიდგომებს.
8. ტერმინქმნადობის პროცესში მეტამონაცემები ასრულებენ სისტემურ და გადამწყვეტ როლს, რადგან მათი ხუთი ძირითადი ფუნქცია განსაზღვრავს

ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას, სანდოობასა და სტანდარტიზაციის პოტენციალს. კერძოდ:

- ა. დეფინიციური ფუნქცია ადგენს ცნებით საზღვრებს და უზრუნველყოფს მნიშვნელობის სიზუსტესა და ინტერპრეტაციის ერთმნიშვნელობიანობას.
- ბ. დოკუმენტირების/დასაბუთების ფუნქცია ზრდის ტერმინის ლეგიტიმურობას წყაროსა და ავტორიზებული სტრუქტურის მითითებით.
- გ. ვალიდაციის ფუნქცია განსაზღვრავს ტერმინის სტატუსს და ასახავს დამამოწმებელი სუბიექტის ვინაობასა და დროით მარკერს, რაც კრიტიკულია სტანდარტიზაციის პროცესში.
- დ. დისტრიბუციული ფუნქცია აკავშირებს ტერმინს შესაბამის დარგობრივ, ონთოლოგიურ და ინსტიტუციურ სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს მის ფუნქციურ თავსებადობას და ინტერდისციპლინურ გამოყენებას.
- ე. ვარიანტულობის ფუნქცია აღრიცხავს ცვლილებებსა და მრავალსახეობებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაკუთრებით რეგულრებად პროფესიებში და დინამიკურ დარგებში.

9. ანალიტიკები ტერმინოლოგიურ მეცნიერებაში წარმოადგენენ მრავალკომპონენტიან სტრუქტურებს, რომლებიც აერთიანებენ როგორც სტრუქტურულ, ისე სემანტიკურ სირთულეებს და ასახავენ სპეციალიზებული ცოდნის განვითარების დინამიკას. განსხვავებით ერთსიტყვიანი ტერმინებისგან, რომლებიც მონოლითურ მნიშვნელობას ატარებენ, ანალიტიკების სემანტიკური ღირებულება ყალიბდება არა ცალკეული კომპონენტების, არამედ მათი ურთიერთქმედების საფუძველზე. ეს ურთიერთქმედება ქმნის ცნებით მთლიანობას, რომელიც აღემატება კომპონენტების უბრალო ჯამს და იძენს ახალ თვისობრივ მნიშვნელობას. აღნიშნული თავისებურება დაკავშირებულია „კონცეპტუალური სინთეზის“ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც ბირთვი/მეთაური სიტყვა და მისი მსაზღვრელები/მოდულიზატორები ურთიერთმეწყობით ქმნიან სემანტიკურ სტრუქტურას, რომელიც აუცილებელია დარგობრივი კომუნიკაციისთვის. შედეგად, ანალიტიკები არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულების მექანიკური

გაერთიანებაა, არამედ კონცეპტუალური სინთეზის საშუალებით წარმოქმნილი ახალი მნიშვნელობის მატარებელი სისტემური ერთეულები, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში.

10. ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში აბრევიაციები წარმოადგენენ მრავალფეროვან ტიპოლოგიურ სისტემას, რომელიც მოიცავს აკრონიმებს, მარცვლოვან, სეგმენტურ/ჰიბრიდულ მოდელებს. მათი განსხვავება განისაზღვრება არა მხოლოდ გრაფიკული აგებულებით, არამედ ფუნქციური დატვირთვითაც, რამდენად ინარჩუნებს შემოკლებული ფორმა კონცეპტუალურ იდენტობას. თანამედროვე სტანდარტები, განსაკუთრებით ISO 704:2022 და ISO 1087:2019, მკაცრად განსაზღვრავენ აბრევიაციის ვიზუალურ სტაბილურობასა და ერთგვაროვნებას, რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური სისტემების სიზუსტესა და მკაფიოობას. ამ პრინციპს თანმიმდევრულად იყენებს EMN ლექსიკონი 9.0 (2023), რითაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური პრაქტიკის ჰარმონიზაციას.
11. მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) მიერ შედგენილი თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის და მისი ქართული ვარიანტი ეფუძნება იდენტური სტანდარტიზაციის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ISO 704:2022-ისა და IATE-ის მრავალენოვანი ჰარმონიზაციის მოდელით. ამ სტანდარტების შესაბამისად, ტერმინოლოგიური ერთეულები გამოირჩევიან ფორმალური სტაბილურობითა და გრამატიკული ფუნქციურობის შენარჩუნებით, რაც უზრუნველყოფს კონცეპტუალური შინაარსის ერთგვაროვან გადმოცემას განსხვავებულ ენობრივ სისტემაში.
12. ტერმინების სემანტიკური გამჭვირვალობა ქართულ თარგმანურ პრაქტიკაში წარმოადგენს არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კონცეპტუალურ და სამართლებრივ გამოწვევას. ანალიტიკუმების ქართული შესატყვისები ხშირად მრავალკომპონენტური სტრუქტურას ეფუძნება, თუმცა მათი ურთიერთმიმართება ყოველთვის ვერ ასახავს ინგლისური ტერმინის ბირთვულ კონცეპტს. ქართული ენის აგლუტინაციური რესურსები ქმნის

შესაძლებლობას გამჭვირვალე და ლოგიკურად მოტივირებული ტერმინების შესაქმნელად, მაგრამ ზედმეტად რთული მორფოსინტაქსური კონსტრუქციები ზოგჯერ ვერ გადმოსცემს მნიშვნელობას.

13. კვლევის შედეგად გამოვლენილი ტერმინქმნადობის სტრატეგიები ასახავს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ტერმინოლოგიის ადეკვატურობას საერთაშორისო კონტექსტში:

ა) პირდაპირი კალკირება საშუალებას იძლევა წყარო ენიდან მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის ზუსტი გადმოტანისა და ასევე ბუნებრივი ენოს მორფოსინტაქსური ნორმებთან ადაპტაციისა.

ბ) აღწერითი/კონცეპტუალური თარგმანი უზრუნველყოფს ცნებითი შინაარსის მკაფიო გამოხატულებას.

გ) ნასესხები ტერმინის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ადაპტაცია ხელს უწყობს საერთაშორისო ტერმინოლოგიის ინტეგრაციას ქართული ენის სისტემაში.

ამ სტრატეგიების ერთობლიობა ადასტურებს, რომ ტერმინოლოგიური პრაქტიკა ეფუძნება არა მხოლოდ ლექსიკურ თანხვედრას, არამედ კონცეპტუალური, სამართლებრივი და სისტემური კოჰერენტულობის უზრუნველყოფას.

ამდენად, მიგრაციის ევროპული ქსელის (European Migration Network — EMN) მიერ შემუშავებული „თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ წარმოადგენს სანდო და მეთოდოლოგიურად საფუძვლიან რესურსს ანალიტიკური ტერმინების ლინგვისტური და კონცეპტუალური ბუნების კვლევისთვის. მისი მაღალი აკადემიური სტანდარტი, ტერმინოლოგიური სიზუსტე და ცნებითად დეტალიზებული, მკაფიოდ ფორმულირებული დეფინიციები ქმნის მყარ ემპირიულ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური ერთეულების მრავალმხრივ ანალიზს. აღნიშნული ლექსიკონი არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კონცეპტუალურ და სამართლებრივ დონეზე აძლიერებს ტერმინოლოგიური პრაქტიკის ჰარმონიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრაციული დისკურსის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების სრულფასოვანი გააზრებისათვის.

დანართები

დანართი N1

ერთშემადგენლიანი/კომპონენტის ტერმინები

N	ტერმინი სამიზნე ენაზე (ქართული) Term in target language (Georgian)	ტერმინი წყარო ენაზე (ინგლისური) Term in source language (English)
1.	ადაპტაცია	adaptation
2.	აკულტურაცია	acculturation
3.	არასრულწლოვანი	minor
4.	არგამევება	non-refoulement
5.	ასიმილაცია	assimilation
6.	ბავშვი	child
7.	განსახლება (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)	resettlement
8.	განსახლება (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში)	relocation
9.	გაძევება (expulsion)	expulsion
10.	გაძევება (removal)	removal
11.	გენდერი	gender
12.	გენოციდი	genocide
13.	დაბრუნება	return
14.	დაკავება (apprehension)	apprehension
15.	დაკავება (detention)	detention
16.	დამსაქმებელი	employer
17.	დასაქმება	employment
18.	დასაქმებული	employee

19.	დაცვა	protection
20.	დეენა	persecution
21.	დიასპორა	diaspora
22.	ევრასილი (Eurasil)	Eurasil
23.	ევროდაკი (Eurodac)	Eurodac
24.	ევროპოლი (Europol)	Europol
25.	ევროსტატი (Eurostat)	Eurostat
26.	ემიგრანტი	emigrant
27.	ემიგრაცია	emigration
28.	ექსპლუატაცია	exploitation
29.	ვიზა	visa
30.	თავშესაფარი	asylum
31.	თარჯიმანი	interpreter
32.	თვითდასაქმებული	self-employed person
33.	თვითმარქვია	impostor
34.	იმიგრანტი	immigrant
35.	იმიგრაცია	immigration
36.	ინტეგრაცია	integration
37.	(იძულებითი) გადაადგილება	displacement
38.	კვოტა	quota
39.	კულტურა	culture
40.	ლგბ (ტი)	LGB(TI)
41.	ლტოლვილი	refugee
42.	მეურვე/მზრუნველი	guardian
43.	მიგრანტი	migrant
44.	მიგრაცია	migration
45.	მიმალვა	absconding
46.	მიღება	reception

47.	მკვლევარი	researcher
48.	მოქალაქეობა	citizenship
49.	ნატურალიზაცია	naturalisation
50.	პროფესია/საქმიანობა	occupation
51.	რასიზმი	racism
52.	რეადმისია	readmission
53.	რეგულარიზაცია	regularisation
54.	რეინტეგრაცია	reintegration
55.	რეპატრიაცია	repatriation
56.	სეგრეგაცია	segregation
57.	სრულწლოვანი	adult
58.	სტაჟიორი	trainee
59.	სტუდენტი	student
60.	სქესი	sex
61.	ტრანზიტი	transit
62.	უმცირესობა	minority
63.	უცხოელი	alien
64.	ქსენოფობია	xenophobia
65.	შევიწროება	harassment
66.	წამება	torture
67.	წარმომადგენელი	representative

ორშემადგენლიანი/კომპონენტური ანალიტიკური ტერმინები

N	ტერმინი სამიზნე ენაზე (ქართული) Term in target language (Georgian)	ტერმინი წყარო ენაზე (ინგლისური) Term in source language (English)
1.	ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	trafficking in human beings
2.	ადამიანის უფლებები	human rights
3.	აზია-ევროპის დიალოგი (ASEM)	Asia-Europe Meeting (ASEM)
4.	ანაზღაურებადი სტაჟიორი	remunerated trainee
5.	არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი	inhuman treatment or punishment
6.	არაანაზღაურებადი სტაჟიორი	unremunerated trainee
7.	არალეგალური დასაქმება	illegal employment
8.	არაფორმალური ეკონომიკა	informal economy
9.	ასაკის დადგენა	age assessment
10.	აღიარების მაჩვენებელი (საერთაშორისო დაცვის პროცედურებში)	recognition rate (in procedures for international recognition)
11.	აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP)	Eastern Partnership (EAP)
12.	აღსრულების ღონისძიება	enforcement measure
13.	ბავშვის შრომა	child labour
14.	ბალის პროცესი	Bali Process
15.	ბინადრობის დოკუმენტი	residence document
16.	ბინადრობის ნებართვა	residence permit
17.	ბინადრობის უფლება	right of residence
18.	ბიომეტრიული მონაცემები	biometric data
19.	ბუდაპეშტის პროცესი	Budapest Process
20.	გადაადგილებული პირი	displaced person

21.	გადამყვანი კომპანია	carrier
22.	გადამყვანის პასუხისმგებლობა	carriers' liability
23.	გამორიცხვის დებულება	exclusion clause
24.	გამოყოფილი საცხოვრისი	assigned area of residence
25.	განათლების ხელმისაწვდომობა	access to education
26.	განაწილების კოეფიციენტი	distribution key
27.	განთავსების ცენტრი	accommodation centre
28.	განსახლების პროგრამა (მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)	resettlement programme
29.	განსახლებული ლტოლვილი (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)	resettled refugee
30.	განურჩეველი ძალადობა	indiscriminate violence
31.	განცალკევებული ბავშვი	separated child
32.	გარიგებით ქორწინება	arranged marriage
33.	გაძევების გადავადება	postponement of removal
34.	გენდერული იდენტობა	gender identity
35.	გრძელვადიანი ვიზა	long-stay visa
36.	გრძელვადიანი მიგრანტი	long-term migrant
37.	გრძელვადიანი მიგრაცია	long-term migration
38.	გრძელვადიანი მობილობა	long-term mobility
39.	გრძელვადიანი მობინადრე/მცხოვრები	long-term resident
40.	დაბადების ქვეყანა	country of birth
41.	დაბრუნების ოპერაცია	return operation
42.	დაბრუნების ქვეყანა	country of return
43.	დაკავების ალტერნატივა	alternative to detention

44.	დაკავების დაწესებულება	detention facility
45.	დაკავებული პირი	detainee
46.	დამატებითი დაცვა	subsidiary protection
47.	დანიშნულების ქვეყანა	country of destination
48.	დასაბრუნებელი პირი	returnee
49.	დასაქმების ხელმისაწვდომობა	access to employment
50.	დევნის აქტი	act of persecution
51.	დროებითი დაცვა	temporary protection
52.	დროებითი მიგრაცია	temporary migration
53.	დუბლინის კონვენცია	Dublin Convention
54.	დუბლინის პროცედურა	Dublin procedure
55.	დუბლინის რეგულაცია	Dublin Regulation
56.	ევროკავშირის კანონმდებლობა	Union acquis
57.	ევროკავშირის მოქალაქე	union citizen
58.	ევროკავშირის პრეფერენცია	union preference
59.	ევროკავშირ- ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა (EUROMED)	Euro-Mediterranean Partnership (EUROMED)
60.	ეთნიკური კუთვნილება	ethnic nationality
61.	ეთნიკური წმენდა	ethnic cleansing
62.	ეკონომიკური მიგრანტი	economic migrant
63.	ეკონომიკური მიგრაცია	economic migration
64.	ენის სწავლება	language training
65.	ერთიანი ნებართვა	single permit
66.	ვინაობის დადგენა	establishment of identity
67.	თავშესაფრის მაძიებელი	asylum seeker
68.	თავშესაფრის უფლება	right to asylum
69.	თანამშრომლობის ვალდებულება	obligation to cooperate

70.	ინტეგრაციის ინდიკატორები	integration indicators
71.	ინტელექტის გადინება	brain drain
72.	ინტელექტის გაფლანგვა	brain waste
73.	ინტელექტის შემოდინება	brain gain
74.	ინტელექტის ცირკულაცია	brain circulation
75.	ინფორმირების ვალდებულება	obligation to report
76.	ირიბი დისკრიმინაცია	indirect discrimination
77.	იუს სანგვინის (ius sanguinis/ სისხლის პრინციპი“)	ius sanguinis
78.	იუს სოლი (ius soli/ მიწის პრინციპი“)	ius soli
79.	იძულებითი დაბრუნება	forced return
80.	იძულებითი მიგრანტი	forced migrant
81.	იძულებითი მიგრაცია	forced migration
82.	იძულებითი ქორწინება	forced marriage
83.	იძულებითი შრომა	forced labour
84.	კოტონუს შეთანხმება	Cotonou Agreement
85.	კულტურათა შუამავალი	cultural mediator
86.	კულტურათაშორისი დიალოგი	intercultural dialogue
87.	კულტურული მრავალფეროვნება	cultural diversity
88.	კულტურული პლურალიზმი	cultural pluralism
89.	ლევალური გზა	legal pathway
90.	ლევალური მიგრაცია	legal migration
91.	ლევალური შესვლა	legal entry
92.	ლისაბონის ხელშეკრულება	Lisbon Treaty
93.	ლტოლვილთა სამართალი	refugee law
94.	ლტოლვილის სტატუსი	refugee status
95.	მაიდენტიფიცირებელი მისია	identification mission
96.	მართული მიგრაცია	managed migration

97.	მასობრივი გამგზავრება	exodus
98.	მასობრივი შემოდინება	mass influx
99.	მაღალკვალიფიციური მიგრანტი	highly qualified migrant
100.	მდგრადი დაბრუნება	sustainable return
101.	მესამე ქვეყანა	third country
102.	მიგრანტთა ჯგუფი	migrant stock
103.	მიგრაციის მარშრუტი	migration route
104.	მიგრაციის პროფილი	migration profile
105.	მიგრაციის სალდო	net migration
106.	მიგრაციული ნაკადი	migration flow
107.	მიმალვის რისკი	risk of absconding
108.	მიმღები დაწესებულება	host entity
109.	მიმღები დაწესებულებები	reception facilities
110.	მიმღები საზოგადოება	host society
111.	მიმღები ქვეყანა	host country
112.	მიმღები ცენტრი	reception centre
113.	მინიმალური სტანდარტები	minimum standards
114.	მიღების პირობები	reception conditions
115.	მოკლევადიანი ვიზა	short-stay visa
116.	მოკლევადიანი მიგრანტი	short-term migrant
117.	მოკლევადიანი მიგრაცია	short-term migration
118.	მოკლევადიანი მობილობა	short-term mobility
119.	მოსამზადებელი კურსი	preparatory class
120.	მოსაფიქრებელი ვადა	reflection period
121.	მოსახლეობის ჯგუფი	population stock
122.	მოქალაქეობის დაკარგვა	loss of citizenship
123.	მოქალაქეობის მოპოვება	acquisition of citizenship
124.	მოქალაქეობის ქვეყანა	country of nationality

125.	მოწვეული მუშაკი	guest worker
126.	მოწყვლადი პირი	vulnerable person
127.	მსხვერპლად ქცევა (ვიქტიმიზაცია)	victimisation
128.	მტკიცების სტანდარტი	standard of proof
129.	მტკიცების ტვირთი	burden of proof
130.	მტკიცებულებათა შეფასება	evidence assessment
131.	მუდმივი მოსახლეობა	usually resident population
132.	ნებაყოფლობითი გამგზავრება	voluntary departure
133.	ნებაყოფლობითი დაბრუნება	voluntary return
134.	ნუკლეარული ოჯახი	nuclear family
135.	ომის დანაშაული	war crime
136.	ორგანიზებული დანაშაული	organised crime
137.	ორმაგი მოქალაქეობა	dual citizenship
138.	ოჯახის გაერთიანება	family reunification
139.	ოჯახის მიგრაცია	family migration
140.	ოჯახის მოძიება	family tracing
141.	ოჯახის შექმნა	family formation
142.	(ოჯახის წევრზე) დამოკიდებული / კმაყოფაზე მყოფი	dependant
143.	ოჯახის წევრი	family member
144.	ოჯახში დამხმარე (au pair)	au pair
145.	პალერმოს ოქმი	Palermo Protocol
146.	პარტნიორობა მობილობისთვის	mobility partnership
147.	პირდაპირი დისკრიმინაცია	direct discrimination
148.	პირველადი (ძირი) დოკუმენტები	breeder documents
149.	პოზიტიური დისკრიმინაცია	positive discrimination
150.	პრადის პროცესი	Prague Process

151.	(პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტა	durable solutions
152.	პროცედურული გარანტიები	procedural guarantees
153.	რაბატის პროცესი	Rabat Process
154.	რასობრივი დისკრიმინაცია	racial discrimination
155.	რეგულირებადი პროფესია	regulated profession
156.	რეინტეგრაციის ხელშეწყობა	reintegration assistance
157.	რეპატრიაციის ხელშეწყობა	repatriation assistance
158.	საბოლოო გადაწყვეტილება	final decision
159.	საერთაშორისო დაცვა	international protection
160.	სავიზო კოდექსი	Visa Code
161.	საზღვრის კვეთა	border crossing
162.	საზღვრისპირა მუშაკი	frontier worker
163.	საიმიგრაციო კვოტა	immigration quota
164.	საიმიგრაციო პროგრამა	immigration programme
165.	საინტეგრაციო პროგრამა	integration programme
166.	სარინის (Sirene) ბიურო	Sirene Bureau
167.	სამგზავრო დოკუმენტი	travel document
168.	სანდობის შეფასება	credibility assessment
169.	სასაზღვრო ზონა	border area
170.	სასაზღვრო კონტროლი	border control
171.	სატრანზიტო ქვეყანა	country of transit
172.	საფრთხისშემცველი გადაადგილება	harmful onward movement
173.	საძიებო-სამაშველო (SAR) ოპერაცია	search and rescue (SAR) operation
174.	სეზონური მუშაკი	seasonal worker
175.	სერიოზული ზიანი	serious harm
176.	სექსუალური ორიენტაცია	sexual orientation
177.	სკოლის მოსწავლე	school pupil

178.	სოციალური გამორიცხვა/გარიყულობა	social exclusion
179.	სოციალური დაცვა	social security
180.	სოციალური დახმარება/შელავათები	social protection benefits
181.	სოციალური დემპინგი	social dumping
182.	სოციალური პარტნიორები	social partners
183.	სოციალური შეკავშირებულობა	social cohesion
184.	სოციალური ჩართულობა	social inclusion
185.	სპონსორი/მხარდამჭერი პირი	sponsor
186.	სპონტანური მიგრაცია	spontaneous migration
187.	სტატუსის შეცვლა	change of status
188.	სტოკჰოლმის პროგრამა	Stockholm Programme
189.	ტერიტორიაზე დაშვება	admission onto the territory
190.	ტრანზიტული ლტოლვილი	refugee in transit
191.	ტრანსსასაზღვრო მუშაკი	cross-border worker
192.	უარი შესვლაზე	refusal of entry
193.	უკან გაბრუნება	push back
194.	ურთიერთალიარების შეთანხმება	mutual recognition agreement
195.	უცხოელთა ჯგუფი	stock of foreigners
196.	ფიქციური პარტნიორობა	partnership of convenience
197.	ფიქციური ქორწინება	marriage of convenience
198.	ფულადი გზავნილი	remittance
199.	შემაკავებელი ეფექტი	suspensive effect
200.	შენგენის კონვენცია	Schengen Convention
201.	შენგენის შეთანხმება	Schengen Agreement
202.	შესვლა-გასვლის სისტემა (EES)	Entry/Exit System (EES)
203.	შესვლის აკრძალვა	entry ban
204.	შვილად აყვანა	adoption (of a child)

205.	შრომითი მიგრანტი	migrant worker
206.	შრომითი მიგრაცია	labour migration
207.	შრომის ნებართვა	work permit
208.	ცირკულარული მიგრაცია	circular migration
209.	ძირითადი უფლებები	fundamental rights
210.	წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა	country of origin
211.	ხარტუმის პროცესი	Khartoum Process
212.	ხელახალი შესვლა	re-entry
213.	ხელშემწყობი პირი	facilitator
214.	ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა	access to healthcare
215.	ჯაჭვური მიგრაცია	chain migration
216.	ჯგუფის დევნა	group persecution
217.	ჰუმანიტარული დაცვა	humanitarian protection

დანართი N3

სამშემადგენლიანი/კომპონენტური ანალიტიკური ტერმინები

N	ტერმინი სამიზნე ენაზე (ქართული) Term in target language (Georgian)	ტერმინი წყარო ენაზე (ინგლისური) Term in source language (English)
1.	ადამიანის უფლებათა სამართალი	human rights law
2.	ადგილობრივი სასაზღვრო მიმოსვლა	local border traffic
3.	აეროპორტის სატრანზიტო ვიზა	airport transit visa
4.	ავტომატიზებული სასაზღვრო კონტროლი (ABC)	Automated Border Control (ABC)

5.	აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა	active citizenship
6.	ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC)	best interests of the child (BIC)
7.	ბრძანება გადაყვანის შესახებ	transfer order
8.	ბრძანება გაძევების შესახებ	removal order
9.	გადაუდებელი რეაგირების სისტემა	emergency response system
10.	გადაწყვეტილება გაძევების შესახებ	expulsion decision
11.	გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ	return decision
12.	განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე	applicant for international protection
13.	გარკვეული სოციალური ჯგუფი	particular social group
14.	გენდერული ნიშნით დევნა	gender-based persecution
15.	დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი	degrading treatment or punishment
16.	დამატებითი დაცვის სტატუსი	subsidiary protection status
17.	დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ	crime against humanity
18.	დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი	actor of protection
19.	დე იურე მოსახლეობა	de jure population
20.	დე ფაქტო ლტოლვილი	de facto refugee
21.	დე ფაქტო მოსახლეობა	de facto population
22.	დევნის საფუძვლიანი შიში	well-founded fear of persecutio

23.	დროებითი გარე საზღვარი	temporary external border
24.	ევროკავშირის არამოქალაქე პირი	non-EU national
25.	ევროკავშირის გარე საზღვარი	external EU border
26.	ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)	European Union Agency for Asylum (EUAA)
27.	ევროკავშირის ლურჯი ბარათი	EU Blue Card
28.	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU)	Court of Justice of the European Union (CJEU)
29.	ევროკავშირის საიმიგრაციო პორტალი	EU Immigration Portal
30.	ევროკავშირის ფარგლებში მობილობა	intra-EU mobility
31.	ევროკავშირის შიდა საზღვარი	internal EU border
32.	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)	European Neighbourhood Policy (ENP)
33.	ექს ნუნკ (ex nunc „ამ მომენტიდან“) განხილვა	ex-nunc examination
34.	ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS)	Visa Information System (VIS)
35.	თავისუფალი გადაადგილების უფლება	right to free movement
36.	თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლება	right of asylum
37.	თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა	asylum shopping
38.	თანასწორი მოპყრობის პრინციპი	principle of equal treatment
39.	იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერი (ILO)	Immigration Liaison Officer (ILO)

40.	ინტეგრაცია შრომის ბაზარზე	labour market integration
41.	ინტეგრაციის ევროპული ქსელი (EIN)	European Integration Network (EIN)
42.	ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი	mutual information mechanism
43.	იძულებითი დაბრუნების მონიტორინგი	forced return monitoring
44.	კონსულტაცია დაბრუნებასთან დაკავშირებით	return counselling
45.	ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე	Convention refugee
46.	ლტოლვილის სტატუსის გამოხმობა	withdrawal of refugee status
47.	მანდატით განსაზღვრული ლტოლვილი	mandate refugee
48.	მაღალკვალიფიციურ მიგრანტთა დასაქმება	highly qualified employment
49.	მგზავრის წინასწარი მონაცემები (API)	advance passenger information (API)
50.	მეორე თაობის მიგრანტი	second-generation migrant
51.	მესამე ქვეყნის მოქალაქე	third-country national
52.	მეურვეთა ევროპული ქსელი (ECN)	European Guardianship Network (EGN)
53.	მიგრანტების განმეორებითი გადაადგილება	secondary movement of migrants
54.	მიგრაციის ევროპული ფორუმი (EMF)	European Migration Forum (EMF)

55.	მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)	European Migration Network (EMN)
56.	მიგრაციის მაიძულებელი (push) ფაქტორი	push factor
57.	მიგრაციის მამოძრავებელი (push-pull) ფაქტორები	push-pull factor
58.	მიგრაციის მარშრუტების ინიციატივა	migration routes initiative
59.	მიგრაციის მთლიანი მოცულობა	total migration
60.	მიგრაციის მიმზიდველი (pull) ფაქტორი	pull factor
61.	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)	International Organization for Migration (IOM)
62.	მიღების მატერიალური პირობები	material reception conditions
63.	მოქალაქეობის არმქონე პირი	stateless person
64.	მოწმობით აღიარებული ლტოლვილი	statutory refugee
65.	მუდმივი საცხოვრებელი ადგილი	usual residence
66.	ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა	assisted voluntary return
67.	ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი	organised criminal group
68.	ოჯახის ერთიანობის უფლება	right to family unity
69.	ოჯახური ცხოვრების უფლება	right to family life
70.	პაკეტი „ჭკვიანი საზღვრები	Smart Borders Package
71.	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	identity document
72.	პირველი თავშესაფრის ქვეყანა	first country of asylum

73.	პირველი ინსტანციის გდაწყვეტილება	first instance decision
74.	პრიმა ფაცე (prima facie/"ერთი შეხედვით") ლტოლვილი	prima facie refugee
75.	რეადმისიის შესახებ შეთანხმება	readmission agreement
76.	რეფერირების ეროვნული მექანიზმი	national referral mechanism
77.	საერთაშორისო დაცვის გამოხმობა	withdrawal of international protection
78.	საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა	making an application for international protection
79.	საერთაშორისო დაცვის პროცედურა	procedure for international protection
80.	საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა	content of international protection
81.	საერთო ძირითადი პრინციპები	Common Basic Principles
82.	სამართლებრივი აქტების მიღება	adoption (of legal acts)
83.	(სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი	(civil) war refugee
84.	სამოქალაქო ორიენტაციის კურსი	civic orientation course
85.	სამუშაო ძალის ნაკლებობა	labour shortage
86.	სამუშაო ძალის შესაბამისობა	labour matching
87.	სანქცია დამსაქმებლის მიმართ	employer sanction
88.	სასაზღვრო გამტარი პუნქტი	border crossing point
89.	სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა	access to social welfare
90.	სტატუსის დამდგენი ორგანო	determining authority

91.	სურ პლას (sur place/„ადგილზე“) ლტოლვილი	refugee sur place
92.	უსაფრთხო მესამე ქვეყანა	safe third country
93.	უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა	safe country of origin
94.	უცხოური კვალიფიკაციების აღიარება	recognition of foreign qualifications
95.	ფიქციურად შვილად აყვანა	adoption of convenience
96.	ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა	civil partnership of convenience
97.	ქვეყნის უცხოელი მოსახლეობა	foreign population of a country
98.	ქვეყნის შიგნით დაცვა	internal protection
99.	(ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირი	internally displaced person
100.	შავი ზღვის სინერგია	Black Sea Synergy
101.	შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)	Schengen Information System (SIS)
102.	შენგენის სასაზღვრო კოდექსი	Schengen Borders Code
103.	შერეული მიგრაციული ნაკადი	mixed migration flow
104.	შეტყობინება გადაყვანის შესახებ	transfer notification
105.	შრომის ბაზრის ტესტი	labour market test
106.	ცხელი წერტილის ზონა	hotspot area
107.	ცხელი წერტილის მიდგომა	Hotspot Approach

დანართი N4

ოთხშემადგენლიანი/კომპონენტის ანალიტიკური ტერმინები

